

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
FILIALE GEORGIENNE DE L'ACADEMIE DES SCIENCES DE L'URSS

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ ИМ. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
ET DE CULTURE MATÉRIELLE

IV 3

გამომცემულია და იყიდება

აკად. ნ. მარას სახელობის ფინს, ისტორიასა და მაცერიალური კულტურის ინსტიტუტის
წამყვანი მკვლევარი:

1. „მოამბე“, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით, ტ. I, 1937 წ., 316 გვ., ფასი 10 მ
2. „ „ „ „ „ ტ. II, 1937—38 წ., 400 გვ.
ფასი 13 მან.
3. „ „ „ „ „ ტ. III, მიძღვნილი «ვეფხისტყაოს-
ნის» 750 წლისთავისადმი, 1938 წ.
388 გვ., ფასი 12 მან.
4. „ „ „ „ „ ტ. IV, 1938—39 წ., 388 გვ.;
ფასი 15 მან.
5. Сборник Руставели и 750-летию «Вепхисткаосани», под редакцией проф.
С. Н. Джанашиа, 1938 г., 224 стр., цена 12 руб.
6. ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, წ. 1, ქართ-
ველური ენები, აკად. წევრ-კორესპ. გ. ახვლედიანის რედაქციით, 1937 წ.,
80 გვ., ფასი 3 მან.
7. მაკარ ხუბუა, მეგრული ტექსტები, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით,
1937 წ., 362 გვ., ფასი 12 მან.
8. პროფ. არნ. ჩიქობავა, კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექ-
სიკონი, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით, 1938 წ., 510 გვ., ფასი 15 მან.
9. პროფ. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტები-
თურთ, I და II, 1936 წ., 424 გვ., ფასი ყლით 20 მან.
10. სერგი ედენტი, კანური ტექსტები (არქაბული კილოკავი), პროფ. არნ.
ჩიქობავას რედაქციით, 1938 წ., 224 გვ., ფასი ყლით 8 მან.
11. ქართველურ ენათა ლექსიკა I (გურული, ზემოიშვრული და ლეჩხუმური
ლექსიკონები), შედგ.: გურული გ. შარაშიძის მიერ, ზემოიშვრული—
ბ. წერეთლის მიერ და ლეჩხუმური—მ. ალავეძის მიერ, 1938 წ.,
164 გვ., ფასი ყლით 7 მან.
12. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, წ. I, შემცენარეობა, შედგენილია
დოქ. ალ. მაყაშვილის მიერ, 1938 წ., 380 გვ., ფასი ყლით 12—50 კ.
13. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, წ. II, ენტომოლოგია, შედგენილია
პროფ. ლ. კალანდაძისა და ვ. ბაქრაძის მიერ, აკად. წევრ-კორესპ.
გ. ახვლედიანის რედაქციით, 1938 წ., 315 გვ., ფასი ყლით 7—50 კ.
14. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირ-
ველი ბუნება და ნათესაობა, 1939 წ., 772 გვ., ფასი ყლით 22—50 კ.
15. პროფ. ი. ყიფშიძე, კანური ტექსტები, პროფ. არნ. ჩიქობავას რედა-
ქციით, 1939 წ., 138 გვ., ფასი ყლით 8 მან.
16. ვ. ბარდაველიძე, სვანურ-ხალხურ დღეობათა კალენდარი, წ. 1,
ახალწლის ციკლი, აკად. წევრ-კორესპ. აკ. შანიძის რედაქციით, 1939 წ.,
232 გვ. და 13 ტაბულა, ფასი ყლით 11—50 კ.
17. რუსუდან ხარაძე, დიდი ოჯახის გარდმონაშთები სვანეთში, პროფ.
ს. ჯანაშიას რედაქციით, 1939 წ., 136 გვ. და 11 ტაბულა, ფასი 10—50 კ.

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მ ო ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

IV 3

ბაიბიქცა სსრუ მუცნიერებათა აკადემიის
საქართულის ფილიალის განკარგულებათ

თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიანი

ბედაცვლი პრეფ. სიმონ ჯანაშია

შ ი ნ ა ა რ ს ი

ენიშპი-ს 1938 წლის საშეცდნეარო მივლინებათა და ეძხვადიციიების ანგარიში

I. ქართველურ ენათა განყოფილება

- მასალები ქართლური კილოს შესწავლისათვის 194
1. სტ. ჩხენკელი. მოკლე ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონში 195—197
 2. ივ. გიგინეიშვილი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის რაიონში 199—205
 3. ალ. ჯიშიაშვილი, ანგარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონის სოფ. ქვენა-ტკოცასა, ტკოცასა და ფცაში 207—209
 4. ა. მარტიროსოვი, ანგარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ. 211—221

II. კავკასიურ ენათა განყოფილება

5. არნ. ჩიქობავა, საანგარიშო მოხსენება ხუნძური (ავარიული) ენის ქარულ კილოზე მუშაობისა ზაქათალაში 223—230
6. ვლ. ფანჩიძე, საანგარიშო მოხსენება უღურ ენაზე მუშაობის შესახებ 231—234
7. ქ. ლომთათიძე, საანგარიშო მოხსენება აფხაზური ენის ბზიფურ კილოზე მუშაობის შესახებ 235—239
8. გ. როგავა, საანგარიშო მოხსენება ქვემო-ადიღური ენის კემგუი-ბეღდღურს კილოზე მუშაობის შესახებ 241
9. თ. გონიაშვილი, საანგარიშო მოხსენება ჩაჩურ ენაზე მუშაობის შესახებ 243—245
10. დ. იმნაიშვილი, საანგარიშო მოხსენება ინგუშურ ენაზე მუშაობის შესახებ 247—252
11. შ. გაფრინდაშვილი, საანგარიშო მოხსენება დარგულ ენაზე ჩატარებული მუშაობისა 253—262

III. სალექსიკოლოგო განყოფილება

12. პ. ხუბუტია, მოკლე ანგარიში თელავის რაონში ჩატარებული სალექსიკოლოგო მუშაობის შესახებ 263—272
13. მერი გუჯეჯიანი, საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვინეთში (დალში) მივლინების შესახებ 273—276

IV. ფონეტიკის კაბინეტი

14. ს. ქლენტჭი, ანგარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა სვანური ენის ფონეტიკაზე სამუშაოდ 277—280

V. ეთნოგრაფიის განყოფილება

15. გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში 281—290
16. ლ. ბოჭორიშვილი, ქსნის ხეობაში მივლინების მოკლე ანგარიში 291—294
17. ლ. ბოჭორიშვილი, კახეთში მივლინების მოკლე ანგარიში 295—298
18. რ. ხარაძე, ხევსურეთში მივლინების ანგარიში 299—304
19. ალ. რობაქიძე, რაჭაში ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში 305—319
20. ნ. რეხვიაშვილი, ზემო-რაჭაში მივლინების ანგარიში . . . 321—337
21. გ. ჩიტაია, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხების შესახებ მოწვეულ პლენუმზე („სხდომაზე“) მივლინების მოკლე ანგარიში 339—344

VI. არქეოლოგიის განყოფილება

22. გ. გობეჯიშვილი, ანგარიში სოფ. ლებში წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისა 345—361
23. ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში 363—371
24. ალ. კალანდაძე, არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წ. 373—381

VII. ისტორიის განყოფილება

25. ავთ. იოსელიანი, 1938 წლის საზაფხულო მივლინების შემოკლებული ანგარიში 383—387

ქართველურ ენათა განყოფილება

მ ა ს ა ლ ე ბ ი

ქართლური კილოს შესავლისათვის

ქართველურ ენათა განყოფილება, თავისი ხუთწლიანი გეგმის თანახმად, 1938 წლის ზაფხულს განაგრძობდა მუშაობას ქართული ენის ცენტრალურ დიალექტზე—ქართლურზე. ამჟამად სამუშაო ობიექტად აღებული იყო უმთავრესად ხაშურისა და ნაწილობრივ გორის რაიონი. ექსპედიციაში შედიოდნენ: ქართველურ ენათა განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები ს. ჩხენკელი, ი. გიგინეიშვილი და თ. ანდლულაძე და ასპირანტები ა. ჯიშიაშვილი და ა. შარტიროსოვი.

სამუშაო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: ს. ჩხენკელი—მტკვრის მარჯვენა მხარე (სოფ. ხცისი და ახლომდებარე სოფლები); ი. გიგინეიშვილი—სურამის ახლომახლო სოფლები; თ. ანდლულაძე—სოფ. რუისი და ურბნისი (გორის რ.); ა. ჯიშიაშვილი—სოფ. ქვენა-ტკოცა, ტკოცა და ფცა; მარტიროსოვი—ფრონის ხეობა.

ზ. ახენჯელი

მოკლე ანბარიში საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონში 1938 წელს

სამუშაო ადგილების განაწილებისას მე წილად მხვდა ხაშურის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლები. ხაშურის მახლობელი, ე. ი. ზემო-იმერეთის მოსაზღვრე ქართლური სოფლები ყურადღების ღირსი იყო იმ მხრივ, რომ აქ მოსალოდნელი იყო იმერული დიალექტის გავლენა, რაც მუშაობის პროცესში სავსებით დადასტურდა, და ეს ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხაშურის მიდამოებში უხვადაა იმერული სოფლები. ამას გარდა იშვიათად თუ მოიძებნება აქ ისეთი ქართლური სოფელი, სადაც რამდენიმე ძველი თუ ახალი იმერელი მოსახლე არ იყოს. ამიტომ იძულებული ვიყავი, სანამ რომელიმე სოფელს ამოვიჩივებდი ძირითადად სამუშაოდ, მიმეშართა რაიონის განათლების განყოფილებისათვის ისეთი სოფლის შესარჩევად, სადაც ასე თუ ისე „წმინდა“ ქართლური მოსახლეობა იქნებოდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდა სოფ. ხციხი, რომელიც მდებარეობს ხაშურიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით 5 კილომეტრის მანძილზე, ხოლო ოსიაურის ბაქნიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ამ სოფელში მომიხდა ძირითადად მუშაობა მთელი აგვისტოს განმავლობაში¹. ეს სოფელი ხელსაყრელი აღმოჩნდა მთქმელების საშოვნელადაც; ზაფხულის პერიოდში სოფლად კოლმეურნეობებში გაცხოველებული მუშაობაა და მთქმელის შოვნა ზოგჯერ კირს ხოლმე.

ორი დღე ვიმუშავე ხციხიდან აღმოსავლეთით სამი კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფელში ზემო-მიწოზში, ხოლო ერთ დღეს ამხ. გიგინეიშვილთან ერთად ჩავიწერე მცირეოდენი მასალა სოფ. ოსიაურში (მდებარეობს ხაშურიდან აღმოსავლეთით 2 კილომეტრზე).

ამ სხვადასხვა ქართლურ სოფელში მუშაობამ დამარწმუნა, რომ დიალექტოლოგიურად მათ შორის არაერთგვაროვანი განსხვავება არ არსებობს, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ სოფლებს, სადაც ან მთლიანად, ან დიდი უმეტესობით იმერლობა მოსახლეობს. ამ უკანასკნელს ბევრი რამ შეუ-

¹ სულ ჩაწერილია 8 სასტ. ფორმა ტექსტი (პროზა და ლექსები).

ტანია თავის დიალექტში ქართლური მეტყველებიდან¹, მაგრამ ამავე დროს თავისი მხრით გავლენაც მოუხდენია მეზობელ ქართლურ მეტყველებაზე.

სწორედ ამ გავლენას უნდა მიეწეროს, რომ ზემოაღნიშნული სოფლების ეცხოვრებთა მეტყველებაში არსად, არც ზმნებში და არც სახელებში, არ გვხვდება ძირითადი ქართლური დიალექტისათვის დამახასიათებელი დიფთონგისებრი ბგერა ჯჱ, ჯხ. ყველგან, სადაც კი მოსალოდნელი იყო ისინი, გვხვდება ჯ და ხ, რომელთა ხმარებას ზმნებში, როგორც სუბიექტურ-ობიექტურ პრეფიქსებისას, არავითარი კანონზომიერება არ ახასიათებს. მაგ.: ერთი კაცი სიშინლსა სთესამს გზის პირზე; დასწერეს პირობაი; მოჰპარე (ბრძ.) ისა და დამალევი; წამოუარა ამ კაცმა თოფის კონდახითა და მოსცხო და მოსცხო; დაიჭირეს მაყრებმა, ძალიან სცემეს. მაგრამ იქვე: ახლა იმათ დაიჭირეს და ძალიან ცემეს; მოდგა და იმტელი ცემა, სუ ტყავი გააძრო.

აღნიშნოთ ზოგი სხვა მოვლენაც, რომლებიც ცნობილია საზოგადოდ ქართლურში და ზოგჯერ სხვა დიალექტებშიაც.

წყვეტილის I და II პირისა და წართქმითი ბრძანებითის II პირის ფორმებში ზოგჯერ ე-ს ნაცვლად იხმარება—ევი დაბოლოება: ეგეც მე შეუქამევი; შევები ჩავიცვით, გიტირევი; აი ის პატარა ყუთი მაჩუქევი; წადი კაცო, იშუე რამე და მოიტანევი; ის დაისწავლევი, მოჰპარე ისა და დამალევი; შენ იქ შედი და დაიმალევი².

ჩვეულებრივია ვ-ს შეცვლა მ-თი; ვინც კლდეში წემს, კარქა ხე დამს; ქექამდა და ქექამდა ნაცარს; მენახირეს საქონელი ყამდა დასვენებული; ისე დაუდგამენ სტაქანს სამსეს: ეს პროცესი ზოგჯერ უფრო შორსაა წასული და მწ-თია შეცვლილი: წენს (<წემს<წევს) ეს კაცი იქა; ერთი კაცი მიყანთ (<მიყამთ<მიყავთ) დასამარხათა.

ჩვეულებრივია ბოლოხმოვნიან სახელებში სახელობითის სრული ი: სადა მქონდა თეთრი აქლემის რძეი? დაკოცნა ეს ძმაი; დასწერეს პირობაი; ეს კაციც გახდა ამ ქალაქის ხენწიფეი; ძირ დედამიწაი თავდებათ მამიცია; გაამსეს ეს გორდაი; ნელა მოდის ეს ძროხაი და სხ.

ასევე ხშირია მიცემითის ხმარება ვრცელი დაბოლოებით: იმასა ყამს ერთი ბარიწა; დეეწათა ამ გორდასა; ბედსა გწემ; ჩექმებს გაურგდო; ზაბოქნიქსა; იმ გლეხსა შიგ სახში ჩაუყარა ნავავი და სხ.

ჩვეულებრივ იკარგება სახელებში თავკიდური მ: ერთი კაი დღეობაი იცის ცხინვალის ხარეს; ყამდა ცოტა რეელი; თუ გინდა, ღვდელიც შეიყვარე; ამადაამ უსიერ თაში ცხრა ძმანი დევები არიან; ეს კინტო შიერიია; სახენწიფო იმიტომ არი დიდარი და მისთ.

საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს სიტყვა მცა (ცის მნიშვნელობით): როგორც მასკვლავი მცა ზედა; ნაქერ-ნაქერ ლურბელ მოდის მალლა მცი-დგანა; მალლა მცაში ფრინველს არ გაუელია.

¹ დროის უქონლობის გამო არ მიმუშავია ზაშურის რაიონის იმერული სოფლების მეტყველებაზე. ზედმეტი არ იქნებოდა ეს მეტყველება საგანგებოდ ყოფილიყო შესწავლილი.

² პირველ ორ ფრაზაში წყვეტილის მაგალითებია, ხოლო დანარჩენებში ბრძანებითი.

სინტაქსიდან აღვნიშნავ მხოლოდ შემდეგს: მხოლოობითის ფორმაში მოცემულ კრებით სახელთან ზმნა თითქმის ყოველთვის მრავლობითშია შეწყობილი: ადგნენ ეს ხალხი და წავიდნენ; მოვლენ ეს ხალხი, ეს პური უნდა შეკამონ ამ ხალხმა; მშვიერები დამეხოცებიან ცოლ-შვილი; დაიწყეს ტირილი ცოლ-ქმარმა.

დეტალური ენობრივი მიმოხილვა შეკრებილი მასალებისა წარემძღვარება ქართლურ დიალექტოლოგიურ ტექსტებს, რომელთა დაბეჭდვა განზრახულია მოკლე ხანში.

03. გიგინეოზილი

ანბარიში საზაფხულო მივლინებისა სურამის მიდამოებში

ქართველურ ენათა განყოფილების გეგმით წელს გრძელდებოდა გასულ წელს ქართლური კილოს შესასწავლად დაწყებული მუშაობა. თუ გასულ წელს მუშაობა უმთავრესად ქსან-ლიახვის ხეობებსა და მტკვრის მარჯვენა ნაპირზე (კავთისხევ-წითელქალაქის რაიონებში) წარმოებდა, წელს მტკვრის ზემო-წელის დათვალიერება და შესწავლა იყო განზრახული. სამუშაო პუნქტების განაწილებისას წილად მხვდა მუშაობა რაიონში, რომელიც იმერეთს ესაზღვრება— სურამის უღელტეხილის ახლომახლო სოფლებში. მე შევეცადე ამ სოფელთაგან ყველაზე უმთავრესნი მომეთვალთვალებინა და იქ ჩამეწერა ტექსტები. მუშაობა შემდგომ სოფლებში ვაწარმოე: ოძისში, იტრიაში, ჩუმათელეთში, ბულაურა-ჯაფინაურში, ტეზერსა და ბეკამში. ორიოდ დღით ვიმუშავე აგრეთვე სტეფ-ჩხენკელთან ერთად ოსიაურში, რომელიც აღნიშნულ სოფელთაგან ასე თუ ისე დაშორებულია, ყოველ შემთხვევაში მათ წყებაში არ შედის. ასე რომ მუშაობის რადიუსი დაახლოებით 7—8 კილომეტრს უდრიდა. აღნიშნული სოფლების მოსახლეობის დიდი უმრავლესობა იმერეთიდან გადმოსახლებული აღმოჩნდა, როგორც ჩანს, გასული საუკუნის პირველ ნახევარში უმთავრესად (ოღონდ ეს არ ითქმის იმდენად სოფ. ოსიაურის მოსახლეობაზე). დასახლებული პუნქტების მოსახლეობის მეტყველება თითქმის სავსებით ერთნაირი აღმოჩნდა: საერთოდ, რაც ერთი სოფლის მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, მეტნაკლებად იგივე ვრცელდება დანარჩენ სოფლებზედაც.

მიუხედავად მუშაობის შედარებით ძნელი პირობებისა (ივლისის ბოლო რიცხვები და აგვისტო, როდესაც გახურებული ლეწვა მიმდინარეობდა და კაცი, ქალი და ბავშვი კალოებზე იყო გამოფენილი, ჩემთვის არავის ეცალა და მხოლოდ გვიან საღამოთი და ღამით შემეძლო მთქმელების შოვნა), მუშაობა მაინც საკმაოდ ნაყოფიერად ჩატარდა: სულ ჩავიწერე 9—10 თაბახის რაოდენობის ტექსტები, თითქმის სულ პროზა, უმთავრესად ზღაპრები. ლექსებს ამ კუთხეში, როგორც ჩანს, მაგრე რიგად არ ეწყობიან: მოვახერხე მხოლოდ რამდენიმე ლექსის ჩაწერა, ამათგან ორიოდ აპოკრიფული ხასიათისაა. ჩაწერილი მასალიდან ზოგიერთი ლიტერატურულ-ფოლკლორული თვალსაზრისითაცაა საინტერესო, მაგალითად, ხალხური ტარიელის ამბავი (რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი), ხალხური ბეჟანიანი, ამირანიანი და სხვა.

აღნიშნავ ზოგიერთ ენობრივ თავისებურებას სხვა კუთხეების ქართლურთან, კერძოდ კავთისხეურთან, შედარებით. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მთელი რიგი ენობრივი მოვლენებისა, რომლებიც სპეციფიკურად ქართულრადა მიჩნეული, ან კიდევ ქართულს საერთო აქვს სხვა აღმოსავლურ კილოებთან, აქ აღარ გვხვდება. როგორც ცნობილია, წყვეტილში ე-თი ნაწარმოებ ზმნებს I და II პირში ქართულში ერთვის ი. ეგვეე ი მოეპოვება ზმნას II პირის წართქმით ბრძანებითშიაც. მაგალითად (შე-სადარებლად მაგალითები აქაც და ქვემოთაც მოყვანილია 1937 წ. კავთისხევეში ჩემ მიერ ჩაწერილი მასალებიდან):

წადი და მორწყვი ვერღებითა!

ორი ეკალი ამოვიღეი ხელებითა.

იქით გააგდეი, მწვანეზე გააგდეი, ბიჭო, კამეჩი!

მალა აღარ ავახედე, სანამ არ მოვიყვანიე თვალაღზე.

ესო ჩვენაო სიამონებათ ჩავთვალეითო.

რატო ფხიზელმა არ ვითამაშიე!

აიმ ფანჯარაში დამიკაქუნეითო.

შენ რო თმები დაგვიბლუჯეი, მე რო თმები ამამგლიჯეი?

აბა, წამიკითხეი!

სცემეი, სცემეი, გოგო!

ერთხელ წაველი ამ ზამთარ ტყეშია და შეშა მოვიტანეი.

ერთ ლამეს მოვრწყეით სამი დღის სიმინდი.

ხახვი სხვისგან ვისესხეითო და წამოვიღეითო.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში ეს -ი- ვო- მარცვალდართული ფორმებისაგან მიღებულადაა მიჩნეული. აი -ვო- მარცვალდართული მაგალითები: ენახევი, ისეე წაუკითხევი.

ოც მანათშია სამ მანათ აძღვეს: ერთიანთ გაგისალევიო და სხვა.

ინიანი ფორმები ჩვენი რაიონის მოსახლეობის მეტყველებაში იშვიათად გვხვდება. ენიან წყვეტილში მდგომარეობა უმრავლეს შემთხვევებში ისეთივეა, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. მაგალითად:

ეგ ვაშლები რო შეშქამოთ, თქვენ სამთავემ ერთათ შეშქამეთ.

თუ გინდა კამეთ და გინდა, რაც გინდათ, ქენითო.

ეგ ვირები გამომიგზავნე და, რაც გინდა, ქირა გადამახდენეო.

იქ ძალიან ბევრი ფული ვიშოვნე.

კაცო, უკვდაების წყალი მასწავლე, თუ ძმა ხარ!

რა ნახეთ თქვენ, რა, სამ-სამი მოხვედით.

ეს კარგი ახალგაზრდა ვიშოვნეო.

საქმელი ჩემაგიერ მიუტანე.

მაგრამ აქა-იქ ზოგჯერ -ვი- მარცვალდართული ფორმებიც გვხვდება:

მაშინვე გამაღვიძევიო.

ნაზირ-ვეზირები იყვნენ ჩემთანაო და ირემი გვაატანევიო.

ჩვე რო ის კაცი ენახევით, ნეტა რამ გააძრიელა?

დაგაქორწილე და დაგაბინავევიო.

წადი და ჯვარი დაიწერევიო.

რო გაათავებს, გამომიგზანევიო.

არ შემიძლიან, თუ არ მოვიყვანევიო.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა აქ საცესებით ისეთივეა, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს (უქანასკნელი ფორმების გამოკლებით; თუმცა ასეთი ფორმები ხომ აქა-იქ სალიტერატურო ენაშიაც გვხვდება!).
 • წყვეტილში იშვიათად თუ სადმე შეგვხვდებოდა.

ასევე უცხოა ამ რაიონის მოსახლეობის მეტყველებისათვის S₂ და O₂ პრეფიქსების ის სიუხვე და მრავალფეროვანება, რომელიც ასე დამახასიათებელია ქსან-ლიახვის ხეობისა და, განსაკუთრებით კი, კავთისხეველთა მეტყველებისათვის. O₂-დ (იშვიათად S₂-დაც) იქ ჩვეულებრივ გვხვდება ჰ და ხ (ასიმილაციით შ), მაგრამ, ამათ გარდა, აგრეთვე ჟ, ჟხ, ჟჰ, ზოგჯერ ჰხ და ხშირად ჰ ცხრა თანხმოვნის წინაც: (ღ ტ თ, ძ წ ც, ჯ ჰ ჩ). მაგალითები:

ჯერ არ ჰსძინამ კაკოსა, მოუკელი კაკუნსა...

არა-ღ-ლევს რძესა.

სუ თითონ დადსთოხნის, დადსთესამს, დაჰბარამს, მორწყამს.

არ გააღეწა, არ გაასცელა (მან).

აი მეხი კი დეცა თავში, სამი წელიწადია დააღევს.

ერთი ფეხი მოჰტეხეს (ხარს) და დაკლეს; ფეხი მოჰტეხეს და სამფეხა რაღათ უნდოდათ!

კი არ მოჰტყდა, მაგრამა მოჰტყდებოდა...

რასაც გამოჰწერამენ, გამოჰწერამენ... და სხვა.

ჩვენი რაიონის მოსახლეობის მეტყველებაში არც ჟ, არც ჟხ და ჟჰ და არც ჰ (ცხრა ბგერის წინ) არა გვხვდება (ცხრა ბგერის წინ ჰ-ს რეციდივი ეგების კიდევ შენიშნოს კაცმა!). პრეფიქსები უმეტეს შემთხვევაში სულ არ არის და, როცა არის, აქ ჩვეულებრივად ჰ და ხ (ასიმილაციით შ) არის გამოყენებული. აღნიშნული პრეფიქსების ხმარებისას მეტ წილად არავითარი წესი არ არის დაცული, მათი ფუნქციის გაგება უკვე დაკარგულია და ხშირად ისინი მხოლოდ სამკაულად არიან ქცეული.

აი რამდენიმე მაგალითი:

ხენწიფეს ცალკე კოშკში ყამს ეს ქალი.

ადგა და ვეზირათ ყანს ტარიელი ბიძასა.

ამ ვაჟსა ქვიან ტარიელი და ქალსა ქვიან ლესტანდარეჯანი.

ტაცა ყელში ხელი გუთანს.

ასტირდენ და მოახსენეს: შენ, მალალო ხემწიფეო!

დასწერა ქალაღები.

გაჰყვა ეს ფრიდონ-ავთანდილი თავა ჯარით.

იმას ქვია უღუკი...

ადგა და ხენწიფემ თქვა...

ჩიტის ენაც კი ცოდნია ამას.

ადგენ, რასაკვირელიან, და...

ასდგა, რასაკვირელიან, და...
 ასდგენ, რასაკვირელიან, და...
 ასდგა და შვიდა.

პირიდან ცეცხლებსა ყრის.

ზაალს არა გამს.

სადილსა შჰამს, სადილს მიირთმევს...

ადამიანს ბევრი შეძლება.

ამხანაგსა ხელი წაკრა, სომხურათ სიტყვა გასთალა.

ამირან-დევი შეიბა, თასა გაქონდა გრიალი, დასცა და ხარი მოტეხა, დააწყებინა ღრიალი.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ამ პრეფიქსების ხმარების წესი იმდენად შერყეულია, რომ ისინი უკვე მოსპობის გზაზე არიან დამდგარი.

აღმოსავლური კილოებისათვის საერთო მოვლენა—**შო**, **შე** პრეფერების **შა**, **შა**-ს სახით წარმოდგენა, მართალია, ჩვენს კუთხეშიაც შეიმჩნევა, მაგრამ ძალიან იშვიათად, გაბატონებულია სალიტერატურო ქართულთან საერთო **შო**, **შე**; მაგალითები:

ნუ მოაკვლინებ ჩემ თავსაო.

იმას არათფერი არ მოუხერხდება.

თუ იმას მოჰკლამ და იმის გულ-ღვიძლს მომიტანთ, თუ არა და მე მოვჰკვდებიო.

ღორმა ველარაფერი ველარ მოასწრო.

მოიყვანე, დეველაპარაკო იმ ქალსაო.

სხალი არ შემიქამია.

შევხედე და ჩემი ბიძაშვილი გამოუგზავნიათ.

შევხედო, შემოვიდა ეს გოგოი...

ცოდნა არ არიო, ისე ტიტლიკანა რო წამოიყვანეო?!

მაგრამ ზოგჯერ შევიდა და მისთ. გვხვდება; ასევე **წა**—**წე**-ს სახით გვევლინება (წვივდა უმფროსი ძმა), **გა**—**გო**-ს სახით (გოუგზანა), **და**—**დე**-ს სახით (დეიწრონ), რაც იმერულის გავლენაზე მიგვითითებს. იმერულიდანვეა მოტანილი კავშირებითის ფორმა: წვევიდონ და მისთ. (წვევიდონ და დეიწრონ ჯვარი ძებმა... კალატოზეფს შევატყობინეფ, თუ მოვიდონ აქ და გაგვირიგდონ... მოვიდონ ისინი, დედაო, და მე ვიცი და იმათაო...), მაგრამ აღნიშნული შემთხვევები არც თუ ისე ხშირად გვსმენია.

ს-ს დასუსტება და დაკარგვა მეტად გავრცელებული მოვლენაა აღმოსავლურ კილოებში (ქართლურში, გარეკახურში, ქიზიყურში...). რომ დასუსტების გზა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიდის, ამის დამამტკიცებელია ჩვენი რაიონის მაგალითიც. **ს** პრეფიქსი რომ არ სუსტდება, ამის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. **ს** სხვა შემთხვევებშიაც იშვიათად სუსტდება და იკარგება. მხოლოდ აქა-იქ შეხვდებით, რომ მიცემითსა და ნათესაობითში **ს** მთლიანად მოკვეცილი იყოს (მიცემითისა ზმნის წინ, ნათესაობითისა -თვის თანდებულთან, -თანა ნაწილაკთან, ან თუ იგი მსაზღვრელადაა გამოყენებული, მიცემითისა ხმო-

ვანფუძიან სახელებში -თან თანდებულთან...), დასუსტებას კი ადგილი არა აქვს. იმავე პართლში, უფრო აღმოსავლეთით, მაგალითად, კავთისხევის რაიონში ხ-ს დასუსტება-დაკარგვა მეტად გავრცელებული მოვლენაა (ხოლო უფრო აღმოსავლეთით თუ გავიწვეთ, გარეკახურში ეს მოვლენა ხომ კიდევ უფრო გავრცელებულია, ქიზიყურში კი ყველაზე მეტადაა განვითარებული!). აი რამდენიმე მაგალითი ჩვენი რაიონის მოსახლეობის მეტყველებიდან:

ერთ ქაჯ დაინახან კიდე იქა?

წინათა ჩვენ გლუხკაცის შვილ არ მიიღებდენ უმაღლესში.

ინეინრებ გავყვევი. წახვალ ეხლა შენ მემცხვარეთანა?

შვიდ ვაგონი მეტსა ვერ წაიღებდა ერთი პარაოზი.

სხვა სოფელ წაველ დასთანა (ამ უკანასკნელ მაგალითში, როგორც ვხედავთ, ხ-ანი -თან თანდებულის წინ შემონახულია), იშვიათად ასეთი ფორმაც შეიძლება შეგვხვდეს: იმისანა, მემცხვარესან (თანა ნაწილაკის თ და -თან თანდებულის თ იკარგება).

ახლა შესადარებლად ავიღოთ კავთისხეური მეტყველების მაგალითები (ხ პრეფიქსის დასუსტების მაგალითები აღარ მოგვეყავს).

ერ ღლეე გავლეწამ.

დაკა, დაკა მაგამ!

ღლეე დასვენება.

რამ დადღევ უქანა?

ღლეე როგორ ვიმგზავრეთ? წილანამ ქალი დავატაინე ურემსა.

მოდი, კოლა, დეესწარ კალოობამ! კალოობასაც დამსწრობილი ვარ და...

მკითხავ ვაკითხვიოთ, რამდელი ხანია დავემართა ეს სიგიჟე.

სიძემთან წავიღოდა, სიძემთან... და სხვა.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ თ ა გ ა ნ ალსანიშნავია: ში-ს ნაცვლად ძალიან ხშირად -შიდ გვხვდება (სკოლაშიდ მიაბარეს, ვენახშიდ ერთი კვახი მეგულებოდა და მისთ.), მაგრამ ეს ლიახვის ხეობაშიაც არის შენიშნული¹; -ზე თანდებული -ზედ სახითაა წარმოდგენილი ხშირადვე (ხენწიფის კარებზედ სამი ყვაეი შემოჯდა... ჩიტები შემოსხდნენ ხეზედ... სალამოზედ ალექსანდრე მოვიდა... მიდის გზაზედ); -ღამ თანდებული, რომელიც ძლიერ გავრცელებულია აღმოსავლურ კილოებში და ზოგი მწერლის ენაშიაც ფართო გასაქანს პოულობს (მაგ., ილ. ქავქაეაძისაში), აქ თითქმის არ შეინიშნება, ყველგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ფორმაა:

გაიგო, ვილაც ერანიდან მოსულა...

დილიდან სალამომდინ წყესათ ვიყავო მიდორშიო...

დაანთე ძრიელი ცეცხლი, შორიდან დაგვენახევა.

მაისიდან დაეიწყებთ მერე თოხნას...

მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ასეთი ფორმები შეგვხვდეს: დილიდგან, შორიდგან... გაზაფხულდება აპრილიდგან...

¹ პროფ. ვ. თ. ოფუჩია, ქართლური, კრებ. არილი.

ვითარებით ბრუნვაში თითქმის ყოველთვის -თ, -ათ დაბოლოება გვაქვს; ხმოვნით დაბოლოებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში -ი აქვთ დართული (თუმცა არა ისე ხშირად, როგორც ქართლის სხვა რაიონებში); სახელებს თავში მ უვითარდებათ ხშირად (მცა, მცხვარი, მწვიმა, მძვალი...); კრებითი სახელები ზმნას მრავლობით რიცხვში იგუებენ; წოდებითი ბრუნვის ნიშანს -ს ზოგჯერ ხელახლა დაერთვის ახალი ნიშანი ბრუნვისა -ვ (მგელოვ, მგელოვ! დედივ, დედივ! უქანასკნელ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი -თ არა გვაქვს, მაგრამ ფორმა წოდებითია); ზმნებში დ-ს შემდეგ უმეტეს შემთხვევაში -ნენ დაბოლოება გვაქვს. მაგრამ -ენ დაბოლოებაც გვხვდება და მრავალი სხვა, მაგრამ ამათ შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგანაც აქ მხოლოდ რამდენიმე ფაქტის აღნიშვნა გესურდა. ეს მით უმეტეს, რომ ეს მოვლენები და მრავალი სხვა, რომელიც ამ კუთხის მოსახლეობის მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი, ქართლის სხვა კუთხეებშიაც არის დადასტურებული.

ერთი ფონეტიკური მოვლენის შესახებაც: ძალზე გავრცელებულია აქაური მოსახლეობის მეტყველებაში მ-ს ნ-თი შენაცვლება. მ-ს ნ ენაცვლება იმ შემთხვევაშიც, როცა თავიდანვე მ იყო მოსალოდნელი, მაგრამ გაცილებით უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ნ გვაქვს იქ, სადაც ვ არის მოსალოდნელი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჯერ ვ-ს მ-თი, ხოლო შემდგომ ამ გზით მიღებული მ-ს ნ-თი შენაცვლებასთან. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა -ავ, -ევ, -ოვ თემატური ნიშნების ნაცვლად ხშირად -ან, -ენ, ონ-ის არსებობა. შენაცვლების პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ავ — ამ — ან. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ამნაირი (-ანაირი და მისთ.) ფორმების გვერდით -ამ, -ემ და მისთ. ნიშნიან ფორმათა არსებობა.

მაგალითები:

სონხურათ სიტყვა გათალა.~

გაენზადა.

შუა გზაზე დამიღანდა.

დანწიფდება.

ფეხები დაანტვრია.

პირობას თუ მისცენდა (ემ — ენ).

თავს არ მივცემ მოსვენებას, არ მოვკიდან ხელი ხელსა (აქ -ებ-ის ნაცვლად -ამ არის ნახმარი და შემდეგ ხდება მ-ს ნ-ით შენაცვლება).

სამჯერ უნდა გაანსოსო ამ დიდარმა კაცმა ქურჩო.

რაც კაცი იმას არ ნახანს, იმი კაცობა რა არი!

რავალთგვარი ხალხი მომყანს, ჩემზე მონდობილი არი.

თუ გამიკითხან, ჰირი მჭირს სიკვდილზე უარესია.

კარგს ვაქმენ და კარგს ვასმენო (=ვასმევო).

თუ იმას გვაპოვინეფო, მე შენ შეგიერთანო.

ერთ ქაჯ დაინახან კიდე იქა?

ავთანდილს არ ძინანს, ღვიძამს.

კიდობნითა მყანს ქალი დაკარქულიო.

ისე ნეკით მოყანს ეს ქალი... ნეკით რო მოყანდა...

მამაჩემი ჩემ თავს შენ არ გამოგწირანსო.

მაგრამ დროს არ აძლენს ეს ქალი.

ჯერ ხო ღმერთსა შემოგფიცან.

წამიკითხან (= წამიკითხავს) კი არა, თელ ღამეს ვკითხულობდი უარამნიანს.

ვინ იზანდა, ვინ იზანდა? ერთმა ვეზირმა უთხრა: ტარიელ იზანდაო და მრავალი სხვა.

როგორც ვხედავთ, მთელი რიგი თავისებურებანი, რომლებიც ქართლის სხვა კუთხეების მოსახლეობის მეტყველებას ახასიათებს, აქ უკვე აღარ მოიპოვება და აქაური მეტყველება გაცილებით ახლოს დგას თანამედროვე სალიტერატურო ქართულთან, ვიდრე ქართლის სხვა კუთხეებისა. საერთოდ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაური მოსახლეობის მეტყველება იმერულის გაეღნას განიცდის და ერთგვარი საშუალო ადგილი უჭირავს იმერულსა და ქართულს შორის. ასეთივე (გარდამავალი) ენობრივი ზოლი უნდა იყოს ლიხის გადაღმაც. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ უღელტეხილთან ახლოს მდებარე ერთი იმერული სოფლის—**ფონახ** მცხოვრებთა მეტყველება (ამ მეტყველებაზე დაკვირვება მე მოვახერხე, თუმცა ტექსტები, სამწუხაროდ, ვერ ჩავიწერე) თითქმის არაფრით განსხვავდება ჩვენი რაიონის მოსახლეობის მეტყველებისაგან, ამ სოფლის მოსახლეობა კი მთლიანად იმერულია.

აღ. ჯიჟიაშვილი

ანბარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა ხაშურის რაიონის სოფ. ქვენა-ტკოცასა, ტკოცასა და ფცაში

1938 წლის 15 ივლისიდან ერთი თვის ვადით მივლინებული ვიყავი აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტის მიერ ქართული დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად ხაშურის რაიონის სოფ. სოფ. ქვენა-ტკოცასა, ტკოცასა და ფცაში. მივლინების მიზანი იყო: 1. მონაწილეობა მიმელო ენიმკის ქართველურ ენათა სექტორის 5-წლიანი გეგმით გათვალისწინებულ ქართლურ დიალექტის შესწავლის საქმეში და 2. გამეგლო საასპირანტო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო სამეცნიერო მუშაობის პრაქტიკა.

14 ივლისს მივიღე მივლინების ხარჯები და 15 ივლისს დღის 12 საათზე უკვე ხაშურში ვიყავი. ხაშურში ჩასვლისთანავე გამოცხადდნენ რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან ამხ. მ. ნოზაძესთან, რომელსაც გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი და დახმარება ვსთხოვე.

ამხ. მ. ნოზაძემ მეტად თავაზიანად მიმიღო, მომცა სათანადო რჩევა-დარიგება და სარეკომენდაციო წერილები ცალკეულ სოფლებისა თუ სას. საბჭოების მიხედვით.

16 ივლისს, დღის 11 საათზე უკვე სადგ. აგარაში ვიყავი, ხოლო 15 წუთის შემდეგ ქვენა-ტკოცის არასრულ საშ. სკოლაში მივედი. როგორც გავიგე, მიუხედავად იმისა, რომ საზაფხულო არდადეგები იყო, სკოლის დირექტორი ამხ. აღ. (საშა) დადუნაშვილი (უმალღესი განათლებით, სპეციალობით აგრონომი) აქ იმყოფებოდა და სკოლის რემონტზე მუშაობდა. როგორც კი გავიგო ამხ. დადუნაშვილმა ჩემი ჩამოსვლის მიზეზი, იმავე საათში მომიძებნა ლამის გასათევი ბინა და ბავშვები დაგზავნა ისეთ გლეხებთან, რომლებიც, მისი აზრით (ის აქ მუშაობს უკვე მე-4 წელია), მთქმელებად გამოდგებოდნენ. ჩემთან სულ 4 კაცი გამოცხადდა, რომელთაგან საბოლოოდ მხოლოდ ერთი, 90 წლის მოხუცი—სარდო დიმიტრის ძე ქარუხნიშვილი ავირჩიე და შევეუდექი მისგან ტექსტების ჩაწერას. მთქმელი ბევრი ამბების მცოდნე აღმოჩნდა, სალაპარაკო მასალა არ ელეოდა, მაგრამ წამდაუწუმ ილღებოდა ლაპარაკით და დასვენებას ხშირად ითხოვდა. სარდო ქარუხნიშვილთან დღეში 2—3 საათს ვმუშაობდი ტექსტების ჩაწერაზე, ხოლო დანარჩენ დროს ცალკეულ სიტყვებისა და ტერმინების (შენობათა სახელები და მათი ნაწილები, ბინის შინაგანი მოწყობილობისა, ქურქებისა, ტანსაცმელებისა, მორთულობისა, საკმელებისა და სასმელების

სახელები, სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია, მიწათმოქმედების იარაღები და მათი ნაწილები და სხვ.) შეგროვებას ვანდომებდი. ქვ.-ტკოცაში დაერჩი 22 ივლისამდე და ამ ხნის განმავლობაში მოვახერხე რვეულის 100 გვერდამდე გაბმული ტექსტისა და 500-მდე ცალკეული ტერმინის ჩაწერა.

22 ივლისს, დღის 3 საათზე ტკოცაში წაველი და 6 საათისათვის უკვე ადგილზე ვიყავი. სოფ. ტკოცა 2—2¹/₂ საათის სავალი გზით შორავს ქვენა ტკოცას და მეტად ლამაზ ადგილზეა გაშენებული იმერულ ყაიდაზე. როგორც მცხოვრებთა უმრავლესობამ გადმომცა, აქ მთლიანად გადმოსახლებული იმერლები მოსახლეობენ, რაც აუცილებლად ყურადსაღები ფაქტია ამ სოფლის ენობრივი ანალიზისას.

მეორე დღეს დილით მიემართე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. გრიგოლაშვილს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ გაცხარებული მუშაობა ჰქონდა პურის ლეწვის გამო, მაშინვე გამოჰყო ჩემთვის 90 წლის მოხუცი, წერა-კითხვის უცოდინარი ილარიონ ჭიტესას ძე კამთელაშვილი; აღმოჩნდა, რომ ილარიონ კამთელაშვილს არც სალაპარაკო მასალა ჰქონდა საკმაო და არც კარგი ლაპარაკი ეხერხებოდა, რის გამოც სხვა მთქმელის გამოსაძებნად კვლავ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიემართე, რომელმაც ამჯერად 31 წლის გიორგი იასონის ძე გრიგოლაშვილი გამოჰყო. გიორგი საკმაოდ მარჯვე კაცი აღმოჩნდა, იცოდა წერა-კითხვა, წაკითხული ჰქონდა წიგნებიც და სხვა. გარდა გიორგისა ტექსტი ჩავიწერე 100 წლის მათა გაბოს ასული მაისურაძისაგან. ტკოცაში დაერჩი 29 ივლისამდე და ჩავიწერე რვეულის 60 გვერდი გაბმული ტექსტი და 1000-მდე სიტყვა.

მთელ მუშაობაში დიდი დახმარება გამიწია ტკოცის საბავშვო ბაღის გამგემ—ევა ხარიტონის ასულმა კაპანაძემ.

29 ივლისს დღის 10 საათზე ფცაში გავემგზავრე და 11¹/₂ საათზე უკვე სოფელში ვიყავი. ბინა მისვლისთანავე ვიშოვნე და მთქმელის ძებნას შევუდექი, მაგრამ ამ საქმის მოგვარება მეტად ძნელი აღმოჩნდა. მართალია 1—2 პირზე მიმითითეს, მაგრამ ისინი მთქმელებად არ გამოდგებოდნენ, ხოლო სხვები დიდიანვე საშუაოდ მიდიოდნენ და საღამოთი დაღლილები ბრუნდებოდნენ, რის გამოც ჩემთან მოსვლაზე უარს აცხადებდნენ. აქ დაერჩი სულ 3 დღეს, ჩაწერე 400-მდე სიტყვა და 2 გვერდამდე გაბმული ტექსტი, რის შემდეგ ტფილისში გამოვემგზავრე.

ამგვარად, მივლინების მთელს პერიოდში ჩემს მიერ ჩაწერილია რვეულის 162 გვერდი გაბმული ტექსტი და საკმაო რაოდენობის სალექსიკოლოგიო მასალა.

ვინაიდან მუშაობის დაწყების პირველ დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ ამ სოფლების ენა დიალექტოლოგიურ თვალსაზრისით არსებითად გასდევს პროფ. ვ. თოფურიას მიერ ქართლურში (არჩილი, გვ. 127—152, 1925 წ. ტფილისს) დადასტურებულ მოვლენებს, მთავარი ყურადღება მივაქციე მხოლოდ მასალის შეგროვებას.

საბოლოო შედეგში მცირეოდენი ახალი რამ მაინც გამოვლენილ იქნა. ასე მაგალითად:

I. ფონეტიკა: 1. არის ერთი შემთხვევა ქ ბგერის ჩართვისა და ბგერა ჩ წარმოდგენილია ჩქ- კომპლექსით სიტყვაში—„ნორჩქი“, რაც სემანტიკურად იმასვე უდრის, რასაც ლიტერატურული სიტყვა „ნორჩი“.

ეს მოვლენა მეტად მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა ურთიერთობის თვალსაზრისით.

2. არის შემთხვევა ჯ და დ ბგერის მონაცვლეობისა. ასე მაგ.: ერთდამივე ვახის ჯიშის აღსანიშნავად ფცაში და ქვენა-ტკოცაში (ტკოცაში არ შემიმოწმებია) იხმარება დ ი ბ რ ი ტ ო || ჯ ი ბ რ ი ტ ო || ჯ ი ბ ლ ი ტ ო.

3. ს ბგერა იკარგება მთლიანად მხოლოდ ნათ. და მიც. ბრუნვაში („ფოსტიფული“, „კურდღელ აქ რა დააყენებდა“), ხოლო სიტყვის ძირში ს — ე. („წყმევეფწარი“):

II. მორფოლოგია: 1. ბრუნების თვალსაზრისით საინტერესოა სიტყვა „სახელო“ (рyкaв), რომელიც კუშშვად-კვეცად ფუძიან სიტყვებს მიეკუთვნება (ე. ი. ამგვარად იბრუნვის: ნათ. სა ხ ლ ის, მოქმ.—სახლით; მრ-ში: სახ.—სახლები და ა. შ.)

3. S₂-სა და O₂-ის ნიშნის ხმარების არავითარი წესის დადგენა არ შეიძლება. იგი ხან გვხვდება და ხან არა. (იხმარება, როგორც „მიცა“, „ქონია“, ისე „მიპყამდა“, მისცეს“, „მოშეპამა“ და სხვ.). როდესაც S₂-სა და O₂-ის ნიშანი ხელზეა, იგი ან ს ბგერაა და ან მისი მონაცვლე ბგერები, რომლებიც სხვა ქართულ დიალექტებშიაც გვხვდება (პ, შ, ზ და სხ.), გარდა ე-სა. ე, მს, ეჰ—S₂-სა და O₂-ის ნიშნად, რაც პროფ. ვ. თოფურიაშ ქართლურისათვის დაადასტურა, სოფ. სოფ. ქვენა-ტკოცის, ტკოცისა და ფცის მოსახლეობის მეტყველებისათვის სრულიად უცხოა.

ყველა იმ მოვლენის დეტალური ანალიზი, რომლითაც სოფ. სოფ. ტკოცის, ქვენა-ტკოცისა და ფცის მოსახლეობის მეტყველება სავსებით ანალოგიურია ქართული ენის სხვა დიალექტებისა, ან მათგან განსხვავდება, თან დაერთვის ჩემს მიერ ამ სოფლებში ჩაწერილი ტექსტების გამოცემას.

ა. მარტიროსოვი

ანბარიში საზაფხულო მივლინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ.

I

1938 წლ. 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე მივლინებული ვიყავ ფრონის ხეობაში დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად. ენიმკი-ს ქართულური ენების განყოფილების დავალებით ვმუშაობდი სოფ. ბრეთში, არადეთში, სალოლაშენში, წვერსა და დირბში.

სალოლაშენი მდებარეობს ფრონის მარცხენა ნაპირას, არადეთი და წვერი კი—მარჯვენაზე. ესინი ერთმანეთისაგან თითო-თითო კილომეტრით არიან დაშორებულნი. ეს სოფლები მდებარეობენ ქარელიდან ჩრდილოეთით, დაახლოვებით 5—6 კილომეტრის მანძილზე. ბრეთი მდებარეობს ცოტა ზემოთ, საშიოდე კილომეტრის მანძილზე სალოლაშენიდან. დირბი ბრეთიდან 5—6 კილომეტრით არის დაშორებული.

ჩაწერილია ტექსტები 400 გვერდი (რეველის ზომისა). შეგროვებულია შემდეგი დიალექტოლოგიური მასალები:

1. იარალთა სახელები. 2. მევენახეობის, მეხილეობის, მემინდვრეობისა და მესაქონლეობის დარგში ხმარებული სპეციფიკური ტერმინები და სახელები. 3. სხვადასხვა ნაგებობათა და მათ ნაწილთა სახელები. 4. მცენარეთა სახელები და სხ.

II

ანბარიში მიმოხილვა

1. ფონეტიკა

ა) ბგერითი შედგენილობიდან აღსანიშნავია ე, რომელიც სრულიად დაკარგვის პროცესში იმყოფება. მისი ხმარების შემთხვევები მხოლოდ რამდენ-

¹ წვერი ამჟამად დაბლობზეა გაშენებული. მაშ რატომ ჰქვია ამ სოფელს წვერი? ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით ამ სახელით ცნობილი სოფელი დაახლოვებით 40 წლის წინათ გაშენებული ყოფილა ბრეთის დასავლეთით მდებარე გორაზე. სამეურნეო ცხოვრებისათვის ეს ადგილი არა-ხელსაყრელი აღმოჩენილა და იქაური მცხოვრებნი გადმოსახლებულან ზღვანდელს ტერიტორიაზე. ეს სახელი იქიდან მოდის.

ნიმე მაგალითით ამოიწურება. ზმნებში იგი ჭაესა და ხანის მონაცვლეობას ეწევა: ხიდან გადძახა... შედძახა... ახხედ-დახხედა...

ა-ეს ხმარებაში საგრძნობ განსხვავებას იძლევიან ტერიტორიულად ურთიერთთან ახლოს მდებარე სოფლები. ბრეთში, სალოლაშენში, წვერსა და არადეთში ა, თულა გვხვდება, მხოლოდ ჭაეს ან ხანის მონაცვლეობას ეწევა, ღირბში კი ზოგჯერ ჭაესთან და ხანთან დიფთონგს შეადგენს¹. მაგ.: „თუ კი ღმერთმა ამ გელსა (მგელსა) ჩემი თხაი სარდოთ გაუხადა, ნუთუ ჩემ ცოლშვილს დააჭტომს უნუგეშოთ ღმერთითო... დილით მოახწველიდა (ძროხასა), საღამოთი შეეჭამდა, საღამოთი მოახწველიდა დილით შეეჭამდა... აილო და ესვირი მიაჭყიდა ამ კაცსა... მოქცე შენი ერთი აბაზი თუ ერთი სიტყვა გაახწავლოო... ამ ღორმა აახტება კუყვირილი“ (კუყვილი) და სხ.

ბ) ასიმილაცია. გვხვდება ყველა სახის ასიმილაცია: სრული, ნაწილობრივი პროგრესული და რეგრესული. განსაკუთრებით ფართო გზა აქვს გახსნილი ხმოვანთა სრულს ასიმილაციას. მაგ.: გვექცევა, დეეძებს, წეეჩხუბა, დეედენა, გეეტენა, ემეეფარა, მეეშვა, დეეძინა, მეეშველება, მეერია, დეეტია, დეენახა, დეემალება, დეეცა, მეეწონა და სხ.

ხმოვანთა დამსგავსება ხდება არა მარტო მეზობლად მყოფ ხმოვნებს შორის, არამედ თანხმოვნით დაშორებულთა შორისაც (განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნას ორი ზმნისწინი გააჩნია მაგ.: გემეერჩია, გემეება, წემეეყვანა, გედეერჩინა, გემეეღვიძა, წემეელო, გედეეხვიფენ და სხე).

ხმოვანთა სრული პროგრესული ასიმილაცია თუმცა იშვიათია, მაგრამ თითო-ოროლა შემთხვევა მაინც გვხვდება. მაგ.: ეენტერესება, მანათი (გვხვდება „მეენტოც“. აქ ენმა ჯერ ადგილი იცვალა, შემდეგ კი წინ მყოფი ა დაიმსგავსა). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ ხმოვანთა დამსგავსება იწვევს ხმოვნის გაგრძელებასაც. ეს მოვლენა თავს იჩენს მაშინ, როდესაც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ებ სუფიქსის ე დაიმსგავსებს ხოლმე ფუძისეულ ანს და სრული ასიმილაციის შედეგად ვიღებთ გრძელ ენს (ამ მოვლენას განსაკუთრებით ვამჩნევთ ბრეთელთა საუბარში). მაგალითები: მარტოკები იყენენ... ნისიები გამაართვა... მოღები თავანთ (თავიანთ) საქმეს აკეთებდნენ... ამ მაგალითებში, ყველგან გარკვეულად ე ისმის (და არა ეე).

მაგალითები ხმოვანთა სრული ასიმილაციისა, მეტათეზისის შემდეგ: ერთმენთი (ერთმანეთი < ერთმანერთი), მეენტთი და სხ.

თანხმოვანთა სრული ასიმილაცია: უყმაყოფილო, ძლეღი (ძნელი), მოშა-ზარდავთ (მოსაზარდავად), ლელა-ლელა (ნელა-ნელა) და სხ.

თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაცია: ობიექტური ნიშანი მეორე პირისა გ, უმრავლეს შემთხვევაში, მომდევნო თანხმოვანის გავლენით ჭ-დ ან კ-დ იცვლება. მაგ.: დაჭხდეს, მოჭხდეს, შეჭხდება, გაქცეს, მოქცემ, შეჭჩება, მოქთხოო, მიყყამს, კპატიყოფ და სხ.

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ვან თანდებული მოქმედებით ბრუნ-

¹ ამგვარი მოვლენა დამახასიათებელია ქართლის სხვა კუთხეებისთვისაც. იხ. პროფ. ვ. თოფურიას წერილი: „ქართლური“, კრებ. „არილი“ გვ. 129.

ვის ფორმაზე დართვისას არავითარ გაელენას არ ახდენს წინშავალ თანზე: ნადირობითგან, ცითგან, იქითგან და სხ.

გ) დისიმილაცია. გავრცელებულია დისიმილაციის ორივე სახე (პროგრესული და რეგრესული). ჩვეულებისამებრ, აქაც დისიმილაციის შემთხვევები უმთავრესად ნარნარა ბგერებზე მოდის. მაგ.: შარეულობა (=შალეულობა). წრეულ, მარგალინი, გარგალი, ჩემონალა (=ჩემოლალა).

დ) ბგერათა დაკარგვა. ბგერათა დაკარგვას ფართო ხასიათი აქვს მიღებული. ეს მოვლენა იმდენად შორსაა წასული, რომ ერთსა და იმავე სიტყვაში, ერთსა და იმავე დროს იკარგვის არა მარტო ერთი ბგერა, არამედ რამდენიმე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბგერათა დაკარგვის გამო კონტექსტის გარეშე, გაუგებარი ხდება, თუ რას უნდა ნიშნავდეს ესა თუ ის სიტყვა.

მსგავსად ძვ. ქართულისა, სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვინი იკარგვის უნის წინ. ამის გამო სუბიექტურ პირველსა და მეორე პირს შორის იშლება ყოველგვარი ფორმალური განსხვავება. მაგ.: მე უნდა უამბო ზღაპარი... მოკლა დაუპირე... სანიძლეო მოუფე... კარქა უნდა მოუარო... რა უყო და სხ.

ონის შემდეგ იკარგვის როგორც ფუძისეული, ისე პირისეული ვინი. მაგ.: ჩამოარდა (ჩამოვარდა), წამოიდა (წამოვიდა), თხოა (ათხოვა), მოა (მოვა), ნაშოარი (ნაშოვარი), გათხოება (გათხოვება), მიშოეთ (მიშოვეთ) და სხ.

წინადაღებებში: მალე მოალ... მე ხმას არ ამოიღებ... ეს ტყავი მე მოიტანე... ბიჭი წავიდა, რო ჩემი დაი უნდა მოიყვანო (=მოვიყვანო)... რო დეგებარებინა წამოიღებდი. ამ წინადაღებებშიც სუბიექტური პირველი პირი არაფრით განსხვავდება მეორისაგან.

ვინი იკარგვის კაუზატივობის მაწარმოებელ ვე 'სუფიქსიდანაც. მაგ.: გადამასმენე (გადამასმეინე), დამადგმეინე (დამადგმეინე) და სხ.

ვინის დაკარგვის სხვა შემთხვევები: ნატრიშვილი (ნატერისშვილი), თითონ, შეები (შაეები), ეჩერი (ვეჩერი), კოოპერატის წიგნაკი, რეული (რეული), კეი (კეი), რასაკრელია (რასაკვირველია), ყითლათ (ყეითლად), ყელაფერი (ყველაფერი), დასალეთი (დასავლეთი), ზეით, ქვეით, ზეიდან, ქვეიდან¹.

მანის დაკარგვა უფრო შორს არის წასული, ვიდრე ვინისა. მაგალითები: თელი (მთელი), ზე (მზე), ძლავრი (ძძლავრი), გელი (მგელი), შიერი (მშიერი), თა (მთა), ჭადი (მჭადი), წყესაობა (მწყემსაობა), მიილერიან (მიილერიან), თავრობა (მთავრობა), ტვერი (მტვერი), მარიაობის თვე, წარე (მწარე), ძახალი (მძახალი), ხეცი, ზითევი, საშობლო და სხ. მრავ.

ჩვეულებრივია მანის დაკარგვა მიმლეობაში: კელელი, თხრობელი, პოენელი, კედარი, ცემელი (მცემელი), ძინარე, (მძინარე), ღინარე (მღინარე), ჩქეფარე და სხ.

მანი დაკარგულია შემდეგ უფორმო სიტყვებში: თორე, რატო, რო, ხოლოთ. იკარგვის რაეც. მისი დაკარგვა უმთავრესად შემჩნეულია თანხმოვანთა

¹ ოთხს უქანსკელს მაგალითში ვინი არც უნდა გვექონოდა, მაგრამ რადგანაც შედარების ობიექტად სალიტერატურო ქართულია გამოყენებული (აქ კი ეს ვინი გაჩენილია) ამიტომ, რომ ვამბობთ ვინი დაიკარგა.

შორის, მაგრამ ხმოვანსა და თანხმოვანს შორისაც იკარგვის: შაშან, კვეცხი, დაზდა (დაზრდა), ვეცხლი (ძვ. ქართულშიც ასე იხმარებოდა), ჩილი, ბძოლა, მატოკა, მომჩენი, დავჩები, როგო, საზღოობენ, წამოადგინეს, კაი, კატიკვა, ხავედი, წმუნებელი, პატრეტი, ჩავკა (ჩავეკარ), გადავკა (გადავეკარ).

ჩაეს დაკარგვა საკუთარ სახელებსაც დასტყობია: მათა (მართა).

ლასი შედარებით გამძლე ბგერაა, მაგრამ დაკარგვის შემთხვევებიც დასტურდება. იკარგვის უმთავრესად კომპოზიტებში: შვიდისარი (მშვილდისარი), სახკარი (სახლკარი), გუთმისანი (გულთმისანი) და სხ.

სხვა შემთხვევებში: ძიენ (გვხვდება ასედაც: ძიელ, ძიან) სუ მთლათ და სხ.

ხანის დაკარგვა თავს იჩენს: ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვაში (განსაკუთრებით თან, თვის თანდებულის წინ), მითითებით ნაცვალ სახელებში, ფუძისეული ტარის წინ და ზნაში, მაგალითები: ნათესაობით ბრუნვაში: ჩემი ქმრი შიშითა მალლა ფრინველ ვერ გაუვლია და ძი კინჰველასაო... მაშიჩემი ყავარი გაცვეთილაო... წამოიდნენ იმ ქალი წასაყვანათა... ქვაბი სიკვდილი როგო შეიძლებაო... ამ ქირნახული პატრონსა ერთი ქალი ყანდა... ეს ამბავი ქალი მამამ გაიგო... გელმა თქვა ხენწიფი შეილი ავათ არიო... ხი ძირში... ხელიტოლა... კაცი შჰამელი... ძალი ლეკვი... ძლევი ჯვარი (სოფელია ქართლში). ბალი ბოლოს, ფოსტი ფული, კაშჩი ტყავი, ღოლი პური და სხ.

თვინ¹ თანდებულის წინ: თოვლითვინ, იმითვინა, თავითვინ, ემი გულითვინ, ძმებითვინ, გლხეკაცებითვინ და სხ. თან ფორმანტის წინ: შენითანები.

მიცემით ბრუნვაში: ბაბუა ქალაღდ მისცემს და გაატანს თავი შეილთანა... კობლემ ცოლ დაუძახა... დაუწყო ამ ბეჰ ღრნაი... ამ ბიჰ ყველაფერი ესმის... ერთ აფიცერ ცხენები ჩაბარებული ყამს... მონადირეები ნადირ ვერ იპოვნინან... ნახევარ იქით გადაადგებს და ნახევარ იქით... წმუკუნ და ლაქუც დაუწყებენ... პასუხ რო აღარ მიიღებს ტარიელი დაბრუნდება.

ფუძისეული ტარის წინ: ტამბოლი, ნეტიანი, (ნესტიანი), ტრაენიკები და სხ. სანი ზოგჯერ წ-ს წინაცაა დაკარგული: წორი, წორეთ და სხ.

ჩვენებით ნაცვალ სახელებში: აილო და მისცა ი სავარცხელი... ხენწიფემ დაიბარა ი ბიქი... რა უყაით ი თევზიო... ე კაცი ძიელ გაჯავრდა... და სხ.

ერთი და იგივე მოქმელი ჩვენებით ნაცვალსახელებს ხმარობს, როგორც შემოკლებული სახით (ი, ე), ისე სრულით (იხ, ეხ). ასე რომ შეუძლებელია ითქვას, თუ რომელი მათგანია გაბატონებული.

სხვა თანხმოვანთა დაკარგვის შემთხვევები: ნ- გაჩდა, მაქანა (მანქანა), ბალიცაში; ლ- ამოჩნდა, ამოსავლეთი, ამასკომი, მერთსა (ვაი ღედიჩემი მერთსა); ხ- ოჯაქორი, შემითფთა (ცხენი შემითფთა); ზ- ლამათ, გარდილა; ვ- რადენა; კ- კუა (დიდ კაცსა დიდი კუა აქო);

ერთსა და იმავე სიტყვაში იკარგვის ორი ბგერა ან მთელი მარცვალი: კაა მიბგევა... თითონ კაა შემოვლენ... ხედარი (სახედარი), მოტაცული (მოტა-

¹ თვის თანდებული წარმოდგენილია ასე: თვინ.

ელები), ხელა (ხელადა), უქია, (პატარა ნაჯახი აგერ უქია [ურქვია] წელშია), ნაკლისი (დანაკლისი).

ე) ბ გ ე რ ა თ ა ჩ ა რ თ ე ა . საკმაოდ მრავალი ფაქტებით დასტურდება ბგერათა დაკარგვის საწინააღმდეგო მოვლენა ბგერათა ჩართვა. საყურადღებოა, რომ სიტყვაში ჩაერთვის ხოლმე სწორედ ის ბგერები (ნ, მ, რ, ვ, ს.), რომელნიც სხვა შემთხვევაში იკარგებოდნენ. ჩართვა ხდება არა მარტო ცალკეულ ბგერებისა, არამედ მთელი მარცვლისაც კი.

ჩართვის მაგალითები: ნ- თანთქარიძე, გაანღვიძა, შეუქმანზა (ცხენი შეუქმანზა), მენკარვე (შეკარვე), დანგროვდა, მანგროა, ენგრე და სხ.

ვ- შევშვივით (შაშვივით), გაუქვიერა საქმე...

მ- მცხვარი, განმამავლობაში, მცა (ცა), მგმირი, მღევი მცხვირი, ალუმბალი.

ს- ერთი აზნაური იყო 9 ფუთი გამოდიოდა სწონაშია... სინტერესი.

ე) მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი ს მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ა : დაზუკული (დაკუზული), სურიელი, გაძრიელებული (გაძრიელა), ფშოთამს, ავლის ხე (ალვის ხე), ხვახი, გეჩანალი, ბანალი. (ბალანი).

ზ) ბ გ ე რ ა თ ა შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა . ურთიერთ შორის მონაცვლეობას ეწევიან ნაზალი ბგერები მ-ნ: უნღერებს, გადაინტერა, დაანთავრა, სანჯერ, დანზადა, ანხანაგი, ნთელი, რანდენიმე, რანდელი (რამდენი), ინდელი (იმდენი), ინყოფება, სახანთრო, არანც და არანცაო (არამც და არამცაო), გენჯობინება, უანბო, ანაირი (ამ-ნაირი<ან-ნაირი<ანაირი; გამოთქმის დროს ისმის ერთი ნარი). განდიღრდა, დაღანდა, ინტომ, შენთხვევა, შეანჩნევს, დანწყერეულა, კანპანია, დაგინტკიცე, ჩანდგარა, ზანთრი პირი, იქანდის, ინაირათ (იმ-ნაირად<ინ-ნაირად<ინაირად), სონხები, სონხური, სონხობა და სხ.

ნარი მანის მონაცვლეობას ეწევა ჩვენებით ნაცვალსახელებშიც: ინ სახენწიფოში, ან კაცმა, ენ ჯარსა და სხ.

მონაცვლეობას ეწევიან, ვ-ნ (ხშირად მანის მეშვეობით: ვ-მ-ნ): არა უშანს, მიციინდნენ, ისურნოს, გაუნსეს, სანსე, კიდენ.

ნ-მ: ამოვამგრევე, ალაჯამ, გიჩამს, გამსხვავება.

მ-ვ: სიმავერი, შწყვეცი.

ბ-პ: აპა, თაპრიკები.

ბ-ფ: შაფათი, დააფრკოლა.

ნ-ლ: მაგდელი, ინტელი.

ლ-რ: არმასი, რამაზათ.

გ-ქ: კარქი, შემდექ. დაკარქულები, გენაცვალე მაქ სიტყვაში...

წ-ტ: დატვა ლოგინში, პროტიალი.

ძ-ზ: და პირიქით: ზევალი (ძევალი) არძანი დაწერა (არზა დაწერა).

ს-ნ: ბოდბინხვეელი (ბოდბისხვეელი): ზოგი მინ (მის) ღღეში ღარიბიაო და რა უშანსო...

გვხვდება თითო-ორილა შემთხვევები, როდესაც ურთიერთ შორის მონაცვლეობას ეწევიან: ბ-ფ იოსეფა, ზ-ჟ იეაკუსკა, ხ-ყ დაყტილობს, ზ-ღ მაღარა, კ-ჯ ბიჯო, ლ-ხ იხრიკება; ხ-შ არტაშები, შ-ს სტო (შტო), გას-

ტერდა, ბ-გ ეუგნება, ტ-ჰ დაქვირთა (დაქვირთა ორი აქლემი ქოსამა და წავიდა).

ხმოვანთა მონაცვლეობა. ო-უ: კუკური (ვარდის კოკორი), უქროს შეილები. ო-ა: ფილაქსერა. ა-ე: სატიელო, ტიელო ტახო. უ-ვ: კვლავ მალე ჩამოსულა, ეხლა რა მოუვიდა. უ-ვ მონაცვლეობას ამ სიტყვაში ინდივიდუალური, ან შემთხვევითი ხასიათი კი არა აქვს, არამედ ეს სიტყვა თითქმის ყოველთვის ასე გვევლინება, რის გამოც იშლება ფორმალური განსხვავება ორ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვებ (კვლავ და კულავ) შორის. შეადარეთ: „კვლავ ვესტუმრები“ და „კულავაც ჩამოსულა“.

მოიპოვება მაგალითი, რომელშიც ვინის მაგიერ უმარცვლო უნი ძველიდანვე გარკვევით შემონახულა: ყუაილი.

მარცვალთა სუბსტიტუციიდან აღსანიშნავია: ო-ვა ხვარბალი, ვა-უ კუხე, ოვე-უე აძუებს, გამუედი, ძუძუს მაწუებს.

ზნის აწმყოს თემატური სუფიქსი ავ, პირველი სერიის დროებში შეცვლილია ამ სუფიქსით. მაგალითები წინადადებებში: შენც მოკლამ და შენ შეილებსაცო... ხმალ დაჰქარამს კლდესა... მამყამდა ქალი ლამაზი, მამყამდა მამინაროდა... უნცროსი ძმა ნახამს ბაბუსა... ქალი მამყამს და აბალე ფაბტონებო... ვირი დაჰყამდა ტყეშია და შეშა მოქონდა, იმასა ყიღამდა და აქმენდა ცოლშეილსა...

იგივე ავ ხშირად შეცვლილია ან-ად (ავ-ამ-ან): არ ვიტყვი რო მამა მყანდაო და არც თქვა რო შეილი მყანდაო... ერთმა თქვა აბა მე გავიხედან და დავინახან თუ სად არისო... შენ არ იყა, რო წაეყვანე არწივსა და ფთებ ქვეშ ყანდიო.

ოვ-მარცვლის ნაცვლად გვხვდება როგორც ომ, ისე ონ-იც. მაგ.: ნუთუ ღმერთი ჩემ ცოლშეილს დაიჭტომს უნუგეშოთო... რასაც გვთხონ მოგცემთო...

პირველი სერიის დროებში ევ მარცვლის ნაცვლად ემ და ენ გვევლინება. მაგ.: აქმენს, (აქმენდა, შეგაქმენ), დენს, წემს, (გვხვდება ასედაც: წენს), მიწენს, უდემს, წაართმენს, ჩამოართმენს, (ეხლა ეს ჩამამართმენს ამ სახენწიფოსო) ვაქმემ, (აქმემდა), არქმემ, აძლემ (აძლემდე), დალემ და სხ.

ბოლოკიდური მქდერი ბ ყრუედება თემატურ ნიშნებში: ობ, ებ-ოფ, ეფ: ვცხოვროფ, დავაშროფ, კაბტიყოფ, კადრულოფ, გიმმოფ, ამოფ, ვცხოვროფ, ავიღეფ, დაუძახეფ, გავაკეთეფ, დაანტკიცეფ. მაგრამ: ხელს ვიღემ მეგობარზედა.

ვა-ო: ამ კაცმა ეს კული წელში გაირქო... ჯოხი დაარქო... (მაგრამ: საეარცხელი შუაზე დაარქვა... ძუძუ პირში ჩაუღდა).

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

ხმოვანით დაბოლოვებული ფუძიანი არსებითი სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ ი-ს: მამაი, მალაზიაი, ვადაი, ოქროი, ფთაი, ხენწიფეი, ძიძაი, მიტრაი, ნიკოი, რადენაი, ზღვაი, კვირაი და სხ. მრავ.

თანდებულებიანი მოქმედებითი კითხვაზე—სიადან? ზოგჯერ ან-ის მაგიერ ამ სახეობას იძლევა. მაგ.: ხელიდამ, სახლიდამ, თაეიდამ და სხ.

გადაქრით შეიძლება ითქვას, რომ ვითარებით ბრუნვაში ღონის მაგიერ კოველთვის თანი გვევლინება. ეს იმდენად დაკანონებულია, რომ კაცს გაუჭირდება მონახოს ღონით ხმარებული თითო-ორილა მაგალითიც კი.

თავისებურია ვითარებითი ბრუნვა მაშინ, როდესაც მოგვიგებს კითხვაზე — სად? „შე რო ერთი დღე დაგეცდინაო **ხმელეთათ** (შეადარეთ სალიტ. ქართულში ხმარებულს „ამ ქვეყნად“) რაც სულდგმული იყო, იმით ბძანებული გავხდებოდით... ჩვენი ბეჭდები ამ ქვათ (მნიშვნელობით უღრის—ქვის ქვეშ) შევინახოთ... და სხ.

გვხვდება ვითარებით ბრუნვის მაწარმოებელ ღონის დაკარგვის შემთხვევებიც. მაგ.: მღვეი რო გაუღოშივდა და **მარჯვე** მოიდა ამ ბიჭთანა, ესროლა და მოკლა... ტარიელ დაქსევი **ვეზირა** (ვეზირად), სიტყვა შენ დაგანჯობინე (ხალხურ „ვეფხის-ტყაოსნიდან“).

კენ თანდებულის მაგიერ გვხვდება ვითარებითსა და მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელები მაგ.: გაიხელა **ხმელეთა** (ხმელეთისკენ)—არ არი, გაიხელა **ბარათა**—არ არი, გაიხელა **ცითა** (ციისკენ)—არ არი, გაიხელა **წყლითა** (წყლისკენ) და დაინახა ეს ბიჭი... აფრინდა ეს ხალიჩაი და წავიდა **ზეციერათ...** იყურება **ციხიერათ...** და სხ.

იშვიათ შემთხვევაში ში თანდებული ჩი-ს სახითაა წარმოდგენილი. მაგ.: ათი აქლეგი **მამალჩი** დაასაპანა.

იხმარება როგორც **მღის**, ისე **მღინ** თანდებულიც.

ებრ თანდებულის მაგიერ იხმარება **ებ** (-ფ): წებოსებ, კალოსებ, ხესაფე და სხ.

ზ მ ნ ა

ზნისწინი და **ხშირად** იხმარება ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად¹. მაგ.: ნაფეხურები და **ზომა**, (და არა „ნაფეხური დაზომა“) ქალები და **ათხოა** (და არა „ქალი დაათხოვა“), ტაქნები და **ავსო** (და არა „სტაქანი დაავსო“).

ახ. სალიტერატურო ქართულში „მიცემა“ ზმნასთან, როდესაც მიმართების გამოხატვაა საჭირო, **შო** ზმნისწინი მხოლოდ პირველსა და მეორე პირთან იხმარება: **მოშვა** მან მე ის; **მოცვა** მან შენ ის, მაგრამ: **მისცა** მან მას ის. ეს უკანასკნელი (მისცა) იხმარება განურჩევლად იმისა, მოუბართან ახლოსაა მესამე პირი, თუ არა. მაგ.: „ფული მისცა“ შეიძლება ითქვას მაშინ, როცა მოქმელთან ახლოსაა მესამე ობიექტური პირი და მაშინაც, როცა ის მოქმელთან სრულიად არაა. მაგრამ თუ კი მოქმელს დასჭირდა აღნიშნოს ამ პირის ადგილმყოფელობა თავის მიმართ, მაშინ ჩვენებითს ნაცვალსახელებს იხმარს: ამას, მაგას, იმას „ფული მისცა“. ფრონის პირის სოფლებში **შო** ზმნისწინი მესამე პირთანაც იხმარება მაშინ, როდესაც ეს პირი მოუბართან ახლოსაა. მაგ.: „ვინ **მოსცა** ეს ცხენი“. ეს წინადადება მაშინ ჩავიწერე, როდესაც მოქმელის წინ ცხენოსანმა

¹ იხ. პროფ. ა. შანიძე „ზნა და ქართული ენა“ (ლითოგრ. გამოც. გან. 5—6. გვ. 71—72).

გაიარა, ე. ი. იმ პირმა, რომლისთვისაც ვილაცას ცხენი მიეცა). ამგვარივე მნიშვნელობითაა ნახმარი „მოსცა ბეჭედი“.

ამ წინადადებაში კი „დევეშა შოვეცი“ აღინიშნება, რომ მოქმედების ჩამდენი (დევეშის გამომგზავნელი, ამ შემთხვევაში მოუბარი, ანუ პირველი პირი) იქ იმყოფება, სადაც მან დევეშა გამოგზავნა და თვით ის პირიც, რომელსაც გამოუგზავნა. სხვა მაგალითი: „ამ ხენწიფემ ეს ურკობალი მოსცა ამ კაცსა“¹

მეორე პირის სუბიექტური და მესამე პირის ობიექტური პრეფიქსები სრულიად გაქრობის გზაზეა დამდგარი. ხშირად ერთი და იგივე ზნა პრეფიქსითაც იხმარება და უპრეფიქსოდაც.

მაგ.: ერთი მხრით: მისცა, ჰკითხა, სთხოა, დასწვდა, და მეორე მხრით: მიცა, კითხა, თხოა, დასწვდა.

ამ პრეფიქსთა ხმარება იმდენად არეულია, რომ შეიძლება იქ შეგვხვდეს, სადაც იგი მოსალოდნელი სრულიად არ არის, ან კიდევ არ მოიპოვებოდეს იქ, სადაც მისი ხმარება კანონზომიერია. მაგალითები: დაჰკითხა თავის დამკველებს... გადაჰკიდეს ხურჯინი... გაჰკარი სპიკვა ბეწვსა და მაშინვე იქ გაეჩნდებო... ერთი ისეთი გადავჰკა ჰეჰასა გეანდა ცინასა... გადაჰხადა კარქი ქორწილი... იმ ბიქსა ჰკითხა... სთხოა ბატონიშვილსა... ბაღს დიდი ყარაულობა აღარ სჭირდებოდა... ერთსა მოსტეხა ხარა (მხარი), მეორეს ხარ და ბეჰია... გზაში შეჰკითხა ამ კაცმა ყვავსა... როცა გაჰოსცდნენ ეზოსა, ტარიელმა მისცა თავი სურათი ავთანდილსა... მაგრამ: ამ კაცმა შეჩივლა თავის გაქირება მიქელ გაბრიელსა... მიცა ორი ძიძი... გამოკითხა საიდანა ხარო... ძალს მათრახი დაკრა... ზოგსა თვალი გამოთხარა... ერთ ბებერსა კითხეს... ფრიდონი კლდეს წაკრამს ფეხსა... ვირი დაჰყამდა ტყეშია და შეშა მოქონდა, იმას ყილამდა და აქმენდა ცოლშვილსა. („დაჰყამდა“ პრეფიქსითაა ნახმარი, „მოქონდა“ კი უპრეფიქსოდ).

საერთოდ, პრეფიქსებად იხმარება: ჰ, ს, ი, მჰ, მს, ორი უკანასკნელის ხმარებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადასტურებულია მხოლოდ დირბში.

მომდევნო თანხმოვანთა ნაწილობრივი ასიმილაციის გამო ობიექტური პრეფიქსი ხანი განიცდის შემდეგნაირ ცვლილებებს: ჰ-ს წინ შ-დ იქცევა (შოვ-

1. „მიცემა“ ზნასთან შო ზმისწინი ასეთივე მნიშვნელობით იხმარებოდა ძვ. კართულ შოც. მაგალითები:

1. „აჰ წყოთ ჩუენ სასწაულ კეთილ და ერთი ძეთა ჩუენთაგანი ვანეაწესით მონაზონად და მოწაფე ამათ ჰრისტს მოწაფეთა და ამითთა ლოცვითა მოეცეს მადლი“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 23, 12).

2. „აჰ უფალო იყენდ ყურნი შენნი მორჩილ კმასა ლოცვისა ჩუენისასა და აკურთხე ადგილი ესტ მადლითა შენითა და აღაშენე ზონასტერი განსასუენებლად სიწმიდისა სამკდრებელთა შენთა და მოეც ამას სახელი კეთილად—სახელოვანი შორის თესლებსა მრავალსა სადიდებლად შენდა“ (იგივე: 25, 10).

3. „ხოლო გაბრიელ დიდებულმან აზნაურმან ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამა გრიგოლ და მოსცნა კირით—ხურონი და ნიეთი ყოველი ქვით-კირისა ეკლესიისა საშენებლად“ (იგივე: 10, 1). მაგრამ შეადარეთ: „და ესრეთ მოვიდა მამა გრიგოლ თესსა ეანსა და განიხარეს მოწაფეთა მისთა მადლი მისცეს ჰრისტესა და ულოცვიდეს მოლუაწეთა მათ“.

შვამ კირსა... თავი მოშვრა იმ კაცსა... დაშვივლა), ღ-სა და ძ-ს წინ კი ზ-დ- (გაღაზძახა... ჩაფიდან ამოზძახა... ზღო ამ ღედელსა) იშვიათად კ-ს წინ ს ხანადაა შეცვლილი: ხკითხამს გამღელ გამომღელსა.

ავიან და ამიან ზმნებში აწმყოს მესამე პირის ფორმა ზოგჯერ შეკუმ- შულია: მიველენ ხალხი დახედვენ, ნახვენ როგორც პორტრეტი იმითანა სახე აქ ამ ქალსა... ეს ბიჭები სმენ და ჰმენ... ქალმა უთხრა მე ქვეთ მოვებში და შენ ზეთო, თორენ ჩამოქვერენ (აქ ვ-სა და რ-ს მეტათეზისი შესაძლებელია ა-ს დაკარგვამ გამოიწვია) ჩამოგვაგდებენო... დევები ქვებს სამჯერ გადადგმენ და გადადგმენ... შენ უღონო ხარ და მოქველენო (აქაც ლ-სა და ვ-ს მეტათე- ზისია მომხდარი).

აორისტის პირველსა და მეორე პირში ზმნა, თუ ე-ზეა დაბოლოებული ემატება ვი მარცვალი. მაგ.: გადავიარევი სერო... მივენდევი ძალასა... უმრავ- ლეს შემთხვევაში ვინც იკარგება და ვილებთ შემდევნიარ ფორმებს: მამაშო- რეი, დამალეი, მადროეი, და სხ. წინადადებებში: მევემ უთხრა ვეზირ- მეზირებსა: ვინც ჩემ სახლ წინ გაიაროს და კარქი თქვას ისიც დაიჭირე- თო და ვინც ცუდი თქვას ისიც დაიჭირეთო და ჩემთან გამააცხადეთო... ძმამ უთხრა ეს ქვა გადააბრუნეთ და ჩემი დანაც გაიყოლეთო... ემა და ემდევი წყალში გაურიეთო... მეორე თას (მთას) რო გადახედო ეგ ცხენი დამალეთო... და სხ.

იშვიათად აორისტში მესამე პირის სუბ. ნიშნად მრავლობით რიცხვში ეს სუფიქსის მაგიერ გარდამავალ ზმნებშიც თავს იჩენს ენ. მაგ.: გასწიენ და წავი- დნენ და მივიდნენ ერთ ჯუარედინ გზაზედა... ეს ალბათ დასაეღური კილოების გაელენას უნდა მიეწეროს.

ევიან ზმნათაგან „გახვევა“-ც (დახვევა) ევ ფორმანტს იკვეცს ვნებითის წყვეტილის მესამე პირში: თელი ხალხი დეეხვა (დეეხვია) ამ ბიქსა... გეეხვა... აიხვა... და სხ.

აორისტში „ყოფნა“ ზმნა პირველსა და მეორე პირში წარმოდგენილია ამგვარად: მე ვიყა, შენ იყა (ნაცვლად ამისა: ვიყავ, იყავ).

ს ი ნ ტ ა ქ ს ი

რიცხვში შეთანხმება ხშირად ხდება შინაარსის მიხედვით, და არა ფორ- მისა: თავი რო დავიხჩო, უფრო გაუბედურდებიან ჩემი ცოლშვილიო... ერთი უღელი დაიხოცნონ, ერთი კი კყამდესო... უნდა წახვიდე და ყვეარი ხარი წაასხაო... ეს ხალხი ადგებიან თვალბ დაბლეთილები... ხალხი ბევრნი არიან კარებზეო... ხალხი კი ვერ ამჩნევენ, ადამიანია თუ რა არი... ამ ხალხმა და- ინახეს, ესროლეს და მოკლეს...

საყურადღებოა, რომ რიცხვით სახელებთან ნახმარი არს. სახელი მრავ- ლობითის ფორმით არის წარმოდგენილი: იმათ ყამთ ასი სული ძროხები... ერთ ხენწიფესა ყამდა სამი ქალები...

რიცხვში შეთანხმება შეიძლება მოხდეს თუ ქვემდებარე უსულო საგანს აღნიშნავს: გავიგე, რომ ჩვენ სამკითხველოში კაი წიგნები არიან, მიველი და.

მითხრეს აქ არ არიანო... კაი ეკლესები არიან... კაცის სახელები არიან... მე რო დავბრუნდები თუ აქ (ქვის ქვეშ) არიან დანებიო, მაშინ მოგძებნითო... თქვენი სახლები სად არიან... და სხ.

შეუთანხმებლობის ნიმუშია: ის შენობა შივრებმა დაამთავრა.

ფართოდაა გავრცელებული გარდაუვალ ზმნებთან ქვემდებარის დაყენება მოთხრობით ბრუნვაში, თუ რომ შემდგომი ზმნა გარდამავალია: წამოიდა ამ ბიჭმა და მოკლა ერთი ირემი... ადგა ამ ბიჭმა და წავიდა... ადგა ამ ბიჭმა და ესროლა... ახლა ყმამ გამოუდგა მოსაკლავათა... ადგა ამ ქალმა დახუჭა თვალები და ჩაუჯდა მებატესა... მამამ წამოიდა სახლშია, უთხრა ცოლსა დე-ხოცეო... დაფიქრდა ამ ქალმა და უთხრა.

წინადადებების ამგვარი კონსტრუქცია გამოწვეულია იმით, რომ თხრობის დროს მთქმელი ანგარიშს უწევს არა წინმოყოფ შემასმენელს, არამედ მომდევნოს¹.

ყურადღების გამახვილებისათვის ხშირია სიტყვების ორმაგი ხმარება. მაგ.: ეს კაცი ისევ-ისევ ხენწიფეთ დაუყენებიათ... ბრუნდება ისევ-ისევ უკანა... ისევ-ისევ გაიხსენა თავი ნასწავლები (ნასწავლი) სიტყვა... ძმურათ ცხოვრობენ ისევ-ისევა... აშლენ-აშლენ მოქცემთ და თავი მოგვეციო...

ლ ე ქ ს ი კ ა

გვხვდება ზოგიერთი ზმნისა და სიტყვის თავისებური მნიშვნელობით ხმარება: აბალე--ამ სიტყვის ხმარება ძალიან გავრცელებულია (ქალი მამყამს და აბალე ფაქტონებით).

ამომწყვეიტე და ეს არი... „ამომწყვეტა“ ზმნის ფუძე ახალ ქართულში სახელს მრავლობითში მოითხოვს, აქ კი სახელი მხოლოდობითშია (შენ რო ხელსაფქვავები გაქ უნდა გამომიგზავნო, თორენ ამოგწყვეტამო).

გარეშეშო (გარშემო) იმგვარადვეა წარმოდგენილი, როგორც ეს ძე. ქართულშია.

მე გადავარბენ სახშია (გადავირბენ სახლშია).

მოვაწყე = ზერელეთ მოვრწყე.

აწმყო დროში ზოგჯერ „ზის“ მაგიერ „ჯღის“ გვხვდება.

თვე ზოგჯერ იხმარება სწორედ იმ ფორმით როგორც ეს ძე. ქართულში იყო. თთუე (გამოთქმის დროს, თუკი კარგად დააკვირდებით ორი თანი გესმით).

რახანც (რახანც) = რადგანაც (რახანც დედი მითხარი, მოდიო...).

ორთავენი = ორიენი (ორთავე ძმები...).

საკმარი = (საკმარისი).

„შემდეგ“--ის მაგიერ თითქმის ყოველთვის იხმარება ზმნის სართი „უკან“ მაგ.: ერთ საათს უკან... მას უკან... საქმლის უკან, დესერტი უნდა დააყოლო... ეს კაცი ცოტა ხნის უკან გარდაიცვალა.

¹ იხ. პროფ. ვ. თოფურიას წერილი „ქართული“ კრებ. „არბილი“, გვ. 146.

შეჯავახება. შეეჯავახნენ = შეეჯახნენ (ერთმანეთ შეეჯავახნენ).

თავისებურ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „ცხოვრება“. მაგ.: ემითვისა რომა სიბერემდე იქნება კიდე ცხოვრება (ქონება) ვიშოვოთო...

იშვიათად საგნის აღსანიშნავად „ჭყავს“ იხმარება „აქვს“ ზმნის მაგიერ. მაგ.: თევზის ბეწვი რო ყანდა (ჰქონდა) გაჰკრა სპიჰკა და წაუჰკიდა...

ჩამოდაღმა: ერთერთ მთქმელმა, როდესაც მან ჩამომითვალა მეფის რუსეთის მოხელეთა თანამდებობრივი სახელები, ეს ზმნისართი ამგვარად იხმარა: ნაჩალიკი, პრისტაევი, მამასახლისი ჩამოდაღმა პომოშნიკი, გზირი, ბორჩიკი, ურანდიკი, ტრაჟნიკები, პრავეიტელტარშინები: გარადოი, აკალოშნიკები—პრისტაევის ჩამოდაღმა.

არს. ჩიძობავა

საანბარიშო მოხსენება ხუნძური (ავარიული) ენის ჰარულ კილოზე
მუშაობისა ზაქათალაში (1—14. VIII. 1938)¹

ხუნძური ენა დალისტინის შრავალ ენათა შორის ერთად ერთია, რომ მთელ დალისტანს გადაჭრის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდის (როგორც ამას პ. უსლარი აღნიშნავდა): უკიდურესი ჩრდილო პუნქტი აულ ჩირ-იურტის სახით ჩრდილო-კავკასიის (ორჯონიკიძის) რკინის გზის ხაზთანაა, სამხრეთის წვერი კავკასიონის ქედს გადმოცილებულია და ქარ-ბელოქნის ხაზით თითქმის ალაზნის მარცხენა ნაპირს უწყევს: დანაჩი და კაბახჩოლი ალაზანს რამდენიმე კილომეტრით შორავენ.

ხუნძურის ასეთ განვრცობასთან მკიდრო კავშირშია მისი ძლიერი დიალექტობრივი დიფერენციაცია. ხუნძურში სამ კილოს გამოყოფენ: ხუნძახურს, ანწუხურსა და ქარულს. ესენი გარჩევით აქვთ დასახელებული ჯერ კიდევ გიულდენშტედტს (XVIII ს.) და კლაპროტს (XIX ს. პირვეული ათეული). მაგრამ ამჟამადაც სპეციალურ ლიტერატურაში თითქმის არავითარი ცნობა არ მოიპოება ანწუხურისა და ქარული კილოების შესახებ. პ. უსლარის ფუნდამენტალური ნაშრომი „ხუნძური ენა“ ჩრდილო დიალექტის, ხუნძახურის (უფრო ზუსტად: ჩრდილო კიდის აულ ქირკეის) მასალების განხილვაზეა დაფუძნებული.

პ. ჟირკოვის „ხუნძური გრამატიკაც“ იმავე კილოს ემყარება (როცა ის პ. უსლარის მონაცემებს სცილდება). აკად. შიფნერს, მართალია, ცდის პირებად ლუნიბელები ჰყავდა, მაგრამ თავის გამოკვლევას („Über das Awarische“ 1861) საფუძვლად დაუდო მასალა, ადგილობრივ ჩაწერილი სხვადასხვა პირების მიერ; და ეს მასალა თითქმის მთლიანად ხუნძახურ კილოზე მოუბართაგან მომდინარეობდა.

ერკერტის შრომაში („Die Sprachen des Kaukasischen Stammes“) შედარებით მეტი მასალაა, მაგრამ ავტორს ქარულის დამახასიათებელ მთავარ მოვლენათაგან მხოლოდ ორი აქვს შენიშნული.

შამილის დროს „ჯარის ენა“ („ბოლ მაწა“) ხუნძური ენის ხუნძახური კილო იყო.

საბჭოეთის ხანის ხუნძურ მწიგნობრობასაც ხუნძახური კილოსაკენ უჭირავს თვალი: ხუნძახური კილო სალიტერატურო ხუნძური ენის ფუძე-დიალექტად იქცა.

მართალია, ამ მწიგნობრულ ენაში აქა-იქ გამოიქყიტავეს სამხრული ხუნძურის დამახასიათებელი მოვლენები—ავტორებია სამხრული დიალექტის წარმომადგენლები,—მაგრამ ამით არაფერი იცვლება: ფონეტიკაც, მორფოლოგიაც,

¹ წაკითხულია ნოხსენებად ვენიში 19.X.1938 წ.

სინტაქსიც ხუნძური ენისა ხუნძახურია. სამხრული კილოების შემოტანილი მოვლენები დიალექტიზმებად განიაზრება.

ეს დიალექტიზმები მაინც საინტერესოა — ენათმეცნიერული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა: მათი მიხედვით სამხრული კილოების თითო-ოროლა მოვლენა მიახლოებით შეიძლება კაცმა გაითვალისწინოს.

საგულისხმოა ასევე შემთხვევით ამოტივტივებული მასალა სამხრული ხუნძურისა შეფნერთან. საინტერესოა პ. უსლარის შრომის შესავალში წარმოდგენილი თითო-ოროლა ცნობაც სამხრული ხუნძურის შესახებ.

მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც არ კმარა იმისათვის, რომ კაცმა გაითვალისწინოს სამხრული ხუნძურის თუნდაც ძირითადი თავისებურებანი.

სამხრული ხუნძურის გარეშე კი ჩრდილო ხუნძურის სტრუქტურის რიგი მთავარი მოვლენები გაუგებარი რჩება, ხუნძური ენის ისტორიის საკითხები სწორად არც გადაწყდება და არც დაისმის.

შემთხვევა გვქონდა ამაში დავრწმუნებულიყავით 1933 წლის ზაფხულს ლუნიზის რაიონის აულების სულრათლისა და ქუდალიზის წარმომადგენლებთან ათიოდე დღით წამუშავებისას ქ. ბუინაკსკში. ამ გარემოებაზე მიუთითებდით წერილში „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ (ენიმკი-ს მოამბე“ ტ. I, გვ. 95).

მას შემდეგ დალისტანს გამგზავრება არ მოგვიხერხდა. იყო იმედი—წელს ერთი თვით მაინც შიგნი დალისტანში სამხრულ ხუნძურზე წამუშავებისა. სამწუხაროდ, წელსაც მხოლოდ ხუთმეტოოდე დღის მარაგი აღმოჩნდა ხუნძურზე სამუშაოდ ადგილობრივ. ასეთი დროის ბიუჯეტით სამხრეთ დალისტანის აულებში გამგზავრება არ იქნებოდა მიზანშეწონილი: ოთხი-ხუთი დღე გზას უნდა იქით.

ამან გადაწყვიტა მარშრუტის საკითხი: სამხრეთისკენ სვლა შეიცვალა სამხრეთის პუნქტში გამგზავრებით. ცხადი იყო, რომ ამ ვარიანტს გარკვეული ნაკლი ახლდა: მხოლოდ ჩრდილო ხურძურის (ხუნძახურის) ნიადაგზე სამხრეთის კიდე ძნელი გასარკვევი იქნებოდა: გვაკლდა შუა რგოლები.

მაგრამ არჩევის საკითხი არ იდგა: აგვისტოს პირველი ნახევარი მაინც უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ტფილისიდან გვემგზავრე თვითმფრინავით 2 აგვისტოს დილის 7 საათზე; 11 საათზე ზაქათალაში ვიყავი.

ადგილობრივი განათლების განყოფილების დახმარებითა და რაიკომის ნდიენის გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად მოხერხდა 3 აგვისტოდანვე სრული დატვირთვით მუშაობა (დღეში 8—10 საათი).

ჩემი მასწავლებელი იყო ჯემალ მამედოვი, ქარში დაბადებული, სოფ. ფაშანში (მაკოუს სოფ.-საბქო) გაზრდილი, ამჟამად ზაქათალაში მომუშავე (ბეკდვის კავშირის ხაზით).

ქარულზე მუშაობის პირველ დღიდანვე ყურადღება მიიქცია არა ერთმა თავისებურებამ. მწვავედ დაისვა ამ თავისებურებათა სათავეების საკითხი: სპეციფიკურ ქარულია ეს მოვლენები თუ ის სხვა კილოკავებშიც არის; თუ—კი, რას მიჰყვება და აგრძელებს ქარული—ანწუხურს თუ ლუნიზ-ყარახის ხაზზე მდებარე აულთა მეტყველებას?

ანწუხელის ძებნას შევუდევქი. აღმოჩნდა ერთი, ისიც არც თუ შესაფერი-
სი: ათი წელიწადია ანწუხში არ ყოფილა, ნელა სიტყვას ვერ ათქმევინებ, რამ-
დენიც არ გაამეორებინო, ურევს კარულსა და ანწუხურს, ჩვენებას წამდაუწუმ
ცვლის და სხვა. სამი შეხვედრა მქონდა. გამოვეკითხე სიტყვები — სომატური
ტერმინოლოგია, რიცხვითი სახელები... — ვათარგმნინე აზერბაიჯანული ანბანი-
დან ელემენტარული ტექსტები...

ყველა სიძნელის მიუხედავად, რაც ამ მუშაობას ახლდა, გაირკვა, ჯერ
ერთი, ის, რომ მთელ რიგ მომენტებში ანწუხური კარულს შორდება და, მეო-
რეც, — ხუნძურის ისტორიისათვის ანწუხურის შესწავლა მიუცილებელია (საინ-
ტერესოა ქართულთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც).

ზაქათალიდან 13 აგვისტოს გამოვემგზავრე ბელოქან-ლაგოდეხით წნო-
რის წყალზე. მუშაობის შედეგად:

1. ჩაწერილია **კარული კილოს ტექსტები** 50 რე. გვერდი.
2. ჩაწერილია ნათესაური ურთიერთობის ნომენკლატურა, სხეულის ნა-
წილთა სახელები, რიცხვითი სახელები და ნაცვალსახელები (კარულად).

გარდა ამისა — ათიოდე გვერდი ანწუხური ტექსტები, რიცხვითი სახელები,
ძირითადი ნაცვალსახელები, სხეულის ნაწილთა სახელები, ნათესაური ურთიერ-
ობის ტერმინოლოგია. ამ მასალას შემოწმება ესაჭიროება, მაგრამ ამ სახი-
თაც საინტერესოა ხუნძური დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

კარული კილოს თავისებურებათაგან ჩაწერილი ტექსტები საშუალებას
გვაძლევს აღვნიშნოთ შემდეგი:

ბგერითი შედგენილობისა და ბგერათა ცვლის ხაზით:

1. კარულს არ მოეპოვება ლატერალები.

ხუნძურის ხუნძახურს კილოში გარჩეულია 4 ლატერალი: ლ'აბგო „სამი“,
ლ'იკ „კარგი“, ნილ' „ჩვენ“ (ინკლ.), ტილ' „უნაგირი“.

ლუნების რაიონის აულებში უპირთ მეორე და მესამე საფეხურის ლატე-
რალთა გარჩევა წიგნის ენაშიც. განსხვავებულია ლ'აბგო, ტილ' და მესამე
საშუალო ტიპი.

კარულში ლატერალები არა გვაქვს. მათს ადგილს იჭერს ორი რეფლექსი:
ჰა — თავისებური, თითქოს პალატალიზებული ჰ და კაჲ — მაგარი, თუმც
პალატალური (!) კ.

პირველი რეფლექსი განზრჩევლად იხმარება ლ'-ს, ლ'-ს და ლ'-ს ნაცვლად,
მეორე ტ-ს მაგივრობას ეწევა.

ჰაბგუ (= ლ'აბგო) „სამი“

ჰიკ (= ლ'იკ) „კარგი“

წიჰა (= ნილ') „ჩვენ“ (ინკლ.)

წანჰგუ (= ანლ'გო) „ექვსი“

{კაილი (=ტილი) „უნაგირი“
{ანკაგუ (=ანტაგო) „შვიდი“.

რიცხვის სახელები 6 და 7-ისათვის მხოლოდ ამ ლატერალებითაა გარჩეული ხუნძახურში: ანლ'გო 6, ანტაგო 7; ქარულში: ანჰაგუ 6, ანკაგუ—7. ამბობენ, ერთი სომეხი ეაქარი, რომელმაც ხუნძური (ქარული) ისწავლა, ამ ბგერებს ვერ გამოთქვამდა გარჩევით, ორივე სიტყვას ერთნაირად გამოთქვამდა—რალაც საშუალო ბგერით პლუს ზ—და წინ მსაზღვრელს ურთავდა: კულაბ ანგუ „ლიდი ანგუ“. ე. ი. შვიდი, ტინაბ ანგუ „პატარა ანგუ“, ე. ი. ექვსი.

ორ რეფლექსში თავის მოყრა ოთხი ლატერალის ბგერინაცვლებისა ამ ლატერალთა ბუნებისა და ურთიერთობის თვალსაზრისით საყურადღებო მოვლენაა, მაგრამ ამაზე აქ არ შევჩერდებით.

2. ქარულში დასტურდება ჯ და ძ ბგერები, რომლებიც უცხოა ამჟამად ხუნძახურისათვის (და ლიტერატურული ხუნძურისათვის).

გურჯიძეაუ (=გურჯიძეაუ, ხუნძახ.) „ქართველი“

საჯან „საქენი“

ქინძრ (=ქვანაზე, ხუნძახ.) „ქამა“.

ძ-ს ფონემურობა ექვებს იწვევს (თუ ძ-ს ყურადღებას მიაქცევთ, ზ-თი ცვლიან!), თუმცა რიგს შემთხვევაში ძ გარკვევით ისმის. საინტერესოა, რომ უმეტესად ის ინფინიტივის დაბოლოებაში ამოტივტივდება ხოლმე (ქინძი, ჰინძი...) და ქმნის გარდამავალ საფეხურს -ღე || -ღი-სა და -ზე || -ზი-ს შორის: -ღე || -ღი — ძე || ძი — ზე || ზი.

წერილში: „ინფინიტივის დილაქტური ვარიაციები ხუნძურში“ ეს შუა საფეხური. როგორც თეორიული ვარაუდი, ვარსკვლავითაა აღნიშნული. ქარულის ამ ჩვენების შემდეგ ეს ვარსკვლავიანი ვარიანტი რეალური ფაქტია და არა ვარაუდი.

ჯ ბგერა ნასესხებ სიტყვებში ყველგან რჩება. რით აიხსნება ჯ-ს და ძ-ს პოზიციითა სხვაობა ქარულში? პირველადია თუ არა ჯ თანამედროვე ქარულში? ამაზე—ცალკე.

3. ქარულში დასტურდება ლ, ლ, რ, ნ, თ-ბგერების რბილი ვარიანტები. ხუნძახურმა კილომ ეს არ იცის.

ღეღღე — „ბაბა“ (ბავშვის მიმართვა მამისადმი).

ჰეღღე „ბაბუა“.

ღიღა ჰაზილდაბ „მე მეცოდინება“.

ქალდამ „კომბოსტო“.

ბერდაბ

ბენდაბ „შეიძლება“, ნდაჰა „კარაქი“, ერბოა.

ქუთაქაბ „ძლიერი“, „ლონიერი“.

რბილ ლ-ს უპირისპირდება მაგარი ლ (ჰინჰაინლა ხეიხინებს) ასე, რომ ლ-ს სამი სახეობა გვაქვს: ჩვეულებრივი, —საშუალო, —რბილი და მაგარი; უკა-

წასკნელი ორი სახეობა აქა-იქ გვხვდება, მაგრამ გარჩეულია მკვეთრად: მათ ნაცვლად რომ „საშუალო ლ“ იხმაროთ, გაგისწორებენ.

ღრმა უკანანენისმიერი თავკიდური ჰა-ც ზოგჯერ თითქოს დოტაციას დაირთავს, მაგრამ ამას შემოწმება კირდება.

ეგვეე ითქმის კ-ს შესახებაც (იხ. ქვემოთ).

4. ყ- აინის გარდა, რომელიც აქ მეღერი სპირანტია, ჰამზის ბადალი ბგე-რაც გვაქვს; ესაა მეგრული ყ („მიყოს“—მიყვარს):

ღუნ ვოყა „მე (მამაკაცი) ვიყავი“;

ვოყანაბ როყ „საცხოვრებელი სახლი“ (სიტყვა-სიტყვით „სამყოფი სახლი“).

ფონეტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია:

1. ბოლოკიდურ ე-ს დავიწროება ი-დ: ე — ი:

„ ო-ს „ უ-დ: ო — უ:

დიფი—დიფე „მე“ (მიცემ.),

ღუფი—ღუფე „შენ“ (მიცემ.);

ინფინიტივის სუფიქსის ბოლოკიდური ე — ი:

ქაზი—ქაზე „კვლა“,

ბიჩიზი—ბიჩიზე „გაყიდვა“.

2. ასიმილაცია (უპირატესად რეგრესიული) მეტი ინტენსიუობისაა, ვინემ ეს გვაქვს ხუნძახურში. პირველ რიგში უმახვილო ხმოვნები ექვემდებარება ასი-მილაციას.

ღუსულ—ღოსულ „მის“ (ნათეს.)

ღუზულ—ღოზულ „მათ“ (ნათეს.)

ინწირღა ც'ო—ანწირღა ც'ო „თერთმეტი“

რიყვივ—როყვივ „სახლში“ (მამაკ.)

ყიყდი „ნაჯახი“, ყოყდრდ—მოთხრ., ყაყდარდ—მრავლ. სახელ.; შდრ. ხუნძახ. ყაშტრ, ყოშტოცა, ყაშტალ...

მუე „თქვენ“—მოთხრობითში; მოჟრდ (←მუჟოდ).

3. ხუნძახ. ტ — ქარ. კა:

ქარ. კეხი—ხუნძახ. ტეხი „წიგნი“.

„ კამაჰ — „ ტამახ „ფოთოლი“.

კერენაბ „ ტერენაბ „წვრილი“, „ფაქიზი“.

კაღდ „ ტაღდ „ზედ“...

4. ხუნძახ. ხ — ქარ. ჰა:

ქარ. ნაჰა—ხუნძახ. ნახ „კარაქი“

„ ჰაარაბ — „ ხარაბ „მკვლარი“

ქარ. ნუჰო — ხუნძახ. ნუხ „გზა“
 „ ყაჰო — „ ახ „ბალი“...

II. მორფოლოგიურ მოვლენებში განსაკუთრებით საყურადღებოა:

1. მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ღ-სუფიქსის გამოყენება ხუნძახური -ცა-სუფიქსის ნაცვლად:

ქარ. ლენინიდ — ხუნძახ. ლენინიცა „ლენინმა“
 „ იმც'უდ — „ ინსუცა „მამამ“
 „ ჰედდედ — „ — „ბაბუამ“
 „ ნეჟედ — „ ნეჟეცა „ჩვენ“ (მოთხრ.).

2. ნაცვალსახელებში ღუნ „მე“, მუნ „შენ“ მოთხრობითში დაირთავს ჰმა-ს ხუნძახური -ცა-ს ნაცვლად:

დიჰმა (ხუნძახ. დიცა) „მე“ (მოთხრ.)

ღუჰმა („ ღუცა) „შენ“ (მოთხრ.).

ამ შემთხვევაში ქარული მიჰყვება ანწუხურისა და ღუნების რაიონის აულ-თა ხაზს: იქ ამ სახელებში -ლ'ჲ(ა)-ბოლოსართი აწარმოებს მოთხრობითს. ქარული -ჰმა ამ -ლ'ჲ(ა)-ს სახეცვლად (იხ. ლატერალების შესახებ თქმული).

3. „თქვენ“ ნაცვალსახელი ქარულში ძველი სახითაა დაცული: მუჟ (ხუნძახური ნუჟ — მუჟ).

გიულდენშტედტისა და კლაპროთის მიერ ნაჩვენები მუჟ ამგვარად დღემდის შემორჩა ქარულს.

4. თავისებურია რიცხვითი სახელები 50-დან მოყოლებული:

ქარ. 50: ხ'ოწილ ხუნძახ. კიყომალდა ანწგო
 „ 60: დიხწილ „ ლიაბყოგო
 „ 70: იქწილ „ ლიაბყომალდა ანწგო
 „ 80: დოწილ (?) „ უნყოგო
 „ 90: მოწილ (?) „ უნყომალდა ანწგო.

(„დოწილ“ და „მოწილ“ ხშირად ერევათ: საკუთარი თვლა ყველამ არ იცის ჯეროვნად).

ხუნძახური თვლა აშკარად ოცეულობითია, ქარული — არა: ათეულობითი. ჩანს, მაგრამ რა არის მამრავლად გამოყენებული?

5. ზმნაში პირთა გარჩევის ელემენტები ისახება (ზოგ დროში):

ღუნ ვერაჲ — „მე მოვედი“

მუნ ვერი — „შენ მოხვედი“

დაუ ვერი — „ის მოვიდა“

ნიე რერალ — „ჩვენ მოვედით“

მუჟ რერი — „თქვენ მოხვედით“

დალ რერი — „ისინი მოვიდნენ“

დიჰა ჰუბუ ბიშინაზ— „მე ვაკეთებ“
 დუჰა ჰუბუ ბიშინა— „შენ აკეთებ“.
 დას ჰუბუ ბიშინა— „ის აკეთებს“...

როგორც უობიექტო, ისე ობიექტიან ზმნას პირველი პირი აქვს განსხვავებული მორე და მესამე პირთაგან. განსხვავებას ქმნის კლასის ნიშანი: სუბიექტისა—უობიექტო ზმნაში (ვ: ვერაჟ), ობიექტისა—ობიექტიან ზმნაში (ბიშინაზ)... ორსავე შემთხვევაში—სუფიქსის ხაზით ტარდება განსხვავება.

თუ მოვიგონებთ, რომ ხუნძახურში (და სალიტერატურო ხუნძურში) ამგვარი გარჩევის შესაძლებლობა გამორიცხულია, კარულის ეს მოვლენა დიდი პრინციპული ღირებულებისად მიიჩნევა (ამ მოვლენასთან რიგი საკითხებია დაკავშირებული; მათ ცალკე განხილვა ესაჭიროება).

6. კარულისთვის დამახასიათებელია თანდებულების ხმარება. რომლებიც ბრუნვის ფორმებს არ არიან შეხორცებული. -ჟოლო— „თვის“—მიცემით ბრუნვასთან; -ბუნუ— „ში“; -ისა— „გან“; -კად— „ზე“...

ლექსიკის ხაზითაც კარულ დიალექტში ბევრი რამაა საინტერესო; აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ შემდეგ კართულ სიტყვებს, რომლებიც დადასტურდა კარულში:

პარ. კიჰა— „ჰაჰა“;
 ვაზი— „ვენახი“, „ვაზი“;
 წუბულ— „წაბლი“;
 მიჯ || მეჯ— „მუხა“ (ძვ. ქართ. „მუჯა“), ხუნძახურში „მიქა“;
 ყიჩ— „ვაშლი“ (ხუნძახურში „ყეჩ“);
 ყანწრი— „ანწლი“;
 ფითრი— „ფითრი“;
 ხარსი || ხავსი— „ხავსი“;
 უბა— „უბანი“...

აღსანიშნავია ტერმინი „ეთრე“ კართველის მნიშვნელობით. სიტყვა შენახულია გამოთქმაში „ეთრე წიუნწორი“— „მსხვილი კიანჭველა“. „ეთრე“ იგივე ძირი ჩანს, რაც წახურულ მუთრი-ში გვაქვს: „მუთრი“— „ქართველი“ (ა. დირი, ნ. მარი).

ორიოდე ცნობა კარელთა შესახებ. თავის თავს კარელი ხუნძად არა თვლის, ლეკი ვარო, ამბობს: დუნ ლეზგიჯაუ ვუგავ („მე ლეკი ვარ“). ტერმინი „ლეკი“ აქ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი და კიურელს არ ნიშნავს.

ხუნძური მეტყველება დაუბრკოლებლივ არ ესმით: შესწავლა სჭირდებათ. მთის ლეკებსაც, ცოტა არ იყოს, განზე უყურებენ.

ზაქათალისა და ბელოქნის რაიონებში შემდეგი ხუნძური თემებია (სოფ-საპკოები).

პარი (უბნები: ჰებელ უბა, ჩუქაქ უბა, ჰიკა უბა, თახთა);
 თალა (იყოფა სამ სოფსაბკოდ);

მაწები;

კატები;

შაკოუ (მასში შედის სოფ. თაშან-ი);

დანაჩი;

კაბახჩოლი;

გოგამი (აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ);

ქვემო ჩარდახლი.

ქარელ ჯემალ მამედოვის დაკვირვებით: ქარი, შაკოუ და დანაჩი ენობრივად ახლოსაა ერთმანეთთან; გუგამი (|| გოგამი) ცოტათი განსხვავებულია (აზერბაიჯანელებიც ცხოვრობენ); ბელოქანი, კაბახჩოლი—თაეისებურია, განსაკუთრებით—უკანასკნელი; ქართული აქ თითქმის ყველამ კარგად იცისო.

ქვემო ჩარდახლიც განსხვავებულია ქარულთან შედარებითო.

დასასრულ, მადლობით უნდა მოვიხსენიო ჩემი მასწავლებელი ქარულისა: ჯემალ მამედოვი და ყველა ის პირი და ორგანიზაცია, რომელთაც ხელი შემიწყვეს ამ მუშაობაში.

3ლ. ჟანევიძე

საანბარიზო მოხსენება უღურ ენაზე მუშაობის შესახებ
(სოფ. ვართაშენსა და სოფ. ნიჯში, აზერბ. სსრ)¹

მიმდინარე 1938 წელს (მაისი—ივნისი) აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავ უღურ ენაზე სამუშაოდ. ეს მეორე გამგზავრება იყო ამ ენაზე სამუშაოდ, და ამ ხელად ჩვენ ავირჩიეთ სოფ. ვართაშენი (ვართაშენული კილოს გასათვალისწინებლად) და სოფ. ნიჯი (ნიჯურისათვის).

სოფ. ვართაშენი, სადაც მუშაობას ვაწარმოებდი 18.V.—13.VI.1938. წარმოადგენს სარაიონო ცენტრს (40-დე კილ. დაშორებულია ქ. ნუხიდან). მოსახლეობა ვართაშენში ქრელია: მოსახლეობენ უღები (წინათ—პართლმადიდებლები და გრიგორიანები), სომხები და აზერბაიჯანლები. ამის გამო ენობრივი ურთიერთობანი მრავალფეროვანია და უღური ენის ვითარებისათვის დამახასიათებელი: უღური განიცდის გარემო ენათა გავლენას და მისი აგებულება და ლექსიკა ინტენსიურად იცვლება.

ჩვენი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო ენობრივი აგებულების ფაქტების გათვალისწინება და ლექსიკური მარაგის შესწავლა. ამისათვის ვიწერდით სხვადასხვა ფოლკლორულ ტექსტებს და სალექსიკონო მასალას. ფოლკლორული მასალა, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, შეთვისებული ჩანს (უმთავრესად აზერბაიჯანულიდან), და საკუთარი ლექსიკაც ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი.

სპეციალურად გამოწმებდით აგრეთვე ა. შიფნერის შრომის (Versuch über die Sprache der Uden. 1863) მონაცემებს (თემისათვის: „ა. შიფნერი, როგორც უღური ენის მკვლევარი“). შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ა. შიფნერთან საერთოდ კარგად არის წარმოდგენილი მორფოლოგიური აგებულება უღური ენისა. შედარებით სუსტია ფონეტიკური მხარის გადმოცემა: გვაქვს შეცდომები და ზოგჯერ არაა დაცული დამწერლობის ერთიდაიგივეობა. რაც შეეხება ლექსიკონს, ა. შიფნერის ლექსიკონში გვაქვს ზოგჯერ სიტყვები, რომელნიც დღევანდელს უღურში აღარ შეინიშნებიან; მეორე მხრივ: ლექსიკონში არაა შესული სიტყვები, რომლებიც დღეს ხმარებაშია (ამათ შესახებ სპეციალურად ცალკე წერილში გვექნება საუბარი).

ვართაშენულის ძირითადი ენობრივი მოვლენები (მორფოლოგიური, სინტაქსური და ფონეტიკურიც) იმგვარადვეა წარმოდგენილი აქაც—ვართაშენში, როგორც ეს ლიტერატურაშია ცნობილი (ა. შიფნერისა და ა. დირის

¹ წაითხვლია მოხსენებად ენიკი-ში 25.X.1938 წ.

შრომებში)¹. შეინიშნება მხოლოდ ორი მორფოლოგიური მოვლენა, რომელნიც საყურადღებო არიან უღური ენის აგებულების გასათვალისწინებლად.

ა. პირველი მოვლენა შეეხება მყოფალი დროის წარმოებას. უღურში ჩვენი გვაქვს ორი მყოფალი: ერთი იწარმოება -*ა* სუფიქსით: მეორე კი მყოფალის მიმღობისგან—პირის ნიშნების მიმატებით.

მაგალითად:

ბასკესუნ—დაწოლა, დაძინება.

ძირი: ბას-*კ*:

Fut. I.

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1. ბას-ზუ- <i>კ-ა</i>	ბას-დან- <i>კ-ა</i>
2. ბას-ნუ- <i>კ-ა</i>	ბას-ნან- <i>კ-ა</i>
3. ბას-ნე- <i>კ-ა</i>	ბას-ყუნ- <i>კ-ა</i>

Fut. II.

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1. ბასკალ-ზუ	ბასკალ-დან
2. ბასკალ-ლუ (←ბასკალნუ)	ბასკალ-ლან (←ბასკალნან)
3. ბასკალ-ლე (←ბასკალნე)	ბასკალ-ყუნ.

ეს ფორმები დღევანდელ უღურში საყოველთაოდ არის გავრცელებული (ორსავე კილოში). მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება თავისებური ფორმებიც.

მაგალითად:

აშბესუნ—მუშაობა, საქმიანობა (აშ—საქმე, ბესუნ—კეაება).

Fut.

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1. აშშუბოლ (←აშშუბოლ)	აშდანბოლ
2. აშნუბოლ	აშნანბოლ
3. აშნებოლ	აშყუნბოლ

(ლ. ფოლა დოვი).

ფორთბესუნ—ატანა, გაძლება („ტანჯვას ვუძლებ“)...

Fut.

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1. ფორთზუბოლ	ფორთდანბოლ
2. ფორთტუბოლ (←ფორთნუბოლ)	ფორთნანბოლ
3. ფორთტეზოლ (←ფორთნეზოლ)	ფორთყუნბოლ.

(ქრ. სილიკოვი).

¹ შდრ. ჩვენი „უღური ენა და მისი კილოები“. ენშეკი-ს მონაბე, II.

აღნიშნული ფორმები უნდა მიღებული იყოს კონტამინაციის საფუძველზე Fut. I. -ა და Fut. II -აღ (მიმღობისეული!) ფორმანტთა შერწყმით, თუ სხვა რამ გარემოება არაა მიზეზი მათი წარმოქმნისა (ინდივიდუალურ მოვლენად მას ვერ მივიჩნევთ).

b. მეორე საყურადღებო საკითხი შეეხება ზმნის გარდამავლობის წარმოებას, რომლის თავისებურ სუფიქსად გვევლინება -ევ || -ვ- ფორმანტი. ჩვეულებრივ გარდამავლობა უღურში დაკავშირებულია ფუძის საერთო მნიშვნელობასთან და ზმნის ფუძის მაწარმოებელთან:—**დესუნ**, **ბესუნ**... ამათგან თუ -**დესუნ** დაერთვის გარდამავალი ზმნის ფუძეს, მაშინ კაუზატიურობის კატეგორიას გამოხატავს:

მაგალითად:

1. ა კ ს უ ნ (←აკ-ესუნ)—ხედვა, დანახვა...
ა კ ე ს ტ ე ს უ ნ (←აკეს-დესუნ)—ჩვენება, დანახვება...
2. გ ი რ ე ს უ ნ—შეკრება („ვიკრიბები, ვგროვდები“)
გ ი რ ბ ე ს უ ნ—შეკრება („ვკრებ, ვაგროვებ“)
3. ც ა მ ფ ე ს უ ნ—წერა („ვწერ“...)
ც ა მ ფ ე ს ტ ე ს უ ნ (←ცამფეს-დესუნ)—დაწერინება...

-დესუნ-ის მსგავსად კაუზატიურობის აღმნიშვნელად გვევლინება -ევ || -ვ სუფიქსი, რომელიც ვართაშნულის გარდა ნიჯურშიც დასტურდება.

მაგალითად:

1. კ ე მ ს უ ნ—გამოსვლა („გამოდის“...)
კ ე ვ კ ს უ ნ (|| ქევკესუნ)—გამოყვანა, გამოტანა...
2. ც ი ს უ ნ—ჩამოსვლა („ხიდან“...)
ც ი ვ კ ს უ ნ—ჩამოყვანა

«ყუშ თე ბანეფსა აღურ ღუნიანი, ღარაბ ცირევენეკსა»... „ფრინველ-ბა რომ მიალწია ზემო ქვეყანას, ყმაწვილი ჩამოიყვანა (ჩამოსვა)“...

3. ზ ე რ ე ს უ ნ—„ემსგავსება, ჰგავს“... ირთვება...
ზ ე რ ე ვ კ ს უ ნ—„ამსგავსებს“, რთავს...
4. ბ ა თ კ ს უ ნ—„ილუპება“ („ქონებას კარგავს, იღრჩობა წყალში“).
ბ ა თ ე ვ კ ს უ ნ—ლუპავს.

«...თე-ტუ-აბა, ეთარ-ყან მეტუბ ბათევეკი»
„...არ იცის, იგი როგორ დაღუპა-მცა“... R 7,11-13.

აღნიშნული ფორმანტი უღურის ორსავე კილოში დასტურდება, ოღონდ იგი გვხვდება მარტო ზოგიერთ ფუძესთან. საყურადღებოა მისი დაკავშირება—ფუნქციონალურად და გენეტიურადაც—ქართულ „-ევ“- სუფიქსთან ისეთ ზმნებში, როგორნიც არიან: „აკმევს, ასმევს, აცმევს“... ცხადია, ეს საკითხი მოითხოვს ცალკე განხილვას.

სხვა ენობრივი მოვლენები ვართაშნულში იმგვარადვეა წარმოდგენილი, როგორც ეს სოფ. ოქტომბერშიც დასტურდება... აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ სოფ. ვართაშნის ზოგი კუთხის მეტყველება თითქოს ემსგავსება ნიჯურისას. არა ზუსტი ცნობებით ამ კუთხეებში უნდა იყვნენ ნიჯიდან გადმოსახლებულნი, მაგრამ ამის დანამდვილებით გარკვევა არ მოხერხდა.

ამგვარსავე მუშაობას ვაწარმოებდი სოფ. ნიჯშიც, სადაც ეწეშაობდი 14.VI—3.VII (ვაგროვებდი ფოლკლორულ ტექსტებს და ვარკვევდი ენობრივი აგებულების ფაქტებს). ამასთან სპეციალურად გამოწმებდი ა. შიფნერის ლექსიკონს, რომელიც ვართაშნულისათვის შევამოწმეთ სოფ. ოქტომბერში 1937 წ. ნიჯურის ფონეტიკური და მორფოლოგიური ვითარებისათვის შეიძლება იგივე ითქვას, რაც დადასტურდა წარსული წლის მუშაობის დროს (იხ. „უღური ენა და მისი კილოები“, „ენიმიკი-ს მოამბე“, II). რაც შეეხება ლექსიკას, აქ ჩვენ გვაქვს განსხვავებანი უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისა იმ სიტყვებში, რომელნიც საერთო განძს წარმოადგენენ. მაგრამ ხშირად ვართაშნულის სიტყვა შეცვლილია ნიჯურში აზერბაიჯნული ან სომხური სიტყვით. საყურადღებოა ის, რომ, რამდენადაც უფრო ახლოს ვეცნობით უღურ ლექსიკას (ზოგჯერ ფორმანტებსაც!), იმდენად უფრო მეტი სიახლოე აღმოჩნდება ძირებისა სათანადო ქართული სიტყვების ძირებთან (ეს საკითხი ცალკე მოხსენებაში იქნება გარკვეული).

ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩაწერილია სოფ. ვართაშენში: ტექსტები—150 რგ. გვერდი, სალექს. მასალა—90 გვ.; სოფ. ნიჯში: ტექსტ.—90 გვ., სალექს. მას.—190 გვ.

მუშაობის საერთო პირობები კარგი იყო, რადგანაც ადგილობრივი პარტიული და სხვა ორგანიზაციები ორსავე სოფელში გულისყურით ეკიდებოდნენ ჩემს მუშაობას და ხელს მიწყობდნენ ყოველმხრივ.

ქ. ლოკათაიძე

საანბარიზო მოხსენება ავზაზური ენის გზირურ კილოზე მუშაობის
შესახებ

(ს. ჭათარაში, გულაუ. რ. 17.I—28.II.1938 წ.)¹

ენიკი-ს კავკასიურ ენათა განყოფილების მივლინებით ამა წლის იანვარ-თებერვალში (თვე-ნახევრით) მუშაობა მომიხდა ბზიფურს დიალექტზე.

ბზიფური დიალექტის ლინურს თქმას ჩვენ გასულ წელს გავეცანით, მაგრამ აქ სხვადასხვა თქმათა და სალიტ. ენის გავლენის შედეგად ზოგი, ბზიფური დიალექტისათვის ნიშანდობლივი, მოვლენა უკვე გამქრალა. საჭირო იყო ისეთი პუნქტის არჩევა, სადაც უფრო კონცენტრირებული იქნებოდა ბზიფური დიალექტის ძირითადი თავისებურებები. ასეთად არჩეულ იქნა მთის სოფელი ჭათარა (გულაუ. რ.), დაახლოებით ოცი კილომეტრით დაშორებული ქ. გულაუს. არჩევანი რიგიანი გამოდგა. აქ და მახლობელ სოფლებშიც აფხაზური მოსახლეობის კომპაქტური მასაა. სხვა ენის ცოდნა იშვიათია.

მუშაობის პირობებიც—ზაფხულთან შედარებით—ამ დროს გაცილებით უფრო კარგი იყო. უფრო თავისუფლად იშოვებოდა ობიექტები, ამაში ადგილობრივი ხელისუფლებაც დიდ დახმარებას გვიწევდა, ოღონდ სრულიად არ ზონერხდა დახმარების აღმოჩენა შეგროვილი მასალის გარჩევაში მასწავლებლობისა და სოფლის ინტელიგენციის მეტად დატვირთულობის გამო.

მივლინების მიზანი იყო ბზიფური დიალექტოლოგიური ტექსტების შეგროვება და იმ თავისებურებებთან გაცნობა, რაც ამ დიალექტს აბჭურთან შედარებით ახასიათებს.

ჩაწერილ იქნა ტექსტები 200 რვეულის გვერდამდე. ამ მასალას შეადგენს: ზღაპრები, გადმოცემები, მოსწრებული სიტყვები, გამოცანები, ზოგი დღესასწაულის აღწერილობა.

შეგროვილ იქნა სამეურნეო ხასიათის ლექსიკური მასალა (მეფუტკერობის ტერმინები, იარაღთა სახელები, სადგომები, შინაურ ცხოველთა და ფრინველთა სახელები, წისქვილის, ურმის ნაწილთა სახელები, თვეთა სახელები ნათესაობის ტერმინები, სხეულის ნაწილების სახელები და სხვ.).

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიკი-ში 13.X.1938 წ.

ჩაწერილ იქნა აგრეთვე მონადირეთა ენისათვის, ანუ, როგორც აფხაზებში ეტყვიან, ტყის ენისათვის (აბნა ბუზშა) დამახასიათებელი ლექსიკა. საინტერესოა, რომ ამ მხრივ დიდი სხვაობაა აბუჯელ და ბზიფელ მონადირეთა მეტყველებაში.

ბზიფური დიალექტის განვითარების თანამედროვე საფეხურზე ყურადღებას იქცევს ხსენებული სოფლის მეტყველება ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით. მთელი რიგი ბგერები, როგორც ეს არა ერთგზის აღნიშნულა, მიაჩნიათ ბზიფურის კუთვნილებად. ეს ბგერებია: ხჷ, სჷ. ცჷ, წჷ, ზჷ, ჟჷ, შჷ. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ამ ბგერათაგანი თანამედროვე აბუჯურში არ გვხვდება.

პირველად აფხაზურ ბგერათა შედარებით სრული სურათი პ. უსლარმა წარმოგვიდგინა. ს, ც, წ, ჟ, შ, ხ ბგერათა განსხვავებული სახეობებიც პირველად უსლარისავე ნაშრომშია მოცემული, ოღონდ უსლარს მხოლოდ სჷ, წჷ, ხჷ-ს შესახებ შეუნიშნავს, რომ ისინი მარტო ბზიფურს ახასიათებს. ზოგი დანარჩენი ცჷ, ჟჷ, შჷ სხვა მათი მსგავსი ბგერებისაგან გარჩეული, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ არ უწერია, რომ ბზიფურისათვისაა დამახასიათებელიო. საქმე ის არის, რომ პ. უსლარის ობიექტი ბზიფელი იყო და ეს ბგერითი მარაგიც მისგან უნდა მომდინარეობდეს. როგორც ჩანს, უსლარს სხვა დიალექტზე ყველა ამ მასალის შემოწმება ვერ მოუხერხებია და ამიტომაც დანარჩენთათვის ასეთი შენიშვნა არ მოეპოება. უნდა ვიფიქროთ, რომ არც ამ დროისათვის არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი აბუჯურისათვის დამახასიათებელნი. ამის გამო ბუნებრივია, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ ბგერას ბზიფურის კუთვნილებად მიიჩნევენ. ეს ბგერები უსლარის შემდეგ გვხვდება ყველა სხვა მკვლევრის ნაშრომებში. ნ. შართან მათ ბზიფურისათვის ერთვის აგრეთვე ზჷ, ძჷ.

1937 წელს, სოფ. ლიხნში ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად განსხვავებული ჟჷ და შჷ ბგერები არ დადასტურდა, თუმცა ერთი შემთხვევის გამო ჩემს ჩაწერილს მასალებში შენიშვნა მაქვს, აქ უმეოჯ აქ ჟჷ ცოტა სხვანაირად გამოითქმის-მეთქი. ადგილობრივი აფხაზი სპეციალისტები შჷ და ჟჷ-ს არსებობას საერთოდ უარყოფდნენ თანამედროვე ბზიფურში. ლიხნელები საერთოდ, ყოველ შემთხვევაში, ამ სხვაობას ვეღარ ამჩნევენ. ამის გამო ლიხნში მივლინების ანგარიშში ჩვენ აღვნიშნავდით: „თვით იქაური (იგულისხმება ლიხნელი) აფხაზებიც, ჩაკითხვისას ვერაფერს სხვაობას გამოთქმის მხრივ ვერ ხედავენ აშჷ-სა (კარი) და აშჷ-ს (წიფელი) შორის, აჷ-სა (ძველი) და აჷ-ს (ძროხა) შორის. შეიძლება ეს მდგომარეობა დამახასიათებელი იყოს ლიხნის მეტყველებისათვის და სხვა სოფლებში ასეთი განსხვავებაც ჩანდეს-მეთქი“ (ენიმკი-ს მოამბე II, გვ. 290).

სოფ. ჭათარაში, ბლაბურხვასა და მთის სხვა სოფლებში ეს ბგერები არსებობს და თავიანთ ფონემატურს ფუნქციასაც მკაცრად ასრულებენ, ოღონდ საპიროდ მიგვაჩნია მათს დღემდე არსებულს განმარტებაში ერთგვარი კორექტივი შევიტანოთ. ყველა მკვლევრის აზრით ისინი შჷ, ჟჷ-ს სხვა სახეობას წარმოადგენენ. მათი ფიზიოლოგიური დახასიათება მხოლოდ უსლარს აქვს მოცემული. სხვა ავტორები ამაზე დაყრდნობით განმარტავენ. ჟჷ-ს შესახებ

უსლარს უწერია: „ყო დაახლოებით გამოიხატება ეზე-თი. კბილები ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ არა მკიდროდ, ენა მდებარეობს ქვედა კბილების ღრძილთან შეერთების ადგილას. ბაგეები დაახლოებულია ისე, რომ რჩება მხოლოდ ვიწრო შუალედი ჰაერის გამოსაშვებად. ეს და ეს განსხვავდებიან მხოლოდ ბგერათ-რაოდენობით (звучоколичеством). პირველი არის media, მეორე—tenuis“ (უსლარი, Абхазский язык, გვ. 12).

შე-ს შესახებ წერს: „შე=შგ. კბილები არ ეხება ერთმანეთს, ენა უძრავ მდგომარეობაშია, ჰაერი გამოისუნთქვის თანაბრად ბაგეთა შორის, რომლებიც დაახლოებული არიან ზედა და ქვედა კბილების შეერთების სწერივზე. შე-ს წარმოთქმისას ისმის მინასტენი (присвист)“ (ib., გვ. 14).

უსლარის მიერ მოცემული აღწერილობა ამ ბგერათა მეორე სახეობებისა არ არის ზუსტი, ბგერათ-რაოდენობის თვალსაზრისით განსხვავება არაა ამ შემთხვევაში გადამწყვეტი. ეს და ეს ურთიერთის მიმართ media tenuis-ის მდგომარეობაში კი არ იმყოფებიან, არამედ აქ გვაქვს წარმოების ადგილით და, მაშ, თვისობრივადაც არსებითად განსხვავებული ბგერები.

თუ ეს-ს წარმოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ენა მდებარეობს ქვედა კბილების ღრძილთან შეერთების ადგილას, ბაგეები უახლოვდებიან ერთმანეთს... და სხვ., ეს-ს წარმოთქმისას წინა ენა უახლოვდება ზედა კბილების ღრძილს, ზემო ტუჩი უძრავია და ქვემო ტუჩის შიგნითა ნაწილი ქმნის ვიწრო ნაპრალს ზემო კბილებთან და ისმის ბგერა შე-ს მსგავსი. პირველ შემთხვევაში იქნება დაჟებტ — „დაბერდა“, აჟე — ბერი, ბებერი, ძველი, მოხუცი, მეორე შემთხვევაში — აზი (აჟი) — ძროხა.

ასევე, თუ შე-სათვის ენა უძრავ მდგომარეობაშია, ბაგეები ერთმანეთს თანაბარი ინტენსივობით უახლოვდება და სხვ., შე-ს წარმოებისას ენის წინა ნაწილის ზურგი უახლოვდება ზემო კბილების ღრძილს არა სრულს შეერთებამდე, ზედა ბაგე უძრავია და ქვედა ბაგე კი უფრო თავისი შიგნითა ნაწილით ვიწრო ნაპრალს ქმნის ზემო კბილებთან. ვიღებთ რთულ სისინა ბგერას შე-ს მსგავსს. საინტერესოა, რომ უსლარიც შე-სა და შე-ს სხვაობაში მინასტენს (присвист) უსვამდა ხაზს.

აქაც ჩვენს აზრით, ისევე, როგორც სხვა რთულ ლაბიალიზებულ ბგერათა შემთხვევაში, საწყისად უნდა მივიჩნიოთ არა შ და ჟ, არამედ ხ და ჯ.

ამ შესაძლებლობის შემდეგ ისმის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, თუ რატომ არა აქვს აფხაზურ ენას ხჟ და ჯჟ კომპლექსები ისევე, როგორც არა აქვს სხვა მსგავს რთულ ბგერათა შემადგენელი კომპლექსები ცალკე.

ერთ-ერთს ჩვენს მოხსენებაში ჩვენ დავსვით ასეთი საკითხი. იქ მოგვეყვოდა აკად. ნ. მარის მოსაზრება აფაშა, ეჟრავტ, ეჟრაბ სიტყვების შესახებ, ნ. მარის აღნიშნავდა რომ აქ გვაქვს თუბალ-კაინიზმი ს იქცა შ-დ, ჯ იქცა ჟ-დო. ჩვენ კი აღვნიშნეთ, რომ ასეთს თუბალ-კაინიზმს ადგილი არა აქვს. ქართულისა და სხვა ენის ს, ჯ კი არ იქცევა შ, ჟ-დ იქ, არამედ კომპლექსები ხვ გვადლევს შე-ს, ჯვ გვადლევს შე-ს და ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ხჟ და ჯჟ კომპლექსები აფხაზურს არ გააჩნია-მეთქი. ეს დებულება ახლაც ძალაში რჩება, ოღონდ მას ზეტი დაზუსტება სჭირდება. დებულება გამოდგება არა ზოგადად აფხაზური-

სათვის, არამედ მხოლოდ აბჟუურისათვის. აბჟუურს დღეს ყოველ შემთხვევაში, არა აქვს ამ კომპლექსების შემცველი რთული ბგერები და მათ გადმოსცემს ყველაზე უფრო მიახლოებული სახეობებით.

აქიდან უკვე ჩვენ ლოგიკურად მივდივართ შემდეგს დასკვნამდე: რაკი ბზიფურს სჟ, ზჟ-სა და ზჟ, ჟჟ-ს შემცველი რთული ბგერები გააჩნია, იქ უნდა გვექონდეს არა აფაშო, ჟოზგოზ და სხვა, არამედ აფ ა ს — (— ქართ. ფესვი), ზოგჯერ ატო, მაგრამ ეს ასე არ არის.

აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ რომელი დიალექტია მათი მსესხებელი. ქართველური ენებიდან ხსენებული ლექსიკური მასალა აბჟუელთა გზით შესულა აფხაზურში, ამიტომაც სჟ, ზჟ-სა და ზჟ, ჟჟ-ს გადიფერენცირების საჭიროება აღარ დამდგარა. ეს გარემოება შესაძლოა ქრონოლოგიურ მომენტის სარკვევადაც გამოგვადგეს ზოგჯერ სიტყვის სესხების დადგენისას.

სამაგიეროდ, აღიღებურ და ჩრდ. კავკასიის ენათა მასალების ამ თვალსაზრისით შესწავლა გვგონია მეტ საბუთს მისცემს ხსენებულს დებულებას.

ასე, მაგ., უბიზურსა და ჩერქეზულში ს-ს თავისებური სახეობა მონაწილეობს მრ. II პირის ნიშანში და ბზიფურშიაც ამ პირისათვის გვაქვს შა (სა) და არა ში; ეგვევ ბგერა გვხვდება ჩერქეზულში ბრმა სიტყვის შემადგენლობაში — несы (უსლ. Абх. язнык. დანართი: „О распространении грамотности среди горцев“, გვ. 66), რაც ბზიფურად აგრეთვე გადმოცემულია ალაშო (ალასა)-ით. ასევე ძროხის სახელწოდება გადმოცემულია ზო-თი: აზი (აჟი), რასაც ჩვენ უკვე ანდიურ ზიფუ-ს ეუკავშირებდით თავის დროზე.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბგერითი გადასვლები, ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, არც აქ იქნება მოულოდნელი.

ახლა რაც შეეხება ამ შესაძლებლობის—ე. ი., რომ აქ ს და ზ-საგან ნაწარმოები რთული ბგერები გვაქვს—თეორიულ მხარეს; სისტემის თვალსაზრისითაც სრული კანონზომიერებით იყო სწორედ მოსალოდნელი ძი, წი, ცი, ჟი, ში-ს გვერდით ს, ზ-ს ლაბიალიზებული სახეობები. ლაბიალიზაცია აფხაზურში დენტალური ბგერებისა და წინა-ენის-მიერ და ყელის სპირანტთა წარმოებაშია სწორედ დამახასიათებელი.

ეს ორი განსხვავებული ბგერა დღეს უკვე არა თუ აბჟუურს არ გააჩნია, აღარ ცოცხლობს არც ბზიფის ყველა თქმაში. ს. ლიხნში მას უკვე აღარ ხმარობენ. მთის სოფლების ახალგაზრდობის მეტყველებაშიაც ისინი თანდათან ამოიკვეთებიან, და სულ მალე, ალბათ, საერთოდ დაკარგავენ თავისთავადობას. მათი ექსპერიმენტალური შესწავლა გადაუღებელი ამოცანაა. უამისოდ ყოველი ასეთი აკუსტიკური შთაბეჭდილების შედგად მიღებული დებულება წინასწარი ვარაუდის ფარგალს ვერ გასცილდება.

იმ ზოგი რამის გარდა, რაც უკვე აღნიშნულა, ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგიც:

საყურადღებოა, რომ ბზიფურში მრვ. I პირის ნიშანი (ჰ) ჯერ კიდევ გადარჩენია ფონეტიკურ ცვლილებებს მკლერ ფუძისეულ თანხმოვნებთან უშუალოდ შეხვედრისას. იქ შესაძლოა ფორმები ძ ა ჰ გ ო ზ ნ ა ც ე ლ ა დ ა ა ა გ ო ზ -ისა,

დააჭაზარ ჰბპპ ნაცვლად დააჭაზარ ააბპპ-ისა; დაჰბგეტ ნაცვლად დააბგეტ-ისა, დაჰდგრჰპ ნაცვლად დაადგრჰპ-ისა და სხე.

დროთა საწარმოებელს ფორმანტებში ზოგი ახალი ცვლილების გამო —ი→ჟ-ის დაკარგვა—ფუძისეული და ფორმანტისეული ა-ს უასიმილაციო სახეობები გვხვდება: მაგ., „არახტ სთრჰტ-ჰან“... „საქონელს ვედიო, თქვა რა ჯაცმა“..; „ქაშა დგჰტსთგჰატ ლჰიეტ“ „შენს ძმას, ვაჟო, მოგცემო, თქვა ჯალმა“; „მანჰაზარ ზბუჰტ-ჰა“ „თუ მართალია, ვნახავო“; „იზდგრჰატ, ახა“ „ვიცი, მაგრამ“... და სხე.

კითხვითს ფორმებს შესაძლოა არ დაერთოს კითხვითი ი ნაწილაკი. იქნება დაბტა? ნაცვლად: დაბტე(ა)-სა „სად წაეიდა (გონ.)“; უარყოფით კითხვითში: უმტუა? ნაცვლად უმტრე-სა „არ მიღიხარ (ვაჟ.)?“ და სხე.

ბ. რ. ბ. ა. ვ. ა.

საანბარიზო მოხსენება ჭვემო-ადილეური ენის ზემო-ბჰედულურს
კილოზა მუშაობის შესახებ

(პანეჟუაის რ., ადილეს ა. ო. VII—VIII. 1938)¹

1938 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში ენიმკი-ს მიერ მივლინებული ვიყავი ადილეს ავტონომიურ ოლქში (კრასნოდარის მხარე), ქვემოადილეურ ენაზე მუშაობის გაგრძელების მიზნით. ინსტიტუტისაგან, პირველ რიგში, დავალებული მქონდა შემერჩია ქვემოადილეური ენისათვის საქრესტომათიო მასალები და შემედგინა სათანადო ლექსიკონი ამ მასალებისათვის. ეს სამუშაო ჩვენ მიერ შესრულებულია: შერჩეულია მასალები 8 თაბახის რაოდენობით და შედგენილია ლექსიკონი. ამჟამად მუშავდება ქრესტომათიისათვის გრამატიკული ნაწილი. მასალები შერჩეულია, როგორც ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებებიდან (წერლები: ხათიანს, ცემს, კწრაშს, პარანგეასა და სხვათა), ისე ნათარგმნიდანაც. რამდენიმედ აღებული გვაქვს ფოლკლორული მასალები დიალექტურ თავისებურებათა დაცვით.

მუშაობის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ადილეური ენების ფონეტიკიდან შიშინა აფრიკატებმა. უკანასკნელი საკითხი ჩვენ მიერ დამუშავებულია. ამჟამად, ფონეტიკიდან ვამუშავებთ ადილეურ ხმოვანთა რედუქციის საკითხს.

დაგროვილია მასალები ქვემოადილეური ზმნის კაუზატიურა ფორმებისა. ადილეური ზმნის კაუზატიურობა მეტად თავისებური ხასიათისაა, რამდენადაც მასთან არის მკიდრო კავშირში სხვა კატეგორიები, როგორიცაა, გარდამავლობა, ქცევა (სასხვისო) და პირიანობის საკითხი.

შემჩნეულ იქნა ამასთანავე ქვემოადილეურ ზმნაში მრავალგზითობის ფორმები, ეს ეხება მხოლოდ რამდენსამე ერთპირიან ზმნას და ისიც აწმყო დროში. მაწარმოებლად აწმყო ხოლმეობითისა გამოდის ხმოვანი ჯ სუფიქსი. მაგალითები:

ღნ-ს 'ცხოვრობს, ზის' (ახლა, ამჟამად ცხოვრობს), მაგრამ ღნ-სჯ 'ცხოვრობს ხოლმე, ზის ხოლმე'; ღნ-თ 'დგას' (რამე შემოკავებულში, მაგ., ეზოში), მაგრამ ღნ-თჯ 'დგას ხოლმე'; ღნ-ლ 'წევს' (რამე შემოფარგულში), მაგრამ ღნ-ლჯ 'წევს ხოლმე'.

საყურადღებოა, რომ ს—ჯდომის, თ—დგომის, ლ—წოლის შინაარსის გადმომცემ ერთპირიან ზმნებთან გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ძირი „არსებობის“, „ყოფის“ შინაარსის გადმომცემია. მაგალითად მჯ-ყ 'ცხოვრობს', მაგრამ მწ-ყ 'ცხოვრობს ხოლმე'.

¹ მოხსენდა ენიმკი-ს კავკას. ენათა განყოფილებას 29.XII.1938. წ.

• თ. გონიაშვილი

საანგარიშო მოხსენება ჩაჩნურ ენაზე მუშაობის შესახებ
(ვედენოს რ., ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ)¹

მივლინებაში დაყავით 2 თვე (15.VII — 15.IX.1938). მარშრუტი შემდეგი აყო: ძირითადად ემუშაობდით სარაიონო ცენტრში—ვედენოში (ვედენა-ლალა), საიდანაც მოხერხდა ვედენოს მახლობელ აულებში—წავედენასა, დიშნი-ვენდენასა, დარგოსა და შამილ აულებში გასვლა რამდენიმე დღით (ჩამოთვლილი აულები 5-დან 2 კილომეტრამდე შორავს ვედენოს), ხოლო უფრო შორს—აულ ხარა-ჩოჯში 10 დღით და 3 დღით აულ ხოჯში (ბოთლივის გადასაყალს რომ არის აკრული).

ჩვენ დაინტერესებული ვიყავით ენობრივად გაცნობილი ჩაჩნეთის ჩრდილოეთი ტერიტორიის რომელიმე პუნქტსაც (როგორც ცნობილია, ძირითადი კომპაქტური მოსახლეობა ჩაჩნეთის ტერიტორიის სამხრეთით მოუღის შარ-არღუნისა, ჩენტი-არღუნისა და ხულხულაუ მდინარეთა ხეობების გასწვრივ).

ამ მიზნით ვფიქრობდით ყუმუხების მოსაზღვრე (ყოფ. ყიზლარის ოლ.) სოფელ ბრაგუნში (ეტიმოლოგიურად ვახუშტისეული გეოგრაფიის „ბორაღნის წყალთან“ რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს) და ჩრდილო დასავლეთით დლისტინის მოსაზღვრე აულ ხასაე-ფურტში რამდენიმე დღით მაინც წამუშავენას, რათა ჩაჩნურის კილოური დაყოფის გარკვეული პუნქტები შეგვეჩინა, მაგრამ მხოლოდ აულ ბრაგუნში მოხერხდა 10 დღით მუშაობა. სათანადო ობიექტების სიმცირე ინფორმატორების სახით ყველგან საგრძნობლად აფერხებდა ჩვენს მუშაობას. შედარებით უკეთესი პირობები ამ მხრივ ისევ ვედენოში გვქონდა.

შეკრებილი მასალის მიხედვით გამოირკვა, რომ ვედენოს (რაიონში შემავალი აულებითურთ) ჩაჩნური მეტყველება სამწერლო ჩაჩნურთან (ბარის კილო) და შატრის კილოსთან (რომელზედაც ჩვენ გასულ წელს ემუშაობდით) კილოკაფურს მიმართებაშია, აულ ხოის მეტყველება მთის ჩაჩნური კილოა, ხოლო ბრაგუნის ჩაჩნ. მეტყველება სამწერლო, ბარის, კილოს მისდევს. ეს სავსებით გასაგებია, რადგან ჩაჩნეთის ტერიტორიის ამ ჩრდილოეთი ზოლის დასახლება სულ უკანასკნელი დროისათვის უნდა ვივარაუდოთ (შდრ. ამ მხრივ მხარის ტოპონომიკა, რომელიც ძირითადად ყუმუხურია), ხოლო მისი ამთვისებლები-კი იმავე ბარის ჩაჩნები არიან. ენობრივად საყურადღებო მასალები ხოის მთის ჩაჩნურმა კილომ მოგვცა იმ სამი დღის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შედეგადაც-კი, რომელიც ჩვენ ამ საინტერესო აულში დაყავით, სადაც

¹ წაკითხულია მოხსენებად ჟნიჰი-ში 25.X.1938 წ.

მიუხედავად უცხო ენობრივი გარემოცვისა (ბოთლივი ესაზღვრება, თუმცა მათ მთა-გადასავალი ყოფს) საყურადღებო ენობრივი არქაიზმები დადასტურდა, როგორც ლექსიკაში, ისე მორფოლოგიაში. ამა და დასახელებული კილოკავების სპეციალური გარჩევა ცალკე იქნება წარმოდგენილი.

ჩვენს ენუშაობაში უშუალო მიზნის გარდა (—ჩაჩნურის შესწავლა) ივარაუდებოდა გჟულდენშტედტისა და კლაპროთის ცნობილი ლექსიკური ჩანაწერების შემოწმება ცოცხალი ჩაჩნურის მიხედვით. აულ ხოის გარდა ჩვენი ენუშაობის ყველა დანარჩენ პუნქტში ეს ნაწილი შესრულებულია. ამ ხაზით შეიძლება აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოება: რამდენიმე სიტყვა მოეპოება ორივე მეცნიერს, რა სიტყვებიც აწინდელ ჩაჩნურში სხვა სიტყვებით არის წარმოდგენილი. გამოირკვა, რომ ეს ინგუშური სიტყვებია. ამისდაკვალობაზე შეიძლება დავუფიქრა, რომ ან გჟულდენშტედტისა და კლაპროთის ინფორმატორები ჩაჩნურის კარგად მცოდნე ინგუშები იყვნენ, ან ეს ვითარება გადმონაშთია იმ ისტორიული ექსპანსიისა, რომლის მიხედვით ინგუშთა მიწა-წყალი ჩაჩნეთის ტერიტორიის კარგა მოზრდილ მანძილზე ვრცელდებოდა.

პ. უსლარის გრამატიკისა და ლექსიკონის შემოწმებისას ჩვენ მიერ მოვიღოთ აულტში სხვათა შორის გამოირკვა, რომ ცოცხალ ჩაჩნურ მეტყველებაში აწმყო დროიანი წინადადების ტიპი ძირითადად მიმლეობიანია ან უფრო ზუსტად, აბსოლუტივის (უსლარით „депричастие“) ფორმა აწმყო დროის მიმლეობად ქცეულა და ამგვარად, ერთადერთი ბუნებრივი თქმა ჩაჩნისათვის დღეს არის:

სუო მოლლუშ ვუ ხი—მე ვსგამ წყალს.

... ოკუ სტაჟანა წიენუოშ დიეშ ბუ—... ამ კაცს სახლს უშენებს.

პასტუშ ეშუ ეუ სუო—წინდებს ვქსოვ მე.

ქარნიშ დეეშ ეუ—ხელთათმანებს ვქსოვ და ა. შ.

როგორც ჩანს, პ. უსლარის შემდგომ წინადადების ტიპი აწმყოში ძირითადად ცვლილა. საგანგებო ჩაკითხვა გვიხდებოდა, რომ გვეთქმევიანებინა „ლჰში თიეჟა“—გველი ხობავს, ას ლიეჟა ფონდურ—მე ვუკრაჟ ფანდურზე, სუო ნოუჟა ვუედე—მე გზაზე მივალ (я по дороге иду) და მისთანანი, რადგან ბუნებრივი პასუხი სისტემატურად იყო: ლჰში თიეჟაშ ბუ, სუო ფონდურ ლიოჟუშ ვუ, სუო ნოუჟა ეუედეშ ეუ და ა. შ. როგორც ვედენო, ხარაჟო-ბრაგუნში, ისე ხოიში აწმყო დროის წინადადების პირველ ტიპზე ჩვენმა ინფორმატორებმა აღნიშნეს, რომ ასე ძველად ლაპარაკობდნენ. წინადადების აგებულების ანალიზისათვის ეს უმნიშვნელო ფაქტი არ უნდა იყოს¹.

პ. უსლართანვე შედარებით, ცოცხალ მეტყველებაში ნათესაობითი ბრუნვის მაჩვენებელი განაზღვრული ხმოვანი მარტივი ხმოვანითა წარმოდგენილი შემთხვევათა უმრავლესობაში და, მაშასადამე, გვაქვს: გოურა ქუორთა—ცხენის თავი, მარჟანა მესსიშ დიეხი ეუ—მარიჯანის თმა გრძელია და ა. შ. ასევე არ ახლავს იგი ნათესაობითი ჩართული ჩუ ნაწილაკის (რომელიც სხვა ბრუნვებ-

¹ იგი უშუალოდ ებჯინება ერგატიული ბრუნვისა და წყობის ხმარების წესს. რაზედაც სხვაგან.

შიც გასდევს) უ-ს და, ამგვარად, არის ოცუ ძუღრუ მანრა ლეგინ ეუ—ამ ქალის ქმარი მაღალია, სან ლულახუორუ კანთუ დიკი დირშუ—ჩემი მეზობლის შვილი კარგად სწავლობს და სხე... ნაზალი ხმოვანი გამარტივებულია აგრეთვე ზედსართავ სახელებშიც; მტკიცედა იგი დაცული კუთვნილებით ნაცვალსახელებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩაწერილია ტექსტები რვეულის 100 გვერდის რაოდენობით, ფრაზეოლოგიური მასალა (გრამატიკ. სქემებისათვის) აგრეთვე 100 გვერდამდე, ლექსიკური მასალა 3000 სიტყვის რაოდენობით და 100-მდე ანდაზა; შემოწმებულია მოვლილი მხარის ტოპონიმთა 5 ვერსიანი რუკის მიხედვით.

თემატიკურად ყურადღებას იქცევს ხალხური სიბრძნის ისეთი თქმები, როგორცაა: ღუკვა ყიენჩაჟ ციციგ ვუო, დანკა ცა ლანსნა—ბევრის მჩხაენა კატამ თავგი ვერ დაიკირა; ალაზა დისინარ დეტტონ, ცვ ალიშ—დემუან—რაც არ თქვი, ვერცხლია, რასაც არ ამბობ—ოქროა (შდრ. ქართ. „ბრძნად მეტყველება ვეცხლი არს წმიდა, ხოლო დემილი ოქრო რჩეული“); ხაზრუ დემუო ყურგირი ლანში ბეკვინა—„ტკბილად მოუბარმა ხერელიდან გველი ამოიყვანა“; ხი დანანა—ტულგ ბისინა—„წყალი წავიდა, ქვა დარჩა“; ბჟასტიე ცა დინარ, გურაჰმ კარორ დაც—„რაც გაზაფხულს არ დასთესე, შემოდგომით ვერ ნახავ“; ჰმო ცჰმოგალ დელა ჰაყა, სუო ცხუოგალა წოგუ დუ—„შენ თუ მეღა ხარ, მე მელის კული“; ეზერზჰ ჰმაყა, წყა ხანდა დიე—ათასჯერ შეხედე, ერთხელ გაღას-ქერ და სხე.

დ. იმნაიშვილი

საანგარიშო მოხსენება ინგუშურ ენაზე მუშაობის შესახებ¹

1938 წლის 19 ივლისიდან 15 სექტემბრამდე ვიყავი ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ ჩაჩენთ-ინგუშეთის ასსრ-ში, სოფ. ბალთასა და ფორტაუგში ინგუშური ენის შესასწავლად.

მივლინების მიზანი იყო გავცნობოდი ინგუშურ ენას: მის ბგერით მხარეს, ელემენტარულ გრამატიკულ კატეგორიებს (სახელთა ბრუნება, ზმნის უღვლილება) და შეძლებისდაგვარად ჩამეწერა ინგუშური მეტყველების მარტივი ნიმუშები.

ტფილისიდან 25 ივლისს გავემგზავრე. 25 ივლისს, სალამოს, ქ. ორჯონიკიძეში ჩავედი. 26 ივლისს მივედი ინგუშეთის რაილმასკომის თავმჯდომარესთან სარეკომენდაციო ბარათისა და სხვა დახმარების მისაღებად. რაილმასკომის თავმჯდომარე ანხ. შადიევისაგან მივიღე მიმართვა რიდანტისა და ჯერახის სოფსაბჭოების სახელზე. მიმართვაში ანხ. შადიევი ავალბდა სოფსაბჭოს თავმჯდომარეებს აღმოეჩინათ ჩემთვის სათანადო დახმარება.

მეორე დღეს, 27 ივლისს, სოფ. ბალთაში ჩავედი. ვიშოვნე ბინა ერთი ინგუშის ოჯახში და შევეუდექი მუშაობას.

სოფ. ბალთა ორ ნაწილად იყოფა: ზემო ნაწილი, რომელიც მთის კალთაზეა გაშენებული, და ქვემო ნაწილი, რომელიც საქ. სამხედრო გზის ორივე მხარესაა გაშენებული. ზემო ნაწილში ქართველები და ოსები ცხოვრობენ, ქვემოში კი—მხოლოდ ინგუშები. ინგუშური მოსახლეობა 60 კომლამდეა, ამდენივე იქნება ოსობა და ქართველობა ერთად. აქაური ქართველების გადმოცემით, ბალთაში პირველად მხოლოდ ქართველები ყოფილან, ინგუშები კი დაახლოებით 30 წლის წინ ჩამოსულან სხვადასხვა სოფლებიდან. სოფ. ფორტაუგი, რომელშიც მუშაობას ვაპირებდი, ძლიერ პატარა სოფელი გამოდგა. სულ 7—8 კომლი ცხოვრობსო, გადმომცეს ბალთელებმა. არც ფორტაუგის მახლობლად არსებული სოფლები ყოფილან ფორტაუგზე უფრო დიდი; ამიტომ ამ თვე ნახევრის განმავლობაში სოფ. ბალთაში მუშაობა გადავწყვიტე.

¹ წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ში 13.XI.1938 წ.

ინფორმატორ-მასწავლებლად ერთი ინგუში, ყოფილი მასწავლებელი: აშხ. ინალიევი ავიყვანე. ინფორმატორმა კარგად იცოდა რუსული, ინგუშური, ოსური და ჩაჩნური ენები და ვერკვეოდა რუსული ენის ზოგ გრამატიკულ კატეგორიებშიც.

ამ ინფორმატორის გარდა მყავდა სხვა ინფორმატორებიც, რომელთაც ინგუშური და ქართული ენა კარგად იცოდნენ და ხელს მიწყობდნენ ინგუშური ფრაზებისა და გამოთქმის ზედმიწევნით დამუშავება-გაგებაში. ამ ინფორმატორთაგან ზოგნი ქართველები იყვნენ, რომელთაც სალაპარაკოდ კარგად შეესწავლათ ინგუშური ენა, ხოლო სხვა მხრივ დახმარება მათ არ შეეძლოთ. მიუხედავად ამისა აშხ. ინალიევთან 20 დღის მუშაობის შემდეგ შემეძლო ინგუშური წინადადების ჩაწერა.

მთლიანად ჩემი მუშაობა შემდეგნაირად მიიმართებოდა: პირველ ხანებში ყურს ეუფდებდი ინგუშურ სიტყვათა გამოთქმას, ვცდილობდი გავრკვეულიყავი ბგერითს შედგენილობაში, ამასთანავე ვიწერდი საგნის სახელებს და ყოველდღიურ სიტყვა-ხმარებაში არსებულ ზმნებს, ვარკვევდი სახელთა ბრუნებასა და ზმნის დროებს.

მოგვიანებით დავიწყე I ჯგუფის სახელმძღვანელოების დამუშავება. ამ სახის მუშაობა პირველ ხანებში უფრო ძნელი გამოდგა, რადგან ინგუშური ბგერების ლათინური ასოებით გადმოცემა ვერ ხერხდება ზედმიწევნით, ამასთანავე გრამატიკული კატეგორიების კარგი ცოდნა იყო საჭირო, რომ სულ მარტივ ინგუშურ წინადადებაში გავრკვეულიყავი; ამიტომ შემდეგი ჩემი მუშაობა გრამატიკული კატეგორიების შეთვისება-დამუშავებისა და სიტყვების სწორად გამოთქმაში ვარჯიშისაკენ წარიმართა.

დავამუშავე პირველი ჯგუფის სამი სახელმძღვანელო, რომელიც სხვადასხვა დროსაა გამოცემული და სხვადასხვა ლექსიკურ მარაგს შეიცავს. მივლინებაში დაერჩი 14 სექტემბრამდე. ბოლო ხანებში ვაწარმოებდი პატარა ტექსტების ჩაწერას. ტექსტებს უმეტესად ინფორმატორისაგან ვიწერდი, ვარჩევდი ამ ტექსტებს გრამატიკულად და ვადგენდი ლექსიკონს. ჩავიწერე სხვადასხვა სახის ტექსტი სულ 30 გვერდის რაოდენობით.

გრამატიკული კატეგორიების შესწავლა-დამუშავებისას ვხელმძღვანელობდი ზ. მალსაგოვის „ინგუშური გრამატიკით“. მივლინების პერიოდში დავამუშავე ეს შრომა მთლიანად და ვცდილობდი გამერკვია, თუ რამდენად ეთანხმება ამ წიგნში მოცემული გრამატიკული კატეგორიები ცოცხალ ინგუშურ მეტყველებას და რამდენად ზუსტადაა დამუშავებული ესა თუ ის საკითხი. ყველა იმ გრამატიკული საკითხის განხილვას, რომელიც წამოიჭრა, აქ არ შეეუდგები.

ბგერითი შედგენილობის მხრივ ინგუშურს მოეპოება ისეთი ბგერები, რომლებიც ახალი სალიტერატურო ქართულისთვის უცხოა; ასეთი განსხვავებული ბგერებია:

თანხმოვნები: ჯ, ჰჰ, ყ, ფ და სპეციფიკური ყრუ-ფშვინვიერი—ფჰ, თჰ, ქჰ.

ხმოვნები: უმლაუტიანი ხმოვნები ა, ო, უ.

სუსტი ხმოვანი ა

დიფთონგები: აე, აუ, უო, ოუ
 აა, ეა, ოა, უა, ია
 აა, აე, აო, აუ, აი

ზემოაღნიშნულ ბგერათაგან ჯ ახლაც გააჩნია ქართული ენის ზოგ კილოს, ზოგი ბგერა ა, ო, უ, ქართველური ჯგუფის სხვა ენას მოეპოება, ხოლო ზოგი— ყველა ქართველური ენისათვის უცხოა.

1. ჰა ნიშნით გადმოცემული ბგერა, რომელიც არაბული ჯ ბგერის მსგავსი ბგერაა, ქართველური ჯგუფის არც ერთ ენას არ მოეპოება.

2. ქართულთან შედარებით განსხვავებულ ელფერს ატარებს ქ, თ, ფ ბგერების გამოთქმა. ეს ბგერები ნაწილობრივ ჰქარგავენ ფშინეიერობას და ყოუ ქ, ტ, პ ბგერებისაკენ არიან გადახრილი, ეს იყო მიზეზი, რომ პირველ ხანებში ამ ბგერების მაგიერ ხან ქართულ ქ, თ, ფ ბგერებს ვწერდი, ხოლო ხან კ, ტ, პ ბგერებს, სინამდვილეში ეს ბგერები არც ქართული ქ, თ, ფ ბგერაა და არც კ, ტ, პ, არამედ საშუალო ადგილი უჭირავს ამ ბგერებს შორის.

3. ხმოვნებიდან ყველაზე ძნელი გასარჩევია სუსტი ა (ა) უმლაუტიან ა-საგან (ა). პირველი (ა) თითქმის მეორეს (ა) დასუსტებულ სახეობას წარმოადგენს. ამასთანავე, სუსტ ა-ს ყველა ხმოვანზე მეტად მოსდის რედუქცია, იგი ერთმარცვლიან სიტყვაშიც კი იქარგება, მაგალითად, ნაცვლად წან (წმინდა) სიტყვისა გამოთქმაში წან ისმის.

4. აე და უო—დიფთონგი, როგორც მალსაგოვის გრამატიკაში, ისე სახელმძღვანელოებშიაც, ზოგჯერ ლათინური e და o ნიშნითაა გადმოცემული. დიფთონგი გამოთქმაში ძლიერ ჰგავს უმლაუტიან ა-ს; უქანასკნელი, როგორც წინათ აღვნიშნეთ, სუსტ ა-სა (ა) ჰგავს, ამიტომ პირველ ხანებში ამ სამი ბგერის განსხვავება მიჭირდა, იმ ადგილას, სადაც აე-დიფთონგი იყო საჭირო, უმლაუტიან ა-სა ვწერდი და პირიქით.

5. დასასრულ: ინგუშურს მეგრულის მსგავსი ყ ბგერაც მოეპოება, იგი ისმის როგორც ხმოვნის წინ, ისე თანხმოვნის წინაც, როგორც სიტყვის თავში, ისე შუაში და ბოლოში, მაგალითად:

ყ გ ზ (ის) ყეაშ (ისინი)

ნ ი ყ (კარი) ნაყარაშ (კარები) და სხვა.

არსებითი სახელები ზ. მალსაგოვს ორ ბრუნებად აქვს გაყოფილი. პირველ ბრუნებაში შედის თანხმოვნით დამთავრებული არსებითი სახელები, მეორეში—ხმოვნით დამთავრებული არსებითი სახელები; ცალკე აქვს მას გამოყოფილი „უქანონო ბრუნება“, ამაში შეაქვს ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნისანი სახელები, რომლებიც სხვა არსებით სახელებთან შედარებით ზოგ თავისებურებას იჩენს. პირველი ბრუნება ორ ჯგუფად აქვს დაყოფილი (იხ. З. Малъсагов „Ингушская грамматика“, გვ. 29). მეორე ბრუნებაში შეაქვს ხმოვნით დამთავრებული არსებითი სახელები. ეს ბრუნება სამ ჯგუფად აქვს დაყოფილი. პირველ ჯგუფში ო-სა, ი-სა და ე-ზე დამთავრებულ არსებითი სახელები შეაქვს, მეორე ჯგუფში კი ა-ზე დამთავრებული არსებით სახელებს ასახელებს. რაც შეეხება ამ ბრუნების მესამე წევრს, ამ ჯგუფის სახელები არსებით სახელთა ბრუნებაში შეცთომითაა შემოტანილი, რადგანაც ამ ჯგუფის სახელები იბრუნებიან

ისევე, როგორც ზედსართავი სახელები; ეს სახელები არსებით სახელად ქცეული ზედსართავი სახელები უნდა იყოს, რომელთაც დაჰკარგეს ზედსართავობის მნიშვნელობა და მსაზღვრელად აღარ არიან გამოყენებული, ხოლო ფორმით ისევე ზედსართავ სახელებივით იბრუნვიან.

მეორე ბრუნების მეორე ჯგუფის სიტყვები (იხ. 37 გვ. „ლათა“ სიტყვის ბრუნება) მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ბრუნვათა სხვადასხვაობას იჩენენ, მაინც პირველ ბრუნებაშია შესატანი, რადგან უმეტესად პირველი ბრუნების „ლოამ“ (მთა) სიტყვის მსგავსად იბრუნვიან.

ზ. მალსაგოვი თავის გრამატიკაში 16 ბრუნვას აღნიშნავს, ამათგან ათ ბრუნვას ძირითად ბრუნვებს უწოდებს, ხოლო დანარჩენ ექვს ბრუნვას ასე ახასიათებს: „Выше было сказано, что кроме десяти падежей в ингушском языке есть несколько падежей, менее употребительных; падежей этих шесть“ (გვ. 41).

ამ ბრუნვათა მალსაგოვისებური გაგება არაა სწორი, რადგანაც საუბარში თუ წიგნებში ყველაზე მეტად ეს ფორმები გამოყენებული და ამდენად არ შეიძლება ნაკლებად სახმარი ფორმები ვუწოდოთ. არც ძირითად ბრუნვათა რაოდენობა უნდა იყოს ზუსტი. ამ ბრუნვათა შორის ზოგი ბრუნვა ნაწარმოები ბრუნვაა. მაგალითად, დაშორებითი ბრუნვა (удаляющий) იწარმოება მიმართულებითი (направляющий) ბრუნვისაგან რა ფორმანტის დართვით.

მიმართ. ლოამზ-ვ

დაშორ. ლოამზ-ვ-რზ

აღმოცენებითი (извлекающий) ბრუნვა იწარმოება შეცულობითი (закрывающий) ბრუნვისაგან სუსტი ა-ს დართვით.

მაგ. შეც. ლოამ-ვ -ხ

აღმ. ლოამზ-ვ

არც შედარებითი (сравнительный) და შეცულობითი ბრუნვები უნდა იყოს ძირითადი ბრუნვები; ისინი ნათესაობითი ბრუნვიდან არიან ნაწარმოები. შედარებითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდობითს რიცხვში -ლ არის და არა აღ-, როგორც ზ. მალსაგოვი ვარაუდობს;—მრავლობითში—ელ. შეცულობითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდობითს რიცხვში ხ არის. მრავლობითში—ეხ. ამ ნიშნების წინ მხოლოდობითს რიცხვში სუსტი ვ ჩნდება, რაც ნათესაობითი ბრუნვის მაწარმოებელი ა არის. ამ დებულებას შემდეგი მაგალითები ამტკიცებს:

მხ. რიცხვ. ნათ. ლოამ-ვ

შეცულ. ლოამ-ვ-ხ

შედარ. ლოამ-ვ-დ

მრ. რიცხვ. ნათ. ლოამზ

შეც. ლოამა-ეხ

შედ. ლოამა-ელ

თითქოს ამ დებულების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ო-სა, უ-სა და ი-ზე დამთავრებული ორ ან მეტმარცვლიანი სიტყვები, რადგანაც ამ სახელებს მხოლოდობითი რიცხვის ნათესაობითს ბრუნვაში ნ მოუდის, ხოლო შედარებითსა და შეცულობითს ბრუნვაში ვ ჩნდება:

ნათ. სერდალონ (სინათლის)

შედ. სერდალონ-ა-ლ

შეც. სერდალონ-აზ

ამ ჯგუფის სიტყვებში, ჩვენის აზრით, ნათესაობითს ბრუნვაში დაკარგული ადღა, ხოლო ნ-ს ფუძისეული ხმოვნისა და ნათესაობითი ბრუნვის მაწარ-პოებელ ა-ს დამაშორებლობის ფუნქცია უნდა ჰქონოდა. ეს ფუნქცია არაა ნათესის უცხო, პირიქით, ჩაჩნურსა და წოვა-თუშურს ენებში ნ-ს, უმეტესად, ხმოვანთ-გასაყარის ფუნქცია აქვს მინიჭებული.

ამ ნაწარმოებ ბრუნვებს სხვა ფორმებიც მოეპოება, რომლებიც შედარებით ნაკლებადაა გამოყენებული; ამასთანავე ზოგი ამ პარალელურ ფორმათაგანი-ფონეტიკური სახეცელის ნიადაგზე უნდა იყოს მიღებული, ამიტომ მათ გარკვევას აქ არ შევეუდგები.

საჭიროა ორიოდ შენიშვნა ნაცვალსახელების შესახებაც. პირთა ნაცვალსახელები ზ. მალსაგოვს შემდეგნაირად აქვს დაბრუნებული (იხ. 52 გვ.).

სახ. სო (მე)

ნათ. სდ

მიც. სონა

მოქ. ას

კავშ. სოცა

მიმარ. სოგა და ა. შ.

სოფ. ბალთის ინგუშური მეტყველება ასეთ ბრუნებას არ ადასტურებს; ასე, მაგალითად, პირველი პირის ნაცვალსახელი სო ნათესაობითს ბრუნვაში არ გამოითქმის როგორც სი, არამედ გარკვევით ისმის სა; მიცემითს ბრუნვაში ნაცვალად სონა- ფორმისა გვხვდება სონ, ზოგჯერ აქ უ-საც რედუქცია მოსდის და სნ ისმის.

მაგ. სგნ დგეზ დგეშა ლალღა მთოთო

-მე მინდა სწავლა ინგუშური ენისა. ეგვევ ითქმის კავშირებითი (союзный) და მიმართულებითი ბრუნვების შესახებ. მოქმედებითს ბრუნვაშიც სოფ. ბალთაში ნაცვალად ას-ფორმისა აზ ისმის. მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნვაც ანალოგიურ სხვაობას იძლევა.

სხვა კავკასიური ენების მსგავსად ინგუშურს კლას-კატეგორიაც მოეპოება. საგნების კლასებად დაყოფა სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდებოდეს. ინგუშური I და II კლასის სახელები გარკვეულია: პირველი კლასი მამრობითისაა, მეორე — მდედრობითის; დანარჩენი ოთხი კლასის საკითხი გამოსარკვევია, თუმცა მალსაგოვი ცდილობს სახელები ფორმის მიხედვით მიაქუთვნოს ამა თუ იმ კლასს, მაგრამ ეს საკითხი არაა საბოლოოდ გარკვეული.

გარჩეულია ექვსი კლასი;

მხოლ. ეა ეა ბა ეა ბა და

1—2 პირი: და და და ეა ბა და

წაგ.

3 პირი: ბა ბა

(იხ. З. Мальсагов, „Ингушская грамматика“ გვ. 119).

კლას-კატეგორიის ზემოაღნიშნული ნიშნები ზმნაშია გამოხატული. სახელთაგან იგი ზოგ არსებით სახელსა და რიცხვით სახელს მოეპოვება:

მაგ. ვოშა (ძმა)

მოშა (და) და სხვა.

კლას-კატეგორიის ნიშნებს ზმნაში აჩენს სუბიექტი, თუ ზმნა გარდაუქვლია, და რეალური ობიექტი, თუ ზმნა გარდამავალია, მაგ.

1. სო ვ-უდ—მივდივარ (მამაკაცი)

სო ა-უდ—მივდივარ (დედაკაცი)

2. ყაზ ლათოთაშ დოახ (მე მიწას ვხნავ). უკანასკნელ მაგალითში ზმნა გარდამავალია და ასეთს შემთხვევაში, ჩვეულებრივ, რეალური სუბიექტი ერგატული ბრუნვითაა გამოხატული, ხოლო რეალური ობიექტი სახელობით ბრუნვითა და ზმნაშიც კლას-კატეგორიის ნიშანს აჩენს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აწმყო დროში კლას-კატეგორიის გამოხატვის უნარი მხოლოდ ზმნის ხმოვნით დაწყებულ ფუძეს გააჩნია.

ამ საკითხებთან ბევრი სხვა საკითხიცაა დაკავშირებული; მათი გადაწყვეტა მოითხოვს ინგუშური ენის საფუძვლიან შესწავლასა და მის შედარებას მონათესავე ენებთან. ეს მომავლის საქმეა.

მ. გაფრინდაშვილი

საანგარიშო მოხსენება დარბაზულ ენაზე ჩატარებული მუშაობისა

1938 წ. 17 ივლისს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა $1\frac{1}{2}$, თვით მიმავლინა დლისტინის ასს რესპუბლიკაში—აკუშა-ლევაშში დარგულ ენაზე სამუშაოდ.

მივლინების მიზანი იყო გავცნობოდი დარგულ მეტყველებას, გამედრმავებინა ამ ენის გრამატიკული ცოდნა და დამედლია სპეციფიკური ბგერების გამოთქმა.

18 ივლისს გავედი ტფილისიდან; მეორე დღეს, სალ. 7 საათზე, უკვე მახაყალაში ვიყავი. 20 ივლისს გამოვცხადდი განათლების სახალხო კომისარიატში. კომისარის მოადგილემ ფრიად თავაზიანად მიმიღო და აღმითქვა ყოველგვარი დახმარება. მანვე მიმითითა დარგული ენის სპეციალისტებზე, საი დ იმაროვსა და საი დ აბ დ უ ლ ა ე ვ ზ ე, რომელთაც შეეძლოთ ჩემთვის დახმარების გაწევა.

საი დ იმაროვს მთავე წყლებზე სააგარაკოდ გამგზავრების წინ მივესწარი. მან ხანგრძლივ საუბარში მომცა რჩევადარიგებანი და მიმითითა საი დ აბ დ უ ლ ა ე ვ ზ ე (ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში), რომელიც მის მაგივრობას გამიწვედა.

საი დ აბ დ უ ლ ა ე ვ ი ს რჩევით გადავწყვიტე ათიოდე დღით მახაყალაში დარჩენილიყავი, რომ მესარგებლა მისი დახმარებით; იგი შემპირდა აგრეთვე ენზე დარგუელის შოვნას—ურახლის თემიდან. აბ დ უ ლ ა ე ვ თ ა ნ საუბარში გამოიჩკვა, რომ ჩემი წასვლა აკუშა-ლევაშში უფრო ნაკლებ ნაყოფს გამოიღებდა, ვინემ რომელიმე ურახლელთან მუშაობა. რადგანაც მე მხოლოდ უსლარის და ჭირკოვის მასალებს ვიცნობდი (ამ უკანასკნელთ ურახლის მეტყველების ნიმუშები აქვთ მოცემული); აკუშურ-ლევაშური დიალექტი კი, აბდულაევის მტკიცებით, საგრძნობ განსხვავებას გვიჩვენებს ურახლის მეტყველებასთან შედარებით.

მაინც გადავწყვიტე დასახვერავად წავსულიყავ ლევაშში, საითკენაც 25 ივლისს ბუინაქსზე გავლით გავემგზავრე. სამწუხაროდ, ავტობუსების მოძრაობა შეფერხებული იყო და უკან, მახაყალაში, დაბრუნება მომიხდა და იქ განვაგრძე მუშაობა (28 ავვისტომდის).

ვიშოვე დარგული მოჰამედ ალიევი, რომელთანაც ვმუშაობდი. ჩემი მთქმელი გრამატიკულად ნაკლებ განსწავლილი იყო, ამიტომ პირველ ხანებში ხში-

რად მიხედვითა ს ა ი დ ა ბ დ უ ლ ა ე ე ს შ ე წ უ ხ ე ბ ა , როპელიც მუდამ დაუზარებლად მიწვედა დახმარებას.

ჩემი მეცადინეობა ამგვარად წარმოებდა: ვილებდი უსლარის მასალებს (ტექსტები, ფრაზეოლოგია) ვუკითხავდი ჩემს მთქმელს, ის კი გამოთქმას მისწორებდა. პირველ ხანებში ჩემი წაკითხვა იმდენად დაშორებული იყო ბუნებრივ გამოთქმას, რომ იძულებული ვიყავი მთქმელისთვის სიტყვის მნიშვნელობაც გადამეცა რუსულად (რუსული გვარიანად იცოდა), რომ მიმხედარიყო რომელ სიტყვას გამოეთქვამდი. ათიოდე დღის შემდეგ კი ასეთი „წვალება“ აღარ მჭირდებოდა.

დავამუშავე უსლარის ლექსიკონი (187 გვ.) ანდაზები (30), ტექსტები (48 გვ.); ჟი რ კ ო ვ ი ს წ ი გ ნ ი დ ა ნ : „Граммати́ка да́ргинского язы́ка“ — ბათიარის სიმღერები № № 1, 2, 3, 4.

ღარგუული ენა ოთხ გრამატიკულ კატეგორიას განასხვავებს. სახელთა სამყარო ორ ძირითად ჯგუფად განიყოფება: გონიერთა და უგუნურთა კლასად. პირველ მათგანში აღამიანებია გაერთიანებული; გონიერთა კლასი ორი კატეგორიის სიტყვებს შეიცავს: 1. მამაკაცებისა და 2. ქალებისას. უგუნურთა კლასში თავმოყრილი სიტყვებიც ორ გრამატიკულ კატეგორიად განიყოფება: 1. ნივთთა კატეგორიად, რომელსაც უმთავრესად აღამიანის მოსახმარი საგნები განეკუთვნებიან. (მაგ.: ში'—ყინული; ნი'—რძე; შინ—წყალი და სხ.) ეს კატეგორია უცვლელი კატეგორიის ნიშნებით: დ-თი და -რ-თი წარმოავიდგება. 2. ცხოველთა და მცენარეთა კატეგორიად, სადაც თავს იყრის საგნები ნივთთა სამყაროდანაც.

მამაკაცთა (გონიერთა კლასი) კატეგორიის ნიშანია ჟ (მხოლ. რიცხვ. -დ, -რ (მრ. რიცხვის I—II პირის ფორმებთან და -ვა¹ (რომელიც მრავლობითი რიცხვის III პირის გამომხატველ ფორმებს მოუღდის).

აღამიანი ქალების კატეგორიის ნიშანი, როგორც მხოლოდობითი რიცხვის ყველა პირის, ისე მრავლობითი რიცხვის I—II პირის ფორმებთან დ- და რ არის. მრავლ. რიცხ. III პირის ფორმებში იგი მამაკაცთა კატეგორიასთან შედარებით განსხვავებას არ გვიჩვენებს: -ვა.

უგუნურთა კლასიდან ნივთთა კატეგორიას ყველა რიცხვისა და პირის ფორმებთან დ- და -რ მოუღდის, ცხოველთა და მცენარეთა კატეგორიას კი—მხოლ. რიცხვის ფორმებთან ვა აქვს, მრავლობითი რიცხვის ყველა პირის ფორმებთან—დ- და -რ².

¹ ვ და ზ ღარგულში გარჩეული არაა. უსლარის და ჟი რ კ ო ვ ი ს ტ რ ა ნ ს კ რ ი ფ ე ე ი ს მ-ს პირობითად ვა—[ვ მაგარი] გადმოცემთ.

² დ- და -რ ერთი გრამატიკული ოდენობის ორი, ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოშობილი ნაირსახეობა უნდა იყოს. ჩვეულებრივად დ- სიტყვას თავში მოუღდის, -რ კი ბოლოში. უნდა ვიფიქროთ, რომ ისტორიულად დ-ს ნაცვლად რ- უნდა ეყოფილიყ. ამას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ სიტყვას კატეგორიის გაქვევებულ ნიშნად სიტყვის თავში სწორედ ეს რ- შემოუნახაეს, მაგ.: რ-უძი—და, сестра (შდრ. უძი—ძმა). რ-ურსი—ქალიშვილი, лоды, дёвица (შდრ. ურში—ვაიშვილი, саш). ენის განვითარების პროცესში გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად თავიედური რ- დ-ს შეუცვლია, მხოლოდ ზოგ სიტყვას, რომელთაც ორგანულად შეუსისხლბორცებით ეს კატეგორიის ნიშანი, შემოუნახავთ ის დღემდე.

კატეგორიის ნიშნები მოუდისთ:

ა) ზელხართავებს. მაგ.: უცნა ადაშ'ილი < ჟ-უცნა ადაშ'ილი—მოხუცი კაცი: დ-უცნა გუნულ—მოხუცი ქალი; ვა-უცნა ვატა—ბებერი კატა. ჟ-ალქაა

ადაშ'ილი—კოკლი კაცი; დ-ალქაა გუნულ—კოკლი ქალი.

ბ) ზოგ სახელ არსებითებს: მაგ.: ჟ-წხა—სახე, რომელიც ეკუთვნის მამაკაცს. დ-წხა—სახე ქალისა. ვა-წხა—სახე რომელიმე ცხოველისა.¹

გ) ზმნის პირიან ფორმებს:

მხოლოობითი რიცხვი

მამაკ.	ქალთა	ცხოველთა	
1. ნუ სადრა > სა-ჟ-დ-რა *	—სა-რ-რა	სა-ვა-რა	მე ვარ
ხუ სადრი > სა-ჟ-დ-რი *	—სა-რ-რი	სა-ვა-რი	შენ ხარ
პით სად > სა-ჟ-ი *	სა-რ-ი	სა-ვა-ი	ის არის

მრავლობითი რიცხვი

მამაკაცთა	ქალთა	ცხოველთა	
ნუშა	სა-რ-რა	—სა-რ-რა	ჩვენ ვართ
ხუშა	სა-რ-რა	—სა-რ-რა	თქვენ ხართ
პით-თ-ი	სა-ვა-ი	—სა-რ-ი	ისინი არიან

გარდამავალ ზნებში წარმოდგენილია ხოლმე ობიექტის კლას-კატეგორიის ნიშანიც:

ნაივა-ლი ჟ-აღჭულ-ლა ნუ—ნაიბი მთრგუნავს მე; ნაივა-ლი დ-აღჭულ-ლა გუნულ—ნაიბი თრგუნავს ქალს; ნაივა-ლი ვა-აღჭულ-ლა ყარ—ნაიბი თელავს ბალახს.

(ნაიბ-ლი ერგატივის ფორმაა. უსლართ თворительный падеж, უირკოვის მიხედვით აქტიუუსი; ჟ-, დ-, ვა- კატეგორიების ნიშნები. ზმნურ ფორმებში: ჟ-აღჭულ-ლა, დ-აღჭულ-ლა, ვა-აღჭულ-ლა, —ლა I პირის აღმნიშვნელი -რა არის, სადაც „ლ“-ს მეზობლობით „რ“-მ ასიმილატია განიცადა).

დ) ლოკატიურ ბრუნვათა ფორმებს

მაგალითად:

ნუ ჟაწალიზი-ჟი სააჩა—ნე (კაცი) ტყეში ვიყოფები. [ჟაწა—ტყე. ჟაწა-

¹ ლ. უირკოვი თავის წიგნში „Грамматика даргинского языка“ აღნიშნავს, რომ კატეგორიის ნიშნები მოუდისთ სახელ არსებითებს, რომლებიც განსახლებული არიან კუთვნილებითი ნაცვალ სახელებით და ასახელებს მაგალითებს: დილა დ-წხა—ჩემი სახე (ქალისა), დილა ჟ-წხა—ჩემი სახე (მამაკაცის) ავალა დ-წხა—დედის სახე, ავალა ჟ-წხა—მამის სახე და ს. მგვრამ არ არის აუცილებელი, რომ ამ სიტყვის ამგვარად ხმარებას კუთვნილებითი ნაცვალ-სახელი ახლდეს. თითონ ჟ-, დ-, ვა-მიუთითებს იმაზე, თუ ვისია ეს სახე, მამაკაცის, დედაკაცისა თუ ცხოველის. მაგ.: ჯაგაღ დ-წხაჲა ხარი პით—იგი (ქალი) მშვენიერი სახის არის. ჯაწაჲა სიტყვაში დ- კატეგორიის ნიშანია -წხა- ძირია, -ლა კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

ლი-ზი-ჭ—ადგილობრითი ბრუნვაა ერგატივის ფორმაზე (ჭაწა-ლი) მოქმედების მიმართების ფორმანტის (-ზი) და კატეგორიის ნიშნის (ჭ) დამატებით. ამგვარი კატეგორიის ნიშან-მიმატებული ფორმები ადგილზე სტატიკურად მყოფობას აღნიშნავენ].

ნუ ჭაწალიზი-რ სა-რ-რა—მე (ქალი) ტყეში ვიმყოფები.

ვიწ ჭაწალიზი-რ სა-ვა-ი—მგელი ტყეში არის.

ცა ხაშხარა ჭაღლირა ცა აჭლაკლიში-რ დუული სა-რ-ი—ერთი ვირი [და] აქლემი[და] ერთ მინდორზე მცხოვრები [живя] არიან. [აჭლაჯ—მინდორი. აჭლაჯ-ლი-ში—მინდორზე აჭლაჯ-ლი-ში-რ—მინდორზე მყოფი უგუნურთა კლასის, II კატეგორიის საგანი (კატეგორიის ნიშანი -რ, მრავლობით რიცხვში ერთია უგუნურთა კლასის I და II კატეგორიისთვის) დ-უული აბსოლუტივის ფორმაა აწმყო დროისა უის ზმნისაგან. დ- კატეგორიის ნიშანია, რომელიც სიტყვის თავში იხმარება (შდრ. აჭლაკლიში-რ და დ-უული. ერთი და იგივე კატეგორია წარმოდგენილია ორი ნიშნით „დ“ და „-რ“-თი)

ბ რ უ ნ ე ბ ა

უსლარი დარგული ბრუნების შესახებ წერდა: „Падежи, встречающиеся в хюркилинском языке, могут быть подведены под две категории. Первая категория включает в себе падежи, обозначающие отвлеченные отношения, вторая—падежи, обозначающие относительное положение в пространстве. Падежи второй категории обозначают также множество отвлеченных отношений, но во всяком случае местная основа их очевидна: такового рода падежи назовем мы вообще местными“ (Услар „Этнография Кавказа“—Хюркилинский язык, стр. 15). ამის შემდეგ იგი ასახელებს რვა ბრუნვას (именительный, равняющий, уподобляющий, тождественный, уступающий, творительный, родительный и дательный).

უსლარის მიერ დასახელებული რვა ბრუნვიდან ოთხი იწარმოება ფუძეზე (resp. სახელობითი ბრუნვა) მთელი, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების დართვით¹.

მაგ.:	Уподобляющий	$\sqrt{+}$	ლუნა (მრ. ლუნ-თი)
	Тождественный	$\sqrt{+}$	ოან
	Уступающий	$\sqrt{+}$	იეში-ჭ (-რ, -ვა)
	Равняющий	$\sqrt{+}$	ცად

ლ. უიკოვი დარგული ენის ბრუნვებად სამართლიანად გამოყოფს ოთხ ბრუნვას. ეს ბრუნვებია: სახელობითი, აქტივუსი, მიცემითი და ნათესაობითი.

¹ ლუნა—მსგავსი, подобный; ცად—ოდენა; ოან—როგორც (как); იეში-ჭ || იეში-ვა || იეში-რ—ვიდრე. მაგ.: ხუ ო ლუნა—შენი მსგავსი, შენნაირი; ჰით დურხუჭ უშილუნა ხაა—ეს ბავშვი ძმასავითაა (ძმას ჰგავს); ხი—რა? ხიცად —რამდენი>რაოდენი. ნუცად—ჩემოდენა. ნაფოან—ნათესაობით. ავმაჰშირ რურს დუხულ ხარი—ვიდრ ედედა, ქალიშვილი ჰკვიანი არის, ე. ი. ქალიშვილი დედაზე უფრო ჰკვიანია.

ვირკოვის ტერმინოლოგიით აქტიუფსი იმ ბრუნვას ეწოდება, რომელსაც უხლარი მოქმედებით ბრუნვას (творительный падеж) ეძახდა.

სახელობით ბრუნვას სპეციალური ფორმანტი არ გააჩნია, იგი წმინდა ფუძეს წარმოგვიდგენს. ამ მხრივ იგი ჩვენს წარფელობით ბრუნვას უდრის.

სახელი არსებობების ერთი, ძალიან დიდი ჯგუფი მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმაზე (ე. ი. ფუძეზე) -ლი-ს დართვით შესაბამი რიცხვის ერგატივს (აქტიუფსი, творительный падеж) აწარმოებს. ამ ბრუნვას აქვს ემფატიკური ფორმებიც: -ლიინ; ლიინი¹. ერგატივის ფორმანტად გვხვდება -ან ემფატიკური ფორმებით: -ანი; — ემფატიკური სახეებით: -ა'ინ, -ა'ინი. მრავლობით რიცხვში: -ა, -აან, -აანი;

მხოლოდობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვა ერგატივის ფორმაზე -ს-ს დართვით იწარმოება. ემფატიკური ფორმები არ გააჩნია. მრავლობითი რიცხვის მიცემითი ბრუნვაც შესაბამი ერგატივიდანაა ნაწარმოები, მაგრამ არა მხოლოდ ს-ს დართვით, ამის შესახებ ცოტა ქვევით ვიტყვით.

ნათესაობითი ბრუნვა მხოლოდობით რიცხვში ერგატივის ფორმანტს იყენებს ხმოვან ი-ს ა-დ შეცვლით. მრავლობით რიცხვში კი წარმოებული უნდა იყოს ერგატივის ფორმაზე -ილა-ს მიმატებით.

განზრახ ბოლოს ვეხები სახელობით ბრუნვას მრავლობითი რიცხვისას, რადგან აქ სახელობით ბრუნვის ფორმა შეიცავს მრავლობითობის მაწარმოებელ, მრავალრიცხოვან აფიქსებს. მაგ.: -ი, -ნი, -ანი, -უნი, -ვი, -უვი, -ურვი, -რუვი, -ში, -თი, -რი. ეს აფიქსები ყველა ერთ ხმოვანზე, ი-ზე ბოლოვდება, მაგრამ ძნელია ეს ი-ნი მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმანტად იქნეს მიჩნეული; ზემოთგანხილული სუფიქსების (поселения) ცად, ლუნთი (-ლუნა-ს მრავლ. რიცხვი) თან დართვისას ეს ი-ნი რჩება, ცვლილებას არ განიცდის, სწორედ ისეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როგორთანაც მხოლოდობით რიცხვში გვქონდა საქმე ($\sqrt{+}$ ცად, $\sqrt{+}$ თან, $\sqrt{+}$ ლუნთ-ი).

მოვიყვანოთ რამდენიმე სახელის ბრუნვების მაგალითი:

მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	შანგ (ქვაბი)
ერგ.	შანგ-ლი, -ლი'ინ, -ლი'ინი
მიც.	შანგ-ლი-ს
ნათეს.	შანგ-ლა

სახ.	წა (ცეცხლი)
ერგ.	წა-ლი, -ლი'ინ, -ლი'ინი
მიც.	წა-ლი-ს
ნათ.	წა-ლა

სახ.	ადა (მამა)
ერგ.	ადა-ან, -ანი

¹ გამოთქმაში ისმის: -ლი'ინ, -ლი'ინი.

მიც.	აღა-ს
ნათეს.	აღა-ლა
სახ.	ანკი (ხორბალი)
ერგ.	ანკი-ლი, -ლი'ინ, -ლი'ინი
მიც.	ანკი-ლი-ს
ნათეს.	ანკე
სახ.	ცუანილა (ბალიში)
ერგ.	ცუანი-ა, -ა'ინ, -ა'ინი
მიც.	ცუანი-ა-ს
ნათეს.	ცუან-ე
სახ.	ჯუნულ (ქალი, ცოლი)
ერგ.	ჯუნუ-ა, -ა'ინ, -ა'ინი
მიც.	ჯუნუ-ა-ს
ნათ.	ჯუნუ-ა

მრავლობითი რიცხვი

სახ.	შუნგრი (ქვაბები)
ერგ.	შუნგრა-ა, -აან, -აანი
მიც.	შუნგრა-ეს < შუნგრა+ის*
ნათეს.	შუნგრელა < შუნგრა+ილა*

სახ.	წამი (ცეცხლები)
ერგ.	წამ-ა, -აან, -აანი
მიც.	წამ-ეს < წამა+ის*
ნათეს.	წამ-ელა < წამა+ილა*

სახ.	აღნი (მამები)
ერგ.	აღნ-ა, -აან, -აანი
მიც.	აღნ-ეს < აღნა+ის*
ნათეს.	აღნ-ელა < აღნა+ილა*

სახ.	ანკურევი (ხორბლეული)
ერგ.	ანკურევი-ა, -აან, -აანი
მიც.	ანკურევი-ეს < ანკურევა+ის*
ნათეს.	ანკურევი-ელა < ანკურევა+ილა*

სახ. ცუანნუევი (ბალიშები)
 ერგ. ცუანნუეჟ-ა, აან, -აანი
 მიც. ცუანნუეჟ-ეს < ცუანნუეჟა + ის*
 ნათ. ცუანნუეჟ-ელა < ცუანნუეჟა + ილა*

სახ. ჯუნნი (ჯოლები)
 ერგ. ჯუნნ-ა, -აან, -აანი
 მიც. ჯუნნ-ეს < ჯუნნა + ის*
 ნათეს. ჯუნნელა < ჯუნნა + ილა*

როგორც მოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, მრავლობითი რიცხვის ბრუნება უფრო თანმიმდევარია, ვინემ მხოლოდობითი რიცხვისა. თუ ერგატივები სიტყვების: შანგ (შანგლი), ალა (ადაან) **ცუანილა** (**ცუანიჟ**) მხოლოდობით რიცხვში განსხვავებულია, მრავლობით რიცხვში ამ განსხვავებას ადგილი არ აქვს: (შუნგრ-ა, წამ-ა, აღნ-ა, **ცუანნუეჟ-ა**) ეგვეე შეიძლება ითქვას მიცემითისა და ნათესაობითის შესახებ.

განსხვავებათა ერთი ნაწილი ფონეტიკური ცვლილებებითაა გამოწვეული. მაგ.: ერგატივი **ჯუნულ** (ჯოლი) სიტყვისა უნდა ყოფილიყო ***ჯუნულ-ლი** მაგრამ: **ჯუნულ + ლი** > **ჯუნუ-ჟ** ორი „ლ“ ამოვარდა და „უი“ კომპლექსი „უჟ“-დ შეიცვალა. ამავე სიტყვის ნათესაობით ბრუნვაში მოსალოდნელი იყო ***ჯუნულ-ლა**, მაგრამ გვაქვს **ჯუნუჟ**, ე. ი. **ჯუნულ + ლა** > **ჯუნუ-ა** > **ჯუნუჟ**. ორი „ლ“ დაკარგულა „უა“ კომპლექსს კი „ჟა“ დიფთონგი მოუტია.

შინ (წყალი) ერგატივში ***შინ-ლი**“-ს ნაცვლად ***შიჟ**“-ს სახითაა წარმოდგენილი. („ლ“ ორი „ლ“ მსგავსად ამოვარდება ორი „ი“ კი „იჟ“ კომპლექსს იძლევა.

ეგვეე სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში მოსალოდნელ ***შინ-ლა**“-ს ნაცვლად **შენ**“-ს სახითაა წარმოდგენილი: **შინ-ლა** > **ში ა** > **შენ** (ჯერ „ნლ“¹ დაიკარგა, შემდეგ კი ია-მ ნაწილობრივი დამსგავსების ნიადაგზე „ენ“ მოგვცა.

მრავლობით რიცხვში ერგატივის ფორმა სახელობითის ფორმას ფარავს „ი“ ხმოვნის „ა“ ხმოვნით შეცვლით. მიცემითის ფორმები **შუნგრ-ეს**, **წამ-ეს**, **აღნ-ეს**,

ანკურვი-ეს, **ცუანნუეჟ-ეს**, **ჯუნნ-ეს** ნათელყოფენ, რომ ეს ე პირველადი არ უნდა იყოს, არამედ მიღებულია „ა + ი“ საშუალებით. ამრიგად მიცემითი ბრუნვა მრავლობით რიცხვში წარმოებული უნდა იყოს ერგატივის „ა“ზე დაბოლოებული ფორმაზე „-ის“ ფორმანტის დართვით:

ერგატივი:	მიცემითი:
შუნგრა	შუნგრეს < შუნგრა + ის
წამა	წამეს < წამა + ის
აღნა	აღნეს < აღნა + ის

¹ „ნლ“-ს დაკარგვას შეიძლება წინ უსწრებდა „ნ“-ს „ლ“-დ ქცევა.

ერგატივი:	მიცემითი:
ა ^ს ნკურვია	ა ^ს ნკურვეს < ანკურვია + ის
ა ^ს ტანნუვია	ა ^ს ტანნუვეს < ატანნუვია + ის
ა ^ს უნნა	ა ^ს უნნეს < აუნნა + ის
	და სხვა.

მრავლობითი რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმები: **შუნგრელა, წამელა, აღნელა** და სხვა მიღებული უნდა იყენენ ერგატივის ფორმაზე „ილა“-ს დართვით¹.

ერგატივი:	ნათესაობითი:
შუნგრა	შუნგრელა < შუნგრა + ილა
წამა	წამელა < წამა + ილა
აღნა	აღნელა < აღნა + ილა
ა ^ს ნკურვია	ა ^ს ნკურველა < ანკურვია + ილა
ა ^ს ტანნუვია	ა ^ს ტანნუველა < ატანნუვია + ილა
ა ^ს უნნა	ა ^ს უნნელა < აუნნა + ილა ² .

მიმართულებითი ბრუნვები

მიმართულებითი ბრუნვა დარგულში ხუთია. ისინი იწარმოება მხ. რიცხვის ერგატივის ფორმაზე -ზი, -ში, -უ, -ჩუ, -ცი-ს დართვით. სუფიქსი -ში რაიმეში. შიგნითკენ მიმართულების აღმნიშვნელია. მაგ.: შილი-ზი—აულში [წასვლა]; აქ ში-ლი—ერგატივის ფორმაა. სუფიქსი-ში „ზე მიმართულების“ აღმნიშვნელია. მაგ.: გაღვალა-ში ხეზე [ასვლა] -უ რაიმეს „ქვეშ მიმართულებას“ აღნიშნავს, -ჩუ და ცი გვერდით და შორიახლო გავლას გამოხატავს. მაგ.: ჭაწალი-ჩუ—ტყის გვერდით. ჭაწალიცი—ტყის გვერდით.

ადგილობითი ბრუნვები

როცა სიტყვა არა რაიმესკენ მოძრაობას, არამედ რაიმეზე, რაიმესში ან რაიმეს გვერდით, შორიახლო, ან ქვეშ მყოფობას გულისხმობს, იგი ადგილობით ბრუნვებში არის დასმული. ადგილობითი ბრუნვაც ხუთია და ისინი მიმართულებითი ბრუნვების ფორმებზე სათანადო კატეგორიების ნიშნების დართვით იწარმოებიან.

¹ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უ ი რ კ ო ვ ი მრავლობითი რიცხვის ერგატივის მაწარმოებლად — „ა“-ს სთვლის, მიცემითის მაწარმოებლად — „ეს“-ს, ხოლო ნათესაობითის მაწარმოებლად „ე“ლა“-ს.

² თითონ ეს „ილა“ ფორმანტი არ უნდა იყოს მარტივი, შეიძლება „ილა“-დ დაიშალოს, მაგრამ ცალკეული დიალექტების მიხედვით ბრუნვების დამუშავებამდე ძნელი იქნება ამაზე ლაპარაკი.

მიმართულებითი

ადგილობითი

1. უაწა-ლი-ზი
2. უაწა-ლი-ში
3. უაწა-ლი-უ
4. უაწა-ლი-ჩუ
5. უაწა-ლი-ცი

1. უაწა-ლი-ზი-ჰ (-, რ, -ვე)
2. უაწა-ლი-ში-უ (-, რ, -ვე)
3. უაწა-ლი-უ-ჰ (-რ, -ვე)
4. უაწა-ლი-ჩუ-ჰ (-რ, -ვე)
5. უაწა-ლი-ცი-ჰ (-რ, -ვე)

უაწალიშიჰ სააჩრა—ტყეში ვიწყოფები (მამაკაცი);

უაწალიზირ სარრა—ტყეში ვიწყოფები (ქალი);

ვიჩ უაწალიზიფე სავერა—მგელი ტყეშია;

უაწალიშიჰ—ტყეზე, ტყის ზევით მყოფი (კაცი);

აურლაჟუ—საბნის ქვეშ;

წალიჩუ—ცეცხლის გვერდით;

ჩარზლიჩუ საჟა კიცლი ბიარა—ტანთან ხალათი ახლოს არის ხოლმე.

ჩარზ—ტანი. ჩარზ-ლი-ჩუ — ადგილობ. ბრუნვაა — ტანის, სახეულის

ვეკრდით.

უსლარი ადგილობითი ბრუნვების თითოეულ სერიას უმატებს ფორმებს -ვეფით, [ჰ]სად, -[ჰ]ად, -[ჰ]ად სადაც თავიიდური ჰ—მამაკაცთა კატეგორიის ნიშანია. ეირკოვი ამ ფორმებს განიხილავს როგორც თანდებულებს (последний).—ვეფით აღნიშნავს ისეთ მოძრაობას, რომელიც რაიმეზე გაივლის (через) მაგ.: შილიზი-ვეფით—სოფელზე, через аул. -სად მოქმედების იქეთ მიმართების აღმნიშვნელია. მაგ.: შილიზიჰ-სად—სოფლიდან იქეთ,—из аула; ად მოქმედების იქეთ და ზევით მიმართების აღმნიშვნელია. მაგ.: შილიზიჰ-ად—სოფლიდან ზევით. ჯად კი მოქმედების, ანუ მოძრაობის ზევიდან ქვევით მიმართებას გამოხატავს. მაგ.: შილიზიჰ-ჯად—სოფლიდან ქვევით.

ეირკოვი იხილავს რა დარგულ ბრუნვას, -ში დაბოლოებას სამართლიანად განუკუთვნებს ადგილობით ბრუნვებს.

(ეს დაბოლოება დაერთვის რა ერგატივის ფორმას, აწარმოებს ალატიუსს). მაგრამ ამავე -ში-ს იგი ადგილის გარემოებასთან განიხილავს და ალატიუსის ფორმებს დანაწევრებულად წარმოგვიდგენს. მაგ.: დუფოული შიჰ-სააჩრა, დუფოული შირ გუნულ სარრა¹ და სხ. (იხ. „Граматика даргинского языка“, стр. 16). ეს „ში“ სხვა არაფერია, თუ არა ის „-ში“, რომელიც ამავე ავტორის მიერაც ადგილობითი ბრუნვების ფორმანტადაა გაგებულა. უნდა იყოს დუბულლიშიჰ სააჩრა—მთაზე ვიწყოფები (მამაკაცი), დუბულლიშირ გუნულ სარრა—მთაზე ქალი არის (ქალი მთაზე იწყოფება).

რაც შეეხება ადგილის გარემოებას (наличие места), ეს გრამატიკული კატეგორია, როგორც ადგილობითი, ისე მიმართულებითი ბრუნვების ფორმებითაა წარმოდგენილი.

¹ შეცდომაა. უნდა იყოს გუნულ სარრა. სარრა აშკარად I პირის (ქალთა კატეგ.) ფორმაა; ნუ სარრა—მე (ქალი) ვარ. ხუ სარრა—შენ (ქალი) ვარ. შით სარრა—ის (ქალი) არის.

მაგალითები: უნნალი-ჩუ იუჟნა საა—მეზობელთან [მეზობლისკენ] წავიდა. [წასული არის]. მითითი ჯუშნელი-ში ვა-იუჟნა სა-ვა-ი—ისინი ლოცვაზე წასულნი არიან. ცა ხაშხარა ვაალლირა ცა აჟლაკლიშირ დუჟული სარი—ვირი და აქლემი [და] ერთ მინდორზე მცხოვრები არიან. (ხაშხარა ვაალლირა—ქვემდებარე, დუჟული სარი—შემასმენელია. ცა და აჟლაკლიშირ განმარტება, ამ შემთხვევაში ადგილის გარემოება: სად არიან მცხოვრები?—ერთ მინდორზე).

ღიხრა ხავირა შიჯადიგილი ხავი ვაალლიში—საპალნე და თითონაც დაადეს (დადებულ ყვეს) აქლემზე. (ქვემდებარე იგულისხმება—მათ. შემასმენელი—შიჯადიგილი ხავი, პირდაპირი დამატება—ღიხ და ხავი. ადგილის გარემოება—ვაალლიში. რაზე დაადეს? აქლემზე დაადეს).

მრავლობითი რიცხვის წარმოება

დარგუულში მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსები შემდეგია:

-ანი	არც—ვერცხლი, ფული.	არც-ანი—ვერცხლები, ფულები
-ვაი	ხაული—თვალი	ხაულ-ვაი—თვალები
-ი	უნც—ხარი	უნც-ი—ხარები
-თი	სიკალ—საგანი	სიკალ-თი—საგნები
-ნი	ადა—მამა	ად-ნი—მამები
-მი	წა—ცეცხლი	წა-მი—ცეცხლები
-რი	ჩარხ—სხეული, ტანი	ჩურხ-რი—სხეულები ¹
-რუვაი	განძი—კიბე	განძ-რუვაი—კიბეები
-უვაი	გალგა—ხე	გალგ-უბი—ხეები
-ურვაი	ჟაწა—ტყე	ჟაწ-ურვაი—ტყეები
უნი-	შალშალ—ამხანაგი	შალშალ-უნი—ამხანაგები

ამ სუფიქსებიდან, როგორც ე ი რ კ ო ვ ი აღნიშნავს, ძნელია ყველაზე უფრო გავრცელებულის გამოყოფა. უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების მრავლობითიც ვერ შევლის ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგანაც ნასესხებ სიტყვათაგან ზოგი ერთი და ზოგი მეორე სუფიქსით აწარმოებს მრავლობით რიცხვს.

ყველა იმ თავისებურების აღნუსხვას, რამაც მუშაობის პროცესში ჩემი ყურადღება მიიქცია, აქ ვერ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ენაზე მუშაობისას ყურადღებას ვაქცევდი შემდეგ საკითხებს: მოიპოება თუ არა გაბატონებული სუფიქსი მრავლობითის წარმოებისა? აქვთ თუ არა სუფიქსად გამოყენებულ სიტყვებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა? იცნობს თუ არა დარგუული ენა ხარისხების წარმოებას? თუ არა, რა საშუალებით ინაზღაურებს ამ „ნაკლს“? რა და რა ბუნებრივი კომპლექსები გვხვდება ამ ენაში? შემდეგ: ყურადღებას ვაქცევდი კითხვით ნაწილაკებს, კითხვითი წინადადების წყობას, ინტონაციას კითხვით წინადადებაში... ფონეტიკურ მოვლენებს (ასიმილაცია, დისიმილაცია და სხ.) ჟ—ბგერისა და ვჰ ბგერის ფონეტიკურ ღირებულებას... რომელ კატეგორიებს განეკუთვნება ახლად შესული სიტყვები? და სხ..

¹ ეს და ამისი მსგავსი მრავლობითი რიცხვის ფორმები ამ ენაში ფლექსიის არსებობას ადასტურებენ. მაგ.: შანგ—შუნგრი, ჟაწა—ჟაწურბი და სხ.

3. ხ უ ბ უ ტ ი ა

მოკლე ანგარიში თელავის რაიონში ჩატარებული
საღეჭსიკოლოგიო მუშაობის შესახებ
(22 ივლ.—22 აგვ. 1938 წ.)

ენიმიკი-ს მიერ მივლინებული ვიყავი ერთი თვით შიგნით-კახეთში, სახელ-
დობრ, თელავის რაიონში კახური ლექსიკონის მასალების შესამოწმებლად და
შესავსებლად. 22 ივლისს ჩავედი თელავში და შევეუდექი მუშაობას.

ზაფხულობით სოფლად გაცხარებული მუშაობაა და საჭირო ობიექტების
შოვნა მათი მოუტლევლობის გამო არც ისე ადვილია, მაგრამ მაინც მომიხერხდა
დავალების შესრულება. 7—8 დღეს დაერჩი თელავის ახლომახლო სოფლებში
(თელავი, ვარდისუბანი, რუისპირი, შალაური) და შემდეგ გადავედი ქისტაურ-
ში (რ. ერისთავის სოფელი). ეს სოფელი გავიხადე ბაზად. არჩევანი მიზანშე-
წონილი აღმოჩნდა, რადგანაც სხვა დასახლებული ადგილები 3—5—7 და 10
კილომეტრით არიან დაშორებული მისგან. ქისტაურში შევამოწმე ცნობილი
მწერლის რაფიელ ერისთავის თხზულებებიდან ამოკრეფილი სიტყვები და
თქმები. ხოლო ახმეტაში 4000-მდე სიტყვა—ის მასალა, რომელიც გასულ წელს
ქართლის სხვადასხვა ადგილებში შემოწმდა ამხანაგების მიერ. ამავე დროს ვაგ-
როვებდი ახალ სიტყვებს, ვაკვირდებოდი ადგილობრივ მეტყველებას და ვი-
წერდი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თელავის რაიონის მოსახლეობა ნარევია. ქართვე-
ლების გარდა აქ ბლომად ვხვდებით სომხებს, რომელთა დასახლების ის-
ტორია კახეთში ძველისძველია და ამიტომ ისინიც ქართველებად სთვლიან თავი-
ანთ თავს, მით უმეტეს, რომ დიდმა ნაწილმა სომხური ენა არც კი იცის; ვხვდე-
ბით აგრეთვე იმერეთიდან თუ რაქიდან გადმოსახლებულებს, რომელთა გად-
მოსვლა აქ მესამოცე წლებიდან დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში იმერულ-
რაჭული ენის თავისებურება თითქმის წაიშალა, საერთოდ მათ შეითვისეს სა-
მოსელოთან ერთად კახელთა ადათ-ჩვეულება და მეტყველება. ამით გარდა არიან
ოსები, რომლებიც უსწორო ქართულით ლაპარაკობენ. სახლობენ აგრეთვე
ხევსურები, თუშები, მათი მეტყველების თავისებურება დღემდე დაცულია.

ენობრივი თვალსაზრისით თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ კახუ-
რი ყველაზე ახდენს გავლენას ურთიერთკავშირის გამო, მაგრამ ეს გავლენა
თითქმის სრულიად იშლება, როცა ხევსური, თუში ან ოსი თავის წრეში ლაპა-
რაკობს.

აქვე უნდა ითქვას, რომ რუსული თუ რუსული გზით მიღებული სიტყვები საკმაო რაოდენობით შესულა კახურში, მაგრამ კახელს ისე აქვს ესენი შეცვლილი და შეთვისებული, რომ მათი გამოცნობა არც ისე ადვილია. ალბათ ამის გამოა, რომ ამა თუ იმ სიტყვის არა ქართულობაში ძნელად მოახერხებთ დააჯეროთ კახელი. რა თქმა უნდა, ეს რუსული თუ უცხოური წარმოშობის სიტყვები ზეპირი გზით არის შესული კახურ მეტყველებაში და სკოლის გავლენის გარეშე დგას.

ასეთებია, მაგ: ზოდი—*взводный*, კარტო—*картон*, პროკლოვი—*прокурор*, გვოლდები—*гвозди*, ოტაგრაფი—*фотограф*, უმალკი—*умывальник*, შატლო—*шататься* და მრ. სხვა.

მასალების შემოწმებისა თუ ახლის შეკრებისა და გარკვევის დროს ჩემთვის დასაყრდენი კახელი იყო და ისიც ერთის ნაცვლად რამდენიმე სხვადასხვა სოფლიდან.

ამიტომ ქისტაურასა, ახმეტას, იყალთოს, მატანს, ხორხელსა და სხვა სოფლებში მუშაობას მოვანდომე საკმაო დრო, სახელდობრ, 20 დღე, შემდეგ დებრუნდი თელავში და აქაც 2—3 დღეს ვიმუშავე. ამგვარად მივლინებაში დაეყავი სრული ერთი თვე. ამ ხნის განმავლობაში ჩავატარე შემდეგი სახის მუშაობა.

1. შევამოწმე და განვმარტე რაფიელ ერისთავის თხზულებიდან ამოკრებილი 300 სიტყვა.

2. შევამოწმე 4000-მდე სიტყვა.

3. შევკრიბე და განვმარტე 1000 ახალი სიტყვა (ხევსურულისა და თუშურის გამოკლებით).

4. ჩავწერე რვეულის 170 გვერდის რაოდენობით ხალხური ზეპირმეტყველების ნიმუშები (ამბები, ლექსები).

5. შევკრიბე 90-დე ანდაზა, გამოცანა, თქმა თუ მოსწრებული სიტყვა-პასუხი.

6. ჩავწერე 15 აზ ბავშვთა თამაშობა.

7. შეკრებილ მასალაზე დაყრდნობით დავამუშავე შიგნით-კახურის ენის თავისებურება.

მ ც ი რ ე ნ ი მ უ შ ე ბ ი

1. რაფიელ ერისთავის თხზულებიდან¹ ამოკრეფილი სიტყვების შემოწმებან-განმარტებისა:

ქოცო პატარა ქვევრი.

„კერასთან შუა ბოძია,

ბოძთან-ძმრის ქოცო თხლიანი“.

ჩ ი ტ ი რ ე კ ი ა მოსულელო კაცი.

„ღიამბეგი გყვანდა ჩიტო-რეკია“.

ა ჯ ი ლ დ ა დაუკოდავი ცხენი. ვაყა.

„ერთხელ უცხოდ მოკაზმული მდიდარი

¹ ტ. I, II, III გამოცემული სახელგამის მიერ შ. რადიანის რედაქციით.

ყარაბაღის აჯილღაზედა მჯღარი
მოაქროლებს, ამაყად იყურება“...

ფათალო ხვია მცენარე, სურო.

„ისე მტკიცედ დაეკონე,
ერთ ფათალო ჩაწმანული“.

ქსუი მფრთხალი (გურიაში ფთხუი), მიუკარებელი ადამიანი საქონელი
უფრინველი „ქსუი ყოფილხარ, დასტურა, რომ არვის მიეკარები“.

ქყანტი კაობი.

„ქყანტ შიკი დაალაჯუნებს
მარტო ბაყაყის ჭამია“...

ლოხი, მუხლებში მოდუნებულ, უღონო ადამიანი ან საქონელი.

„ზარმაცი და ბერი ლოხი“.

2. 4000 სიტყვის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ:

ა) არის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა არ იციან
არც კახეთში და არც ქართლში, ასეთებია: ლელი ოგუაში, ქონგური,
ღმშილაკი, ყოსული და სხვა.

ბ) არის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა ესმით მხო-
ლოდ კახეთში; ასეთებია:

ბაკლა—კირკაყი, მარცვლებად (გურიაში: კაკლად) მოხარშული ლობიო.
ყუტყუტი კრუხის ძახილი წიწილების მიმართ.

შემოდგომური, შემოდგომურები 1. ნაგვიანევი თესვა. 2. გვიან-
შემომსვლელი ხილი, და სხვა.

გ) ერთნაირი სიტყვებია, მაგრამ შინაარსით სხვადასხვა
ქართლსა და კახეთში. ასეთებია:

ქართლი	კახეთი
გუნჯალ-გუნჯალი ნაჭერ-ნაჭერი	კარგად მსხმოიარე ხეხილი.
ხორცი	

მწივანა გამუღმებით წიქა	ბალახის სახელი.
წიწილი,	

ქრიანტელა ქრელთვალება	ტყემლის საქამანდი, და სხვა.
-----------------------	--------------------------------

დ) სხვადასხვა სიტყვებია, შინაარსით კი ერთნაირია;
ასეთებია:

ქართლი	კახეთი	
ფშუილი	ქშუილი	--საქონლის ღრმა ამოსუნთქვა.
ღალაუ	ბაუა	—პატარა ბავშვი.
ფუა	ფია	—რძის ფაჟა (ბავშვის საქმელი).
ხაშხაში	ლაქლაყი	—ბალახი, რომლის თესლს ხმარობენ ბავშვის დასაძინებლად.
ჯახველა	ძახველი ხე	—ერთგვარი ხე, калина და სხვ.

3. ახალი სიტყვები:

გადილავება — დილადრიან საქონლის გარეკვა საბალახოდ.

ფრთაქცეული, ფთაქცეული, თაქცეული, მთაქცეული — კონუსისებურად თუ მოგრძოდ დადგმული პურის ზეინი.

ტყრუშული, ტყურშული — დაწვენი დაწნული წნელის ღობე, გელბარან — დიდი მარწუხი რკინის მსხვილი ნაჭრების დასაქერად.

მონყიალი — ლასლასი.

მანგანა — კალაპოტი.

წკრე — მწკრივი.

მოჩირხვება — ქალისა თუ ვაჟის მოწითულობაში შესვლა: აქედან მოჩირხვებული, მოწითული.

წკიმლი — ფიჩხი.

დაძეკვა — დაზეკვა, დატკვნა.

დაწაპლაპება — ცომისთვის ან რაიმე მოზელილისთვის წყლის დასხურება.

შუკო — ბზრილა.

მიკვირდისა — აღამიანი, რომელსაც თავისი ახალი სამოსის ჩაცმა-დახურვა უკვირს.

ქაკონა — მსხვილი ტყეია, და სხვ.

ესარგებლობ შემთხვევივ და აქვე ვურთავ შემოკლებულად შიგნით-კახურის ენობრივ თავისებურებათა მიმოხილვას.

ფონეტიკა

ბგერითი შედგენილობა. ბგერითი შედგენილობის მხრივ შიგნით-კახური ისეთივეა, როგორც სალიტერატურო ქართული, ოღონდ აქ მეტია ჯ და წ. ჯ მრავალი კილოსათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ მისი გამოყენება სხვადასხვანაირია. თუ ატენის ხეობის ქართულურში იგი ხმოვანფუძიან სახელს ჰქონდა სახელობითში, შიგნით-კახურისათვის ასეთი რამ უცხოა, ჯ გვევლინება როგორც სახელში, ისე ზმნაში -ს ბგერის მონაცვლედ (მაგალითები ქვევით).

ხშირად ჯ ერთვის ხმოვნით დასრულებულ სიტყვას და მეორე სიტყვასთან ერთად ქმნის მთლიან კომპლექსს: ციხეაშიგნი, ბინადრობა, თონხადათავი, ხეაქვეშ და სხვ.

რაც შეეხება სიტყვებს შამა(ჰ)პატიეე, და(ჰ)კიღებენ, მო(ჰ)რაქრაქებ, გა(ჰ)რეკამდა და სხვა, აქ ჯ-ს წარმოების დასრულებისას ჰ ისმის. ასეთ შემთხვევაში ქართულურში გარკვევით ისმის ჰ. მაგ. დაჰკიღებენ, შამაჰპატიეე, გაჰრეკამდა და სხვა. ყიშვითად გვხვდება, მაგ.: ცუტიცაობა (ბავშვების თამაშია ერთგვარი). ეს ის ყ არის, რომელიც გურიაში ცაყაი ნენა-ში და მეგრულში მთელ რიგ სიტყვებში გვხვდება (ყუღე, ყუჯი და სხვა).

ასიმილაცია-დისიმილაცია. შიგნით-კახურში თითქმის ყველა სახის ასიმილაციას აქვს ადგილი, როგორც ხმოვნებისა, ისე თანხმოვნებისას, მაგ.: დეერიენენ, გეიტენა, გემეყარანა, გემეართა, შაშაკერი, ნამთვრალავი, კურდული, მოაჯარი, უხეურო, ჩოქოლა და სხ.

დისიმილაცია. დისიმილაცია საგრძნობლად გავრცელებულია კახურ-ში, მაგ.: არალი, არაფელი და სხვა.

მეტათეზიც არ არის უცხო შიგნით-კახურისათვის. უმთავრესად ეს სჩანს ღ, ხ, რ, ლ, მ, ნ, ს ბგერებთან დაკავშირებით;

მაგ.: ყურადგება: დაშხული, შხირი; მახსარაობა, სხნა: გატურნვა. ბაგრი, მემრე, გაჯვარება და სხვა.

ბგერის დაკარგვა. ეს მოვლენა საკმაოდ გავრცელებულია კახურში. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს მარტო თანხმოვანთა ჯგუფს ახასიათებს ბგერის დაკარგვა; ის სხვა შემთხვევაშიაც გვხვდება. იკარგვის შიგნით-კახურში ბგერა რ განსაკუთრებით თავმოყრილ თანხმოვანთა შორის მაგ.: ფთა, ფთაქცე-ული, ჭინახული, ფჩხილი, პქყალი და სხვა.

ხშირად იკარგება ბგერა შ, მაგ.: თელი, თა (მთა), თორე, რატო, ხო და სხვა.

იკარგვის ზ: დარდილი, ხოლო ვ—კომპლექს ოვი-ში და სხვაგან: გადმო-ტანე (=გადმოვიტანე), მოიდა (=მოვიდა), საფქავი (=საფქავი) და სხვა.

იკარგვის ხ უმთავრესად ტ და წ-ს წინ, მაგ.: ტაულა, ტრაენიკი, ტაქანი, ჭრთი, წომ (=სწავეს) და სხვა. გარდა ამისა თითქმის ყოველთვის მოკვეცი-ლია -ხ ნათესაობითში, თუ ამ ბრუნვაში დასმული სიტყვა მსაზღვრელია, მაგ. ჭინდი მიწები, ზღვი პირული, სარი ლობიო, ბალი ქობი, ყველი პარკი, ფული ჭისა, ბექი ძირი, წყვლი კალათა, დადგომი თავი და სხვა.

იკარგვის—ხ ან ე-დ იქცევა—თან-თვის თანდებულის წინ, მაგ.: იმითანა, ამითანა, გოგოათვინ, რათვინ და სხვ. მიცემითის ბრ. ნიშანი ხ და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა, თუ სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა—ხ შეცვლი-ლია ე-თ: ი პურ არა უშვავ რა, ზოგი კი სავსებით აფშეტილია; ცეცხლი ვაშენიყო სახლ და სუ დენაცრებინა; ი ბურწყნალ რა გაატეხამდა, ა? ძირ დაწვი ბიჭო, ძირ დაწვი! თავ დაეცემიყო და დეეწყვიტათ; ე ბოჩოლა მოადევ ჭოხას და სხვა.

კომპლექსი სტ → ეტ: კომბოეტო (=კომბოსტო), როეტია (=როსტია), ოეტატი (=ოსტატი).

ჩვენებით ნაცვალსახელებსაც არ ახლავს—ხ, მაგ.: ე (=ეს), ი (=ის).

ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია თქმა. რომ ბგერა ხ შიგნით-კახურ-ში საკმაოდ შერყეულია. იგი თითქმის ყოველთვის იკარგება ნათესაობითსა და მიცემით ბრუნვებში.

ბგერის ჩამატება. თუ ერთ შემთხვევაში ესა თუ ის ბგერა ამოვარ-დებოდა, მეორე შემთხვევაში ემატება. საამისო ნიშნებსაც საკმაოდ იძლევა, შიგნით-კახური, მაგ.: საფელხური, ენგრე, მამხობელა, მძვალი ბრძოლვა, წერვა პუჭერი და სხვა. აქ ბგერა ზოგჯერ ანალოგიითაა გაჩენილი (მაგ.: წერვა, ბრძოლვა და სხვა).

ბგერათა სუბსტიტუციიდან აღენიშნავ მთავარს:

თა ან ოვა — უა: აგრუა, აწუა, ვანუა, გიგუა, და სხვა.

ვა — ო: წომ, სომ, ქობი, თქო.

სტ — შტ: შტაქანი: სკ — შკ ზაკუშკა:

შ — ქ: კარქი და სხვა.

ზმნასა და სახელზმნაში —ება სუფიქსის მაგიერ გვხვდება —ობა, მაგ.: რაობა, შეხედულობა და სხვა.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

მიმართულებით ბრუნვაში ყოველთვის არის თ და არა დ, მაგ.: კაცისასაპონეთ (სასაპნეთ), მაწვნათ და სხვა.

ჩაოდენობით რიცხვით სახელში აღსანიშნავია:

ხუთმეტეი (ნაცვლად სწორი თხუთმეტისა) და

ხუთოცი (ეს უკანასკნელი იშვიათად)

მრავლობითს აწარმოებს —ნ და —ებ.

გაბატონებულია ებ-ი, მაგ.: საპნი, ცოლ-ქმარნი, ძმანი, მამაშვილნი, მაგრამ ცუდები, მთები, წყლები, მიწები და სხვა. იხმარება აგრეთვე კარებები და კარბი. კარებები ორ კარს აღნიშნავს.

ზ მ ნ ა

აწმყოში —ავ სუფიქსიანი ზმნა —ამ სუფიქსით გვევლინება, მაგ.: ვხნამ, ვბრამ და სხვა.

ფუძისეული —ოვ წარმოდგენილია ომ-ით, მაგ.: წომ, მახსომ და სხვა.

სრული თუ უსრულო ნამყოს მრავლობით რიცხვში იხმარება —ნენ. მაგ.: ჩხუბობდნენ, რეკამდნენ, ეზიდებოდნენ და სხვა.

ნამყო წყვეტილში —ე-თი ნაწარმოებ ზმნებს დაერთვის —ვი და ვიღებ: გავეჩქევევი, დავბანევი, დავკარგევი, ვიპოვნევი და სხვა.

კნირობითის საწარმოებელი აფიქსებია უკა და ურა.

მაგ.: პაელუკა, წალუკა, ქალუკა და

ქოცურა, კოკურა და სხვა.

ცნობილია, რომ სადაურობის საწარმოებელი სუფიქსი —ელ იმ შემთხვევაში გამოსაყენებელი, როცა ადამიანთან გვაქვს საქმე, —ურა: ი ყველა სხვა შემთხვევაში, მაგ.: კახელი, თელაველი, ქისტაურელი, ვარდისუბნელი (მაგ.: კაც ქალი...) და ახმეტური, რუისპირული, კახური, ყვარული, ქისტაურული (მაგ.: ხილი, ღვინო, საქონელი და სხვა). შიგნით-კახური კი ადამიანის სადაურობის აღსანიშნავად ხმარობს —ელ-საც და ურ-საც. მაგ.: თელაველი და თელავეურვაჯი, ყვარული და ყვარელი გლეხი და სხ. მაგრამ ადამიანის გარდა სხვა საგნის სადაურობას (როგორცაა: ხილი, ღვინო, საქონელი და სხვა), შიგნით-კახური მხოლოდნამხოლოდ —ურ სუფიქსით გამოხატავს.

სინტაქსური მოვლენებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

შემასმენელი ეთანხმება ქვემდებარეს აზრის მიხედვით, მაგ.: ხალხი ამბობენ, ორი კაცი ჩხუბობდნენ, შეიკრიბებიან გლეხობა, დედ-მამაც უკან გადაყვენ და სხვა.

მართალია, არა მასობრივად, როგორც ეს რაჭულშია, მაგრამ მაინც ხმაურებაში ნაწილაკი—ყენ და ყე. ნაწილაკი ყენ გამოყენებულია მაშინ, როცა მიზართულებასთან გვაქვს საქმე, მაგ.: ზეითყენ, ქვეითყენ, იმათყენ, ოზენასყენ, ზოებისყენ და სხვა. აქ და მსგავს შემთხვევაში ეს—ყენ სახეშეცვლილი—კენ ნაზღებულია.—ყე ნაწილაკი გვევლინება ზმნებში და გამოხატავს მოქმედების ხოლმეობითობას, მრავალგზისობას, მაგ.: სძინავსყე ბავშვს; გამამიგზავნეყე შენი პეი ხელით; აბა, როგო ქალო, ი არდასაცალებელი თამაშობსყე-ქალებში; ყარაღმა ხმა არ გააყაყე და სხვა.

ორმაგი უარყოფა შიგნით-კახურშიც ხშირია: ვერავინ ვერ მეეკარა; ერთი წელი მეტი არვინ არ ყავ; არც არაფერი და სხვა.

ჩვეულებრივი თქმაა: ურემი ამიტანე? ხეებს რა ამაიყვანდა იქილამ! რატო ბღვლიდან თელები არ ამაიყვანა (ლაპარაკია ლიმონათიან ბოთლებზე) და ზეა.

აქვე ვურთავთ ხალხური ზეპირმეტყველების რამდენიმე ნიმუშს;

სოლო ჯანდიერი

სოლო ჯანდიერი დიდი მემამულე იყო. მე იმადთან ვიყავ სამი წელიწადი. იოჯამაგირეთ. ორი წელიწადი საქონელში დავდიოდიყე. მესამე წელს კიდე ურემზე—აი დადებდა რამე, რალა! მემრე იქილამა, რაცა გვეეჩვიე, გუთანზე მაწმავებდნენ. სოლო ხარჯზე არ იყო უხეურო. ერთი ხელი ჩაცმა წელიწადში მისი იყო, ქალმან—წინდა კი უცვეთელი იყო. ერთი ხელი ჩაცმი გარდა ჩვენ ვყიდულობდით. მემრე წამიყვანეს სალდათათ. სამი წელიწადი ვიყავი იქ. ომი დროს და-უბერი და გამათავისუფლეს ა, შეხე, ხელი.მარჯვენი გაფუჭებული მაქე. იმი შემდეგ სამი წელიწადი ვიარე ცხვარში ბიძაშვილის მეზიარეთ. იქილამა, რასა-ურველია გავიყარენით, შამხეთა 30 ცხვარი. მენშეიკობი დროსა მევეკიდე ბინადრობა და როგორც ღარიბი გლეხი, ხო იცი, ახალ ბინადრობა მოკიდებულა, ცხვარი სუ წავიდა. სოლომა მალე გააყიდა ტყე. თავი გლეხებ მიყიდა. ასე ზეაობაში გამიტარებია ბევრი წლები, ახლა, მადლობა ღმერთ, კოლექტივი ინდერები მეველე ვარ და ვცხოვრობ.

დიმიტრი ივანეს ძე კინქლაძე, 45 წლისა.
სოფ. ახმეტა.

მუხრანის ხიდის შეფასება

ნიკალაი დროსა ჩავიდნენ გლეხები ურემებით ქალაქშია და მუხრანის ხიდან გაჩერდნენ. დაუწყეს ე ხიდ ყურება. ბოლოს ერთი ეუნება მეორეს:—ბი-ქო, რა დაჯდებოდა ე ხიდი?—მეორე დინჯად უპასუხებს:—ე ხიდი დაჯდებო-

და ა-თ-ა-ს ო-რ-ას—ამ დროსა მოიდა გარადიო და ერთი ორი მაგრათ გადაჯკ ზურგზე შემთასებელსა. ბიჭებმა მაშინვე მათხაქეს ურმები. ცოტა მოშორებო პირველი ეკითხება მეორეს:—რა იყო, ბიჭო, რადეთინ ქცემა, ა?—მეორემ უპასუხა:—იმიდეთინა, რომა რატო ენგრე იაფათ აფასებოლო?

მისივე

ტერტრაშვილი ონეზა

ტერტრაშვილი ონეზა გმირი იყო. სადაც რო გახდებოდა იმითანა საქმე დაუძახებდნენ ონეზას: „არიქა, გვიშველე ესე და ესე ამბავი მოხთაო“. ერთ ხელ აქიდან ლეკებ წვესხათ ჩენი ბიჭები. ონეზა წავიდა, სხვებიც გმირებ თან გააყვენ და დაუდგენ ყარაულათა, სადაც უნა გემეველო ლეკებ. იქ ლაპარაკი მოუიდათ ჩენ ბიჭებ ონეზადთან:—არა, მე ვარ და, არა, მე მეტი შენ ზეო.—ქარქიო,—უთხრა ონეზამ,—მე მავან ალაგ დავდგები და შენ მავან ალაგი აიარეს ლეკებმა, მიუდით ბიჭები იმატყენ. ყარაულმა ხმა არ გადცაყე შიშის გან. ონეზასყენ რო აიარეს, ონეზამ ხელადთვე ბელადი წამააქცია, მემრე ი ლეკები სუ დახოცა და ბიჭები წაართვა. რო გათენდა, მივიდნენ ამხანაგები ონეზადთან; ონეზამ კი ი ბიჭები დამალა, არ უჩენს ამხანაგებ.

მემრე, რომელსაც ლაპარაკი მოუიდა ონეზადთან, ონეზამ უთხრა: „გადარე ა იქ, დამბაჩა დამჩა და წამამიღეო“. მემრე ონეზა მიეპარა და ხელიკერი გადააქცია მკვდარ ლეკებზე. მას შეეშინდა და „ვაიმე, დედიო!“ იყვირა. ონეზამ უპასუხა: „ეხლა ხო გაიგე, შენ ხარ ბიჭი, თუ მეო!“

არტემ შაქარას ძე ტერტრაშვილი. 55 წ.,
სოფ. მატანი.

ანდაზები:

მწვერის კული ასი წელი მანგანაში იყო, რო მოუშვეს, ისეე გაბრუნდა: მოჭრილ თით ბოდიში ვერ გაამთელებ.

დარბაზ შასვლა შენ ხელთაა. გამოსვლა კი პატრონისა.

თხა თხი ფეხით დაჯიღებენ, ცხვარ—ცხერი.

ქოფაკმა ძალმა რო კურდღელი გამაბრუნოს, ვითომ დაუჭერია.

გამოცანები:

კედარსა ექამ, კუბოსა ვყრი. (მზესუმზირა).

ერთი რამე სურვიელი

ეშმაკისა სახე,

ზეით-ქვევით დადიოდა,

ძირ გვეგო მახე,

პატარ ჩიტი დეეკიროს,

ჩემი თვალით ვნახე. (ობობა).

უზუმ-უზუმ მოდიოდა
 უზუმ ბარაქიანიო,
 უზუმ წყალსა ჩამოხთება
 ოქრო ქალაქიანიო;
 თავი უგამ ბუტულასა,
 ფეხი ბატი ჭუჭულასა. (აქლემი).

ზეცას ვარ, ქვეცას ფეხ მიღვა,
 ქარ-ნიავე მემუდარების,
 სიტყვას მესვრიან მწარესა
 და მზი გულ დავედარები. (კაკალი).

მოსწრებული თქმები:

ფირუზას (მეტ სახელად ნანიმუტას) კითხეს:
 წერვა-კითხვა შე არ იცი და ამდენი
 ჭკუა ვინ მოგცაო?—მან უპასუხა:
 როცა ჭკუას არიგებდნენ, წინ ვიდექი და ავიღეო.

ერთმა კაცმა ცხენი მოიპარა. როცა კითხეს—ცხენი მოგიპარიაო,—მან
 უპასუხა:—მე გზაში თოკი ვიპოვნევი და ზეთ ცხენი ბმიყო, რა ჩემი ბრალიაო!

საყოფაცხოვრებო ლექსები:

ბიჭო, მოდი, ყანა მამკე,
 აბა, ჩემი მკაცა ნახე,
 თუ ხელეურში ჩამოგრჩე,
 ქალაჩუნა დამიძახე.

მოუარე და გახვალო,
 აზნაურისა ყმა ხარო,
 თუ გინდა ლაფში ჩაწვები,
 თუ გინდა ველზე გახვალო.

ქალბატონმა გადიარა
 ე მინდორი ძუნძულითა,
 თან სიტყვა გამაუყენე
 აბრაშუმში შურდულითა.

რათა მცემ, დედინაცვალო,
 რა უფლება გაქ ჩემზედა,
 ნუთუ იმითვინ მიბრიყვებ
 მონდობილი ვარ შენზედა?

თელავ ბუზიკა დაუკრეს,
შალაურა ნალარაო,
ათჯერ მე რო დაგპატიეო,
შენ კი ერთხელ აღარაო?

—
არა ხეს არ გამოუვა
ვერხვითანა შრიალიო,
ადე გოგო, ითამაშე,
მიყვარ შენი ცქრიალიო.

—
კაცი უნა დარდიმანდი,
არაქონდეს გულში დარდი,
დროზე ქეიფი გააწიოს,
დროზექონდეს საქმი დარდი.

—
ეგ რა არი კაცისათვის,
მარტო ლხინში მოილხინოს;
ის კაცია გულკეკიანი,
ავი საქმე მოითმინოს,
მტერ მტერობა გაუწიოს,
მოყვარეთან გაიცინოს.

მერი გუჯუჯიანი

საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში)

მივლინების შესახებ

(22.X—10.XI.1938 წ.)

მარის სახ. ინსტიტუტმა მიმავლინა აფხაზეთის სვანეთში—დალში სვანური მეტროლოგიური, ანუ საზომ-საწყევ-საფასურის მასალების შესაკრებ-შესასწავლად და ჩემ მიერ თავმოყრილი ცნობების შესამოწმებლად.

დალში ცხოვრობენ ზემო-სვანეთიდან 30—35 წლის წინათ გადასახლებული სვანები. მათ შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა და ადათები. დალი ქ. სოხუმიდან დაშორებულია 100—110 კილომეტრით. ადგილმდებარეობით დალი რამდენიმედ წააგავს სვანეთს: ისეთივე მთაგორიანია და ჰაერიც შედარებით კარგია.

სვანების დალში გადასახლების მთავარი მიზეზი იყო, ერთი მხრივ, მიწის სივიწროვე და, მეორე მხრივ, სისხლის ალების ნიდაგზე შურის ძიების თავიდან აცილება. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიური პირობები აქ შედარებით უკეთესია, მცხოვრებთ სვანეთიდან გადასახლება მაინც ძალიან ეზარებათ; ქვემო სვანეთიდან კი აქ ჯერ-ჯერობით არც ერთი მოსახლე არ გადასულა.

მეტი წილი სვანური მეტროლოგიური მასალებისა ჩემ მიერ თავმოყრილი იყო ჯერ კიდევ ტფილისში, თანახმად სალექსიკოლოგიო განყოფილების მითითებებისა. მივლინებაში წასვლის წინ აღნიშნული მასალები გადაათვალიერა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მისგან მიღებული ინსტრუქციის მიხედვით შევუდექი მასალების დაზუსტებას და ახლის შეგროვებას ადგილობრივ, დალში.

მივლინების დრო გავრძელდა 22 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე. ჩემი მარშრუტი იყო: ტფილისი, სოხუმი, წებელდა, ლათა, აჯარა, გუნწიში, ანუ საკუთრივ დალი. გარდა აღნიშნული ადგილებისა დავიარე სოფლები: ომარიშალი, გვანდრა და ტიში.

სოხუმში ვიყავი 23 ოქტომბერს, 24-ს მანქანით გავემგზავრე წებელდაში, აქედან კი ცხენითლა შეიძლება წასვლა რაიონში, მაგრამ ცხენის შოვნა ძალიან გაჭირდა. ერთმა სვანმა მგზავრმა გამომიყვანა უხერხული მღვამარეობიდან. სოხუმიდან მიმავალმა დალის მცხოვრებ გიორგი ჩხეტიანმა თავაზიანად დამითხოვა თავისი ცხენი და ამით გადავიჩინე როგორც ხანგრძლივ ლოდინს, ისე საკმაოდ დიდ ხარჯებსაც. გზაში ჩხეტიანთან გასაუბრებისას გამოვარკვეე, სად რა სოფლები მდებარეობს და რა ადგილებია დასახლებული სვანებით, ამან ძალიან გაადვილა ჩემი მუშაობა.

24 ოქტომბერსვე აჯარაში ვიყავი. დაებინავე ერთი ჩემი ნათესავის ოჯახში. ამავე დღეს გამოეცხადა აჯარის სოფსაბჭოში. მდივანმა კარგად მიმილო და აღმოთქვა ყოველგვარი დახმარება მუშაობაში. აქვე დამხვდა ზემო-სვანეთიდან გადმოსახლებული ლევან ჯაქვლიანი, სოფსაბჭოს აქტივისტი და კარგი მცოდნე სვანურ ადათ-ჩვეულებათა. ლ. ჯაქვლიანი იყო ჩემი მთავარი ინფორმატორი და თანამგზავი. ამხანაგ ლ. ჯაქვლიანთან ერთად კორძაიას სახლში მოვიწვიე რამდენიმე მოხუცი სვანი (გეგი გულბანი, ივანე კორძაია, ზემო-სვანეთიდან აქ შემთხვევით ჩამოსული ვასილ კორძაია) და შევადგინეთ მუშაობის გეგმა სოფლების მიხედვით. მათ დაასახელეს საქმის მცოდნე მოხუცი პირები, რომლებიც გამოდგებოდნენ ინფორმატორებად, სახელდობრ:

1. გუნწიშში—1. ლ. ჯაქვლიანი, გადმოსახლებული მულახიდან და 2. დადაა ჩოფლიანი, გადმოსახლებული ხალდედან,
2. აჯარაში — 1. გეგი გულბანი—ფარიდან, 2. ვასილ კორძაია—წვირმიდან,
3. ხუტიაში -- 1. კოსტა და 2. იასონ არღვლიანები--ცხუმარიდან,
4. გვანდრაში—თავადო გუჯეჯიანი—ეცერიდან,
5. ომარიშალში—ომანა დევდარიანი—ფარიდან,
6. ტიშში—დავით წერელიანი და დავით ივეჩიანი--ლატალიდან. რაც შეეხება უშგულს, ჰალიშს, ლახამულას და მესტია-ლენჯერს, აქედან გადმოსახლებულს ვერავის წავაწყდი. ამიტომ ჩუბუხევისა (გარდა ფარისა), უშგულისა და მესტია-ლენჯერის მიხედვით მასალების შეგროვება დალში ვერ მოხერხდა.

25 ოქტომბერს დავიწყე მუშაობა სოფ. გუნწიშში. საგულისხმოა, რომ მასალების შეკრებისას ერთის ნაცვლად ჩნდებოდა რამოდენიმე ინფორმატორი, რომელნიც დიდი ხალისით მაწვდიდნენ საჭირო ცნობებს, ისე რომ ძლივს ვასწრებდი ჩაწერას.

გუნწიშიდან მოყოლებული დავიარე დალის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი, სახელდობრ, სოფლები: გვანდრა, ხუტია და ომარიშალი. სოფ. გვანდრაში ყოფნისას მივიღე აჯარის სოფსაბჭოს მოწერილობა; სოფსაბჭო გვიბარებდა. გამოირკვა, რომ სოხუმიდან ჩამოსულიყვნენ გაზეთ „Советская Абхазия“-ს კორესპონდენტები, რომელთაც სურდათ ჩემი მუშაობის შესახებ ინფორმაციის მიღება. მივაწოდე ინფორმაცია და იმავე დღეს გაგებუნდი უკან გუნწიშში. ხუთ ნოემბრამდე განვაგრძე მუშაობა ხეიტიასა, გვანდრასა, გუნწიშსა და ომარიშალში. 6 ნოემბერს გავემგზიერე სოფ. ტიშში. აქაც ვიმუშავე 8 ნოემბრამდე. აქედან 8 ნოემბერს ვავიარე აჯარაში და გამოემგზავრე ტფილისისაკენ. ამ ხნის განმავლობაში დავამუშავე შემდეგი მეტროლოგიური მასალები: 1. სივრცის საზომები, 2. ნართის საზომები, 3. მცენარეულობის, სახელდობრ: მარცვლეულის და მასთან ერთად საზიდი საზომები, 4. სითხის საწყავეები, 5. საკმლისა, 6. დროის საზომები, 7. გამომცხვარი პურის სახელები (მათ ფორმებთან დაკავშირებით).

გარდა ჩვეულებრივი საზომებისა აღნიშნულ თემაში შედის ისეთი თავისებური საფასურებიც, რომლებიც დატულია საკუთრივ სვანურ ადათ-ჩვეულებებში:

ასეთია, მაგალითად: „წორ“, „ნაქელაშე“, „ნაცრიელ“, „ნაყდნაშტ“. „ბაცხ“, „საყსაზრ“ და მრავალი სხვა.

წორ სისხლის (კაცის) საფასურია. წორის საკითხის გამორკვევისას აღმოჩნდა დიდი განსხვავება თემების მიხედვით, ანუ, წინათ როგორც უწოდებდნენ, საზოგადოებათა მიხედვით, ასე, მაგალითად, მულახის თემში წორ უდრიდა 12 დლიურ მიწას: 6 დლიურ საყანე ადგილს და 6 დლიურ სათიბს. ცნობილია მულახში „ნავერიანის წორ“, რომელიც საერთო საზომად არის ქვეული. წორის გადახდისას თუ სათიბი არ იკმარებდა, მაშინ საყანე, ან სამოსახლო ადგილს აძლევდნენ. წორის გარდა საჩუქრებიც იცოდნენ მოკლულის მკვიდრი ნათესავებისათვის. საჩუქრები ხშირად 100—300 მანეთამდე აღწევდა.

ლატალში წორის საფასური 24 ნალჯევი, ანუ 12 დლიური მიწა იყო. ოდნავ უვარგის მიწას არ წაიღებდნენ, ხოლო, თუ კარგი ნოყიერი მიწა იქნებოდა, მაშინ ერთი ნალჯევი 2 ნალჯევის ღირებულებად შეიძლება ჩაეთვალოს. ორი ნალჯევი არის დლიური. ნალჯევი ფასობდა ერთ უღელ საშუალო ხარად. ხარი ფასობდა 15—25—30 მანეთამდე.

დადგეველიანების ანუ აზნაურების წორ ორმაგი იყო და ასეთს ვერაინ უძღებდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ლატალეებს მოუკლავთ ალექსანდრე დადგეველიანი, რომლის წორის გადახდა მთელს ლატალს უკისრია და მკვლელი არ გაუტოათ. მიუციათ აუარებელი მიწა—სათიბი.

წორს გარდა საჩუქრები ლატალშიც იციან ისევე, როგორც მულახში 200—300 მანეთამდე.

უშგულში წორ უდრიდა 12 ნალჯევი მიწას და საჩუქრებს. წორს ყოველთვის მიწით იხდიდნენ, ხოლო საქონელს აძლევდნენ საჩუქრებად ნათესავებს. (რას უდრის უშგულური ნალჯევი, მთქმელმა კარგად არ იცოდა, ვარაუდობდა 1 დლიურს. თუ ეს ასეა, მაშინ უშგულური წორი უდრის მულახისა და ლატალისას, სახელდობრ: 12 დლიურ მიწას).

ეცერში წორი უდრიდა 12 ცხვადეშ საყანე ადგილს, ან სათიბს. ცხვადეშ 84 კვ სატენია ან ერთი დლიური. მაშასადამე, 12 ცხვადეში 12 დლიურია. გარდა ამისა საჩუქარი იყო 12 ძროხა ან მისი ღირებულება.

ხალდეში წორ უდრიდა 600 მან. წორის საფასური ხალდეში ყველა საზოგადოებაზე ნაკლები იყო. აქ წორს იხდიდნენ უპირველეს ყოვლისა მოძრავი ქონებით, ე. ი. საქონლით, ფულით, განძეულითა და იარაღით; უკიდურეს შემთხვევაში იხდიდნენ მიწით. საჩუქრებიც იცოდნენ, მაგრამ ეს დამოკიდებული იყო ოჯახის შეძლებაზე. საჩუქრის რაოდენობა წესით არ იყო დადგენილი. გარდა ამისა მედიატორეთ ეძლეოდა „ნალერიელ“ („ფიცისა“) და საათისთავო (ნალერიელ და საათისთავო ყველგან იციან სვანეთში).

იფარში წორ უდრიდა 30 ტყეშიშს. ტყეშიში უდრის 4 ათისშს, ათისში უდრის 6 მან. მაშასადამე, 30 ტყეშიში $\times 4$ ათისშე = 120 ათისშს; 120 ათისშ $\times 6$ მან. = 720 მან., ანუ 8 ნალჯევი მიწას საყანესა და სათიბს. რას უდრიდა იფარული ნალჯევი (ჯერ არაა ზუსტად გამორკვეული), ხოლო შეფასებიდან ჩანს რომ ის უდრიდა დლიურს. რვა ნალჯევი მედიატორეთა შეხედულებით შეიძლე-

ბოდა კიდევ შემცირებულყო, თუ მხედველობაში მიიღებდნენ ოჯახის უმწეო მდგომარეობას და აგრეთვე კარგი ხარისხის მიწას.

ლახამულაში წორ უდრიდა 1.200 მანეთს, ანუ 12 ცხედრს; 2 ცხედრში უდრის 1 დლიურს. ამრიგად წორ უდრიდა 6 დლიურ მიწას, მაგრამ ლახამულაში წორს იხდიდნენ უფრო ხშირად არა მიწით, არამედ მოძრავი ქონებით და უკიდურეს შემთხვევაში—მიწით.

წორის გადახდა მრავალ თავისებურებებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამაზე ახლა არ შევჩერდებით.

ასეთივეა სევანური ადათი ნაქვლაშე. იგი დაკავშირებულია ცოლის მოყვანასთან ქმრის ოჯახში.

ნაქვლაშად მულაზში აძლევდნენ 7 ძროხას ან მის საღირაღს (ფულს, იარაღს ან სხვას), ხოლო უკიდურეს შემთხვევაში მიწას. ცოლის მოყვანასთან დაკავშირებით იცოდნენ აგრეთვე სხვა გადასახადებიც და ოთხჯერ ქორწილი.

ეცერში ნაქვლაშე უდრიდა 12 ძროხას ან მის საღირაღს, მაგრამ ხარკი ფურის ფასში მიჰყავდათ და ამდენად ნაქვლაშე აქ ხშირად 20 ძროხის საფასურამდე აღწევდა. თუ ამდენი საქონელი არ ეყოლებოდათ, მაშინ მიწით იხდიდნენ.

ფარში ნაქვლაშე უდრიდა 8 ფურს, ან მის საღირაღს.

ხალდეშში კი ნაქვლაშეშში აძლევდნენ 4 ხარის საღირაღს, ან უღელ ხარს და ორ ფურს.

იფარში ნაქვლაშე ერთი ნალჯემი იყო, რაც უდრიდა უღელ ხარსა და ფურს, ან უღელ ხარსა და ორ ფურს.

ლატალში ნაქვლაშე შეადგენდა 3 ხარსა და ერთ ფურს და სხვა.

ზემომოყვანილ მაგალითებიდან ჩანს, რომ აღნიშნული საფასურები ყველგან ერთნაირი არ იყო სევანეთში, მაგრამ ამაზე დაწვრილებით ცალკე.

ჩემ მიერ შეკრებილი მეტროლოგიური და სხვა ტერმინების რიცხვი 250-ზე მეტია. 9—10 დღის განმავლობაში შევავე რეულის 110 გვერდი.

დაწვრილებით აღწერე ესა თუ ის საზომ-საფასური სოფლების მიხედვით.

ფონეტიკის კაბინეტი

ს. ჟღერები

ანბარიში 1938 წ. საზაფხულო მივლინებისა სვანური ენის ფონეტიკაზე სამუშაოდ

სვანურ ენაზე სამუშაოდ ჩემი მივლინება ეს მეორედ იყო (პირველად ჭთელისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმავლინა 1937 წ. ზაფხულს).

სამუშაო რაიონად ზემო სვანეთი ავირჩიე, რადგან სხვა დიალექტებთან შედარებით ამ რაიონის მეტყველებისათვის დამახასიათებელია ყველაზე რთული ენობრივი მოვლენები, რომელთა დაძლევის შემდეგ სხვა დიალექტების დაძლევა უფრო ადვილია.

მივლინების მიზანს შეადგენდა, პირველ რიგში, სვანურ კონსონანტებზე დაკვირვება. გარდა ამისა, სვანური ენობრივი აგებულების (სტრუქტურის) შესწავლა ცოცხალ მეტყველებაში.

სვანურ კონსონანტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ზემო სვანურში მკლერობის ხარისხიანობა მკლერ ხშულებში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სხვა ქართველურ ენებში.

ასე, მაგ.: ზემო სვანურში აუსლაუტში მოქცეული მკლერი ხშულები ისე ინახვენ სრულმკლერობას, როგორც ანლაუტსა და ინლაუტში მოქცეული ამავე რიგის თანხმოვნები. მაშინ, როდესაც სხვა ქართველურ ენებში აუსლაუტში მოქცეული მკლერი ხშულები ვერ ინარჩუნებენ სრულ მკლერობას: ყრუვდებიან ნახევრად ან სრულიად.

ზემო სვანურში აუსლაუტში მოქცეული ბ, დ, გ, ჯ კი სრულმკლერობას ინარჩუნებს.

მაგ.: ბ: ტერბ	'ორობ'	მაგ.: დ: ზად	'გადვიებული ქერის მარცვალი საარაყედ'
ლუებ	'სკა'	გ: ჭარგ	'აზნაური'
ტუიბ	'ხევი'	ზანგალანგ	'ზარი'
შგუიბ	'აკო'	სარაგ	'წყარო' და სხვა
საბ	'შეშა'	კოჯ	'კლდე'
ჯაბ	'ნაკვალევი' და სხვა	ბარჯ	'ბეჭი'
დ: ჳად	'მუცელი'	გუიჯ	'წაბლი' და სხვ.
ჰაკუბად	'კული'		
ჟიშად	'წიხლი'		

იმის გამო, რომ ზემო სვანურში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით მეტია მკლერობის ხარისხიანობა, ეს საფუძველს ჰქმნის ე. წ. დისიმილაციურ ვაჟღერებისათვის. ეს მოვლენა ზემოსვანურ მეტყველებაში ფართოდაა გავრ-

ცელბული. აქვე დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: მეგრ.-ქან. შაპა ნიშნავს: 'მღვდელს'. ეს სიტყვა ზემოსვანურში წარმოდგენილია: შაპ ფორმით.

ქართულში გავრცელებული: ჰაკი ("ღვდალი ცხენი"), სვანურში წარმოდგენილია ჰვგ ფორმით.

ქართ. ჰატო, სვანურში წარმოდგენილია: გვტ ფორმით.

ქართ. (ბერძ.) კალატოზი სვანურში წარმოდგენილია გალტეზ ფორმით.

ქართ. (დიალ.) ჰაჰა 'თირკმელი', სვანურში წარმოდგენილია ჯაჰ ფორმით.

ქართულში გავრცელებული სიტყვა: ყაჭი სვანურში წარმოდგენილია: ყვჯ ფორმით და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ქრისტე სვანურში ქრიხღე ფორმითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში დ ინარჩუნებს სრულ მკლერობას ს-ს მეზობლობაში ისე, როგორც სვანურში გავრცელებულ საკუთარ სახელს: კოსღა-ში.

გარდა ამისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო სვანებში გავრცელებულმა ქართული მეტყველების თავისებურებამ.

შენიშნულია, რომ ქართულის სუსტად მცოდნე სვანი ზოგჯერ ქართულ ზმნებში მრ. რიც. 3 პირში სვანური ზმნებისათვის დამახასიათებელ (მრ. რიც. 3 პ.) ხ სუფიქსს იყენებს. ამ მოვლენის შესახებ ჯერ კიდევ ნიკო ჩიმაკაძემ შენიშნა (იხ. თავისუფალი სვანეთი, "ძველი საქართველო", II, განყ. IV, გვ. 3—4). ივანე ნიჭარაძე იქვე შენიშვნაში წერს: "სვანურ ენაში მესამე პირის დაბოლოება მრავლობითი რიცხვისა არის „ხ“, რომელიც უღრის ქართულ „ნ“(-ს). და ამ სვანურ დაბოლოებას უმატებენ ქართული ლაპარაკის დროს ქართულ სიტყვებს, მაგ.: „წაიღახ“ = წაიღინენ; „იმათ სთქვახ“ = იმათ სთქვეს. მრავლობითი რიცხვის მესამე პირის ანალოგიით ესევე „ხ“ იხმარება მხოლოდობით რიცხვის მესამე პირის დაბოლოებაშიაც, ხოლო სხვა პირების დაბოლოებაში ეს „ხ“ არ იხმარება, და, თუ ამას ზოგიერთნი ხმარობენ, ეს ქართული ენის უეცრობას ნიშნავს სვანების შეხედულებითაც“.

ამ რიგის მაგალითებია: გაგიმარჯო-ხ, გამყოფო-ხ, გემტვრევა-ხ, უნახავ-ხ (იხ. ვ. თოფურია, სვანური ენა, ზმნა, გვ. 15).

განსაკუთრებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო სვანურისათვის დამახასიათებელმა (არა ყველა დიალექტისათვის) ხმოვნების სიგრძის გავლენამ ქართულ ხმოვნებზე. ზოგჯერ ქართულის სუსტად მცოდნე ქართულ ხმოვნებს ისე აგრძელებს, როგორც ეს სვანურისათვის არის დამახასიათებელი. მაგ.: „არა კ-ცო“; „ჩვენ გვინდა“; „რად გინდოდა“; „ჩვენ ფულს ვერ მიეცემთ“; მერე ილოცავდენ ლაღბარში“; „ჩვენ გვაქვს“; „მწარტო ის არა“; „ქალი“; „აქვს“; „ფეხს“ და სხვა.

თუ რა თავისებური სახე მიიღო ქართულმა მეტყველებამ სვანურის ენობრივ სინამდვილეში, მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს და სპეციალურ კვლევას მოითხოვს ის.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად ჩაწერილია ფოლკლორული მასალები ცხრა ნაბეჭდი ფორმის რაოდენობით. ტექსტები სხვადასხვა ხასიათისაა: ლექსები, შაირები, ისტორიული ხასიათის ლეგენდები სვანებისა, ოსებისა და მალყარლების შესახებ.

სვანური ხალხური შემოქმედების მთავარ თემას ნადირობის კულტი წარმოადგენს. უდიდესი მასალაა შექმნილი ამ კულტის შესახებ. ეს იმიტომ, რომ ისტორიულად სვანების სამიწურნეო ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მონადირეობა.

აქვე არ შეიძლება არ მოვიყვანო ჩემ მიერ ჩაწერილი ერთი ეპიზოდი, რომელიც ნადირობის კულტთან არის დაკავშირებული.

ბეთქან ლაკუტირას მეშუედელი!

ჩუ ლუზორ ლი მელახ-მეჯალუ
 ებშიშ სტიფისგა,
 ბითქუშუ ესღობ სამთი კეშხაშს,
 თუთენე კვიკრა ლახშვამ
 ბეთქანს ოთხანდ ნაბრავიკა
 ამიშ მექემ ძარ იროლე!
 ამიშ მექემ ბეთქან ორა.
 ალას ბეთქან დემ ისმინე.
 ნამ ი უმბილ მამ ოთხანდებ
 ეი ხოფხიკა თუთეფ ი ძარალდ,
 — სეტებინ კვიცრა, უეშგინ ბეთქან
 სეტებინ ნალჯანუ შუკუ ხოყოლიხ.
 — ლახხუსგი უეშგმაუ შუკუ გუილდუმენი

— სგა ლამლორევე სავანტთესგა
 — ხოჩათ ლეთ ჯარ დლას მიშგუა!
 — ბეთქან შვიდებდუ ლამვედა.
 — მიშგუი ნაპოდ ჰეშმილდ მანდ?

— აგის ვმსანდ ლაყურა თხურამაშ.
 — ლიტხანლს მიშა ეჯგევას ჯაჩო,
 ათხე კოჯდ ლიტხემ ანდინე.
 — ლერსგვენ ტუტეტიშ ლადტორ
 ლამად,
 — ლერთენ კეშხმშიშ ლანგა ლამსანდ.
 — დედე, დედე, შყრდენილა!
 ალა მეჯალევარს ხობაეახ.
 ღერს ახლენანდახ ბარჯალშე კიჩხარ.
 ღერს ახლენანდახ ნაბდიშ ქათვარ.
 ღერს ახლენანდახ თაქვამ ქათვარ.
 ათხე კიჩხარს აგმანნიღობ.
 — ცუილდი ლალე იმ ხითიანლედ,

ბეთქანი საჯიხვეს გადმოვარდნილა!

შეგროვილან მულახელები-შუეალელები
 ებეშის მოედანზე,
 ხმაურით მიდიან „სამთის ფერხულით“¹,
 თეთრი ჯიხვი გამოხტა (მოვარდა)
 ბეთქანს გაუხტა (გაუარა) ლაჯებში.
 ამის დამკერი (მდევარი) ვინ იქნება!
 ამის დამკერი ბეთქანი იქნება.
 ამას ბეთქანი არ ისმენს.
 ნება-უნებლივ აიძულეს.
 სტაცა ხელი თოფ-იარაღს,
 — წინ ჯიხვი უქან ბეთქანი.
 წინ მარხილის გზა მიუძღვით.
 — მოვიხედე უქან, — გზა დაიკარგა
 (წაიშალა).
 — შემიტყუილა სალკლდეში.
 — სალამო შვიდობის დალო ჩემო!
 — ბეთქან, მშვიდობით მომსვლოდე!
 — ჩემი ნაჩუქარი მძივი (თილისმა) რა
 უყავ?

— სახლში დამარჩა სასთუმალქვეშ.
 — მეც სამაგიეროს გადაგიხდი (გიზამ),
 — ახლა კლდემ ზრდა იწყო.
 — მარჯვენა ხელის მოსაკიდი შემარჩა,
 — მარცხენა ფეხის დასადგმელი შემარჩა..
 — დედა, დედა, ვვარდები.
 ეს მუჯალელებს გაუგიათ.
 ზოგს მოჰქონდა მხრით კიბეები.
 ზოგს მოჰქონდა ქეჩის ტვირთი,
 ზოგს მოჰქონდა თოკის ტვირთი.
 ახლა კიბეს კიბეზე ადგამენ.
 — ტყუილა რას ცოდვილობთ,

¹ „სამთის ფერხული“ — ძველებური ფერხულია.

კიჩხარ ამათ დემ მოშ ხეჰახ.

ათხე თჳკვარს აქვრიწლებ,

— ტჳილდი ლალე იმ ხითიწლედ,

თჳკვარს ამათ ბიქტ დემ იხნი.

ათხე ნაბდარს არშანდელიხ.

— ტჳილდი ლალე იმ ხითიწლედ.

ეჩათ მიშგუ ჯიჯე დემ აჰი.

— ეშხუ ქეშნაშ ჟი ლამსგიდუნედ,

— თამარ მიშგუთი თხუმ ლახკერნედ,

— დიას მიშგუთა ოხუმბავედ,

ედე მიფანედს ტებდი ქუთულდს

— მუას მიშგუთა ოხუმბავედ:

მი მიფანედს რანგიშ კათხას.

— მუხტა მიშგუთა ოხუმბავედ:

— ხეხე ი გეზალ ნომ¹ შვოკრას,

— დაჩტირს მიშგუთა ოხუმბავედ:

— ხოლა ბეთჳან ჩუ ხეკრავი,

— ხოჩა ებჯუე ჩუ ხესდენი,

— ცოდა მიშგუთა თამარსუ ხარ

— თამარს მიშგუთა თელელგრას.

— ჩუ ლამქადუნე აღბაშ ცალეთ

— ურწყულ ამფიშტუ ლაკვირათე.

— დალაშ ჰეშილდ ქა ლამლორვე.

ათხე ქეშნაშ ჟი ლახდინეხ.

თამარ თხუმ ასუე ლახვეერნეხ,

ეჯენე პლატკ ლოხუსიპტენე.

ბეთჳანიშ თერალ ქა ლახსედა,

ბეთჳანიშ ჯიჯუდდ გიმთეჩუ დემ ანჰე.

კიბეები აქამდის ვერ ამოსწედებინ.

ახლა თოკებს ასკვიან ერთმანეთს.

— ტყუილა რას ცოდვილობთ?

თოკებს აქამდის ქარი არ ამოუშეებს.

ახლა ქეჩებს აგებენ.

ტყუილა რას ცდილობთ?

მანდამდის ჩემი ძვალი ვერ ჩამოაწევს.

— ერთი ფერხული დამანახეთ,

— ჩემი თამარი წინ გაიძლოლეთ.

— დედა ჩემს უამბეთ:

შემინდობდეს (მიკურთხებდეს) ცხელ ხაჰაპურს.

— მამა ჩემს უამბეთ:

მიკურთხოს კათხით რანგი¹

— ჩემ ძმას უამბეთ.

ცოლშვილს ნუ დამიობლებს.

— ჩემ დას უთხარით:

კარგი ბეთჳანი ეკარგება (ქე ეკარგება)

უკეთესი ებჯუეი დარჩება (ქე დარჩება).

— ჩემი ცოდვა თამარს ჰქონდეს.

— თამარს—ჩემ რძალს.

— შემაცდინა ყველიერის ხუთშაბათს.

— უწმინდური გამიშვა საჯიხეშში.

— დალის მძივი გამომტყუა.

ახლა ფერხული დაიწყეს.

თამარ წინ გაიძლოლეს.

მან ცხვირსახოცი დაუტრიალა (ბეთჳანს).

ბეთჳანის თვალეები მას მიაშტერდა.

ბეთჳანის ძვლებმა მიწამდის ვერ ჩამოაღწიეს.

¹ რანგი—თავლის ტყბილი სასწული.

2. ჩ ი ტ ა ი ა

ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული მასპედიციის მოკლე ანბარი

მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენი ინსტიტუტის მიერ ქსნის ხეობაში მივლინებულმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ განსაკუთრებით იმუშავა ამ ხეობის მთიან ზოლში. ექსპედიციის მიერ შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტები:

1. ლარგვისი (მონასტერი) — ცხავატი,
2. ლარგვისი — ხარბალი,
3. ლარგვისი — დადიანეთი,
4. ლარგვისი — ხრომის-წყარო და მთის ძირის ზოლში
5. ახალგორი (ლენინგორი) — იკოთი.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა წინათ დაწყებული თემის „ქსნის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა“ შესწავლის გაგრძელება და აგრეთვე კერამიკისა და მკედლობის კომპლექსების შესახებ მასალის შეგროვება. გზადაგზა ექსპედიცია ჰკრებდა მასალას მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საკითხების შესახებ.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ექსპედიციის ხელმძღვანელი გ. ჩიტაია, ასპირანტები — ლ. ბოქორიშვილი და ნ. რეხვიაშვილი და არქიტექტორი ირ. ქავთარაძე.


ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა ათ დღეს.

ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ „ზებუყურის მთა... ჩამოადგების ცხვირად ქსანს, დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს ქსანს კლდითა. ამ კლდის ქვეით მტკვრამდე, ქსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მკიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, კლდიან-ტყიანობითა“¹.

ასევე მთად და ბარად დაყოფილი ჩანს ეს ხეობა ხალხის აღწერის დავთრების მიხედვითაც²: ბარის მოსახლეობა ცალკე აუწერიათ, ხოლო მთისა ცალკე.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. გეოგრ., ჯანაშვილი, გამოცემა, ტფ. 1904, გვ. 100.

² ი ვ. ვ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკ. ისტ., ტ. I, ტფ. 1930, გვ. 25—26.



გქაუდციის მარშრუტი

საყურადღებოა, რომ 1711 წლის აღწერილობაში მოხსენებული დასახლებული ადგილების დიდი უმეტესობა დღემდე ძველი სახელწოდებით იხსენიება:

- | | |
|--------------------------------------|--------------------------|
| 1. ქურთა (ქურთის წყალი, ქურთის ხევი) | 9. დაბაკეთი |
| 2. საჭორეთი | 10. უკან-უბანი |
| 3. ხარბალი | 11. უკანა-მხარი |
| 4. შველიეთი | 12. ჩიტანთ-ქარი |
| 5. დადიანეთი | 13. ყველდაბა |
| 6. ზოდეხი | 14. წინუბანი |
| 7. თოხთა | 15. მონასტერი (ლარგვისი) |
| 8. მახიარეთი | 16. ცხაოტი ცხავატი |

საყურადღებო გარემოებაა ისიც, რომ აქ ჩამოთვლილი დასახლებული პუნქტები წარმოადგენენ უმეტეს წილად ხეობებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი უბნები. მაგ. ცხავტურას ხეზე გაშლილ მოსახლეობას ცხაოტი || ცხავატი ეწოდება, რომელიც შვიდი, ერთმანეთისაგან საკმაო მანძილთ დაშორებული, უბნისაგან შედგება, სახელდობრ: 1. წინაუბანი, 2. გოგიაანი, 3. ჩუშანი (ამათში ბუნტურები ცხოვრობენ), 4. ჟივტკარი (ჟივიძეები ცხოვრობენ), 5. გოგიაანი (გოგიაშვილები ცხოვრობენ), 6. სუბანი (სუბიშვილები ცხოვრობენ) და 7. ლარუეთი (ბურღულები ცხოვრობენ). ასევეა დადიანეთშიც. ის შედგება შემდეგი უბნებიდან: 1. წინადადიანეთი, 2. რევაზიაანი, 3. შალიანთ-ქარი და 4. ხადილანი. დადიანეთის ყველა უბანში ბერიანიძეები ცხოვრობენ. მათ შემოხიზნული ჰყავთ მხოლოდ ერთი უცხო გვარი ხუციშვილი. აღსანიშნავია, რომ ეჭვგამურობა ამ ხეობის ყველა უბნებში მტკიცეა და დაცული: ცოლის მოყვანა შეიძლება მხოლოდ სხვა ხეობიდან. ასევეა ცხავატის ხეობაშიც. მათ წარმოდგენაში უბნებში მცხოვრებნი სხვადასხვა გვარები წარმომდგარნი არიან ერთი გვარიდან (მელითაურიდან) და ამიტომ აქაც ცოლი მოჰყავთ სხვა ხეობებიდან; ასევე უბნებადაა დაყოფილი (უბანი ერთი მეორეს საკმაოდ შორავს) ბუნიას ხევში მდებარე იკოთი. აქ ხუთი უბანია: ქვენიკოთი, ზენიკოთი, გიგარაანი, ზანგურაანი და ნიაურები.

სოფლის ასეთი დანაწილება უბნებად დღემდე შემონახულია ზემო-აჭარაშიც, სადაც უბნების სახელწოდებად მკვლევრ-ა მიღებული.

ჩვენი შესასწავლი მხარის ეთნიკური შემადგენლობის დასადგენად საყურადღებო ცნობა მოიპოვება ვახუშტის გეოგრაფიაში. ვახუშტი წერს: „ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“¹. საყურადღებოა, რომ პროცესი ეთნიკური გადაჯგუფებისა მთიდან ბარში უკანასკნელ ხანამდე გავრცელებულა. ამ გადაჯგუფებას ახლდა.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, op. cit. გვ. 104.

ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა პუნქტების გავლა. მაგ. ეამუშიდან გადასახლებულან ჯერ ახალგორში, ხოლო ახალგორიდან ქანდაში; ლომისიდან ჯერ იფნევი (ხალიბეგაანში), ხოლო იფნევიდან წირქვალში და სხვა.

ეს პროცესი ეთნოგრაფიული კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს და სათანადოდ შეფასდეს ეთნოგრაფიული მოვლენების განხილვის დროს, ვინაიდან ამგვარი პროცესის შედეგად იქმნება ნარევი ეთნოგრაფიული კომპლექსები. ამ კომპლექსებში მთის, მთისძირისა და ბარის მახასიათებელი ელემენტები ერთადაა შერწყმული.

თავისთავად მოსახლეობის მოძრაობის პროცესი მთიდან მთისძირისა და ბარში მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს, ვინაიდან ეს მოვლენა დაკავშირებულია ალპიური ლანდშაფტის მეურნეობის თავისებურებასთან. ეს თავისებურება, პრიმიტიული, არა ინტენსიური მეურნეობის არსებობის პირობებში, ჰქმნის მოსახლეობის რაოდენობის სტაბილობას, რომლის ნამატი იძულებულია მთიდან გადმოსახლდეს.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია მთაში განსაზღვრულია იმდენად, რომ ამ ზოლის მოსახლეობის სიმჭიდროვე მთელს მსოფლიოში მეტად მცირეა და ცოტათი აღემატება უდაბნოთა მოსახლეობის სიმჭიდროვეს. ამის გამო, როგორც კი მთის ზოლის მოსახლეობა მიაღწევდა თავის საზღვარს, მოსახლეობის ზედმეტი რაოდენობა იძულებული იყო პირველ რიგში მთისძირში გადმოსახლებულიყო, სადაც, ნაწილობრივ ამის გამო, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალ დონეს აღწევდა. შემჩნეულია, რომ მეტად შემჭიდროვებული სოფლის მოსახლეობა მსოფლიოში უმეტესად მთისძირა ზოლს ეკუთვნის.

ეთნოგრაფიული მოვლენის რთულ კომპლექსს ჩვენი შესასწავლი რაიონის ის ნაწილი წარმოადგენს, რომელიც ქსნის შესართავთან მდებარეობს. აქ მცირე მანძილზე მოცემულია სოფლები: ქართველების, ოსების, სირიელების (აისორების), გერმანელების და ყარაფაფახების. ამ სოფლებში ნაგებობათა ჰიბრიდების არსებობის გვერდით ტიპური შენობებიც მოიპოვება საკმაოდ დამახასიათებელი ამათუიმ ეთნიკური ერთეულისათვის. მაგალითად, სირიელების სოფელში (ძველი ქანდა) ჯერ კიდევ შემონახულია სპარსული მიწურები (სირიელები ურმიის მახლობელ მიდამოებიდან არიან საქართველოში მოსულნი), თუმცა დიდ უმრავლესობას უკვე ქართლური მიწურები აქვს.

ჩვენი საკვლევი რაიონის მთის ზოლშიც საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა ჰიბრიდული ტიპებია მოცემული. მაგრამ ძირითადი ტიპის დადგენა მაინც შესაძლებელი შეიქმნა.

იმ დროს, როცა სოფ. ხარბალში როგორც დასახლების ტიპი, ისე სახლის ტიპიც უკვე ახალია (წახნაგოვანი სახურავი, ცალკე კარმიდამო), დადიანეთის ერთ-ერთ უბანში, ხაღილაანში, დასახლების და ნაგებობათა ტიპი ძველებურია. უბანი წარმოადგენს გორაკზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შეფენებაზე გამართულ სოფელს, რომლის სახლიდან სახლში გადასვლა ადვილია. საყურადღებოა, რომ იფნევის ერთ უბანს დასახლების ტიპად ძველი ციხის გალავანი აურჩევია და შიგ მოთავსებულია. გალავანს ალაყაფის კარები აქვს, რომელსაც მცხოვრებნი ღამით ჰკეტავენ ხოლმე.

შეგვეფუთლად დასახლების ტიპი ცნობილია როგორც ჩვენში ისევე მცირე აზიაში¹ და ძველად ხალდურ სამეფოშიც² იყო. დასახლების ამ ტიპს შეესაბამება ნაგებობის ტიპიც.

აქ დამოწმებული ძველებური სახლის ტიპი მიწურია. ის წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას, რომლის ქვემო სართულში ძირითადად ადამიანის საცხოვრებელი და პირუტყვის სადგომია ნოწყობილი, ხოლო მეორე სართულში ადამიანის და პირუტყვის მარაგია დაცული და კალოა გამართული. ნაგებობის ეს ტიპი შეგუებულია პრიმიტიული მთის მეურნეობისა და ბუნებრივ პირობებთან. მთის ხანგრძლივი ზამთრის პირობებში პირუტყვისა და ადამიანის და მათი მარაგის ერთ კერძევე მოქცევა ხელსაყრელი იყო. ბარის პირობებში მიწური სახლის არსებობის დროს ცალკე გამოყოფა საქონლის მარაგის დასაცავი ნაგებობისა და პირუტყვის სადგომისა შესაძლებელია და სინამდვილეში ეს ასეა კიდევ, თუმცა ამავე ბარის პირობებში ბევრ შემთხვევაში ერთი სართულის კერძს ქვეშ ათავსებენ, როგორც ადამიანს, ისე პირუტყვის და მათი მარაგის ბინასაც³.

არსებითად სახლის ეს ტიპი ბარულ მიწურთანაა დაკავშირებული, მისი მეორე სართული ამ სახლის მეორადი ელემენტია. იგი შემდეგაა დადგმული ქვემო სართულზე. მიწური სახლის ძირითად ნაწილებს წარმოადგენენ: ბანი, ქვემო სართულის განლაგება, გვერდის კედლების წარმოზიდულობა დერეფანის შესაქმნელად და კერა.

როგორც ცნობალია, სახლის ამ ტიპის გავრცელების არე მეტად დიდია; ის კავკასიის გარდა ცნობილია მცირე აზიაში, ყირიმში და მთელ ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურის რკალში. სამხრეთით ის დამოწმებულია აზისინიაში. მისი წარმოშობის კერად მცირე აზიაა მიჩნეული. იგი დამოწმებულია აგრეთვე ურარტუშიც, სადაც სახლის ამ ტიპის არსებობა უკავშირდება გამოქვაბულ ქალაქებს და საერთოდ ქვაბულებს. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენში არსებულ უფლისციხესა და ვარძიას, მიწურების კვლევას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ქსნის ხეობის მთიან ზოლში არსებული ძველებური სახლის ტიპს „ღვეგმირთ სახლი“ ეწოდება. მასში ბოლო დრომდე მრავალრიცხოვანი ოჯახი მოსახლეობდა. მის ნაწილებს აქ ეწოდება: „შინა“, „ბოსელი“, „საპურე სახლი“ („მარანი“), „ფურნა“ (არის ქართული და რუსული), „დერეფანი“, „კალო“, „საბძელი“. აგების ტექნიკის ტერმინებიდან აღსანიშნავია: „საძირკველი“ (ოსებშიც ეს ტერმინია), იციან კედლის „დაკეტვა-გადაბმა“, „ქვიტიკირი“ და „მშრალად ნაგები“ კედელი, „თავგაკრული სახლი“, კედლის ირიბულ წყობას „ქერის ფხა“-ს უწოდებენ, იატაკს — „კერა“ ჰქვია (სოფ. ცხავატი). სხვა ნაწილები: „ნალი“, „თავხე“, „ბოძი“, „საბოძური“, „ყბა“, „ბულაური“, „შოლტი“, „კოჭი“ (როცა დახერხილია), „ქერი“, „იელი“, „მიწა“, („საზებელი“), „ღარი“, „სიპი“, „აყარი“,

¹ R. Leonhard, Paphlagonia, Brl. 1915, გვ. 374—75.

² W. Belck, Bauten und Bauart der Chalder. Verhandl. d. Berlin. anthrop. Gesellsch., 1895, გვ. 611 შმდ.

³ შდრ. გ. ჩიტაია. გლეხის სახლი ქვაბლიანში: შიმომხილველი, ტ. I, გვ. 141.

„ბაგა“, „ზღვა“ და სხვ. ჩაწერილია მასალა სახლისათვის საჭირო ქვის, კირის, ხე-ტყის, ლამის და სხვათა დაშლადებასთან დაკავშირებული, შეგროვებულია აგრეთვე მასალა დაკავშირებული სასახლე მიწის შერჩევასთან (მარჩევილობა), „დაძახილთან“ (მოდგამობა); შრომის იარღებიდან დამოწმებულია—ორი სახის ცული: 1. „კოლო ცული“ და 2. „ფთიანი ცული“ და სხვა.

სახლის ეს ტიპი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ცნობილია: ბუდე ანუ მირგვალ ხეესურეთში en masse, მიღმახევსა და არხოტში, ხევსა და მთიულეთში (სპორადულად). ის არ მოიპოვება: თუშეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში, არ უნდა იყოს ის აგრეთვე ლიახეზეც.

სახლის ამ ტიპის გავრცელებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აქ კალოობენ საქონლის ფეხით. გადახურულ კალოს შუაში დადგმულ ბოძის გარშემო მიწაზე დაგებულ ძნებზე ტრიალებს პირუტყვი, რომელიც მოჩალავს ფეხებით ძნას, დადგება ბზე და ხეავი. კალოში აქ უბიათ: ხარი, ძროხა, ცხენი. საქონელს პირზე უკეთდება „აბანდი“, რომ საქონელმა არ შექამოს პურეული. საკალრე იარაღებია: „არნადი“, „ორთითა“, „ფიცელი“, „ნიჩაბი“, „ცხრილი“, „ცხავი“. მონასტერს ზევით ხარის ფეხით კალოობენ. ამ წესის არსებობას მოსახლეობა იმით ხსნის, რომ აქ ხშირია ავდრები და გასანიავებლად გამოსადეგი ქარი არ იცისო. ყინულზე ლეწვა აქ არ იცან. ჩვეულებრივად დაქვდილი ხარებით ლეწავენ.

კალოობის ეს წესი საქართველოს მთიანეთში ცნობილია თუშეთში, ხვესურეთში, ხევსა და მთიულეთში. „თუ დევვმირთ სახლისა“ და კალოობის ზემოთმოყვანილი წესი ჩვენი მთის გარკვეულ ზონაშია მოცემული. სამაგიეროდ სახენელი იარაღი, „მთის გუთანია“, რომელიც ქსნის მთიანეთშია დამოწმებული, აღმოსავლეთით ქსნის ხეობას არ სცილდება, სოლო დასავლეთით კი სვანეთამდე მიდის.

აქ იციან „ანეული“ (ზაფხულში ივლისი, აგვისტო, ზვარე-ში), „ნაოში“ (სექტემბერში) ზვარეში და „ახალთესლი“ (გაზაფხულზე, ჩირდილში). იციან აგრეთვე ახოს ალება: პირველად ხეს „შემოკვერავენ“, შემდეგ ძირზე მოსქრიან, ძირზე ფიჩხს დააწყობენ და ცეცხლს წაუკიდებენ. ახლად ალებულ ახოზე სახნავი იარაღი არ გაივლება. ჯერ ფიჩხის შესაგროვებელ იარაღს გააელებენ და შემდეგ „დაქორჩავენ“ „ქორჩით“. აქ ითესება ქერი, დიკა, კოი და ახალთესლი. ერთ წელიწადს დასვენებულ მიწას ეძახიან „ყამირს“, ხოლო ორს—„ახალნატესს“.

ანეულს, ნაოშს და ახალთესლს ხნავენ „მთის გუთნით“. სხვა სახის სახენელი იარაღი აქ არ არსებობს. საყანე მიწები აქ უმთავრესად ფერდობებზეა, მათი რელიეფი უსწორ-მასწორია. აქ ბარული გუთანი მუშაობას ვერ შესძლებს. ამ პირობებთან კარგადაა შეგუებული ის სახენელი იარაღი, რომელსაც აქ „მთის გუთანი“ ეწოდება. მას აქვს: მხარი || მვარი, წერწენა და სხვა.

ამ სახენელი იარაღის თავისებურებას შეადგენს: მოკლე მხარი, რომელიც უღელს არ სწვდება. მას აქვს თავზე დაკრული მოკაული ხე—წერწენა, რომელიც სახენელი იარაღის მუშაობის დროს მიწაზე ცოცავს. წერწენას ქვემოდან შემოკრული აქვს „საკვეთი“. წერწენას თავში გაეყრება „ჯაპვი“, რომელიც მიბმულია უღელზე. არსებობს აგრეთვე ამ სახენელი იარაღის მხარის ვარიანტი, რომელიც მოკლებულია წერწენას, მაგრამ მხარი მაინც მოკლეა, მას თავში აქვს

კოლი. რგოლში ჯამბარაა გაყრილი. ამ რგოლს უწოდებენ „წიწნას“ წინა-დადიანეთში. გარდა ამისა მთის გუთნის მხარს აქვს აგრეთვე „საცორავი“¹ -საეცორავი“, მოკაული კეტი, რომლის კავი შეიძლება დროდადრო ნიწაზე ცურავდეს. სოლის შემწვობით შეიძლება საცორავის აწვევა და დაწვევა. თავისი დანიშნულებით ამ გუთნის ეს ელემენტი მეტად დაცილებულია იმ ფუნქციას, რომელსაც წერწენა ასრულებს. წერწენა საყრდენია მთის გუთნის მხარისა და ამდენად იმ ფუნქციას ასრულებს, რასაც ბარის გუთანში ფამფალაკი. ამგვარი მოკლემხარიანი, წერწენიანი სახენელი იარაღი ჩვენ დამოწმებული გვაქვს, ქსნის ხეობის გარდა, ლიახვის ხეობაში, რაქაში, ლეჩხუმში და სვანეთში. არაგვის ხეობაში და მოხევეებში ამგვარი სახენელის არსებობას შეიძლება ადასტურებდეს ტერმინი წერწენის და ნარწენის არსებობა¹.

მაგრამ ქსნურ მთის გუთანს აგრეთვე ახასიათებს „გუთან“ ანუ „ქუსლი“, რომელიც ორკაპიან ხეს წარმოადგენს და რომლის დანიშნულებაც მიწა გათხუნოს, ამგვარი ქუსლი ცნობილია ფშავეური აჩაჩის, ხეცურული აჩაჩის და სხვა სახენელების ქუსლების სახით (დასავლეთ რაქაშიც მოიპოვება).

გარდა ამისა მთის გუთანს ახასიათებს ხელნაც, რომელიც აგრეთვე ორკაპიანი მთლიანი ტოტია. სახნავი იარაღის ეს ნაწილიც ამ სახით მოიპოვება ქსნის ხეობის აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ლიტერატურაში სახენელი იარაღის ამ ტიპის აღწერილობა მეტად ბუნდოვანია, ნაკლულევანი და არა ზუსტი. მაჩაბელს ამ იარაღის საცორავი სოლად აქვს გამოცხადებული. Haxthausen-ს² თავის ნაშრომში მოჰყავს; ოსებში მის მიერ ნახული სახენელის ეს ტიპი, რომელსაც შეცდომით „Sibir“-ს უწოდებს და აღნიშნავს, რომ Sibir-ის მსგავსი სახენელი იარაღი ოსებს გარდა, კავკასიის სხვა ხალხში არ მოიპოვება და რომ Sibir-ი მეკლენბურგის სახენელს მიაგავსო ცნობილია, რომ Haxthausen-ი ტენდენციურად აშუქებდა ოსების გერმანელებთან ნათესაობის საკითხს; ამის გამო ბევრ შეუსაბამობას აქვს აღვლილი მის ნაშრომში. მას ამ შემთხვევაშიც მცდარი შეხედულება აქვს წამოყენებული. ჯერ ერთი ის, რომ არ არის მართალი, თითქოს „Sibir“-ის მსგავსი იარაღი კავკასიის სხვა ხალხებში არ მოიპოვებოდეს. ჩვენი მასალა ამ აზრს სავესებით აქარწყლებს. მეორე მხრით, მეკლენბურგის და „Sibir“-ის ტიპის სახენელი იარაღი კონსტრუქტიულად განსხვავებული სახენელი იარაღებია. სხვას ყველაფერს რომ თავი დაჟანებოთ, მეკლენბურგის სახენელის მხარი გრძელია და მისი თავი უშუალოდ უღელზეა დამაგრებული.

Braunger-ს დაუსაბუთებლად Haxthausen-ის მიერ დასახელებული Sibir-ი გუთურ სახენელად აქვს გამოცხადებული. მაგრამ Braungart-ის შეხედულება მიუღებელია, რამდენადაც „Sibir“-ი ტიპოლოგიურად თავისი წერწენათი რაჭულ სახენელს მიეკუთვნება, ხოლო რაჭული სახენელი Braungart-ს წარმოშობილობით ჯერ გერმანულ და შემდეგ ირანულ სახენელ იარაღად მიაჩნდა, ამის შემდეგ იმავე „Sibir“-ის გუთურ სახენელად გამოცხადება გამართლებული არ

¹ გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი: ენიმკის მოამბე, ტ. I, გვ. 263 შენ. 1, 2.

² A. Haxthausen, Transkaukasien etc., ტ. II, გვ. 5.

შეიძლება იყოს, რამდენადაც გუთური სახენელის ტიპი თვითონ საჭიროებს დადგენას.

არსებითად ქსნური გუთანის მთის გუთანია, რომელიც კარგადაა შეგუებული ფერდობის პირობებთან. ტიპოლოგიურად ის თავის წერწენას მიხედვით რაჭული სახენელი იარაღის ქვესახეს წარმოადგენს და რამდენადაც ჩვენ დამტკიცებელი გვექონდა, რომ რაჭული სახენელი ქართველი ტომების სახენელი იარაღის ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზითაა მიღებული—ქსნური გუთანის ქართველი ტომების სახენელი იარაღების ამ ტიპის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

მიწისმოქმედების ხაზით შეგროვილია მასალა საყანე მიწებზე, აგრეთვე წისქვილის კომპლექსზე, ლუდის ხარშვაზე, მესაქონლეობაზე, ხარებზე, ძროხის ჯიშზე. სახედრებზე, მკვლლობასა და მეთუნეობაზე. ამთავან უკანასკნელზე შეეჩერდებით.

ქსნის ხეობაში სახელგანთქმულ ცენტრად სოფ. ცხავატი ითვლება. აქ ხელოსნობის ამ დარგის არსებობის შესახებ შემდეგი ცნობა მოგვეპოება. XIX ს. ოთხმოცდაათიან წლებში შალიკოვი სწერს: При селение Цхавати были 40 дымов заняты приготовлением глиняной посуды, для чего у них имеется 8 гончарных печей. Глина лежит под двухаршинным почвенным слоем, пластом в 4 аршина толщиной и 10 саж. длины. Глину сушат на солнце, перетирают и приготовив из нее тесто лепят посуду руками, не употребляя никаких приспособлений, кроме вертящейся доски, называемый моркви.. Цхаватской посуды изготовляется более чем на 7000 рублей¹.

დღესაც ეს საქმიანობა ცხავატის ხეობის ყველა მოსახლის ძირითად წარმოებას წარმოადგენს. არ არის არც ერთი ოჯახი, რომ ამ საქმიანობას არ ეწეოდეს. აქ დამზადებული ჭურჭელი განთქმულია იშვიათი გამძლეობით. ამის გამო მას გასავალი დიდი აქვს. ის თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს სწვდება. ცხავატში დამზადებული ჭურჭელი საპალნეებით მიჰქონდათ და მიაქვთ კახეთში, სადაც ის ცეცხლგამძლეობის და წყლის ცივად შენახვის გამო კონკურენტობას უწევდა და უწევს კახურ კერამიკას. აგრეთვე მიჰქონდათ ხევსურეთში, ხევში, მანგლისში (აქ ქსნის ხეობიდან ნამგლებიც მიჰქონდათ), მთლიანად ქართლში, ოსეთში და სხვაგან.

მოგვყავს ცხავატიდან კერამიკის გატანის ზოგიერთი მარშრუტი.

I. ცხავატი, ქაისხევი, თვალივი, შარა-ხევი, ორწყალი, ბარისახო, ლებაისკარი, შატლი. ამ მარშრუტს სჭირდებოდა იქით-აქეთ 10—12 დღე.

II ცხავატი, ქაისხევი, ანანური, ფასანაური, მღეთე, კობი, ყაზბეგი. ამ მარშრუტს სჭირდებოდა იქით-აქეთ 6—7 დღე.

III. ცხავატი, ქაისხევი, ჟინვალი, თიანეთი, ახმეტა. უნდებოდა 10 დღე.

IV. მანგლისის მარშრუტს სჭირდებოდა 9 დღე.

¹ К. Шаликов, Описание Ксанского участка: Записки Кав. отд. Р. Г. О., XVI 83. 256.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქსნის ხეობას „გაცხოველებული ურთიერთობა აქვს სხვა ხეობებთან. აქ არის ძველადგანვე გამოძუშავებული მარშრუტები, რომლებიც დღესაც მოქმედობს.“

მ ა რ შ რ უ ტ ე ბ ი :

I. ი კ ო თ ი	საძვეგური
კორინთა	ცხავატი
საძვეგური	საფეშეთი
ლარგვისი (მონასტერი)	ქართალი
ახალდაბა	ფასანაური
ლოჩიანი	IV. ი კ ო თ ი
ბალიანთ სოფელი	ლენინგორი
ლომისა (ლომისას ხევი)	ძველგვი
ლომისას წვერი	სარბიელი
მღეთე ¹	ციგრიანთ-კარი
II. ი კ ო თ ი	თხილვანა
ჯვრისუბანი	არლუნი
უფურეთი	ღუშეთი ²
ქაისხევი	V. ლ ა რ გ ვ ი ს ი
ანანური ¹	დადიანეთი
III. ი კ ო თ ი	საფაშეთი
კორინთა	ქართალი
	VI. და დ ი ა ნ ე თ ი
	ლომისა საფაშეთი
	მღეთე ფასანაური

აქ მზადდება კერამიკული ჭურჭლის შემდეგი სახეები: „ქილა“, „ქვევრი“, „კოკანი“, „კოკა“, „სადლობელი“, „საჯერიები“ (სადღლარი, ქოთანი), „ქვაბი“, „ხელადა“, „ლიტრა“, „ჯამი“, „სალვინე“, „ჩარეჭი“, „სურა“, „საზენაშო“, „ქეცა“ და სხვა.

დასასრულ აღსანიშნავია ხის კოლექციები, რომლებიც შეიძინა ექსპედიციამ: „მერხი“, „ბაცანკალი“, „სკივრი“, „სამარილე“ და სხვა. ამათგან ნაწილი ექვს თაობაზე აღრინდელია. კოლექციები ჩინებულადაა მოორნამენტებული. შესრულების ტექნიკა მაღალხარისხოვანია, სიუფეტურად ძველებური მსოფლმხედველობის მამქლავნებელი. აღსანიშნავია, რომ ხელოსანს კარგად შესძლებია დასაქრელებელი დიდი არის გამოყენება და კომპოზიციის კარგად

¹ ამ მარშრუტით მიჰყავდათ ცხვარი ყაზლარში.
² ლეხურას აქეთ ღუშეთის მხარას ეკუთვნოდა. ახლაც ღუშეთზეა მიწერილი ოძისი და ახმაჯა.

განაწილება. ორნამენტებში მზის სიმბოლოები სკარბობს, თუმცა სხვა სახე-
ებიც ბევრია. აქ მოპოვებულ ხის ორნამენტს ახლო ნათესაობა აქვს ხევსურულ
ხის ორნამენტთან.

ექსპედიციამ ხის კოლექციების გარეშე შეიძინა კერამიკული და მკედლური
კოლექციების კომპლექსები. კოლექციების შექმნა ექსპედიციას დავალებული
ჰქონდა საქართველოს მუზეუმის ღირეკციის მიერ. ჩამოტანილი ნივთები გადა-
ეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას.

ლ. ბობორიშვილი

ქსნის ხეობაში მივლინების მოკლე ანგარიში

1938 წლის სექტემბრის თვეში მოწყობილმა ქსნის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ, ქსნის ხეობაში კერამიკული წარმოების შემდეგი დარგები დაამოწმა: 1. მექურჭლეობა-მექვევრეობა-მეთორნეობა, 2. მებაგურეობა და 3. მეკრამიტეობა.

მთხრობელთა გამოკითხვამ და წარმოების პროცესის ახლო გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ქსნის ხეობაში ამეამად არსებული აგურ-კრამიტის წარმოება ძლიერ განსხვავდება წარსულ საუკუნეებში არსებულ ქართულ მებაგურეობა-მეკრამიტეობისაგან.

ახლანდელი კრამიტის არც გარეგანი მოყვანილობა, არც წარმოების პროცესთან დაკავშირებული ტერმინები და არც ამ წარმოებისათვის განკუთვნილ ნაგებობათა და ხელსაწყოთა სახელები (მცირეოდენის გამოკლებით) ქართული არ არის. ამგვარი კრამიტის წარმოება, როგორც თვით მეკრამიტეები აღნიშნავენ, მათ ქ. ორჯონიკიძედან გადმოუტანიათ; აგურის წარმოებაშიც ქართული აგურის ნაცვლად რუსული აგური დამკვიდრებულა და ხალხს დაჰვიწყებია კიდევ ქართული აგურ-კრამიტის დამზადების წესები. ოდესღაც ქართული მებაგურეობა-მეკრამიტეობის არსებობის შესახებ ადამიანთა ბუნდოვანი გადმოცემები და ძველი ნაგებობანი-ლა (ქართული აგურით ნაშენი ეკლესია-გალავნები, ქართული კრამიტით დახურული ეკლესიები) მოგვითხრობენ.

ამიტომაც კერამიკული წარმოების ამ ორი დარგის შესახებ ჩვენ ბევრს არას ვიტყვი და უფრო დაწვრილებით მექურჭლეობა-მეთორნეობა-მექვევრეობაზე შეჩერდებით.

მებაგურეობისა და მეკრამიტეობის საწინააღმდეგოდ, მექურჭლეობა ქსნის ხეობაში მთელი თავისი სიძველით არის წარმოდგენილი.

იმის გამო, რომ ქურჭლის, ქვევრის და თორნის ოსტატი აქ ერთი და იგივე ხელოსანია, ამიტომ კერამიკული წარმოების ამ სხვადასხვა დარგებს ჩვენ ერთს ჯგუფში ვაქცევთ და სიტყვა „მექურჭლე“-ში ქვევრის და თორნის მკეთებელსაც ვგულისხმობთ.

მექურჭლეობის ერთადერთ, მაგრამ განთქმულ ცენტრად ქსნის ხეობაში სოფ. ცხავატი ითვლება. სოფ. ცხავატი, რომელიც მდ. ქსნის მარცხნივ მდებარეობს, სოფ. მონასტრიდან ორი-სამი კილომეტრით არის დაშორებული; პატარა მდინარე ცხავატურა, რომელიც ამ სოფელს ორად ჰყოფს, მონასტერთან უერთდება მდ. ქსანს.

ეს ერთი სახელწოდებით ცნობილი სოფელი, შვიდი, ერთმანეთისაგან საკმაოდ მანძილით დაშორებული, უბნისაგან შესდგება: 1. წინა უბანი, 2. გოგიაანი, 3. ჩუმანი, 4. ჟივტკარი, 5. სუხაანი, 6. გოგიაანი და 7. ღარუეთი.

პირველი ოთხი უბანი მდ. ცხავატურას მარცხნივ მდებარეობს, უკანასკნელი სამი კი ამავე მდინარის მარჯვნივ.

მეჭურჭლეობა ცხავატის მცხოვრებთა ძირითად (მემინდვრეობასთან ერთად) საქმიანობას შეადგენს და შემოსავლის მთავარ წყაროსაც ის წარმოადგენს. არ არსებობს არც ერთი ოჯახი, რომელიც ამ საქმიანობას არ ეწეოდეს და წარმოების ამ დარგის რამდენიმე ოსტატი არ ჰყავდეს. ჭურჭლის მკეთებლობა ორივე სქესის ხელობად ითვლება, თორნის და ქვევრის კეთება კი უმთავრესად ნაპაკაცებს აქვთ მინდობილი.

ცხავატელებს შერჩეული აქვთ ჭურჭლის თიხით მდიდარი ადგილები, საიდანაც ისინი მათთვის საჭირო თიხას სთხრიან და სახლში ეზიდებიან მარხილით (ჯინი ძვეს ნარხილზე) ან ცხენით (ცხენს გოდრები აქვს გადაკიდებული). ცხავატის ექვსი უბანი წინაუბანის უკან მდებარე სათიხეთი ე. წ. დავითილათი სარგებლობს, ღარუეთს კი საკუთარი დავითილა აქვს (ცხავატელი ჭურჭლის თიხიან ადგილებს დავითილას უწოდებენ). ამ თიხიდან აკეთებენ ისინი ჭურჭელსაც, ქვევრსაც და თორნესაც. ცხავატური თიხა შესანიშნავი თვისებისაა: ის მეტისმეტად ძარღვიანია და გრილი. თიხის ამ საუცხოვო თვისებებით აიხსნება ის გარემოება, რომ ცხავატელი ოსტატი ნიავსა და მზეზე აშრობს ჭურჭელს და კერამიკულ საგანს, რაგინდ დიდი ზომისაც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, ერთჯერად ასრულებს. ამ თიხისაგან გაკეთებული ჭურჭელი იშვიათი გამძლეობისაა და წყალსაც მეტად ცივად ინახავს, ამ უკანასკნელი თვისების გამო ქსნური ჭურჭელი (იგივე ცხავატური) მთელს აღ. საქართველოშია ცნობილი.

დიდი წვალებით მოთხრილსა და მოტანილ თიხას ჯერ გააშრობენ მზეზე, მერე საზეპლებით დანაყავენ (ანუ დაცეხავენ) და ბოლოს მას ცხრილში „გასკრიან“. გაკრილს, თითქმის ფქვილად ქცეულ თიხას ოთხჯერ დაზელავენ საგანგებოდ თიხის საზელაად მიწაზე გაწყობილ ფიცრებზე, რომელსაც ისინი საზელაავს უწოდებენ. თიხის დანაყვასა და გაცრას სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის აშენებულ ნაგებობაში—კალოზე აწარმოებენ, დაზელავს და ჭურჭლის კეთებას კი საცხოვრებელ ბინაში.

ჭურჭელი და ქვევრი მორგვზე კეთდება, თორნე კი—მიწაზე. ცხავატელი მეჭურჭლის მორგვი კახელი მექვევრის ხელსაწყოს ე. წ. ქვევრის ჩარხის სრულს იგივეობას წარმოადგენს. ოსტატს ის მარცხენა ხელით მოჰყავს მოძრაობაში, მაგრამ როცა ჭურჭლის თუ ქვევრის კეთება განსაზღვრულ მომენტში ორივე ხელის მუშაობას საჭიროებს, მაშინ მას მარცხენა ფეხით ატრიალებს.

ჭურჭლის კეთების დროს ოსტატი ოდნავ ამალღებულ ადგილზე ზის, მორგვი კი წინ მიწაზე უდგა. ყველა ტიპის ჭურჭლის გაკეთება ძირიდან იწყება, ამიტომ მეჭურჭლე-ოსტატიც ნაცრით „მომშრალებულ“ მორგვზე ჯერ ძირისათვის საჭირო გუნდას დააკრავს და გასწევს. სასურველ ზომაზე გაბრტყელებულ ანუ გაწეულ ძირს ნაპირებს ამოუბრუნებს და ამ ამობრუნებულ ნაპირებზე

ხელით გაგრძელებული გუნდების ე. წ. სურსელების შემოვლებას დაიწყებს. ჭურჭელი კეთების დროს თან იწმინდება ფიჭვის ხის ხოწით ანუ ნაფოტით (ჭურჭლის გაკეთება ორგვარი ზომის ხოწს საჭიროებს: დიდ ხოწს გარედან აჭურჭებენ, პატარას კი შიგნიდან. „დიდი ხოწი შიგნით ეწვევა ჭურჭელს, პატარა კი—გარეთ“). ჭურჭლის ხოწით გაწმენდა მანამდე შეიძლება, სანამ ის ყელამდე მოვიდოდეს, ყელამდე მოსვლის შემდეგ კი ხოწის ხმარება უკვე შეუძლებელია და ჭურჭლის ყელი ხის ჩხირით სუფთავდება. ჭურჭლის გამოყვანის დროს ოსტატი წყალში დასველებულ ჩითის (ან ტილოს) ნაჭერს—ტყლაპისა ცხარობს. ტყლაპის საშუალებით ავიწროვებს ის ჭურჭლის ყელს და ძაბრისებურად აგანივრებს მის პირს.

ქვევრის გაკეთება პირიდან იწყება. ქვევრისათვისაც გუნდას გააბრტყელებენ მორგვზე და შემდეგ ამ გაბრტყელებულ გუნდას შუაში ამოსჭრიან იმ ზომზე, რა სიგანის ქვევრის პირიც უნდათ (ჩვეულებრივად მიღებული წესის თანახმად საღვინეს თავისუფლად უნდა შეედლოს ქვევრის პირში მოძრაობა); წრესავით დარჩენილ ნაპირებს სურსეალს შემოავლებენ და სურსეალების ესე თანდათანობითი შემოვლებით ქვევრის კედელს საჭირო სიმაღლემდე აიყვანენ. ქვევრის კედელი ჭურჭლის კედელზე გაცილებით სქელია და საქვევრე სურსეალიც ამიტომ უფრო დიდი. ქვევრის კედლის ამოყვანის დასრულების დროს ქვევრს თაღს შეუკრავენ და თაღის შეკვრის ადგილზე, ძირის გასქელების მიზნით, თიხას დააკრავენ. ეს იქნება ქვევრის ქუსლი.

ქვევრსაც და ჭურჭელსაც განსაკუთრებული თვისების მიწით, ე. წ. წერნაკით აკრებენ. ცხავატელ მეჭურჭლეებს წერნაკი კასთან ახლო მდებარე ამორიანის მთიდან მოაქვთ. ჭურჭელზე დაკრელებულ სხვადასხვა სახეთაგან ფთე“-ა აღსანიშნავი. ფთეს (იგივე ფრთის) სახე თითქმის ყველა ჭურჭელზე იხატება, ის ცხავატური ჭურჭლის დამახასიათებელი ორნამენტია.

ცხავატური მეჭურჭლეობა ჭურჭლის შემდეგი სახეების კეთებით განისაზღვრება: ქილა (მწვნილის ან ყველის შესანახად), სადღობელი (დოს შესადღებლად), კოკობი, საჯერო (რომელსაც სადღლარსაც ეძახიან და ქოთანსაც), ქვაბი ანუ ქობი (საქმლის მოსახარმად), ორყურა (საწველელია), ჩაფია (მაწვნის და დოს ჩასასხმელად იხმარება), ჯამი (კერძის დასადებად) ჯამურა (კახური ჯამფილის მსგავსი ჭურჭელია) საღვინე (ღვინის ჭურჭელია), ბარანი (ღვინის სასმისია), კიქლა (ბავშვის სათამაშოა), კოკა, ხელადა ანუ სურა და ჩარეჟა ანუ ლიტრა (წყლის ჭურჭლებია).

როგორც ვხედავთ, ცხავატში ხელადა სურასთან არის გაიგივებული და ჩარეჟა კი ლიტრასთან, ისინი აქ არც საწყაო ერთეულებად ითვლებიან და არც ღვინის ჭურჭლის როლს ასრულებენ. ხელადაც და ჩარეჟაც კოკასთან ერთად წყლის ჭურჭლად არის გამოყენებული.

ცხავატელი ოსტატები სხვადასხვა სიდიდის ქვევრებს აკეთებენ, ყველაზე დიდი ქვევრი კოკიანია (12 თუნგიანი) და ყველაზედ პატარა კი სამ თუნგიანი. სამ თუნგიანიდან ექვს თუნგიანამდე ქოცო-ს უწოდებენ, ექვს თუნგიანიდან 12 თუნგიანამდე კი ქვევრი-ს სახელწოდებით აღნიშნავენ.

ქურქელსაც, ქვევრსაც და თორნესაც კახური ქურის მსგავს—თუნის სახელწოდებით ცნობილ ნაგებობაში სწვავენ. თუნში ჩალაგების დროს ქვევრებს, თორნებს და კეცებს ძირში აწყობენ, ქურქელს-კი აგრეთვე დიდ-პატარაობის მიხედვით მათ ზემოდან ალაგებენ.

თუნიდან გამომწვარი ქურქლის ამოლაგების შემდეგ, ცხავატელი მექურქლეები მის გასაღებაზე ზრუნავენ. ცხავატური ქვევრი და თორნე, მათი შორის მანძილზე წაღების შეუძლებლობის გამო, ქსნის ხეობის სოფლების საზღვრებს არ სცილდება (ქსნის ხეობის ზოგიერთი სოფლები, ნაწილობრივ შინაურული წესით დამზადებული თორნეებითა და კეცებითაც მიდიან იოლად), ცხავატური ქურქელი კი თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს სწვდებოდა.


ცხავატელი მექურქლე გადაჰკიდებს ცხენს ყუთებში ან გოდრებში ჩალაგებულ ქურქელს და შორეულ მხარეებისაკენ გასწევს. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ცხავატელი მექურქლე, უწინაც და ახლაც, ერთი საპალნე ქურქლის გასაღების გულისთვის, ხშირად ესტუმრება ხოლმე კახეთს, მანგლისს, ცხინვალს, ერწო-თიანეთს, გუდამაყარს, ხევსურეთს, ხევს და აღმ. საქართველოს სხვა კუთხეებს.

ცხავატურ ქურქელს, ზემოთ აღნიშნულ თავისებურებათა გამო (გამძლეობა და წყლის ცივად შენახვა), სიამოვნებით ყიდულობენ კერამიკული წარმოების მდიდარი კუთხის მცხოვრებნიც.

ლ. ბოპოკიშვილი

კახეთში მივლინების მოკლე ანბარი

1938 წლის ნოემბერს გავემგზავრე თელავის რაიონში (ათი დღით) და-
შატებითი მასალების შესაგროვებლად ჩემი სადისერტაციო შრომისათვის („კა-
ხური კერამიკა“). ვიმუშავე სოფ. სოფ. რუისპირში, ვარდისუბანში, ბუშატში



ექსპედიციის მარშრუტი

და ქ. თელავში. ვინახულე კერამიკული წარმოების ყველა დარგის (მეჭურჭლე-
ობა, შექვევრობა, მეთორნეობა, მეკრამიტეობა, მუაგურეობა) ოსტატები და გა-
მოვარკვეე ჩემთვის საინტერესო საკითხები.

მთხრობლების გამოკითხვის დროს მე ვცდილობდი, ერთი მხრით, შეემოწმებინა 1937 წლის ზაფხულს ჩემს მიერ ამავე რაიონში ჩაწერილი ცნობების სისწორე და, მეორე მხრით შემეცხო ხსენებული ცნობები ახალი მასალებით, თუ რატომუნდა ასეთი აღმოჩნდებოდა. მთხრობელთა გადმოცემებმა კვლავ დაადასტურეს ჩემი ჩანაწერების სიზუსტე და რამდენადმე ახალი ცნობებიც შემატეს მას.

აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა მთხრობლების მიერ აღნიშნული სინი და ლანგარი—ქათმის საკრელი ერთი და იგივე კერამიკული საგნის სახელწოდებებია და, რომ ჯამფილა—ბადიას მათრათი ც ეწოდება. გამოიკვია, რომ უწინ ქართულ და ქუსლიან ხელადასა და ჩარექასთან ერთად ე. წ. ძირგანიერი ხელადა და ჩარექაც უქრიათ, ამ უკანასკნელს იძენდა ფართო ძირი ჰქონია, რომ „საითაც არ უნდა გადაეგორებინა ადამიანს, ის მაინც ფეხზე დადგებოდა“. დამოწმდა აგრეთვე ორ ტუჩიანი საწველელის მკეთებლობაც.

ჩვენ 1937 წ. ზაფხულს თელავის რაიონში ჩატარებული ექსპედიციის ანგარიშში¹ აღნიშნული გვექონდა, რომ ქაშანურად უმრავლეს შემთხვევაში წვრილი ჭურჭელი კეთდება ორხელადიანამდეო, რომ თუ მექაშანურე მოიწადინებს ვთქვათ 3—4 ხელადიანი ჭურჭლის გაკეთებას, მან აუცილებლად ლამი და იყალთოს თიხა უნდა შეაერთოსო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ახლად შეკრებილი მასალების საფუძველზე გამოიკვია, რომ თუ მექაშანურე მოისურვებდა მსხვილი ჭურჭლის—გოზაურის, თუნგიანის, კოკის ან კოკურის (კოკას და კოკურას იშვიათად აქაშანურებდნენ) ქაშანურად დაწვას, მაგრამ თუ თვითონ არ ეცალა ან არ შეეძლო მათი გაკეთება, ამ უკანასკნელთ იყიდდა წითელი ჭურჭლის ოსტატისაგან, დააპრელებდა თოგალით, შეპლვებავდა წამალში და დასწვავდა ქაშანური ჭურჭლისავე ჭურავში.

ქაშანური ჭურჭლის წარმოშობილობასთან დაკავშირებით რუისპირელი ნეკურქლე—სანდრო ზაზაშვილი გადმოგვცემს, რომ ქაშანური ჭურჭლის პირველი ოსტატი რუისპირელ ესტატე მაყაშვილს ჩამოუყვანია ტფილისიდან და იმის შემდეგ გავრცელებულა კახეთშიო, ოსტატების უმრავლესობა კი ქაშანური ჭურჭლის წარმოების კახეთში არსებობას უხსოვარ დროს უკავშირებს. პირველი აზრი შეეფერება სიმართლეს თუ მეორე, ამ წარმოების პირველი ოსტატი კახელი იყო თუ ტფილისელი, ერთი რამ მაინც ცხადია, რომ ქაშანური ჭურჭლის სახეები ზუსტად იმეორებენ წითელი ჭურჭლის სახეებს მოყვანილობითაც და სახელწოდებებითაც, ქაშანური ჭურჭლის ჭურის სხვადასხვა ნაწილების სახელგებიც იგივეა, რაც წითელი ჭურჭლის ჭურის და, რაც ზედმეტია ისიც ქართულია.

საკვიროდ მიმჩნია აღვნიშნო აგრეთვე თელაველი ოსტატის—ალექსა ვარლუაშვილის მიერ მოწვდილი ცნობა. მისი გადმოცემით 40—45 წლის წინად თელავში ერთ იმერელს უცხოვრია, რომელიც თურმე ჭურჭელს ყიდულობდა

¹ იხ. ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის „შობაბე“, II. 1937

კახელი მექურქელებისაგან, აკრელებდა სხვადასაფა ფერებით და ამგვარად გადასხვაფერებულ კახურ ჭურჭელს შემდეგ თვითონ ჰყიდიდა. საფიქრებელია, რომ საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფ. განყოფილებაში დაცული, თელავიდან ჩამოტანილი, კერამიკული საგნები (№№ A 43—99/1; A 43—99/2; A 44—99; A 45—99/1; A 45—99/2; A 46—99/1; A 46—99/2, რომელთა უჩვეულო ფერები (კახური კერამიკისათვის უჩვეულო) თავიდანვე ექვს ჰბადებდა, ამ კაცი-საგან უნდა იყოს შეძენილი.

მეაგურე ოსტატების ნაამბობმაც თავისებური სიახლე შეიტანა ჩვენს მეაგურეობის შესახებ ჩაწერილ მასალაში. გამოიჩქვა, რომ ახლანდელი ფილაქნის აგური განსხვავებული ყოფილა ძველი ფილაქნის აგურისაგან. ძველად ფილაქნის აგურად იგივე ქართული აგური უხმარიათ და დღეს არსებული ფილაქნის აგური კი რუსული აგურის შემოდების დღიდან გაჩენილა. ახლანდელი ფილაქნის აგურის ყალიბი ორაგურიანია, თვითონ ზუსტად ორი რუსული აგურის ზომისაა (სისქეც რუსული აგურისა აქვს), ასე რომ რუსული აგურის ყალიბს რომ სიგრძეზე გაკეთებული ხიდი ამოვაცალოთ ფილაქნის აგურის ნამდვილ ყალიბს მივიღებთ. ახლანდელი ფილაქნის აგურიც ქართული აგურივით კვადრატულია, მაგრამ მასზე დიდი ზომისაა და უფრო სქელიც არის.

დღევანდელი აგურის ქურას კახეთში არსებობასაც შედარებით მოკლე ისტორია ჰქონია, ის რუსული აგურის კრის დაწყებასთან ერთად შემოუღიათ, უწინდელი ქართული აგურის ქურა კი მთლად კრამიტის ქურისთანა ყოფილა, კრამიტი და აგური ერთნაირ ქურაში იწვეებოდა თურმე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბუშატელმა მეაგურე-ოსტატმა ქურის ქვედა—მიწაში მოთავსებული ნაწილი, რომელსაც სხვა სოფლის ოსტატები საერთოდ ვერცელებულ სახელს—ს ა ლ ო რ ე ს ე მ ა ხ ი ა ნ , ხ ა ზ ი ნ ა ს და ც ე ც ხ ლ ი ს ჰეს ა კ ე თ ე ბ ე ლ ი ს სახელითაც მოიხსენია.

მექვევრობასა და მეაგურეობასთან დაკავშირებულ წესი მოდგამობისა მეკრამიტეობაშიც დამოწმდა. მექვევრების მოდგამის მსგავსად თიხა-შემის მოტანა და მომუშავეთა გამოკვება ამ შემთხვევაშიც მოდგამებს ევალებოდათ, კრამიტია მოკრა და დაწვა კი—რათქმა უნდა თვით მეკრამიტეებს. მთელი სამუშაო პერიოდის განმავლობაში, დამზადებულ კრამიტს ესენიც შუაზე იყოფდნენ—ნახევარი მოდგამებს ჰხვდებოდათ, ნახევარი კი ოსტატებს. თუ მექვევრე-ოსტატი ნახევარი ნაწილიდან, ნახევარს ორ მეტალახეს აძლევდა და ნახევარს კი თვითონ იტოვებდა, მეაგურეები კი პირიქით, კუთვნილ ნაწილს თანასწორად იყოფდნენ ერთმანეთს შორის.

მეთორნეობის და მექვევრეობის ოსტატების ნაამბობმაც, ჩემს ხელთ უკვე არსებული მასალების დადასტურებასთან ერთად, ნათელი გახადა აგრეთვე ჩემთვის ნაწილობრივ ბუნდოვნად ცნობილი ზოგიერთი საკითხი, სრულიად ახალი ცნობები კი მათ არ გადმოუტიათ.

სოფ. ბუშატში მცხოვრებმა ერთერთმა მთხრობელმა (არა მექვევრემ) მექვევრეობასთან დაკავშირებული ერთი საყურადღებო გარემოება აღნიშნა: თალარი, რომელიც კახეთში უმთავრესად ვენახის წამლის დასაყენებელი ჭურჭლის როლს ასრულებდა, უწინ ზოგიერთ სოფელში ღვინის გადაღების საჭიროები-

სათვისაც უხმარიათ. ამ თალარს სხვა თალარებისაგან გხსხვავებით მუცელთან მილი ჰქონია გაკეთებული. ლეინის გადაღების დროს თალარს დასდგამდნენ იმ ქვევართან, რომელშიც ლეინო უნდა გადაეღოთ; ჰაჰიან ლეინოს ჯერ თალარზე ჩაასხამდნენ, თალარიდან მილის საშუალებით წმინდა ლეინო ჩავიღოდა ქვევარში, თალარში კი ჰაჰა რჩებოდა. ასეთი თალარი არის დაცული თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მუზეუმის დირექტორის—აღ. მამულაშვილის ცნობითაც ასეთ თალარს გლგობაცობა ტკბილისათვის ხმარობდა.

მექვევრე-ოსტატის მითითების მიხედვით გავზომე ერთი უყურო თალარი, ხუთი სხვადასხვა ზომის ქვევრი (თითოეული 16 განაზომით), ქვევრის ჩარხი და სკამი.

კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევასთან ერთად, მე შევკრიბე ცნობები სოფ. შალაურსა და თელავში კახური საკრავების—კერძოდ დუდუკისა და ჩონგურის შესახებ.

რ. ხ ა რ ა ძ ე

ხმავსურეთში მივლინების ანგარიში

ჩემი საზაფხულო მივლინება ხევსურეთში, მიზნად ისახავდა ნათესაობის სისტემისა და ოჯახურ ფორმათა გარდამონაშთების შესწავლას. დასახული მიზნის განხორციელება მოითხოვდა ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი სახელების აღნუსხვას და თითონ ნათესაური ურთიერთობის გამორკვევას, რისთვისაც აუცილებელი იყო ჩვეულებითი სამართლის ანუ ხევსურული რჯულის შესწავლა. ნათესაური შტოს დადგენა თავისთავად გვარის გენეალოგიისა და ნათესაური მუხლების გამოაშკარავებას საჭიროებდა.

ინდივიდუალურმა მივლინებამ ექსპედიციის ხასიათი მიიღო, რადგან ჩემთან ერთად გამყოლის მოვალეობის შესასრულებლად იყო წამოსული ტფილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი დედიკა ალექსის ასული ოჩიაური. ტფილისიდანვე ჩვენ შემოგვიერთდა დოცენტი ქუჯი ძიძიშვილი, რომელმაც ჩვენთვის შეასრულა მთელი რიგი ფოტო-გადაღებებისა.

ექსპედიცია (რომელმაც ხევსურეთში ერთი თვე დაჰყო) გაემგზავრა ტფილისიდან 17 ივლისს სამხედრო გზით დუშეთზე—ბარისახოში. ბარისახო არჩეული გვეონდა არაგვის ხეობაზე მდებარე სოფლების სამუშაო ცენტრად. ხოლო ამ ხეობის დანარჩენი სოფლები: ბუჩქურთა, ჩირდილი, გუდელა, აქეხა, აქე, გველეთი, დათვისი, მაწმაო, ბოჭჩილო, კარწეულთა და ქალაისოფელი, შემოვიარეთ გენეალოგიის ღადგენის მიზნით. ამ ხეობაში შედგენილი გენეალოგიური ტაბულებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გვარი ლ ი ქ ო კ ე ლ ი, რომელიც ამ სახელწოდებას ტოპონიმიკური სახელიდან ატარებს.

ლიქოკელები უპირველესად ყოვლისა იყოფიან ძირებად: სისაურნი, ბასხაჯაურნი, ვაჩიაურნი. ხოლო თითოეული მათგანი იყოფა მამებად, ასე, მაგალითად, სისაურნი ძველ მამათა მიხედვით იყოფიან: ხახონაურებად, ჩალხურთად, ჟუნჩალეურებად.

ხ ა ხ ო ნ ა უ რ ი შემდგენაირად იყოფა: ხახუნანი, გამიხარდინი, შუქიასძენი და ოჩონაური.

ჩ ა ლ ხ უ რ თ ა: ლომიკანი, ჯაჯანი, მინდიკანი და ბეენანი.

კ უ ნ ჩ ე ლ ა ნ ი: ბლარანი, კილკანი, დადლანი, სუმბატანი და ხიმიკაური.

ხიმიკაურთა გენეალოგიაში საინტერესო ფაქტს წაყვწყდით, აქ გამოირკვა ვაეა-ფშაველას გმირის ძალღიკა ხიმიკაურის გენეალოგიური შტო. იქვე (სოფ. აქეში) ჩვენ მიერ ფოტოგრაფიულად იყო გადაღებული ძალღიკა ხიმიკაურის ნასახლარი და კოსშის ნანგრევები.

არაგვის ხეობაში მუშაობის მოთავეების შემდეგ გადავედით არხოტის საზოგადოებაში, რომელიც ამჟამად სამი სოფლისაგან შესდგება—ამლა, კიმილა და ახიელა. ძველი სოფლები კალთთანა და კვირიწმიდა ქისტებთან მტრობის გამო აყრილა და კახეთში გადასახლებულა. არხოტში ძირითად სამუშაო პუნქტად სოფ. ახიელა გვქონდა ამორჩეული. არაგვის ხეობიდან არხოტში გადასვლას ვჩქარობდით, რადგან გვინდოდა მიგვესწრო ათენგენობის დღესასწაულისათვის, რომელსაც სწორედ იმ დროს ატარებდნენ არხოტიონნი და გადაგველო განყოფილების დავალებით დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალი. აქვე მოგვიხდა ახალ-უხალის საინტერესო წესის შესრულებაზე დასწრება, რომელსაც ხევსურეთში არსებული სწორფრობის საკითხის გარკვევისათვის საყურადღებო მომენტები ახლავს.

არხოტიდან ჩვენ ისევ პირაქეთ ხევსურეთში გადმოვედით, რომელსაც აგრეთვე მირგვალ ხევსურეთსა და ბუდე ხევსურეთს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ხევსურული დაყოფით გორშელმისა, წყალს იქითისა, არაგვისა, ლიქოკისა და ბისო-ხახმატისაგან შესდგება. გორშელმი შესდგება შემდეგი სოფლებისაგან: უკენჯალუ, წინჯალუ, უსტამალა, ზეისტეჩო, ორბეულთა, ჯორიელი, ესაჩუ, ხიტალე, მისახი, ატაბე, აყნელი, ბაცალიგო და ჩხუბო. ყველა აღნიშნული პუნქტები შემოვიარეთ გენეალოგიის შედგენის მიზნით, ხოლო უკენჯალუსა და ზეისტეჩოში შევჩერდით უფრო ხანგრძლივი მუშაობის ჩასატარებლად. შემდეგი ჩვენი მარშრუტი იყო წყლისიქითი, რომელშიც შედის: ბლო, ხორნეულთა, რომჯა, ფაფარენა, ქმოსტი, ღელე, ღელის ვაკე, იღლიე და საბერწე, რომელთაგან მუშაობის ჩატარება მოგვიხდა: ბლოში, რომჯაში, ქმოსტში და ღელის ვაკეში:

არაგვის ხეობისა, ლიქოკისა, გორშელმისა და წყლის იქითის სოფლებში მოსახლე გვარების გენეალოგიის დადგენის ხაზით ჩატარებულმა მუშაობამ ლიქოკელის გარდა, ჩვენი ყურადღება შეაჩერა კიდევ კინჭარაულის, გოგოჭურის და არაბულის გვარზე. აღნიშნული გვარები, როგორც უკვე ცნობილია ლიტერატურიდან, ითვლებიან ხევსურეთის თავდაპირველ მკვიდრად: სამი ძმის ჯინჯარას, გოგოქას და არაბას შთამომავლობად. ხოლო დანარჩენი გვარები კი მათ შემდეგ გაჩენილად. განსაკუთრებით საინტერესოა გვარის განვითარებისა და დაყოფის მხრივ არაბულების გვარის გენეალოგია, რომელიც შეძლების ფარგლებში ჩვენ მიერ სრულის სახით იქმნა ფიქსირებული. აღნიშნული მასალებიდან ირყევა, რომ ხევსურეთში ამჟამად ოფიციალური გვარის სახით არსებული ზოგიერთი ათესაური ჯგუფები, როგორცაა, მაგალითად, ფიცხელაური და სხვანი, არ წარმოადგენენ ცალკე გვარებს, არამედ არაბულების განშტოებანი არიან. არაბულების გვარი ხუთი ნათესაური ჯგუფისაგან ანუ ხუთი ძირისაგან შესდგება:

I. საველგუჯაურო, ანუ ველგუჯაურნი, თავის შიგნით არსებული დაყოფით: ა. კავკავანი, ბ. ბიჩინავანი, გ. ბარისაჯვანი.

II. საბიჩინავურო ანუ ბიჩინავანი.

III. სარკინაულო ანუ რკინაულნი.

IV. სათინიბექო ანუ თინიბექანი.

V. საფიცხელაურო ანუ ფიცხელაურნი.

ამგვარი მასალა ცხადყოფს გვარის გაზრდისა და მისგან გამოყოფით ახალ გვარის გაჩენის პროცესს.

ამათუიმ გვარის, კერძოდ, არაბულთა და ჯინქარაულთა ხეცსურეთში დასახლების შესახებ მრავალი გადმოცემა არსებობს, რომელსაც ახლაც იმეორებენ შთამომავლობანი. ამ მხრივ ახალ მასალას უნდა წარმოადგენდეს გადმოცემა ქისტურების გვარის შესახებ, ამიტომ მისი მოყვანა აქ საქიროდ მიგვაჩნია. სოფ. ლულის მცხოვრებთა გადმოცემით ქისტურები ქისტეთის სოფელ ლულჩხორეგოდან მოსულან და თავიანთ ახალ სამოსახლოსათვის ამიტომ ლული დაურქმევიათ. ლულჩხორეგოში ოთხი ძმანი ყოფილან, ერთი მათგანი იქვე დაჩენილა, ხოლო სამნი წამოსულან, რომელთაგან ერთს სიკოქლის განო სიარულ გასწელებია, ამიტომ, ის ძმებს ხევში დაუტოვებიათ და უთქვამთ—შენ აქ გაიბოტე ფეხიო. იმ ძმის შთამომავლობა ახლაც ხევში, სოფ. გაიბოტეში მოსახლეობს. ორი ძმა კი წამოსულა და ახლანდელ ლულში დასახლებულა. ლულელა და გაიბოტელი ქისტურები, ახლაც ერთ სამშოს შეადგენენ. ხეცსურული გვარების გენეალოგიურმა ძიებამ საყურადღებო მასალა მოგვცა ნათესაობის გავრცობისა და მისი ცალკეული სახეების დადგენისათვის, კერძოდ გ ვ ა რ ა დ, ძ ი რ ა დ და მ ა მ ა დ დაყოფის სახით. საინტერესოა აგრეთვე ხეცსურული გვარის დაბოლოების საკითხიც. თითქმის ყველა ხეცსურული გვარი ურ სუფიქსით ბოლოვდება, ამგვარი დაბოლოება ახლავს იმ გვარებს, რომლებიც წინაპრის სახელისაგანაა ნაწარმოები. იმ იშვიათ შემთხვევაში კი, როდესაც გვარის ტოპონიმიკური სახელიდან წარმოებასთან გვაქვს საქმე უ რ ი -ს მაგიერად ე ლ ი სუფიქსი გვხვდება. ასეთია, მაგალითად, გვარი ლიქოკელი და სხვა.

გვარებში დამოწმებული სუფიქსი უ რ ი-ს შესახებ აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს აქვს გამოთქმული აზრი, რომ უ რ ი ძეს, შვილს უნდა ნიშნავდეს. ამგვარი განსაზღვრება გარკვეული ხანისათვის, ალბათ, უფრო ფართოდ უნდა გვესმოდეს და თანამედროვე გაგებით ინდივიდუალური ხასიათის მქონე ტერმინი უძველეს ხანაში მთელი ჯგუფის მიმართ სუბიექტის დამოკიდებულების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენ მიერ დადასტურებული ტერმინები: დ ე დ ი დ უ რ ი, რ ა ც ა ლ ნ ი შ ნ ა ვ ს დ ე დ ის და-ს და მ ა მ ი დ უ რ ი—მამის და-ს.

ნათესაური ურთიერთობისა და დამოკიდებულების საკითხის გარკვევისათვის ყველაზე მდიდარსა და კონკრეტულ მასალას იძლევა ჩვეულებითი მართლიერება. ამიტომ, ხეცსურული რაჯულის შესწავლამ ამ მხრივ თელსაჩინო მასალა მოგვცა. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სისხლის აღების წესები. რომელიც ააშკარავებს უძველესი საზოგადოების განვითარების დროს არსებულ უფლება-მოვალეობებს. ასეთებად პირველ რიგში ჩვენ მიგვაჩნია ურვადის გადახდის ცალკეული შემთხვევები, მაგალითად, ს ა ხ ლ ი ს რ ი გ ი, ს ა ძ მ ო რ ი გ ი, ს ა გ ვ ა რ ო რ ი გ ი და სხვა... ეს არის ის სასყიდელი, რომელსაც მოითხოვს მამეული თავისი მოკლული წევრის სისხლის ასანაწილაურებად. მაგრამ გარდა ამისა, აგნატიკურ ნათესაობასთან ერთად წინა საფეხურის ნათესაობის უფლებებიც ჩნდება: ს ა დ ე დ ო რ ი გ ი ს ა და დ ე დ ი ძ მ ე ბ ი ს რ ი გ ი ს სახით. სადედო რიგს დედა და დედით—შინშნი მოითხოვენ, ხოლო დედიძმების რიგის შინაარს

თითონ სახელშია მოცემული, სადაც უნდა ვივარაუდოთ არა მარტო დვიძლი ძმები, არამედ—კოლატერალურიც. დედით-შინშები და მამით-შინშები თავის-თავად მეტად საყურადღებო ნათესაურ ინსტიტუტს წარმოადგენენ და უძველესი კლასურ სისტემის ნიშნებს შეიცავენ, სადაც ერთის მხრით გაერთიანებულია დვიძლი და კოლატერალურ დათა შთამომავლობა, ხოლო მეორეს მხრით— დვიძლი ან კოლატერალული ძმების შთამომავლობა. აქაც მსგავსად სევანური ლამბუბ-ისა და ლაუდილა-სი მოცემულია ერთი მხრით დების, ხოლო მეორეს მხრით ძმების გაერთიანება, იმ განსხვავებით, რომ სევანურში ეს შენარჩუნებულია დებისა და ძმების დიფერენცირებული ჯგუფების გამოშატეველი ტერმინებით, ხოლო ხევსურეთში კი ამ დიფერენცირებულ ჯგუფთა შთამომავლობის სახით.

აღნიშნული საკითხი სპეციალური მსჯელობის საგანია, რომელიც ცალკე დამუშავებას მოითხოვს.

ხევსურული მოსისხლეობის რჯული ნათესაური ურთიერთობის გამოაშკარავების გარდა განსაკუთრებულ მასალას შეიცავს თითონ სისხლის აღების წესების საკითხის გარკვევისათვისაც. ვინაიდან ამ საკითხზე დაწერილებით აქ ვერ შეეჩერდებით, ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ საყურადღებო დეტალებს, რომელიც დაკავშირებულია მოსისხლეთა მიერ გვარის აყრასა და განდევნასთან. ამანათად წასულ გვარს მხოლოდ ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ შეეძლო მოკლულის გვარისათვის პატიებისა და დაბრუნების უფლება ეთხოვა, რასაც სხვადასხვა სახის საურავის გადახდა ახლდა თან. უპირველესად ყოვლისა ამანათი იხდიდა 5 ძროხას—ადგილის სამეცხენელოს, რომ თავის სამოსახლოზე მოსკლის უფლება მიეღო, შემდეგ—საფლავ-სამარის სამეცხენელოს, რომ თავის სასაფლაოზე მიცვალებულის დასაფლავების უფლება ჰქონოდა, ჯვარ-ჯვარის კრისას, რომ თავის ხატში ლოცვისა და კურატის დაკვლის უფლება მიეღო, წყალ-წისქვილისა, და სულ ბოლოს გვერდ-სამჯდომლო-სი, რის შემდეგ იხდიდა პირშესამყრელოს და ხდებოდა უკვე ოფიციალური შერიგება. ამასთან შედარებით სევანეთში დადასტურებული წესი, რომელიც მოკლულის ნათესავებისაგან, მკვლელის სახლში კერიისა და ნაქას მოხსნას გულისხმობდა, ხევსურული წესის ფრაგმენტულ სახეობად უნდა ჩითვალოს, რომელიც მხოლოდ ალეგორიულად გულისხმობდა სახლის კულტის განადგურებით გვარისა თუ ოჯახის მოსპობას.

ოჯახურ ფორმათა გარდმონაშთების შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო მასალას იძლევა ოჯახის სტრუქტურისა და უფლება-მოვალეობის აღწერასთან ერთად ქორწინების წესების დადგენაც. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურებსაც სხვა ქართველ ტომთა მსგავსად ქალ-ვაყის დაწინდვა მათ მცირეწლოვანებაშივე ხდებოდა და დედ-მამის სურვილით განისაზღვრებოდა, ხშირად იყო დანიშნული თუ გათხოვილი ქალის მიერ ქმრის დაწუნება და ქმრისაგან წასვლა, რის შემდეგაც ქალის ოჯახს უხდებოდა სამწუნობროს გადახდა. დაწუნების მიზეზის მიხედვით სამგვარი სამწუნობრო არსებობდა: თავ-სამწუნობრო, შეშუალ-სამწუნობრო, და უკვენა-სამწუნობრო. ამის გადახდის შემდეგ ქალი უკვე სრულიად თავისუფლდებოდა ქმრის ოჯახის

ძალდატანებისაგან. დანიშნული ქალი საქმაროს სოფელში ვერ შევიდოდა მანამდე, სანამ მას გ ზ ი ს ს ა მ ქ ს ნ ე ლ ო ს არ გადაუხდიდნენ. ეს იგივეა, რაც სვანური ჰიზნის ლიფშდუნა, რომელიც ფეხის ახსნას ნიშნავს. სვანურის მსგავსად აქაც ორმავე ქორწინებასთან გვაქვს საქმე: ქალის ქ ო რ წ ი ლ ი ს ა და ვ ა ე ის ქ ო რ წ ი ლ ი ს სახით, რის დროსაც უძველეს ოჯახურ ფორმათა გარკვევის თვალსაზრისით ზოგიერთ საყურადღებო მომენტთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, ვაეის ქორწილის დროს ახალზალი და მისი და-შინშნი, სიძესა და მის ძმა-შინშებთან ასრულებდნენ სწორფრობის ერთ-ერთ სახეს ე. წ. ზ ა ლ - ქ მ რ ე უ ლ ო ბ ა ს ა და ს ი ძ ე - ც ო ლ ი ს დ ო ბ ა ს, რაც ჯგუფობრივ ქორწინებაზე მიუთითებს და თავისთავად აძლევს ახსნას სვანეთში არსებული ჰაქნ-ლარის წესს. რომლის შესახებაც აქამდე ჩვენ მხოლოდ ჰიპოთეზის წამოყენება შეგვეძლო.

ხევსურეთში არსებული ორცილიანობის შემთხვევები და ქალისაგან ქმრის მიტოვების უფლება მონოგამიური ოჯახის სისუსტეზე მიუთითებს. ცოლ-ქმრული ურთიერთობა, რომელიც შეუღლებულებისაგან პირველი სამი წლის განმავლობაში სწორფრულ დამოკიდებულებას მოითხოვდა და ამ ხნის განმავლობაში შეიღის ყოლის ნებას არ აძლევდა, ხევსურული ოჯახის თავისებურ მხარეს ამჟღავნებს. ვფიქრობთ, რომ ხევსურული ოჯახის თავისებურებათა გაღრმავებული შესწავლა ბევრ საყურადღებო მომენტს ახსნის ოჯახის განვითარების ისტორიაში.

ამგვარად, ხევსურეთში ჩატარებული მუშაობის შედეგად აღწერილია მოსისხლეობის რჯული, ქორწინება, მიცვალებულის დასაფლავება და ოჯახის სტრუქტურა. შედგენილია გვართა გენეალოგიური ტაბულები. ყველა აღნიშნული წეს-ჩვეულება ჩაწერილია რამდენიმე პირისაგან, მათი სახელის, გვარისა და წლოვანების აღნიშვნით, ხშირად ფორტოგრაფიული სურათის გადაღებითაც. ნაწილი ამ აღწერილობისა ჩაწერილია ხევსურულ კილოზე. შეგროვილია აგრეთვე ორმოცამდე ლექსი, რომელიც უმთავრესად გვარების ერთიმეორეში გაშაირებისა და სწორ-ფრობის ანბავს გაღმოგეცემს. კოლექციის სახით შექმნილია საქორწინო და რიტუალური პურები და საქორწინო ჯვრები ანუ ხატები. გადაღებულია ფორტო-სურათების შემდეგი კომპლექსები: შრომის პროცესები, დღეობების მომენტები, საკულტო და საოჯახო ნაგებობანი, ტიპები, საბჭოთა მშენებლობა და სხ...


დასასრულ მადლობას მოვახსენებ დედიკა ოჩიაურს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია, როგორც მგზავრობაში, ისე თითონ მუშაობის დროს. ასევე ქუჯი ძიძიშვილს. ამხანაგური დახმარებისა და ფორტო-სურათების გადაღებისათვის და ყველა იმ პირს, რომელთაც ხელი შემინწყვეს აღნიშნული მუშაობის ადგილზე ჩატარებაში.

რაჭის ეთნოგრაფიული მიწიწინების ანგარიში

(1938 წლის 16.VIII — 9.IX)

მივლინება მიზნად ისახავდა შრომის მარტივი კოოპერაციის გადმონათვის დადგენას ქვემო და ზემო რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

შრომის მარტივი კოოპერაცია («einfache Kooperation»¹) მეურნეობის განთავსების აღრინდელ საფეხურებზე წარმოადგენდა შრომის უნივერსალურსა და



ექსპედიციის ზარშრუტი

სყოველთაო ფორმას. მაგრამ შრომის კოოპერაცია არ მოისპო იმ საზოგადოებრივ ფორმასთან ერთად, რომელმაც იგი წარმოშვა; ის განაგრძობდა არსებობას

¹ K. Marx, Das Kapital, Moskau, Bd I, S. 349; შტრ. K. M a r x e, Капитал, Партиздат, Москва 1936 г., т. I, გვ. 268 და კ. მარქსი, კაპიტალი, სახელგამი, ტფილისი 1930 წელი, ტ. I, გვ. 287.

გადმონაშთების სახით მომდევნო საზოგადოებრივ ფორმაციებში და თუმცა აღარ ატარებდა საყოველთაოდ გავრცელებულ სახეს, იგი კვლავ ასრულებდა მეურნეობის სხვადასხვა დარგში გარკვეულ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფუნქციას.

ამიტომ საჭირო იყო შრომის მარტივი კოოპერაციის გადმონაშთების დადგენა და აღწერა მეურნეობის ყველა დარგში მიუხედავად ამათუიმ დარგის ეკონომიური მნიშვნელობისა და მისი ადგილისა მეურნეობის მთლიან სისტემაში. კერძოდ: ნადირობისა (მეთევზეობის ჩარაჟით), მესაქონლეობისა, მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის დარგში.

ზემოხსენებული მიზნის მიხედვით იყო შედგენილი (და შემდეგ ადგილზე დაზუსტებული) მიეღინების მარშრუტი: ტფილისი, ამბროლაური, წესი, ნიკორწმინდა, კვაცხუთი, ურაჯი, ონი, ლეზი, ქვედი, სხანარი, წედისი, ირი, ვატრაონი, ტფილისი.

ამბროლაურისა და ონის სასოფლო მეურნეობის ზოგადი პროფილისა, ზონადობისა და წაჰყვანი მეურნეობის დასადგენად საჭირო გახდა რაილმასკომებში მუშაობა და სათანადო მასალის დაგროვება.

მიეღინებაში ყოფნის დროს შეგროვილია შემდეგი მასალა:

I. ნადირობის კომპლექსი

გავრცელებული ნადირი: დათვი, მგელი, ჯიხვი, არჩვი, შველი, კვერნა, მაჩვი, მელა. ირემი დღეს აღარ მოიპოვება ზემო რაქაში, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი ძველად საქმოდ გავრცელებული ყოფილა; სოფ. წესში გაგანილი და ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით (ანდრია მაისაშვილი) როსტომ ერასთავს ირმის ჯოგი ჰყოლია მთაში, რომელიც ყოველდამ ჩამოდიოდა სოფელად. სადაც მას სწველიდნენ. იმ მთას დღესაც საფურთე კლდეს უწოდებენ.

ნადირობის ორგანიზაცია

1. ჯელგაობა—კოლექტიური ნადირობა შველზე.

იანვარ-თებერვალში, კარგად რომ მოთოვდა, მონადირეთა ჯგუფი 12—15 კაცის შემადგენლობით გაემგზავრებოდა შველზე სანადიროდ. ჯგუფში შედიოდა ყოველი მსურველი, მიუხედავად მისი ტერიტორიალური თუ გვაროვნული მიკუთვნებისა. ჯელგაობა ნადირობის ორგანიზაციის იმდენად ძველ ტიპს წარმოადგენდა, რომ მონადირეთა შორის ფუნქციების განაწილება ხდებოდა არა იარაღისა ან პროფესიის მიხედვით, არამედ ჰასაკის მიხედვით, ჯგუფში შედიოდა ყველაზე უფროსი (და გამოცდილი) მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობდა ჯელგაობას, მომდევნო საჰასაკო ჯგუფს მეთირეები წარმოადგენდნენ და ყველაზე უმცროსს მენწვერეები, ჯგუფში შედიოდა აგრეთვე მზარეული.

ჯელგაობა აწყობილი იყო ჰასაკის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ შველზე სანადიროთ უთოფოდ მიდიოდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში გარეოდა თოფიანი ხალხი, მეთირეებად, რა თქმა უნდა, თოფიან ხალხს გამოჰყოფდნენ.

ფუნქციების განაწილება

მეთოური ახორციელებდა ჯელგაობის ზოგად ხელმძღვანელობას, არჩევდა დროსა და ადგილს, აძლევდა ნიშანს.

მეწვერეები შემოუვლიდნენ შველს ზემოდან და „შეახმინებდნენ“ მას, ე. ი. ასტეხდნენ ჟივილ-ხივილსა და ხმაურს, რათა შველი დამფრთხალიყო და ჯარს დაშვებულყო.

მეძირეები ძირს დაშვებულ შველს უხვდებოდნენ და ხოცავდნენ მას თოვებით, ცივი იარაღით ან ხელით.

ყოველ მონადირეს თან მიჰქონდა თავისი საგზალი: პური, მარილი, ყველი და იარაღი: „თოფი“, „ხანჯალი“, „დანა“, „მუეირა“ (შინდისაგან გამოთლილი დასაბჯენია, რომელსაც ბოლოზე ლითონის წვეტი აქვს გაკეთებული). მონადირეები ჰეულგებრივად იყენენ ჩაცმულები, ხოლო ფეხებზე თხილამურები ეკეთათ.

სანადიროდ წასვლისას ჯელგაობის მონაწილენი მაქსიმალურ სიჩუმეს იცავდნენ. მეთოურის ნიშნის შემდეგ მეწვერეები იწყებდნენ „შეხმინებას“. მეძირეებს კვლავ სიჩუმე უნდა დაეცვათ მანამდე, ვიდრე შველი წინასწარ გაპიზნულ ადგილას არ ჩამოვარდებოდა. შეშინებული შველი თავქვე დაეშვებოდა წინასწარ გათვალისწინებულ ქვაბულისაკენ (ხევი ან მცირედ მოვაკებული ადგილი), ჩაიფლებოდა ღრმა თოვლში და მონადირის მსხვერპლი ხდებოდა. ხოცავდნენ შველს კაციანი თოფით, დანით, მუეირით, ხელით. უკანასკნელ შემთხვევაში, შველის ხელით დახოცვის წესს „კისრის დატეხვას“ უწოდებდნენ, რაც თავისებურ სიმამაცედ ითვლებოდა.

„კისრის დატეხვა“, უთუოდ, უძველესი დროიდან შემონახული ნადირობის წესია, რომელიც ძველად ნადირობის ძირითად სახეს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგში სულ სხვა დანიშნულება მიიღო და ამის წყალობით შემორჩა.

ადგილობრივი მონადირეების განმარტებით, „კისრის დატეხვა“ ისეთ შემთხვევაში იყო ხოლმე გამოყენებული, როდესაც ჯელგაობის მონაწილეთ (ან კალკულ მონადირეს) არ უნდოდათ „ნადირის უღვევარი კაცი“-ს წილში შეამხანაგება. დათვზე ნადირობის დროს იმავე მიზნის მისაღწევად მოკლულ დათვს ჰყრდზე ხანჯლით ჯვარისებურ ნიშანს გაუკეთებდნენ, რაც იმასა ნიშნავდა, რომ დათვის გატყავება უკვე დაწყებულია და, მაშასადამე, მონადირეს „ნადირის უღვევარი კაცი“ ვეღარ ჩაუდგებოდა წილში.

ზემოხსენებულიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

1. შველზე ნადირობის დროს გამოყენებული ხერხი ე. წ. „კისრის დატეხვა“ ყველაზე უფრო პრიმიტიულს და მაშასადამე ნადირობის უძველეს სახეს წარმოადგენს.

2. შემდეგში, სანადირო იარაღების განვითარების პირობებში, „კისრის დატეხვა“ შემორჩენილი და გამოყენებული ყოფილა როგორც ნიშანი ისეთი მონადირეის აღსანიშნავად, რომლიდანაც „ნადირის უღვევარს“ არავითარი წილი არ ერგებოდა და

3. თუ არსებობდა ნიშნების მთელი სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა „ნადირის უღვევარის“ უფლებას ნანადირეის განაწილების დროს, ცხადია, ძველად ასეთი უფლების არსებობა ისტორიულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

დახოცილ შველს აგროვებდნენ ერთს ადგილზე და, რომ შეიკრიბებოდა ჯელგაობის ყველა წევრი დაიწყებოდა დახოცილი შველის აჩეხვა და განაწილება „ჩხირის ყრის“ საშუალებით. განაწილების ეს წესი უზრუნველყოფდა ნანადირევის თანაბარსა და ობიექტურ განაწილებას.

არავითარი სპეციალური ნაწილების გამოყოფა ხელმძღვანელისათვის ან იმ პირისათვის, ვინც უფრო პროდუქტიულად ინადირა. განაწილება აბსოლუტურად თანაბარი იყო.

2. მოსაპირავი, მოხარევი—კოლექტიური ნადირობა ჯიხვზე.

ზამთრობით ჯიხვი ძირს ჩამოდის და გამოქვამულებში სცხოვრობს. არაჩვეულებრივად ფრთხილი და გონიერი ნადირია. ჯიხვის ეს თვისებები მონადირისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და საგანგებო წესების დაცვას მოითხოვდა.

მოსაპირავის მონაწილეთა რაოდენობა 10—12 კაცს არ აღემატებოდა. მათ შორის მეთოური—წინამძღოლი, გამოცდილი მონადირე, რომელმაც კარგად იცოდა ჯიხვის ჩვევა, თვისება, მისი ადგილსამყოფელო და კვებაზე გამოსვლის ვადები. შემდეგ მომრეკნი, რომელთა ფუნქციას შეადგენდა „შეხმინება“, ე. ი. ყიეჩისა და ხმაურის ატეხვა, დამხდურნი აუცილებლად თოფებით შეიარაღებული უნდა ყოფილიყვნენ და ამავე დროს კარგი მსროლელები, რადგან შველი თუ თოვლში იფლება და ველარ მოძრაობს, ჯიხვი კლდეს აფარებს თავს და მუდამ შეუძლია გაქცევა. დასასრულ, ჯგუფში შედიოდა აგრეთვე მზარეული, რომლის ფუნქცია იგივე იყო, რაც ჯელგაობის დროს.

რადგან ჯიხვი, როდესაც იგი დაფრთხება, ციკაბო კლდეს აფარებს თავს, მეთოური და დამხდურები ზევიდან მოუვლიდნენ ხოლმე გამოქვამულებს და ჯიხვს კლდისაკენ მიმავალ გზას გადაუჭრიდნენ. მეთოურის ნიშნის შემდეგ (სტვენა) მომრეკნი დაიწყებდნენ შეხმინებას და შეშინებული ჯიხვი კლდისაკენ დაიძრებოდა. მისი გამოქვამულიდან გამორეკის შემდეგ იწყებოდა მისი ხოცვა.

თუ ჯელგაობის დროს მეწვერეების რაოდენობა აღემატებოდა მეძირეების რაოდენობას (ჯელგაობის დროს მთავარია შველის გარეკა გარკვეულ ადგილზე) მოსაპირავში, პირიქით, დამხდურნი აღემატებოდნენ მომრეკთ, რადგან ჯიხვი იშვიათად ჩაეფლობა თოვლში ისე, რომ მოძრაობის უნარი დაჰკარგოს; ნანადირევის რაოდენობა დამოკიდებულია კარგ მსროლელთა რაოდენობაზე.

ნანადირევის განაწილება მოსაპირავის მონაწილეთა შორის თანაბრად ხდებოდა, გარდა თავისა და ტყავისა, რომელიც საერთო განაწილებაში არ შედიოდა. მას აგროვებდნენ, ყიდდნენ და აღებული ფულით ოჩხარხ მართავდნენ.

ჯელგაობა და მოსაპირავი დიდი ხანი არ არის რაც შეწყვეტილა. სოფლებიდან 15—18 კმ მანძილზე მთ. კირტიშოს ძირში ვეძა ყოფილა (მეავე მინერალური წყალია—ოდნავ მლაშე გემო გაჰკარავს), რომელზედაც ჯიხვი და შველი ჯოგ-ჯოგად ჩამოდებოდა. აქ მოდიოდნენ მონადირეები საჯელგაოდ და მოსარეკად.

„კასრას დაწყიეს ჯიხეებმა
დაშრა კირტიშოს ვეძაო,
როდისა იქა ჩაედიო
სითო მთავარი გერჩებაო“.

(ელისა ლათეს ასული ლობჯანიძე).

1912 წელს ხსენებული ვეძა ზეავს დაუტანია და ჯიხეების ჯოგებიც ვადაშენებულა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჯელგაობაც შეწყვეტილა, მოსაპიჩავიცი და ამჟამად 2—3 მონადირე თუ წავა სანადიროდ, ისიც ძველი, გამოცდილი მონადირე, რომელნიც ერთს ან ორ ჯიხეს თუ ჩამოიტანენ, მეტს ვერა.

3. საკვალიე—კოლექტიური ნადირობა კვერნაზე.

კვერნაზე ნადირობაც ზამთარში იცოდნენ. როგორც ეტყობა, კვერნაზე ნადირობას ყველაზე მასიური სახე ჰქონდა, რადგან იკრიბებოდა 40-მდე მონადირე. თავისთავად კვერნა პატარა ცხოველია, მასზე ნადირობა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს და თვით ნადირობა არ მოითხოვს ამდენი მონადირის ჩაბმას. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ სანადიროდ წასვლისა და კვალის მოძებნის შემდეგ მონადირეები რამოდენიმე ჯგუფად იყოფოდა 4—5 კაცის შემადგენლობით. მიუხედავად იმისა, რომ ნადირობაში ჩაბმულია 40-მდე მონადირე, საკვალიეს დროს არავითარი შრომის ორგანიზაცია არ არსებობს გარდა უფროსის გამყოფისა. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ კვერნაზე ნადირობის დროს აღარ იყო საჭირო ჯელგაობისას აუცილებელი სიწყნარის და წესის დაცვა. დაწყებული სახლიდან გასვლით და გათავებული ნანადირევის სახლში მიტანით საკვალიეს მთელი შემადგენლობა განუწყვეტელ შიარულ ხმაურობასა და ყვილ-ხვილში ატარებდა დროს. ყველაზე უფრო პეტად ხალხს საკვალიედ წასვლა ეხალისებოდა. საკვალიედ წასვლისას მონადირეებს ძალიც მიჰყავდათ, მაშინ როდესაც სხვა ნადირზე ნადირობის დროს ბაღის გამოყენებას მაინცდამაინც არ მისდევდნენ. კვერნაზე ნადირობის დროს კი ძალი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან კვერნამ მეტად ოსტატური დამალვა იცის ხის ფულუროში, წაქეული ხის ქვეშ, ორმოში, ხრელში, ლეშქში. მას მიკვლევა და ამოგდება სჭირდება, რასაც ძალი საუცხოოდ ასრულებს. მეთოური კვალს მიაგნებდა თუ არა, კვალის მითვლას დაიწყებდა. თუ ხისაკენ მიმავალი კვალი სჭარბობდა, ხისაგან მომავალ კვალს კვერნას ხეზე დაუწყებდნენ ძებნას თუ პირიქით—გაპყვებოდნენ მომავალ კვალს და მიაგნებდნენ მის ადგილს. კვერნის ადგილის მიკვლევის შემდეგ მონადირეები შემოესოდნენ მას, მიუსევდნენ ძალს და დაიწყებდნენ ხმაურს. ამოგდებულ კვერნას გახარებული მონადირეთა ჯგუფი მხარული ყიყინითა და ხმაურით დასდევდნენ იდრე მას არ მოჰკლავდნენ. ნანადირევი იყოფოდა თანაბრად.

4. დათვზე ნადირობა

ამ შემთხვევაში მონადირეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 2-3 მონადირეს; მათ შორის ერთი თანამჭიანი იყო, რომლის მოვალეობას საგზლისა და მონადირევის ზიდვა წარმოადგენდა. მაშასადამე, მონადირეთა ჯგუფში უკვე

შემოსული ყოველა ფუნქციების ისეთი განაწილება, რომელიც ნანდირიევის დიფერენციალურ განაწილებას გამოიწვევდა და არა აბსოლუტურად თანაბარს.

მონადირეთა ასეთი მცირე რაოდენობა მსხვილ ნადირზე ნადირობის დროს შემდეგი მოსაზრებით აიხსნება:

1. რაჭაში გავრცელებული ჯიშის დათვზე ნადირობა არაა საშიში. სოფრთხილეა საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათვი დაჭრილია ან თუ ბელები ჰყავს თან.

2. რუქული ჯიშის დათვი მომცრო ტანისაა და მონაწილეთა დიდ რაოდენობის პირობებში ნანადირევის ხვედრაც მცირე იქნებოდა.

როგორც აღენიშნეთ ნანადირევის განაწილება არა თანაბრად ხდებოდა. მონადირეს, რომელმაც მოკლა დათვი ან და პირველმა მოარტყა ტყვია, დამატებით ერგებოდა ნაღველა, თავრიელი (თავკისერი) და წინა ფეხები. ამჟამად ხსენებულ ნაწილებს სახელადო ეწოდება, ხოლო ძველად საისრეს უწოდებდნენ. ზემოხსენებული საისრე დახარჯული ისრის ღირებულებას წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, დათვზე ნადირობის ორგანიზაციის უფრო მაღალი და განვითარებული ტიპია მოცემული. ნადირობის ამგვარი ორგანიზაცია დამკვიდრებულია განვითარებული სანადირო იარაღის ბაზაზე, რის შედეგად შესაძლებელი ხდება მსხვილ ნადირზე ნადირობა მონადირეთა ასეთი მცირე რაოდენობით. თვით ჯგუფში აშკარად არის მოცემული კვალიფიციური და არაკვალიფიციური შრომის დანაწილება. კერძოდ: გამოყოფილია შავი და მძიმე საშუაოს შემსრულებელი, რომელთანაც შედარებით ჯელგაობის ან მოსაპირავას მზარეული უფრო პატივსაცემი პირია. ნადირობის ორგანიზაციის მაღალ ტიპზე ნანადირევის დიფერენციალური განაწილებაც მიუთითებს.

5. კოლექტიური მეთევზეობა

რაჭაში მეთევზეობა შედარებით მცირე მასშტაბით ყოფილა წარმოდგენილი და მას, როგორც ეტყობა, ნადირობასთან შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეკირა მეთურნობაში. თევზი, ლუხუნისა და ჯოჯორის ხეობაში, უმთავრესად კალმახის სახით არის წარმოდგენილი. ბადე და ანკესი არ იხმარებოდა. რადგან მდინარეები ჩქარია და პატარა. სათევზაოდ წასული ჯგუფი 7-8 კაცს არ აღემატებოდა. სცოდნიათ თევზაობის შემდეგი სახეები:

ა) **დალეშქვა**, ე. ი. წყალის მოწამლვა ლეშქით. მდინარის პირზე ამოსთბრიდნენ ორმოს, შიგ ჩაყრიდნენ ლეშქსა და ქვიშას, რის შემდეგ დაიწყებდნენ მის დანაყვას წვეტიანი სარებით. ქვიშას ხმარობდნენ იმიტომ, რომ ლეშქი უფრო კარგად დანაყულიყო, დანაყვის შემდეგ ლეშქობდნენ ფაფის მაგვარ ნივთიერებას, რომლითაც სწამლავდნენ წყალსა და თევზს. ამოგდებული თევზის განაწილება თანაბარი იყო.

ბ) **დაკირვა**, ე. ი. წყალის მოწამლვა კირით. იგივე რაც დალეშქვის დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ლეშქის მაგიერ კირსა ხმარობდნენ. განაწილება აქაც თანაბარი იყო.

გ) **მოწრება**, ე. ი. წყალის გადაგდება ახალ კალაპოტში. ამ შემთხვევაში წყალი და თევზი არ იწამლებოდა, მაგრამ, თევზაობის ასეთი წესი მონაწილეთა ბეტ რაოდენობას თხაულობდა. განაწილება ამ შემთხვევაშიც თანაბარი იყო.

თევზის კულტი აშკარად გამომკლავებული სახით საანგარიშო მივლინების დროს არ იყო დადასტურებული, თუმცა, მის გამოყენებას სამკურნალო მიზნით ადგილი ჰქონია.

აღწერილი არის ხის შემდეგი ხაფანგები:

ა) ჯიხვის დასაქერად—**ხუნდა**; მუხის ორბოძალი მორი სივრძით 1,5 მეტრამდე, დიამეტრით 0,5 მეტრამდე. განშტოების შეერთებასთან ხუნდა ამოღარულია კონუსის მსგავსად მორის მთელ სიგანეზე. ხუნდა გამაგრებულია ჯიხვის სავალ ბილიკზე ისე, რომ ამოღარული კონუსის ფართე მხარე მოქცეულა ზემოთ. კონუსის ნაპირები შეძლებისდაგვარად მოსიპულია, რომ ჯიხვმა ფეხი ვერ მოიკიდოს. კონუსის საწინააღმდეგო მხარე უფრო ვიწროა დაახლოვებით ჯიხვის ჩლიქის ოდენა. კონუსის ვიწრო ყელში ჩაგდებად თავისუფლად მოძრაობა და ირიბად დაყენებული უგდული. თავისუფალ მდგომარეობაში კონუსი დაკეტილია ხსენებული უგდულით. ჯიხვს თუ ფეხი ჩაუვარდა კონუსში, მისი ჩლიქი განზე გასწევს ხის უგდულს, ხოლო რადგან ჯიხვის წვივი უფრო წვრილია ვიდრე ჩლიქი, მისი ფეხის შემდეგი მოძრაობისას ხის უგდული თავისი სიმძიმის გამო უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას და ჯიხვის ყოველი ცდა უკან ამოიღოს ფეხი უნაყოფოდ რჩება.

ამჟამად ხუნდას აღარა ხმარობენ, რადგან ვეძა, როგორც ვსთქვით, ზევეს ქვეშ მოჰყვა და ჯიხვებმაც სხვა ადგილები ამოიჩინეს.

ბ) კვერნის დასაქერად იხმარებოდა ხის **ხამფაგი**, რომელიც წარმოადგენს სავსებით პრიმიტიულ ხაფანგს. იგი გაკეთებული არის ხის ორი ტოტისაგან სივრძით 1,5 მეტრამდე, სიგანით 0,25 მეტრამდე. ქვედა კეტის ერთი ბოლო მაგრადაა ჩაქდობილი მიწაში, ხოლო მეორე ბოლო ხის საბჯენზეა დამაგრებული მიწიდან 1 მეტრის სიმაღლეზე. ამგვარად ქვედა კეტი დახრილ მდგომარეობაში იმყოფება. ზედა კეტის ერთი ბოლო სუსტად არის დამაგრებული იმ ადგილზე, სადაც ქვედა კეტის ბოლოა მიწაში ჩაქდობილი. ზედა კეტის მეორე ბოლო თავისუფალ მდგომარეობაშია. ზედა კეტი თავისი შუა წელით დაბჯენილია ე. წ. **მოსატყუარზე**, რომელიც თავისთავად ქვედა კეტზეა დაბჯენილი. მოსატყუარს პატარა კავი აქვს დატოვებული, რომელზედაც ხორცის ნაჭერს ამაგრებენ. ხორცის სუნზე კვერნა მოდის ხაფანგთან და, რომ ვერ შესწვდება ხორცს, ახტება ქვედა კეტზე. როგორც კი გაეკარება ხორცის ნაჭერს, მოსატყუარი ასხლტება, ზედა კეტს გამოეცლება საბჯენი და იგი შეულის თავისი სიმძიმით კვერნას დაეცემა.

გ) მგლის დასაქერად—**მოწნული ხამფაგი** წარმოადგენს წნელისაგან მაგრად მოწნულ დახურულ ცილინდრს, რომლის სიმაღლე 1,5 მეტრს აღწევს, ხოლო დიამეტრი 80 სანტიმეტრს. ხსენებული ცილინდრი მაგრად არის ჩამაგრებული მიწაში. მას გარშემო 60—70 სანტიმეტრის დაშორებით მეორე ცილინდრი აქვს შემოწნული ისე, რომ შიდა და გარე ცილინდრის კედლების შუაში—70 სანტიმეტრის სიგანეზე კორიდორია დატოვებული. გარე ცილინდრს შიგ-

ნით შესაღები კარები აქვს დატანებული. მგლის მოსატყუებლად შიდა ცილინდრში გოქი ან თხა არის ჩასმული რომლის ხმაზე მგელი შედის კორიდორში. შესვლისას იგი, რა თქმა უნდა, შეაღებს კარებს. მგელი ერთხელ რომ შემოუვლის გარშემო შიდა ცილინდრს, კარებს მიხურავს, რადგან ღია კარების პირობებში მგელი ვერ გაეტევა კორიდორში. კარების დახურვის შემდეგ მგელი მომწყვდევლია შიგ, რადგან მას შემობრუნება და კარების გაღება არ შეუძლია. იყო შემთხვევა, რომ ასეთ ხაფანგს 2 მგელი დაუჭერია.

სანადიროდ წასვლა, ძველად, მოითხოვდა მონადირისაგან საგანგებო წესების შესრულებას. კერძოდ:

1. წინდამხდურის შერჩევა, ე. ი. ისეთი პიროვნების შერჩევა, რომლის ფეხი მონადირეს კარგად ჰქონდა დაცილილი. წინდამხდური, ვითომ ანაზღეულად შეეყრებოდა წინ მონადირეს და მისცემდა მას წინასწარ გამზადებულს, „თომში“ გახვეულს პურის ლუქმას, რომელსაც მონადირე ბანდულში ჩასდებდა. ეს ლუქმა პური მონადირეს უნდა შეეჭამა იმ წყაროსთან, რომელიც მას პირველად შეხვდებოდა გზაზე.

2. დედაკაცი გამოუცხოვდა მონადირეს საგანგებო პურს ე. წ. ხმელგანატებს, რომელიც აკრელებული იყო მზის გაფანტული სხივების მზგავსად. ხმელგანატები მონადირეს უნდა შეეჭამა კლდეში პირველად შესვლისას.

3. სანადიროდ წასვლის წინ, მონადირესათვის რომ თვალი არავის ეცა და მას ხელი არ ასცდენოდა, იგი მარჯვენა ხელს მოჰკიდებდა კერაზე ჩამოკიდებულ საქებაზე ჯაქვს და ფეხს გადააბიჯებდა ნაკვერცხალს.

4. სანადიროდ წასვლის წინ, რამდენიმე დღის განმავლობაში, არ გაეკარებოდა ქალს: უწმინდურააო.

5. იმავე მოსაზრებით არა სკამდა ღორის ხორცს. ყოველ შემთხვევაში ღორის ხორცის წაღება სავალად კატეგორიულად იყო აკრძალული: ნადირთ ანგელოზს ეწყინებოდა.

6. სანადიროდ წაეიდოდა მხოლოდ მაშინ, თუ კარგ სიზმარს ნახავდა. ასეთ შემთხვევაში პირს არ დაიბანდა: სიზმარი არ ჩამომებანოსო.

7. სანადიროდ გამზადებულ მონადირეს სტუმარიც რომ მოსვლოდა, ფეხზე არ ადგებოდა: ნადირი წამომიდგებოა.

8. მხოლოდ სოფ. ღებში სტოდნიათ სანადირო თოფის ლულაში გველის ჩადება და თოფის გასროლა, რასაც თოფის მოწამლვას უწოდებდნენ. მოწამლული თოფით დაქრილი ნადირი აღარსად აღარ გაიქცევაო. იქვე დასძინეს, რომ ეს წესი სვანი მონადირისაგან, ვინმე ჯამათასაგან, უსწავლიათ.

9. თუ მონადირეს ხელი გაუღებოდა, ხელის ასახსნელად რაიმე ფრინველს მოჰკლავდა ან ქათამს და მისი სისხლით თოფის ლულის ტუჩს შეღებავდა.

10. იცოდნენ აგრეთვე ხელის მდების შერჩევა. ნანადირევს ხელს ვერკინ ვერ ახლებდა, ვიდრე დაცილილი პიროვნება ხელს არ დაადებდა ნანადირევს და არ წარმოსთქვამდა „ას, ას“.

11. სანადიროთ მიდიოდნენ დილით ადრე, ვიდრე კვალი აირეოდა: ნადირის კვალი არ აირიოსო.

დასასრულ აღსანიშნავია ის პატივისცემა და სახელი, რომელიც დამსახურებული აქვთ ცნობილ მონადირეებს. საერთოდ ნაღობა საპატიო ხელობად არის მიჩნეული და განთქმულ მონადირეებს წაღბი ხოტბას ასხამდა:

„შენი ნასროლი ფინთიხი
დიდი თალიშში ყოიდა,
შენი მოკლული ჯიხვები
კირტიშოს ჩამოსცვივოდა“.

(ელისა ლათეს ასული ლობჯანიძის თქმული)

II. შიწათმოქმედება

ქვემო რაჭის სოფლის მეურნეობაში წამყვანი და გადამწყვეტი როლი მიწათმოქმედებას ეკუთვნის. ამიტომ ქვემო რაჭა უფრო სრულ სურათს იძლევა როგორც მიწათმოქმედებაში შრომის ორგანიზაციისა, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესწავლის თვალსაზრისით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაჭაში არაა დადასტურებული გუთნის შეკვრის წესი ან სახენელი იარაღის გარშემო შრომის დროებითი გაერთიანება (ალო), რომელიც ასე ფართოდაა გამოყენებული ქართლ-კახეთში.

ეს თავისებურება გამოწვეული უნდა იყოს შემდეგი პირობებით:

1. რაჭის ზედაირი მეტად უსწორია, იგი მეტწილად მთების დაქანებულ კალთებს წარმოადგენს და ნიადაგის ასეთი რელიეფის პირობებში მძიმე გუთნის გამოყენება, რომელიც მრავალუღლიან გამწვევ ძალას მოითხოვს, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. გუთანი სულ მწელიწადი იქნება, რაც შემოიღეს რაჭაში, ისიც მისი გამოყენება მხოლოდ კალაშია შესაძლებელი.

2. თუ რომ ქართლ-კახეთში გუთანი (ან მისი მთავარი შემადგენელი ნაწილები) მხოლოდ შეძლებულ გლეხებსა ჰქონდათ და მის საფუძველზე ისინი აყალიბებდნენ დროებით ორგანიზაციას სხვისი გამწვევი ძალა და მუშა-ხელის ჩასაბმელად უკანასკნელის ექსპლუატაციის მიზნით, რაჭაში სახენელი იარაღი ყოველ გლეხს შეეძლო შეეძინა. სახენელი არაა ძვირფასი იარაღი. მისი დროებითობა, თანამედროვე ფასებში რომ გადმოვიტანოთ, 7-8 შრომა-დღეს არ აღემატება.

3. იმ შემთხვევაში, თუ გლეხს დასკირდებოდა ხენის დროს დახმარება (უმეტესად ავადმყოფობისა, დროებით გაკირვებისა ან „უკაცური ოჯახის“ პირობებში), მის დასახმარებლად მოდიოდა მეზობელი თვისი სახენელი იარაღით და გამწვევი ძალით. ურთიერთობა ამ შემთხვევაში მარტივი იყო და გამომდინარეობდა იმ შეგნებიდან, რომ გაკირვების დროს მასაც დაეხმარებოდნენ.

4. ამასთან აღსანიშნავია, რომ მსუბუქი და მთლიანად ხისაგან (გარდა სახისისა) გაკეთებული სახენელი და ნიადაგის თავისებურება არ მოითხოვდა ერთ უღელზე მეტი გამწვევი ძალის შებმას.

რაკაში დადასტურებულია 2 ტიპის სახენელი (გ. ჩიტაია, რაკულის სახენელი: ენიმკი-ს მოაქვს, ტ. I), რომელთა შორის ერთი გვერდზეა გამოყენებული (კვაცხუეთის ფერდობი, ქვედი), მეორე ქალაში (ნიკორწმინდა, კვაცხუეთის ქალა): მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა. ფერდის სახენელი ზომით პატარაა: „ქუსლის“ მაქსიმალური სიგრძე 89 სანტიმეტრს უდრის (უსახნისოდ), ხოლო „სატარისა“ 140 სანტიმეტრს. ერქვანი მეტად დაბალი აქვს და მისი ხელის მოსაკიდებელი მიწის ზედაპირიდან 73 სანტიმეტრის სიმაღლეზე იმყოფება. ქუსლი, როდესაც სახენელი თავისუფალ მდგომარეობაშია, ქვედა სიბრტყის მხოლოდ $\frac{1}{3}$ -ით არის დაყრდნობილი მიწაზე.

სხვა არის ქალის სახენელი. ქუსლის მაქსიმალური სიგრძე 118 სანტიმეტრს აღწევს (უსახნისოდ), სატარისა—129 სანტიმეტრს, ხოლო ერქვანის 90 სანტიმეტრს. ქუსლი, როდესაც იგი თავისუფალ მდგომარეობაშია, მთელი თავისი ქვედა სიბრტყითაა დაყრდნობილი მიწაზე.

ფერდის სახენელი გაცილებით უფრო მსუბუქია ქალის სახენელთან შედარებით, მეტი მოძრაობის უნარი, აქვს და ის გარემოება, რომ ფერდის სახენელს უფრო მომრგვალებული და დახრილი ქუსლი აქვს, შესაძლებელია სიმძიმის კომპენსაციას წარმოადგენდეს, რითაც იგი ხნულის საკირო სიღრმეს უზრუნველყოფს. ზემოხსენებული ნაწილების გარდა ორივე სახენელს აქვს „წინახელა“ ზედ დაქდობილი სამი კბილით ჯამბარის მოსაბმელად. წინახელა დაკრულია სატარზე ხის ორი „რიკით“. გარდა ამისა სახენელს აქვს ორი „სოლი“, რომელთა შორის ერთი უკეთდება ზემოდან, იმ ადგილზე სადაც სატარი უერთდება ქუსლს, ხოლო მეორე ქვემოდან. წინახელაზე დაქდობილ კბილებს და ზემოხსენებულ ორ სოლს, რომელთა შორის ერთს ხაკისური ეწოდება ხოლო მეორეს საჩოჩი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხნულის სიღრმის რეგულაციისათვის. ხნულის გაღრმავებას ორი საშუალებით შეიძლება მიიღწიოს მხენელმა:

1. ქვემოდან საჩოჩ სოლს ჩაუქდობს მაგრა, ან
2. ჯამბარას ზედა კბილზე მოაბამს.

ხოლო თუ ხნულის სიღრმის შემცირება საკირო, მხენელს შეუძლია ჯამბარა ქვედა კბილზე გადაიტანოს ან და საკისური სოლი ჩაუქდოს მაგრა.

მაშასადამე ზედშემკიდებს (მხენელის) განკარგულებაში საშუალებათა მთელი სისტემაა, რომლის მეოხებით იგი სახენელ იარაღს ნიადაგის ყველა პირობებს უგუებს ხვნის მაქსიმალური ეფექტის მიღებით.

როგორცა ვხედავთ, პირველი შეხედვით მარტივი სახენელი იარაღი, რომელსაც სახნისის გარდა არც ერთი რკინის ნაწილი არა აქვს, უკიდურესად განვითარებულ იარაღს წარმოადგენს, რომლისგანაც გამოწურულია ყველა მისი შესაძლებლობა.

სახენელი იარაღის ნაწილები კეთდება:

1. ქუსლი—ლეკასაგან. ქუსლის გაკეთება კაკლისა ან ბზისაგან არ შეიძლება: კაკლისა ან ბზისაგან გაკეთებული ქუსლი მალე დასკდება;

2. **სატარი**—თელისაგან ან წაბლისაგან. სატარი მაგარი უნდა იყოს რადგან ყველაზე მეტი ჯაფა სატარს ადგია;

3. **ხელა**—ნაძვისა, ურთხველისა ან ფიჭვისაგან;

4. **წინახელა**—წიფლისაგან.

ყველაზე უფრო ფართე მასშტაბით შრომის კოოპერაცია გამოყენებული იყო ახოს გატეხვის დროს. ერთ ქცევა ახოს გატეხვას 20—25 კაცდღე სჭირდებოდა, მაშინ როდესაც დღეს პირველ თოხნაზე გამომუშავების ნორმის სახით დაწესებულია ერთ კაცდღეზე 600კვ. მეტრი.

„ახოს ქვეიანი კაცი ვერ გატეხავსო“ იტყოდნენ სოფლად, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახოს გატეხაზე წასვლისას მეშველის დამძახებელს მეშველთათვის 2-3 კიქა მიინც არაუი უნდა მიერთშია.

ახოს მეშველს, სხვა მეშველისაგან განსხვავებით, დიდ მეშველს უწოდებდნენ (იკრიბებოდა 30—40 კაცი).

რომელიმე მეკოპური შეირჩევიდა ტყის მონაკვეთს და შეუდგებოდა მის გამზადებას ახოსათვის. მუშაობდა მარტო თავისი ოჯახის წევრების დახმარებით, რადგან სამუშაო არ არის სასწრაფო. ერთ ქცევა საშუალო სიხშირის ტყის აკაფვას 10—12 კაცდღე სჭირდებოდა.

სქელტანიანი ხეების შემოყვერა იცოდნენ, რადგან მათი აკაფვა ძნელი იყო, ხოლო შემოყვერილი ხე მალე ხმებოდა და ყანაში ჩრდილს ველარ დააყენებდა. მოკაფულ ტყეს ადგილზე სტოვებდნენ დაახლოებით 10—15 დღის განმავლობაში. საჭირო იყო, რომ მოკაფული ტყე თანაბრად ყოფილიყო გაშლილი მიწის ზედაპირზე. ტყის აკაფვას ფიცხ დღეებში იწყებდნენ, რომ ტყე მალე გამზარდო. 10—12 ფიცხი დღის განმავლობაში მოკაფული ტყე კარგად ხმებოდა, რის შემდეგ იწყებდნენ მის მორუჯვას. ერთი ქცევა მოკაფული ტყის მორუჯვა რამდენიმე საათში მთავრდებოდა.

შემდეგ, ამკაფველი კვლავ დაუვლიდა ტყეს და დაუმწვარ ფიჩხს საბოლოოდ გადასწავდა. მეორედ მორუჯვის შემდეგ მიწა მზად იყო დასამუშავებლად.

ამის შემდეგ ახოს შესაკუთრე დაუვლიდა მეზობლებს, მოკეთებებს და აცნობებდა, რომ აწადამ დღეს მას ახოს გატეხვა ექნება. პირველი 4—6 წლი განმავლობაში გატეხილი ახოს მოხენა შეუძლებელია სახენელით. მას ჩვეულებრივად თოხით აბრუნებდნენ. მთოხნავენს უკან მოსდევდნენ ქალები ან ბავშვები, რომელთაც ორკაპანაი ჯოხები, ე. წ. **სარეები** ეჭირათ ხელში და რომელნიც დარჩენილ ბელტებს ამსხვრევდნენ. ფიჩხსა და ამოგდებულ ფესვებს აგროვებდნენ და დათვისის შემდეგ მიწას მოფორჩხავდნენ.

ახოს გატეხვის დროს მეშველთა რიგს გვერდზე ამოუყენებდნენ მესრიელს, რომლის მოვალეობას მარტო სრიელის სწორედ აყვანა კი არ წარმოადგენდა, არამედ სიმღერითა და საკუთარი მაგალითით მუშაობის სწრაფი ტემპის დაცვაც.

იტყოდნენ დიდ მეშველში გაჯიბრება და ვინც თოხის ყუას თავზე გადაუვლიდა მას საქებარ სამღერებს უმღერდნენ. თოხნის დროს დაწინაურებული სალამოს ვახშამზე ჩვეულებრივად თამალობდა და მას საუკეთესო კერძი ხვდებოდა.

ბოდა წილად. რაც შეეხება ჩამორჩენილებს, მათ დასცინოდნენ და სამასხარო ლექსებს უმღერდნენ.

მეშველის კვება ყველაზე უკეთესად ახოს გატეხვის დროს იყო ორგანიზებული. კერძოდ: საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი. დიდმეშველის დროს იკვლებოდა ხარი, ცხვრები, საკმაო რაოდენობის ფრინველი და სხვა. ვახშამი უზრუნველყოფილი იყო საყოფი ღვინით.

დიდ მეშველს ბობოლა გლეხებიც იწვევდნენ, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მესრიელედ თვით ოჯახის წევრი ღებოდა და არა საუკეთესო მომღერალი. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ, თუ ბობოლა გლეხი იწვევდა (იპატიებდა) მეშველს იგი თვითონ არ შემოუვლიდა სოფელს მეშველის დასაძახებლად არამედ ვინმე საპატიო პიროვნებას გაავზავნიდა, რომ გლეხებს უარი არ ეთქვათ. გლეხები არ ეტანებოდნენ ბობოლა გლეხთა მეშველს, რადგან მისგან უფრო ფულად დახმარებას მოელოდნენ, ვიდრე შრომითა და საქონლით დახმარებას.

მეშველის გამოყენება სცოდნიათ აგრეთვე ხენის დროს. მიწის ხენა სწარმოებდა სახენელით, რომელსაც ერთი უღელი ხარი ება. სახენელს მისდევდა და მართავდა **ხელშემკიდე** ან **ზედშემკიდე**. ხოლო, თუ ხარები ხამი იყო, მათ წინ მიუძღოდა წინამძღვრად ქალი ან ბავშვი. როდესაც ხენა სწარმოებდა ძნელად მისადგომ ადგილზე **ხელშემკიდეს** მოჰყვებოდა 1 ან 2 მუშა თოხით.

ხენაზე გასასვლელად გარკვეული, მთელი სოფლისათვის სავალდებულო დღის არსებობა ძველად სოფ. ნიკორწმინდაში დადასტურდა. აქ დიდხანს ყოფილა შემონახული ე. წ. **კვალის გავლება** და **თხლის ვალება**. ასეთ სავალდებულო დღედ მთვარის პირველი, მესამე ან მეხუთე დღე იყო მიჩნეული (მარტის თვეში), კერძოდ კი 9 მარტი (სავსე შაჟარე იცისო). ამ დღეს თოვლიც რომ ყოფილიყო გლეხი მაინც გამოიტანდა სახენელს, მახლობლად გააკეთებდა ორ კვალს და რამდენიმე მარცვალს დასთესდა. მოსავლის აღებისა და თიბვის სავალდებულო ვადებიც ყოფილა დაწესებული. ყოველ შემთხვევაში დადასტურებულია, რომ გლეხმა თუ თავისი მოსავალი სხვაზე ადრე აიღო და ამის შედეგად ურემმა ან საქონელმა მეზობლად მყოფი ყანა გასთელა, იგი აუცილებლად გადაუხდიდა გათელილი ყანის შესაკუთრეს სათანადო რაოდენობის მოსავალს. ამასვე ადასტურებს სპეციალური **მარბიელების** გამოყოფა.

მეშველს მიმართავდნენ შემდეგ შემთხვევებში: თუ რომ უკაცო ოჯახი ოცო (ქვრივის ან ობლის), თუ რომ დროებით იყო ოჯახი გაქირვებაში ჩაყარნილი (ავადმყოფობა გლეხის ან საქონლის) და იმ შემთხვევაში, თუ გლეხს მოქარბებული მიწა ჰქონდა და თვითონ ვერ აუვიდოდა მის დამუშავებას.

პირველ შემთხვევაში ხარჯი (სასმელ-საჭმელი) თვით მეშველს მოჰქონდა, მეორე შემთხვევაში მეშველს ჰკვებავდნენ შეძლებისდაგვარად, ხოლო მესამე შემთხვევაში მეშველი, გარდა კარგად გამართული ხარჯისა, ხანდახან ფულსაც იღებდა.

საშუალო და ღარიბ გლეხს მეშველი ფულს არავითარ შემთხვევაში არ გამოართმევდა. იგი კმაყოფილდებოდა იმ რწმენით, რომ გაქირვების დროს მასაც დაეხმარებოდნენ.

შრომის ამგვარი კოოპერაცია გამოყენებული ყოფილა აგრეთვე პირველი და მეორე თობნის, მკისა და თიბვის დროს და სხვა.

შრომის კოოპერაციას დედაკაცების ხაზით აღვილი ჰქონდა: ყანაში ქვის აკრეფისა, მატყლის წეწვისა, მარგვლისა და მკის დროს; თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში გამოყენებული იყო აგრეთვე მამაკაცების შრომა (ძნების შეკერა).

დედაკაცთა და მამაკაცთა შერეულ გაერთიანებას შრომის პროცესში აღვილი ჰქონდა ყველაზე მასიური სახით რთველისა და სიმინდის რჩევის დროს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ინტერესს წარმოადგენს სიმინდის რჩევა, რომელსაც ღამე ასრულებდნენ და რომლის დროსაც სოფლის გოგო-ბიჭები მართავდნენ სააშიკო შაირობას. ამ შემთხვევაში დასაშვები ყოფილა ისეთი ლექსები და შაირები, რომელთაც სოფელში ჩვეულებრივად ერიდებოდნენ.

აშკარად გამომჟღავნებული სააშიკო მოტივები აქვს მაგალითად შემდეგ ლექსებს:

ვაჟი: „წყალში ფეხი ჩამივარდა
წინდიანი, ქალმნიანი,
შენისთანა ქალი მინდა
თეთრკაბა და ქამრიანი“.

ქალი: „მუხას ცეცხლი მოუკიდე
ცეცხლი ებრიალებო,
რატომ აწი ცოლს არ ირთავ
ალარ გეგვიანებო“.

ანდა: „წითელი ძროხა მოვწველე
ჩოუბნიე საკიდელი,
ჩემისთანა ქალიშვილი
წონით არის საყიდელი“.

III. ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა

საინტერესო მასალა იყო ჩაწერილი ხელოსნობის დარგიდან. კერძოდ. ლითონის დამუშავებისა და სახლების მშენებლობის დარგიდან.

ლითონის საბადოები იმყოფება მთ. ველოანთაზე, რომელიც მდ. მდ. ქვედრულისა და ჯოჯორის წყალგამყოფ მთას წარმოადგენს. თვით საბადო ორი კილომეტრითაა დაცილებული სოფ. სხანარიდან სამხრეთის მიმართულებით. როგორც გადმოცემიდან ჩანს მთაწითელა უძველეს დროიდან ყოფილა ცნობილი როგორც მადნის საბადო. ყოველ შემთხვევაში მას დიდი ხნის დამუშავების კვალი ეტყობოდა. უკანასკნელ ხანებში (60—70 წელიწადი) ხსენებულ მადანს ადგილობრივი მოსახლეობა ალარ ამუშავებს.

შრომის კოოპერაცია ხელოსნობის დარგში მარტო ლითონის დამუშავებით არ ამოიწურებოდა: მიწის სიმცირით შევიწროებული მოსახლეობა ცკელად იძულებული ხდებოდა გარეშემოსავლისათვის მოეყიდა ხელი. იყო ოჯახები, რომელთა საოჯახო-სამეურნეო ბიუჯეტში შემოსავლის 50%-ს გარე-სამუშაოზე მონაგები ფული წარმოადგენდა.

გარე-სამუშაოთა სახეებში ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს სახლების მშენებლობა წარმოადგენდა. რაჭველებს სამართლიანად ჰქონდათ დამსახურებული საუკეთესო ხუროების სახელწოდება.

ამ შემთხვევაშიც იკრიბებოდა ამხანაგობა, რომლის ყოველ წევრს თავისი იარაღი მიჰქონდა თან. საგზალს ყველა ერთად იმზადებდა და თან წასაღებ ფულს უფროსს აბარებდა. მუშაობის დროს სამუშაო ობიექტები არ იყო დანაწილებული ამხანაგობის მონაწილეთა შორის, ყველა ერთად და განუწყვეტლად მუშაობდა, და, აქედან გამომდინარე, აღებული თანხაც აბსოლუტურად თანაბრად ნაწილდებოდა.

ამხანაგობის წევრთა შორის იმდენად მტკიცე სოლიდარობა არსებობდა, რომ რომელიმე წევრის ხანგრძლივი ავადმყოფობის შემთხვევაშიც მას არ უკარგავდნენ წილს და იგი სხვებთან თანაბრად მონაწილეობდა მოგებულის განაწილებაში.

თან მიჰყავდათ აგრეთვე ობოლი ბავშვები, რომელთაც ჰკვებავდნენ საერთო ხარჯზე და ასწავლიდნენ მათ ხელობას.

აღწერილია და ნაწილობრივ ჩახატული ლითონის გადადნობასთან და ხუროების მუშაობასთან დაკავშირებული იარაღები შესატყვისი ტერმინების აღნიშვნით.

ზემო რაჭა მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს არქეოლოგიური ძეგლ-საზრისითაც. ჩემ მიერ დათვალიერებული იყო მთელი რიგი ნასახლარებისა და ეკლესიების ნანგრევებისა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, მიწის დამუშავების დროს, აღმოჩენილი იყო მდიდარი კერამიკული მასალა, ისრის ნამტვრევები, სამარხები და სხვა.

ობიექტების შერჩევა მიხდებოდა ადგილობრივი სასოფლო საბჭოების დახმარებით. ვარჩევდი თითო საკითხზე რამდენიმე მთხრობელს და წინასწარ გაცნობის შემდეგ ვიტოვებდი ერთს ან ორ მთხრობელს, რომელნიც დიდწილია მომხრეობით მავწდიდნენ ცნობებს ჩემთვის საინტერესო საკითხებზე.


იმ საკითხებს, რომელნიც რაიმე გაურკვევლობას სტოვებდნენ ჩემში (მაგ.: ლითონის საწურის აღწერა), ვამოწმებდი სხვა სოფელში მთხრობელთა ახალი კადრის საშუალებით.

5. რეზერვუარი

ზემო-რაჭაში მივლინების ანბარი

ჩემ სადისერტაციო შრომასთან („მკვლელობა რაჭაში“) დაკავშირებით ენიმკი-ს მიერ 1938 წლის ზაფხულს მივლინებული ვიყავი ზემო-რაჭაში.

ვიმუშავე მდ. რიონის, ჯეჯორის და ქვედრულას ხეობებში, სახელდობრ: წედისს, ქვედს, ნაკიეთს, უწერას, ღებს, გლოლას და ქალ. ონში, პირველიდან ოცდახუთ აგვისტომდე.



ექსპედიციის მარშრუტი

ჩემი მუშაობის ძირითადი მიზანი იყო რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მკვლელობასთან დაკავშირებული მასალის შეკრება.

საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ რაჭაში ძველიდანვე წარმოებდა რკინის მადნის დამუშავება. ამდენად აქაური მკვლელობა საკუთარ ნედ-

ლეულის ბაზას ემყარებოდა, ე. წ. წედისისა და სხვა რკინის მადნების საბადოებს. მართლაც, „წელური რკინის“ დაშვადებამ XIX ს. უკანასკნელ ათეულ წლებამდე მოაღწია, განსაკუთრებით სოფელ წედისსა და სოფელ ქვედში, სადაც ამდროისათვის კიდევ მოქმედებდა რამდენიმე ათეული რკინის „საწური“ და „საქედური“ ქურა. ამ ქურებში წარმოებდა „ქვაწითელა“-ს¹ რკინის ლითონის დამუშავება.

„წელური რკინის“ წარმოების საკითხი დღემდე არ არის მეცნიერულად შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საგნის შესახებ მხოლოდ ზოგადი ხასიათის ცნობები და ცალკეული მითითება მოიპოვება. საერთოდ წედისის რკინის წარმოების შესახებ იწყებებიან როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროები. უადრესად საგულისხმოა ის გარემოება, რომ XI ს. ნიკორწმინდის სიგელში (იხ. თ. ყორღანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 46, ტფ. 1895 წ.) სახნისი და რკინა (გაუქვდელი) იხსენიება, როგორც საცვლელი, საფასუხი ნივთი. ბატონიშვილი ვახუშტი წედისის რკინის დამუშავების შესახებ ნიშნდობლივ ცნობებს გვაწვდის: „რიონის შესართავს ზეით (იგულისხმება მღ. ჯეჯორი, რომელიც ერთვის რიონს) და ჯეჯორის აღმოსავლით კიდურზედ არს ციხე და ამ ციხეს ზეით და ჯეჯორისავე აღმოსავლით არს დაბა წედისი და ციხე მკირე. აქ არს ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა“ (საქ. გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფ. 1904 წ., გვ. 286). ვახუშტის ცნობის ბოლო ნაწილი, წედისის რკინის ლითონის დამუშავების მოცულობის გასარკვევად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაცემია.

უცხოელთაგან წედისის რკინის საბადოებს და მის დამუშავებას ეხებიან: J. Güldenstädt-ი (Reise durch Russland und im Kaukasische Gebürge, [1], St.-Petersburg 1787, გვ. 310), Koch-ი (Reise durch Russland nach dem Kaukasischen Isthmus etc., ტ. II, გვ. 84), Abich-ი (Prodromus einer Geologie der Kaukasischen Länder, St.-Petersburg 1858, გვ. 63) და სხვ.

დასახელებულ შრომაში აბიხი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „რკინა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება კავკასიის ქედის სამხრეთით: ქართლსა, სამეგრელოსა და იმერეთში (უკანასკნელში რაქაც იგულისხმება). დიდი რაოდენობით დაგროვილი რკინის „წიდა“, ნადული, რომელიც ხშირად გვხვდება იმერეთისა და სამეგრელოს ტყეებში, მიგვითითებს მცხოვრებთა მიერ ძალიან ადრინდელ ხანიდან რკინის ლითონის დამუშავებას“. და თუ ამგვარი ნაშთები მკვედლობის სიძველისა და ადრინდელი საფეხურების მაჩვენებელ საბუთად გამოდგება, წედისი ერთი უპირველესთაგანი აღმოჩნდება ამ მიმართებით².

1864 წელს, რაქაში მოგზაურობის დროს, ზემოთ მოხსენებული წედისის რკინის საბადო და ამ საბადოსთან დაკავშირებული რკინის ლითონის დამამუშავებელი ნაგებობანი სოფ. წედისს ინახულა და აღწერა დერპტის უნივერსიტეტის პროფ. ალ. პეტუპოლდტმა. ამ აღწერას მან დაურთო წედისის

¹ „ქვაწითელა“ რკინის ლითონის საბადო მდებარეობს სოფელ წედისის აღმოსავლეთით და ორი კილომეტრით შორავს მას.

² მთელი მიდამო „სარკინეთისა“ (ჯეჯორის ხეობა) მოფენილია დიდზე რკინის ნამკედურებით — რკ. ლითონის ნამსხვრევებითა და დანაცვენებით.

რკინის საწურავი ქურების სურათებიც, რასაც დღეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რაჰდენათაც ამ ქურების შესახებ გარდა სიტყვიერი ცნობებისა, ცოცხალი ნივთიერი ობიექტები არ დარჩენილა (იხ. Petzholdt, Der Kaukasus, Leipzig 1866, I Band, გვ. 317).

ასევე ნიშანდობლივად ეხებიან წედისის რკინის დამუშავებას: E. Вейденбаум-ი (Заметки об употреблении камня и металлов у Кавказских народов, ИКОРГО, 1877 г., ტ. IV, გვ. 257) და რადე (Путешествие в Мингрельских алыях и в трех их верхних продольных долинах (Риона, Цхенис-Цхали и Ингура), Записки КОРГО, 1866 г., ტ. VII, გვ. 187—189).

XIX ს. ოციან წლებში წედისის რკინის საბადოებისადმი მთავრობის ყურადღებაც-კი მიუტკცევიათ. გენათელ მიტროპოლიტის ექვთიმეს მიერ სამინისტროსადმი მიწერილობის საფუძველზე, სადაც ეს უკანასკნელი წედისის რკ. საბადოების დიდ მნიშვნელობასა და ბევრის აღმოქმედ მომავლის შესახებ აუწყებოდა, მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გრაფ. კოჩუბეიმ სპეციალური მიმართვა აახლა გენერალ ერმოლოვს, რომლითაც წინადადება ეძლეოდა მას ყოველგვარი ზომები მიეღო ხსენებული საბადოს დამუშავების გასაფართოებლად და გეგმაშეწონილი მუშაობის დასაწყებად (იხ. Отношение гр. Кочубея к ген. Ермолову, от 13 августа 1820 года, № 1375; Акты Кавк. Археогр. Комис., ტ. VI, ნაწ. I, № 830).

ამ მიმართულებით მართლაც ჩატარებულ იქნა რიგი სამუშაოები, რომლის შედეგების შესახებ სიტყვას არ გვავარძლებთ.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ყველა ეს წერილობითი წყარო რკინის მკვდლობის შესახებ მოკლე ცნობებს გვაწვდის, ამდენად მათ შედარებითი ღირებულება აქვთ. ამ შემთხვევაში თვით რკინის ეთნოგრაფიული სინამდვილე უფრო ფართო შესაძლებლობის და ფაქტიური მასალის შემცველია. ჯერაც ცხოვლადაა შემონახული, ამჟამად დაუქმებული წედური რკინის დამუშავების შესახებ, სხვადასხვაგვარი ცნობები. აქა-იქ კიდევ ცოცხლობენ ამ საქმის უშუალო თანამონაწილენი და მნახველნი, დარჩენილა თითო-ოროლა ნივთიც კი ამ წარმოებიდან, მაგრამ არც ერთი ნაგებობა და მოწყობილობა მისი არ გადარჩენილა, სამწუხაროდ.

ნიადაგ თავის „ხელობაზე მომუშავე“ მკვდლები და დღეს ფაქტიურად მოქმედი. სამკვდლოები მოიპოებიან: ს. ს. ლებში, ნაკიეთში, სორში და ქალ. ონში. აქ მკვდლობის ორი დარგია წარმოდგენილი: სპილენძისა და რკინის მკვდლობა.

რკინის მკვდლობა თავის მხრით ორ ნაწილად იყოფა: „მუშა“—„გამკრელო“ რკინის მკვდლობად და ნალბანდობად. ორივე სახის რკინის მკვდლები ყველგან გვხვდებიან დასახელებულ პუნქტებში, სპილენძისა კი მხოლოდ ქალ. ონში. ეს უკანასკნელი გარემოება, სამართლიანად, გაკვირვებას იწვევს. ერთ დროს ფართოდ გავრცელებული მკვდლობა ზემო-რაჭაში ასე როგორ შემცირდა? რაც მთავარია, მკვდლობის ძირითად კერებშიაც კი, როგორიც იყო წე-

დისი და ქვედი, მეურნეობის ეს დარგი სრულიად მიტოვებული და დაუქმებულია.

ცნობილია, რომ რაჭველი არამარტო ნაქები ხურთა,—ის სანაქებო მჭედელიც იყო¹. ბევრი რაჭველის ბელელი და ქურ-მარანი ამ ხელობით შექმნილი შემოსავლით ივსებოდა.

რკინის ლითონის მთავარი საბადოები „ქვაწითელა“ და „ხეხმელა“—ს. ს. წედისის, ქვედის, სხალნარის და ირის მახლობლად მდებარეობს (საგულვებელია სხაკერათა არსებობაც, რომელთა შესახებ დღეს ბუნდოვანი ხსოვნა—ლა დარჩენილა). ე. წ. „ქვაწითელას“ მთაში, რომელიც ხსენებულ სოფლებს 2—3 კილომეტრით შორავს. „ქვაწითელა“ მაღალი და ტყიანი ქედია. იგი აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათან მაღლდება და სწორედ რკ. საბადოში შესავალ გვირაბთან ორ ლამაზ, წვეტიან სალ კლდედ აღიმართება. ერთს ეწოდება—„ლამაზი-კლდე“, მეორეს—„ქომისკლდე“. ამ მთების აღმოსავლეთის კალთები საყანე ადგილებს წარმოადგენს და საბადოსაკენ მიმავალი გზაც მათზე გადაიღოს. გვირაბის შესავალ კართან ორი დიდი უძრავი ქვაა (იქვე კლდეს მოსხლეტილი) იქით-აქათ ცერად აღმართული და ზურგით კლდეს „დანდობილი“. მათ წინ—პატარა დავაკებაა, „აივანა“-დ წოდებული. ამ ქვებს შორის შექმნილი ვიწრო შესავლით იწყება შიგნით გვირაბის გზა. ეს გზა ჯერ ერთ „ღურაღ“ მიდის, შემდეგში კი გაიყრება მრავალი მიმართულების სიღრმე-სიგანის განსტობად. გზა მიმავალი დაღმართია, „დაკირწული“ (დაღმა მკვეთრად დაქნებული), მომავალი—აღმართი, „დაკიდებული“. ამიტომაც იყო ხოლმე ძველად „ქვაწითელაში“ შესვლა მოწიფულობის და გამბედაობის საქმე.

გავიძლოდეთ გამოცდილი პირი და მასთან ერთად ვცადოთ გვირაბში შესვლა მცირედზე—„დიდ დეფანამდე“², ამის იქით წასვლა ვეღარ გავებდეთ. როგორც ირკვევა მონათხრობი ამბებიდან და გამძლოლის ჩვენებითაც დასტურდება, ეს უკანასკნელი პუნქტი, „დიდი დეფანა“, იყო, თურმე, გზაჯვარედინი, რომლის იქით წასვლას ყველა ვერ ბედავდა ხოლმე.

აქვე მიმითითა გამძლოლმა იმ ადგილზე, სადაც ჩადგმული ყოფილა ხის დიდი კიბე (ახლა ჩანგრეულია თურმე) „დეფანასთან“, რომლითაც ჩადიოდნენ და ამოდიოდნენ ხოლმე ქვედა გვირაბებში რკინის ლითონის საძიებლად და ამოსატანად. შიგნით ეს გვირაბი ჩამოჩონჩხილია, კედლებს აშკარად ეტყობა ადამიანის ნაფორთხი, ნავალი კვალი. მაღლიდან წყალი მოჟონავს წვეთებად. აქა-იქ ჩამონგრეულია კიდეც გვირაბი. ყრუდ მოისმის შორეული ნაკადულის ჩხრიალი, ამბობენ: ეს არის პატარ-პატარა ნაკადულთაგან შერთვით გაჩენილ წყლის ხუილი.

აქ, ამ „დეფანაში“ ამარაგებდნენ გამოტანილ ლითონს, აქედან შედარებით ადვილად ამოქონდათ ზემოთ „აივანთან“, სადაც მათ უცდიდა ხარ-მარხილ-

¹ დღესაც მთელ რიგ საქართველოს ქალაქებში რაჭველი მჭედლები მრავლად მოპოვებან.

² ერთგან გვირაბი განივრცობა სახლისებურად, მიტომაც უწოდებდნენ „დეფანს“ „დეფანას“. ეს დიდი დეფანა, ამასთანავე არის მეორე „დეფანა“ წინა კარის ახლოს—„პატარა დეფანა“-დ წოდებული.

„სანითვლებით“. გამობრუნებისას დავათვალე რეთ აგრეთვე „პატარა დეფანა“, რომლის ერთ კედელში გამოკოდილია პატარა „კეებო“—ნიში. ამ ნიშთან მიჰქონდა, თურმე, სანთელ-განატეხი ყველას, ვინც კი ლითონის გამოტანას დააპირებდა.—„ჯერ აქ შევევედრებოდით «ქვაწითელს წმინდა ანგელოზს» მშვიდობით დაბრუნებას და მერე შევდიოდით სამუშაოდ“,—მითხრეს ძველმა კაცებმა. როსტომ თედორესძე მაისურაძემ (სოფ. წედისი, 60 წლის) ასე აგვიწერა ეს გვირაბი.

— „პირველ მისავალში ეს მაღარო ვიწროა, დაბალი. ასე რომ გაივლი 50 მეტრს, შიგნი დაიწყება დიდი, ფართო, ღრმა ადგილი, ასე რომ 100 კვად. მეტრი იქნება. იმ ადგილზე ერთგნი არის დაბლა ჩასავალი კიბით. ასე ეს ადგილი იქნება 7—8 მეტრი სიმაღლე. ძველად ხის კიბე ქონდა მიდგმული. 18 ფეხის კიბე (18 საფეხურის მქონე), ახლა ის კიბე ჩამავალია. ახლა თოკით თუ ჩაეშვები კაცი. აქიდან კიდევ გაივლი ვიწრო გზით 150 მეტრს. ხალხის ნატარია, ლითონის ნაზიდი ეტყობა. ეს არის, კაცო, დაუბოლავებელი სავალი. ბევრი სავალი აქვს. ზოგი კლდეს მიადგება და ზოგი—ვინ იცის სად მიდის. შიგნი კლდეებ შუა ჩამოდის „ნალოეები“ (ნაჭური წყალი); ძირს ყრია ლინგებიანი (პირიანი, წვეტიანი, პირთხელი) ქვები. მაღლა ძუძუებივით კიღია შეთოშილი მაღანი“.

ამგვარი ყოფილა „ქვაწითელას“ შინაგანი გაპართულობა ამ რამდენიმე ათეული წლების წინ, რასაც გვაუწყებენ მის შესახებ ძველი კაცები, ამ ამბების მომსწრენი და ბევრჯერ ამ საქმით დამაშურალეებულნი.

წედური რკინის დამუშავება შემდეგი წესით წარმოებდა: შეამხანაგდებოდა 5—8 კაცი—„მოზიარე“. მომავალ მუშაობას წინასწარ განაწილებდნენ. თითოეულმა იცოდა სად, როდის და რა გაეკეთებინა. ყველა „მოზიარე“ ვალდებული იყო საერთო დადგენილებას, განაწესს, დამორჩილებოდა, „მოზიარეთა“ საერთო ინტერესები დაეცვა და სხვა. ამას მოჰყვებოდა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც „მკვარის“ დაპობით იწყებოდა და მზა რკინეულის „მოზიარეთა“ შორის განაწილებით თავდებოდა. განაწილება ემყარებოდა თანასწორობის პრინციპს.

— „შეამხანაგდებოდით 5—8 კაცი. დავაპობდით მკვარს კაა. მკვარს ბიკვანს—აც ვეტყვით. ჩავიწყობდით გიღლებში. გამოვაცხობივდით სავძალს. სანთელ-განატეხს გავაშაადებებდით. რაც ხელჭურჭელი გვჭირდებოდა, ჩავილაგებდით გიღლებში და წავიდოდით საღამო ეამს „ქვაწითელაში“. სახლში დაუშვარებდითყე, რომ მეორე დღეს ამოეგვარათ ხარ-მარხილი „სანითვლებით“. („სანითვლე“—ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს „სალითენე“-სი ან სალითონესი. წარმოადგენდა თხილის სახრისგან მოწნულ კალათს). მანემდი ჩვენ ვამარაგებდით ლითონს დეფანაში“ (სოფ. წედისი, ლუკა მაისურაძე).

ამრიგად ირკვევა, რომ „მოზიარეები“ მომარაგებული მიდიოდნენ რკ. ლითონის გამოსატანად. უმისობა არც იქნებოდა. მათ თან მიჰქონდათ რამდენიმე დღის საგზალი, მკვრის საყოფი მარაგი და რიგი სამუშაო იარაღები:

„რკინისკეტი“ (ლომი), „თოხი“, „ბალჯუჯი“¹, „წერაქვი“ || „საკოდელი“, „ხის ნიჩბი“ და ლითონის სახიდი „გიდელი“. რკინის მალაროს ვიწრო გვირაბებში ანთებული მკვრით შედიოდნენ. მათ წინ უძღოდა გამოცდილი პირი. როგორც ზემოთაც ითქვა, „დეფანას“ იქით მრავალი სავალი გზა მიდიოდა სხედასხვა მიმართულებით და სიღრმით.

გამოუცდელი კაცი აქ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამდა. ანთებული მკვარი ექირა შუამიმავეალს. უნათებდა როგორც „მეწვერეს“—გამძლოლს, ისე „მეძირეს“—უკან მიმყოლს. მკვარი და საგზალი დღე-ღამის საყოფი უთუოდ უნდა ჰქონოდათ, ყოველ შემთხვევაში სასურველი იყო რამდენიმე დღის საყოფი მარაგი. ნორმალურ პირობებში შიგნით ხანგრძლივი ყოფნა აუტანელი ყოფილა. ამ წესით მიდიოდნენ წინ გვირაბში ლითონის მამიებელნი, ვიდრე არ მიაღებოდნენ რკინის ლითონის რომელიმე ძარღვს. მათ შორის იყვნენ მცოდნე პირები, რომელნიც ადვილად აგნებდნენ საქირო ლითონს და სწრაფად სცნობდნენ მის ავ-კარგაიანობას. როცა ლითონს მიაკვლევდნენ, შეუდგებოდნენ მუშაობას, სამუშაო განაწილებული ჰქონდათ. რიგი ერთს აკეთებდა, რიგი—მეორეს. მაგარ ადგილებს „რკინისკეტი“ ამტკრევდნენ. „ტალეზა“—ში წერაქვით კოდავდნენ, უფრო რბილ ადგილებში იყენებდნენ „ბალჯუჯს“. ლითონს თავს უყრიდნენ თოხით. შემდგომ „დაბრაკურ“ გიდელში ხის ნიჩბით ჰყრიდნენ. გადლებს ზურგზე მოიკიდებდნენ და ეზიდებოდნენ ლითონს „დეფანაში“. პირველად აქ დაამარაგებდნენ, შემდეგ კი ზემოთ ამოჰქონდათ და „აივანთან“ „დაციხავენდნენ“, საიდანაც ადვილად ჩამოჰქონდათ სახარმარხილე გზაზე.

— მკვრი დამჭირავი იყო ცალკე და უნათებდაყე მთხრელ-მზიდავებს. მთხრელი სხვა იყო, მზიდავი სხვა. თუ კაი ლითონს მივაგნებდით, ბევრს ამოვთხრიდით. „ლითონი“ და „ფაშა“ (იხ. ქვემოთ) უფრო ერთად იყო. „დეფანაში“ რომ მოვამარაგებდით, იქიდან გიდლებით და თოკებით ზემოთ ამოგვქონდა. აქ მებრეები იდგნენ. ზეით იმათ აქონდაყე. „სანითველ“ გიდლებში ვყრიდით. მერე ამ გიდლებს მარხილზე დავაკრავდით და შინ მოგვქონდა ისე. დავაციხავდით სამქედლოში—ცალგნი ლითონს და ცალგნი ნახშირს. შიგნი რომ ვიყავით, მალაროში, ერთი ფაცური გვქონდა. ვაი დედაო! შიშით გართული ვიყავით. სიკვდილს ქვეშ უდევით, მარა რას ვიზამდით! შიში არ იხსნის სიკვდილსა, სწორება სასთუმალისა-ო, ნათქვამია“. (სოფ. ქეედი, დიმიტრი მაისურაძე).

აქედან ნათლად ჩანს, რომ „ქვაწითელაში“ ჩასვლა და იქიდან რკინის ლითონის გამოტანა მოსახასიათებელი საქმე არ ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით პეტროპოლდტს ჰგონია. იგი ფრიად საძნელო და რთული სამუშაო ყოფილა. მხოლოდ ფართო თანამშრომლობით და ძალთა კოლექტიური გაერთიანებით იყო შესაძლებელი ამ საქმის ნაყოფიერი დაწყება-დამთავრება.

¹ „ბალჯუჯი“ წარმოადგენდა ბარისებური მოყვანილობისა და თონისგვარად ტარდაგებულ რკინის იარაღს. იგი შეესატყვისება ქსნის ხეობაში შემონახულ იარაღს—„ქო რჩი“-ს ასევე ბორჯომის რაიონში დაცულ „ახოს თოხი“-ს და ხევსურულ „ქარჩი“-ს (იხ. საქ. მუზ. ხევისურეთის ეთნოგრაფიული გამოფენა. ფარი IX).

ხალხის რწმენით „ქვაწითელას“ წმ. ანგელოზიც კი კრძალავდა მალაროში ვისიმე მარტო მუშაობას. — „ქვაწითელას“ მარიამ ანგელოზს ვეტყვი. ის ვეფარავდა და გეწყალობდა მალაროში. ერთხელ თურმე მარტვა ჩავიდა პაპუნა. შეგნი ერთობ ბნელი იყო, როგორც დედი-მუცელში. ამდროს და გენათებია ი დალოცვილს! პაპუნათვინ ქვე ეთქვა: — „მეტი აღარ ჩამოხვიდე მარტვაო“ (ჩაქარია მისურაძე, სოფ. წედისი).

შვინით ამ გვირაბში ბევრი „ნალოცები“ დის, რასაც თან ახლდა ხშირი ჩიონგრეები. სინამდვილესთან ახლოს უნდა იდგეს ის აზრი, რომ ამ მიზეზებით იყო გამოწვეული გვირაბში მუშაობა უმთავრესად ზამთრის პერიოდში, როდესაც ყინვებისაგან უკვე წყდებოდა წყლის ჭონვა და ამდენად მოსალოდნელი ჩამონგრევების საშიშროება. ამ მოსაზრებას ეთანხმება 105 წლის მოხუცის თაზო მისურაძის ნაამბობიც. ეს უკანასკნელი მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოს ხდის ზოგიერთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ზამთარში მუშაობა გამოწვეული იყო მეტი მოცილილობითა და უსაქმურობით.

რკინის ლითონს „მოზიარებები“ სამკედლო ქოხში ამარაგებდნენ. ქოხი წარმოადგენდა მოგრძო ოთხკუთხ „შრაშელს“, ქვეთკირით ნაშენს, ან წარბულალ გათლილ ხის ნაგებობას. გადახურული იყო ყავრით, ყავარი დამაგრებული იყო საქოლი ქვით (სახურავების ამ სახით მოწყობა უკლებლივ ახასიათებს მთელ ზ. რაქას).

სამკედლო ქოხში გამაჩთული იყო რკ. ლითონისათვის „საწურავი ქულბაქები“, „საკედური ქურები“ და სხვა მოწყობილობა. ერთგან დამარაგებული ლითონი ეყარა, მეორეგან — ნახშირი. ერთი მხრით „საწურავი ქულბაქი“ იყო, მეორე მხრით — „საკედური ქურა“. პირველი აშენებული იყო ყორულად ქვაბიწით. კედლები ჰქონდა აყვანილი მოგრძო ოთხკუთხედად, ერთი მეტრის სიმაღლეზე. იგი წარმოადგენდა ყრუ კედელს, მხოლოდ ერთგან იყო მასში დატანებული წვრილი ხერელი. გარედან შემოვლებული ჰქონდა ფიცრის ან სახრის წნული პერანგი. პერანგი იცავდა კედელთ სიმტკიცეს დაშლა-დანგრევისაგან, „ზეგულის“ შუა ადგილზე მოწყობილი ჰქონდა ჯამისებურად ჩაღრმავებული „ქულბაქი“, რომელიც ამოღესილი იყო „ონქეური“ (სოფლის სახელია) აყალო მიწით. ზედ გამართული იყო საცეცხლურა კერა. „ქულბაქი“-ს ერთი გვერდი ჩაზნექილი იყო. ამ მხრიდან მას საბერვლის შტვირი ჰქონდა მოდგმული. „შტვირის“ ერთი ბოლო შეყრილი იყო „ქულბაქში“, საიდანაც დაბერვის დროს დიოდა ჰაერის ნაკადი. „ქულბაქიდანვე“ გადიოდა ძირს ვიწრო ღრუ, რომელიც „მოგვერდულად“ იყო კედელში დატანებული.

ეს ღრუ წარმოადგენდა ერთგვარ სადინარს, რომლითაც წურვის დროს რკინის უვარგისი ნაწილი — „წიდა“ გარეთ იღვრებოდა. ქულბაქი, როგორც ითქვა, ცეცხლგამძლე, საგანგებოდ შერჩეულ აყალო მიწით იყო ამოვოზილი.

როდესაც შეუღლებოდნენ წურვას, ქულბაქში „შერავისად“ ჩაყრიდნენ ლითონს, ზეიდან ნახშირს წაყრიდნენ, ცეცხლს შეუნთებდნენ და დაუბერავდნენ საბერვლიდან გასაღვივებლად. მაღალი ტემპერატურის გამო რკინის ლითონი იწყებდა დნობას, ნელნელა ჩაიწურებოდა ქულბაქში წმინდა რკინა. დნო-

ბის პროცესში მას გამოეყოფოდა უვარგისი ნაწილები: „ხინჯი“ ანუ „წილა“ და სხვა. ეს ჭუჭყი, როგორც ითქვა, საგანგებო სადინარით გარეთ იღვრებოდა.

ქულბაქს ერთ მხარეზე საბერველი ეგო, რომელიც ფრიად საყურადღებო აღნაგობისა ყოფილა. მას ეწოდებოდა „საწურავი საბერველი“. იგი ჩვეულებრივი „საქედური“ საბერველისაგან განირჩეოდა თავისი ორიგინალური კონსტრუქციით, „საწური საბერველი“ ოპირი იყო. იგი შესდგებოდა „ყაფაზი (ორკაპი) ხისა“, „ხელპირებისა“, „გულისა“, „ძროებისა“ და „შტვირისაგან“. „ყაფაზი“-ს ხის თითოეულ მხარს „ხელპირი“ ერქვა. ორივე ხელპირი, მარჯვენა-მარცხენა, ერთიანი ხის ორ განშტოებას წარმოადგენდა. დახვრეტილი იყო ორივე ტოლად სიგრძით, ისე რომ მთლიანი ხის ერთიანი თავისაკენ ნახვრეტები 2—3 სანტიმეტრით უახლოვდებოდნენ ერთუროს. თითოეული ნახვრეტი ხელპირისა რვეალი იყო, რომლის დიამეტრი 2,5 სმ უდრიდა. ხელპირებს წამოცმული ჰქონდა ბოლოებზე არჩვის გულები—საბერველად. გუდა მტკიცედ იყო ამ ხელპირზე „მოსმორტული“ (გასკენილი), რათა სული არსაით გასელოდა. გუდას მეორე თავისაკენ ჩადგმული ჰქონდა ხის კარები, რომელიც შეუაჯღზე რველად იყო ამოჭრილი და შიგნიდან ნაბდის ფარდა ეკიდა. აქვე დამაგრებული იყო საბერველის სახელური. გუდას შიგნით სახრის „რქალები“ (რგოლები) ჰქონდა სიგანეზე ჩადგმული. „რქალების“ დანიშნულებას შეადგენდა ერთის მხრით გუდის წინ და უკან „მიწე-მოწევა“, ხოლო მეორე მხრით იგი იყო ჩამოსაბმელი თოკების სამაგრი, რომლებითაც საბერველი იყო ხოლმე ჩამომული მაღლა დირეზე.

რაც შეეხება ხელპირების ერთიან თავისაკენ გაშავალ ნახვრეტებს, თითოეულ მათგანში ჩასმული იყო თითო ხის მილი—„ძრო“. „ძროები“ თავს იყრიდნენ ერთ სათავეში—მოკვეთილი კონუსისებური მოყვანილობის „თიხ-შტვირიში“. ამგვარად ფართე ძირით ეს შტვირი წამოაგებული იყო ამ ძროებზე. ხოლო ვიწრო თავით შედიოდა ქულბაქის კედელში. აქ თავდებოდა საქანოდ რთული აღნაგობის ჰაერის სადინარი წყვილი არხი, სადაც უწყვეტელ მდინარე-ბად იშლებოდა საბერველის გულებიდან გამოდენილი ჰაერის ნაკადი და აღფრებდა ცხოველ ალად ქულბაქში ჩანთებულ ნახშირის ცეცხლს, რომელიც უაღრესად მძლავრი იყო ხოლმე (ლითონის დადნობა საერთოდ მაღალ სითბოს ითხოვს).

ამგვარ მძლავრ ცეცხლს უძლებდა მხოლოდ „ბანეთელი“ აყალო მიწა, რომელიც სოფ. ონჭევთან მოპოვებოდა. ამიტომ როგორც „შტვირის“, ისე ქულბაქის კედლებს მისგან აკეთებდნენ. ეს მიწა შორიდან მოჰქონდათ ცხენ-გიდელით. სამარხილე და მით უმეტეს საურამე გზა ამ ადგილს არ უდგებოდა. „ბანეთელი“ მიწა მოლურჯო ფერის ყოფილა, კარგი „შეკოწიწება“ ჰქონია და ცეცხლგამძლეც ყოფილა. მას „საშტვირე მიწა“ ეწოდებოდა.

მოტანილ „ბანეთელ“ მიწას დაყრიდნენ მიწის საზელ ბრტყელ ქვაზე, დაასხამდნენ წყალს და რკინის უროებით კარგად დაზელდნენ. როცა დაზელილი მიწა „გაიხეთებოდა“, აიღებდნენ ცოშს, გამოწყვეტდნენ ნაწილს და ხელთ ააგუნდავებდნენ. ამის შემდეგ ხის „საშტვირე“ ყალიბზე ჩამოქინდნენ თავდალბა სანთელივით; სველი ხელით შიგნით-გარეთ პირს მოუსწორებდნენ და ამ რიგად

კამზადებულ რამდენიმე „შტვირს“ გასაშრობად სამკველლოს ოჯინჯალზე დაკლებდნენ. ვინაიდან ასეთი შტვირი მხოლოდ ორი სასახნისე რკინის ლითონის დაწურვამდე ძლებდა, საჭირო ხდებოდა წინდაწინ მისი ბლომად დამზადება. ამ გარემოებას ერთვოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გადასახიდ საშულე-ბათა სიძნელებიც, რაც დიდ შრომას და ჯაფას მოითხოვდა.

ამრიგად გამართული „საწური ქულბაქი“ და საბერველი, გარეშე იმისა, რომ გარეგნულადაც საკედურ ქურა-საბერველთან შედარებით დიდი იყო, მოითხოვდა ამასთანავე დახელოვნებულ „დამბერველ კაცს“ წყვილად. მათ „ხელაწყობით“ და თანაზომიერად უნდა ეწარმოებინათ საბერველიდან ბერვა. „ხელაშლილი“ დაბერვა არ შეიძლებოდა, რადგანაც წურვის პროცესების ხელშეშლას ჯა შედეგის დაბალ ღირსებას იწვევდა.

დამბერველის საქნარი მოსაწყენი და სამძნელო ყოფილა; რომ არ ჩასძინებოდათ, ან ხელი არ აშლოდათ მუშაობაში, „ჩაღლულუნებდნენ“ ნაღვლიანად საბერველის სიძლერას:

„დაუბერ, დაუღუღუნე საბერველო არჩვისაო!
ხელპირებო ცაცხვისაო; ძროგებო ნალოპრისაო.
ნახშირო წვერუქნისაო, ლითონო „ქვაწითლისაო“,
მიწა ონქეურისაო, აყალო ბანეთისაო,
ჩაწურე საორხლისაო“.

ზედაც „ქვედრულას“ ლექსს მოაყოლებდნენ და ნელი დილინით ყველანი ხალისიანად თავთავის საქმესაც თვალყურს ადევნებდნენ.

სამკველლო შრამელში, სადაც წარმოებდა რკინის ლითონის დაწურვის და დამუშავების სხვადასხვა ოპერაციები, მომარაგებელი ჰქონდათ როგორც ლითონი, ისე ნახშირი საკმაო რაოდენობით. ნახშირი სამგვარი იცოდნენ: „საწური“, „სადული“ და „საკედური“. თითოეული მათგანი სხვადასხვა ჯიშის ხისაგან იყო დამწვარი.

რკინის მადნის ჯიშებში არჩევდნენ ქვემოთ დასახელებულ ლითონებს: „ქვაწითელა ლითონი“ ო „ქვაწითელა მიწა“. ეს ლითონი ძლიერ მძიმე, რბილი, მიწისმაგვარი და წითელი ფერის ყოფილა. იგი უმთავრესად კლდოვან ნაპრალებში—„ტალღებში“ იპოვებოდა ხოლმე. მის გვერდით, ჩვეულებრივად, მოიპოვებოდა მეორე ლითონი—„ფაშა“.

„ფაშა“ მაგარი, შავი ფერის და მძიმე ლითონი იყო, თუმცა სიმძიმით პირველს ვერ შეედრებოდა. მესამე სახის რკინის ლითონს „აბრაშა“-ს უწოდებდნენ.—„იმას გამოირჩევით აბრაშას“ ვეტყვოდით, მთლა ლითონი იყო. ერთბოვით გამოდიოდა ი, დალოცვილი. ისე დაიწვებოდა, რომ აბა-ბაბა, არ მოცილდებოდა ერთმანეთს, ლურჯი ფერი ჰქონდა და ძალიან წმინდა იყო“ (სოფ. წედისი, ლუკა მახსურაძე).

მეოთხე ჯიშის რკინის ლითონს „გორგინდა“-ს ეძახდნენ. იგი მკვრივი ტანის და ყვითელი ფერისა იყო.—„იმაში მეტიწილი თუჯი ერთა და ჰადივით იშლებოდა. იგი არ ვარჯულობდა. მდარე რკინა გამოდიოდა“ (დიმიტრი მა-

ისურაძე, სოფ. ქვედი). კიდევ იყო ერთი ჯიშის ლითონი, რომელსაც სხვა ლითონთან ერთად ხმარობდნენ ხოლმე. მას „სადლი“ ეწოდებოდა. ეს უკანასკნელი იხმარებოდა იმ აზრით, რომ რკინა არ ჩამწვარიყო ცეცხლში, რათა რკინის დნობის პროცესები ნორმალურად ჩატარებულყო.

ირაკვევა, დასახელებულ ლითონებისა და სხვა მრავალ საგულეებელ რკინის ჯიშების შესახებ ზ. რაჭის მცხოვრებთ საკმაო ცოდნა-გამოცდილება ჰქონიათ, მათი ავ-კარგიანობა და მთელი რიგი თვისებები საფუძვლიანად სცოდნიათ. ამასვე ადასტურებს რკინის დაწურვის და მისგან მალალი ხარისხის რკინეულობის შემუშავების ტექნიკა. რაჭის მკედლობის ეს მხარე უდავოდ გულისხმობს მის ორგანულ, შინაგან კავშირს ტრადიციით მომდინარე დაწინაურებულ სამკედლო ტექნიკასთან.

ლითონის დაწურვა შემდეგი სახით ხდებოდა. წინასწარ გარჩეული და აწყული ჰქონდათ ყველა საჭირო ლითონი. აწყულ ლითონს გარკვეული თანაზომით ერთიფეორეში აურევდნენ და აქის შემდეგ კარგად დანაყდნენ ქვის როდინში. საწყაობად ხმარობდნენ „ბოყეებს“¹ და ხის სასწორებს (წონის ერთეულები ჯერ ვერ დავადგინეთ).

ბოყეებს ამასთანავე იყენებდნენ საწურად გამზადებულ ლითონის მოსაცვად. დანაყილ ლითონს ხის ხოპებით, „ნავებით“, იღებდნენ და ყრიდნენ ბოყეებში, რომლებიც ამასთანავე გამოწყულიც იყო.

როდესაც წურვას შეუდგებოდნენ, ჯერ ქულბაქს „მოფალავდენ“—გასუფთავებდნენ, შემდგომ ქულბაქის ძირზე ნახშირის განაცურს—„რეშს“ „მოაფრევდენ“ თხელ ფენად. მერმე ლითონს „დაურიგებდენ“ და ზედ ნახშირს წააყრიდნენ. შეუნთებდნენ ცეცხლს და დაუბერავდნენ საბერველიდან „სულ-მოუბრუნებლად“. „სული“ არ უნდა დაჰკლებოდა. ალი გაუნელებელი უნდა ყოფილიყო. თავზე ადგნენ მწურავები და თვალყურს ადევნებდნენ წურვის მიმდინარეობას. ხელში ეჭირათ „ცეცხლის შემოსანახავი“ და „საჩხრეკი“ რკინის ჯოხები, „შერიგისად“ ურიგებდნენ ახალ-ახალ ლითონის მარაგს ხის „ნავით“ და თან ნახშირსაც უმატებდნენ.

წურვის დასრულებას ანუ დარიგებული ლითონის ჩამოსვლას ატყობდნენ „შტირის“ თავით, რომელიც ამ დროს არაჩვეულებრივ ცხოვლად ვარვალებდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ წურვა დამთავრდა.

წურვის დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რკინას გამოეყოფოდა ხოლმე „ხიქი“ || „ხარჯი“ || „ტუტუნი“ || „წილა“ || „რკინაწილა“. ეს „წილა“ ქულბაქის კედელში დატანებული ნახვრეტის, სადინარის საშუალებით გარეთ გადიოდა და მიწაზე იღვრებოდა. მას ხშირად თან გაჰყვებოდა წმინდა რკინაც, რომელსაც „ლილი“ ერქვა. „წილაში“ ამოარჩევდნენ „ლილს“ და შეურთავდნენ სხვა რკინას, როცა იწყებდნენ რკინის ხელმეორედ გადადუღებას. წურვის დროს „წილის“ სადინარი ღრუ ხშირად ამოივსებოდა—„გულს ამოიყრიდა“ ხოლმე:

¹ „ბოყვი“ წარმოადგენს ცაცხვის ან „მქნავის“ ქვრქისგან შეკრულ კასრს, რომელიც იმარება ოჯახში სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

მ დროს მეთვალყურე, რომელსაც ხელში „ფეთხი“¹ (საჩხრევი) ეჭირა, ჩაკ-
აჲდა ამ წვეტიან ჯოხს ღრუში და დაგროვილ „წიდას“ გზას გაუჟვალავდა.

როდესაც ერთი წყება დარიგებული ლითონი ჩამოვიდოდა, ცეცხლს გა-
აჲლებდნენ, „მოაკარებდენ“ ქულბაქს, სადაც დაწურული რკინა ისე იყო ჩამჯდარი,
როგორც პური კეცში. „დაღუგდებდენ“ მას რკინის კეტს და ამოსვამდნენ ზემოთ.
ქულბაქში ჩამჯდარ, ჩაწურულ, რკინას „ლუგვი“ ეწოდებოდა. ამოღებულ
„ლუგვს“ ერთი კაცი „საწური მარწუხით“ საჩქაროდ ხელს ჩაკიდებდა და „საბე-
ჭერ ქვაზე“ შესდებდა, ორი სხვა კაცი-კი ხის უროებით დაუწყებდნენ ბეგვას.
ღროდადრო უროს წყალში ასველებდნენ, წყალი იქვე ეღვათ „სარნათი“—
კობით). თვალბზე ჩამოფარებული ჰქონდათ თხელი ფიცრები—„თაკარა“,
რთა „ნაშიშხალი“ არ მოხედოძოდათ. „გამთხლეულ“ „ლუგვს“ ხის უროებით
არგად „დაკუთხავდენ“ და მეორე-მესამე ღდეს მას სადღულ ქულბაქში დააღნობ-
აჲნენ. მეორედ დაღნობას „დადღლება“ ანუ „გადაშვება“ ეწოდებოდა. გადა-
აჲების შემდგომ ხალასი რკინა დგებოდა. ახლა ამ გადაშვებულ რკინას „საქე-
წური მარწუხით“ დაიქერდნენ ხელში, რკინის გრდემლზე შესდებდნენ და რკი-
ნასავე უროებით დაუწყებდნენ „რქენას“, ვიდრე არ „დაავარებდენ“², ე. ი. არ
დაამსგავსებდნენ რომელიმე გასაქედ საგანს. დაგვარებას მოსდევდა „წაწვეა“.
ქაწვეული რკინა კიდევ უფრო მეტად ჰგავდა თავის „ტანინათესავე“, გასაქედ
ჩეთს. „წაწვეას“ მოჰყვებოდა „გაკაჰმა“. ეს უკანასკნელი ჰგულისხმობდა გასა-
აჲდი ნივთებისთვის თავისებური მოყვანილობის მიცემას. სახნისისათვის მაგა-
აჲლთად: ყურების ჩაქრა, ბუდის მოხვევა, წაწვეერვა და მისთანანი. „გაკაჰმა“-ის
ქმდგომ—„გაწკიპვა“, „წართობა“, „გალესვა“, „გაფერვა-გათეთრება“ სჭირ-
ებოდა. „გაწკიპვა“ ნიშნავდა რკინეულისათვის გარეკანის მოსწორება—„მო-
უსესას“, „წართობა“—ცივ და სუფთა წყალში ჩაყოფას, რითაც რკინა ტან-
ტკიცე და ფხიანი ხდებოდა. „გალესვას“ აწარმოებდნენ, როგორც ჩაღბით,
აჲ დიდი საღესავი ქვის „ხარტით“. გალესვა უმთავრესად გამჭრელ იარაღს
ჭირდებოდა. „გაფერვა-გათეთრება“ კი ყველა სახის რკინეულს. გასაფერავად
უნებდნენ ნახშირის „რეშს“ და ჩვარს, ხოლო უფრო სუფთა და მოსარიდებელ
ჩეთებს ცაცხვის ჯოხებით აპრიალებდნენ. ყველა ამ ოპერაციის ჩატარების
ქმდგე, გამზადებულ რკინეულს ზოგად სახელად „ნამკედური“ ერქვა. „ნამკე-
დურის“ შემდგომ განმზოგადებელ ცნებას „გამპკრელი“ და „მუშარკინა“
არმოადგენდა.

ლითონის დაწურვა ყველას საქმე იყო. მკედლობის შემდგომი საქმიანობა
ერო ვიწრო დახელოვნებას მოითხოვდა. ამ საქმისათვის „მოზიარეთა“ შორის
ქოდნე მკედელი სასურველი და თანაც აუცილებელი იყო. ეს გარემოება სრუ-
უბითაც არ ანიჭებდა რომელიმე მკედელს რაიმე უპირატესობას. იგი ისეთივე
ანამონაწილე იყო ამ წარმოების ზოგება-ზარალისა, როგორც უბრალო მებრე-

¹ ფეთხი წარმოადგენდა მკარძო წვრილ ჯოხს, რომელსაც ერთ ბოლოში წამოგებული
ქნდა წვეტიანი რკინა.

² „დაგვარებას“ მკედლობაში იმავე აზრით ხმარობდნენ, როგორითაც „გამოკობიტებას“
დამუშავებაში.

თანასწორობის პრინციპი საერთო წარმოება-მომხარებისა „წედური“ რკინის დამუშავებისას ფაქტიურად განაგრძობდა არსებობას.

როგორც ირკვევა, აქაური სამკედლოები ამზადებდა ფართო მოხმარების რკინეულს დადი რაოდენობით, რასაც ამოწმებს, წერილობით შემონახულ ცნობებთან ერთად, ცოცხალი ეთნოგრაფიული მასალები. ჯერ კიდევ XIX ს. პირველ ნახევარში, ოფიციალური ცნობით, მარტო სოფელ წედისში ცხრამეტი „რკინის საწური“ ქურა არსებულა (იხ. Н. Воскобойяков, Описание горных промыслов и полезных минералов в округах Имеретии, Раче, Мингрелии, Лечхуме и в Суанях, Горный журнал, СПб. 1826 г., № 2, გვ. 51—55). თუ ამას დავეუბრებთ რკინის „საწურების“ არსებობის ფაქტებს მთელ ზოგ სხვა სოფლებში, განსაკუთრებით სოფ. ქვედში, სადაც ჩვეულებრივად ორჯერ მეტი „საწური“ თუ „საჭედური ქურები“ მოიპოვებოდა, ვიდრე წედისში, ჩვენ წინაშე რაქის მკედლობის ცხადი სურათი გადაიშლება. თუ წედური რკინის დამუშავება შედარებით დაქვეითებულ მდგომარეობის დროს ამგვარი მოცულობისა იყო და საკმაოდ დიდი რიცხვობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი უფრო აღრინდელ ხანებში, როდესაც რკინის დამუშავება „მიწარობასთან“ (მიწათმოქმედებასთან) ერთად გამძღოლ მეურნეობის დარგს წარმოადგენდა.

რაკაში მზადდებოდა „გამკრელი“ თუ „მუშარკინა“ არა მარტო საკუთარი, ადგილობრივი და პირადი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ გაცვლა-გაყიდვის დანიშნულებით. რკინეული ნაწარმი რაკიდან იმერეთსა და ქართლში გაჰქონდათ. საგანგებოდ კეთდებოდა „საოროხლე“ და საკვეთელი ქართლში გასატანად, ხოლო იმერეთისათვის—ჩვეულებრივი სახნისები და სხვა იარაღები.

წედური რკინისგან უხვად მზადდებოდა ნაირნაირი ნივთები; სამეურნეო დანიშნულების და სხვა ხასიათის იარაღები: ცელი, თოხი, ქართული ცელი, ქართული ნამგალი, სახნისები: „საოროხლე“ და სახენელის საკვეთელი, საქაბე, წერაქვი, საკოდელი, წისკვილის რკინები, ჯოხის და შუბის წვერები, რკინის კეტები, ჩანგლები, ასტამები, საკეცურები, ხოწები და მრავალი სხვ. ამასთანავე მზადდებოდა მკედლობისათვის საჭირო იარაღები: გრდემლი, მარწუხი, ურო კერი და სხვ. უაღრესად საინტერესოა „ურქო ქართული გრდემლი“, რომელიც წედური რკინისაგანაა დამზადებული. (ამჟამად იგი დაცულია ლუკა მისიურაძის სახლში სოფ. წედისში).

„წედური რკინის“ დამუშავების პროცესში სამი საფეხურია მოცემული: 1. წურვა; 2. დადუღება; 3. კედვა. უნდა აღინიშნოს, რომ რკინის დაწურვის საქმეში დიდ როლს თამაშობდა არა მარტო რკინის საწურავების აღნაგობა ან სხვადასხვა დამხმარე მინერალების („სადული“, „ფაშა“ და სხვათა) შეზავება; გამოყენება, არამედ თვით ნახშირის ნაირობა, რომლის უგულვებელყოფა იქნებოდა მართებული.

საქმე ისაა, რომ ყოველგვარი ნახშირი არ იყო გამოსადევი ამ საქმისათვის. არც ყველას შეეძლო შესაფერისი ნახშირის დაწვა. ამ საქმისათვის საგანგებოდ ამოარჩევდნენ მკოდნე პირებს. რაც მთავარია, საწურავი ნახშირი

სხვაგვარი უნდა ყოფილიყო (მაგარი ხისა, წიფლის ან რცხილისა), საღული სხვა — იგი ნაძვის ტოტებისგან იწვოდა), ხოლო საქედური ნახშირი რომელიმე ჩბილი ხის უნდა ყოფილიყო (თხმელა, ცაცხვი).

ნახშირის როლი ამ საქმეში უდავოდ დიდი ჩანს. დღესაც სოფ. ღების მკედლები, რომელნიც საუკეთესო „გამჭრელ რკინეული“-ს მოხელედ ითვლებიან, ნახშირს, წრთობასთან ერთად, მთავარ მნიშვნელობის საგნად მიიჩნევენ რკინის იარაღის „ფხიანობა“-ს ირბილის საქმეში.

ნახშირის დაწვა დიდ დროს და ჯაფას მოითხოვდა. საქირო იყო 4—5 თვის საყოფი ნახშირის დაწვა და მომარაგება სამკუელოში.

ამგვარად, რაჭის მკედლობის სინამდვილეში „წედური რკინის“ დამუშავებას მრავალი მხარე გააჩნდა, რომელთა შესრულება ცალკეულ პირთა შესაძლებლობას აღემატებოდა. იგი მოითხოვდა რამდენიმე პირის შეერთებულ ძალღონეს, ცოდნას და გამოცდილებას.

— „შიგნი განაწილება გვექონდა. ერთი ნახშირს წვადა, მეორე ზურგით ან ხარმარხილით ზიდებდა ლითონს, ნახშირს; ზოგი თხრიდა, ზოგი ზიდავდა, ზოგი მკვარს უნათებდა მუშას, ზოგი აპარაგებდა, ზოგიც წურავდა, ზოგი ქედდა, რიგი უროს სცემდა, რიგი კაზმავდა, რიგს გასაყიდათ მიქონდა და რა ვიცი სხვა“ (დომიტრი და სიმონა მაისურაძენი, სოფ. ქვედი).

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რაჭაში იქედებოდა ბლომად ნაირნაირი რკინეული სხვადასხვა დანიშნულების და მიზნისა. — „საორხლე“ — ს და საკვეთელს ქართლისთვის ვამზადებდით, რცხილუანში მიგვექონდა, ოსები თავთაც ჩამოდიოდნენ საყიდათ. რცხილუანიდან ვაჭრები ჩამოდიოდნენ, სომხები, და აქ ყიდულობდნენ და მერე ყიდიდნენ თვითან ყველგან. იმერეთში კი უფრო ჩვენ მიგვექონდა. დაგვექონდა: „საორხლე“ (იგივე სახნისი ორხელა სახენელისათვის), სახნისი, თოხი, ქართული ცული, ნაჯახი, შამფური, წალდი, ბარი, ქართული წერაქვი, ბართოხი, ბალჯუკო, კარების ასაკიდებელ-ჩამოსაბმელი რკინები, ასტამები. „საორხლე“ დიდი სახნისი იყო, იმას მარტვა რცხილუანში ვყიდიდით, ქართლში. ის ცოტა მოქვაბული, მოხრილი იყო. ფორმა ჩვენი სახნისითანა ქონდა. ყური, ყბა და წვერი ერთნაირი იყო ორივესი. ერთად მიდიოდა 10—12 საპალნე ცხენი და კაცი იმერეთში. ცხრა თავი წყაროსთან (სოფ. შქმერს იქით, რაჭა-იმერეთის საზღვართან) ღამეს გაათევდნენ. ერთი უსტაბაში გვეყავდა. კაი ცხენიც, გზას წორათ გააგნებსო, წინ გვიძლოდა. — რაქველო, რკინეული არა გაქ? — გვეძახოდნენ იმერლები. კაი ახალ სახნისში საპალნე ღვინოს იძლეოდნენ. ისე სახნისი — 3 ჩაფი ღვინო ღირდა (მათი თქმით: ჩაფი — თორმეტ ბოთლს უდრის, ორი ჩაფი ერთი კასრია). ფულათ სახნისი 1—2 მანეთამდი ღირდა, საორხლე — სამი მანეთი ღირდა. მაშინ კოკა ღვინო 80—120 კაპ. ღირდა (კოკაში — 7 თუნგია, თუნგში — 4 ბოთლი). ხანდახან ნამუშევარზე გავცვლიდით, ან საქონელში: თხა, ცხვარი, ძროხა, ხარი, ღორი, თუარადა რამერამეში. ჩვენსა რომ გაცვთებოდა სახნისი, იმერეთში მიგვექონდა. იმათი მიწა მჩალტე იყო და ასე ერჩიათ“ (ლუკა მაისურაძე, სოფ. წედისი).

ამრიგად ირკვევა რომ რკინეული „გაქედილი“ გაქონდათ უმთავრესად იმერეთსა და ქართლში. იმერეთისკენ ორი გზით გადადიოდნენ: შქმერისა და

ტყიბულის გზით. ქართლისაჲენ კი ერთი გზა გადიოდა, კუდაროს გადასავლით. იმერეთის სოფლებში: წიკქვალს, დარკვეთს, ზოდს, ჭალას, სავანეს და სხვაგან უხვად ასაღებდნენ სხვადასხვა რკინის ნივთებს. ქართლში კი მათთან ერთად ამ საქმისათვის ხელი ჩაუკიდნიათ, უკანასკნელ ხანებში, სომეხ ვაჭრებს.

„წედური რკინის“ ნაწარმის საქმით რაოდენობით გატანა-გასაღებას ხელს უწყობდა უმთავრესად „ნამქედურის“ უაღრესად მაღალი ხარისხი. აქაური რკინა შედარებით ძვირი ღირებულა, სამაგიეროდ თავისი თვისებებით შეუდარებელი ყოფილა. ახლაც საარაკოდ აქვს ხალხს „წედური გამჭრელი რკინის ფხიანობა“ და „მუშა რკინის“ გამძლეობა.

— „ძან საქმეს ათევდა წედური რკინა, ისეთი გამჭრელი იყო, რომ ფოლადი არ უნდოდა. მეტი შრომაც უნდოდა, მარა ქვე რას იზამდი, მაგიერნი ერთობ კარგი იყო.—წედური რკინის გამიჭედე, რუსული არ მინდაო, იტყოფენ. აბა-ბაბა! ან უნდა გატეხილიყო, ან არადა მისი გაღუმევა და გატყვევა არ მოდებოდა, ვო, ბეჩა“... (მიხელა მეტრეველი, სოფ. უწერა).

ეს უკანასკნელი გარემოება, უსათუოდ, რაჟის მკვლელობის მაღალ ტექნიკასა და მემკვიდრეობით მიღებულ სამქედლო ხელობის დიდ ცოდნა-გამოცდილებას მოასწავებს, რაც ხანგრძლივი საწარმოო პრაქტიკის ნიადაგზე უნდა შემუშავებულიყო ქართველ ტომებში სხვადასხვა ლითონის წარმოების პროცესში.

მკვლელობაში ხმარებული უაღრესად მნიშვნელოვანი და მდიდარი ტერმინოლოგია ამასვე გვაფიქრებინებს. საზოგადოდ ცნობილია, რომ ქართველ ტომებში ლითონის დამუშავების ხელობა ძველიდანვე ყოფილა განვითარებული.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემო რაჟის ერთ მხარეს, ქ. ონიდან მოყოლებული სოფ. წედისამდე, ე. ი. მთლიანად ჯეჯორისა და ქვედრულას ხეობას, „სარკინეთი“ ეწოდებოდა; ხოლო აქ მცხოვრებთ — „რკინის კაცები“. ცნებები „სარკინეთი“, „რკინის კაცი“ სავსებით ემთხვევა ფაქტიურ სინამდვილეს შინაარსეულად და ამდენად საქმის ნამდვილ მდგომარეობას ნათლად გვისურათებს. რაც მთავარია, „სარკინეთი“ ძველად კიდევ უფრო ფართო მოცულობის ცნება ყოფილა. ისე რომ რკინის წარმოებაში ჩაბმული ჩანს არა მარტო დასახლებული კუთხე—ჯეჯორის ხეობა, არამედ მთელი ზემო რაჟის მხარე.

„სარკინეთის“ რკინის ლითონის კერას უმთავრესად „ქვაწითელას“ მთა წარმოადგენდა. იმაზე აღრე კი ეს კერა „ხეხმელაში“ ყოფილა. საფიქრებელია სხვა კერათა არსებობაც, რომელნიც ამჟამად ხსოვნას არ შემოუნახავს.

ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება „ქვაწითელა“ რკინის ლითონის ერთადერთ კერად ვიგულებოთ, ისე როგორც მხოლოდ სოფლები წედისი და ქვედი—„სარკინეთი“—ად.

უკანასკნელ ხანებში, როგორც ჩანაწერი მასალიდან ირკვევა, სხვადასხვა ვითარებით გამოწვეულ მიზეზებისა გამო, „წედური რკინის“ დამუშავებაში სოფლების თანდათან მცირე რიცხვი იღებდა მონაწილეობას. „სარკინეთი“ უფროდაუფრო ვიწროვდებოდა, ვიდრე ბოლოს რამდენიმე სოფლით არ

განისაზღვრა. უკანასკნელად „სარკინეთს“ სოფ. წედისი, სოფ. ქვედი და ორი-ოდე პატარა სოფლები-ლა შეადგენდა. შემდგომ ამისა „პატარა სარკინეთს“-უცდია ყველასათვის საერთო „ქვაწითელას“ რკ. მდინის დასაკუთრება და გარეშე სოფლებისათვის მასზედ ბაჟის, „ჩოლუხის“, დადება.

ყოველ წლისთაზე, „მეჩოლუხენი“ აგროვებდნენ ხსენებულ ბაჟს იმ სოფლებში, რომლებიც მოისურვებდა ამ ლითონით სარგებლობას.

„სარკინეთი“ რკინის ლითონის თაობაზე ადგილობრივ ფეოდალებსაც კი უურჩებოდა. ამ უკანასკნელთ ძალით რომ ვერაა გაუწყვიათ, ხერხი უხმარიათ და ისე მოუყვანიათ „სარკინეთლები“ მორჩილებაში. ვადასახადად თითო თავი რკინა შეუწერიათ და ყოველწლიური ბევარა დაუღვიათ მათთვის.

— წედისს და სულ სარკინეთს ბატონი არ ყავდა, არც ვისმე ემორჩილებოდა. ამ დროს და შემოვიდა გრიგოლ წერეთელი. თხოვნით წაიღო თითო თავი რკინეული. მეორე წელსაც ასე თხოვნით. მერე, როგორც დაჩვეული, ბევრათ უქცია. ადგა ჩვენი მამები და ცემით გააგდეს. წავიდა თურმე. თავის უფროსს მოახსენა:—ხალხია ისეთი ველური, რომ დღე რომ იმუშავებენ, საღამოს ცეცხლს წაუკიდებენ და დაწვავენო. თხოვა, ჯარი მომეციო. თურმე საქედურ ნახშირს წვაედენ (საღამოს ცეცხლის წაკიდების ამბავი ნიშანდობლივად მიგვი-თითებს იმ გარემოებაზე, როცა შედარებით დიდ ადგილზე გაჩაღებული ყოფი-ლა ცეცხლი, ნახშირის დასაწვავად). მოეცა მართლა ჯარები. შემობტომოდა ჩვენ სოფლებს და აეოხრებია სულ ი რუჯულძალს“. (ერასტი მაისურაძე, სოფ. წედისი).

მთელი რიგი მონაყოლი ამბები მრავალ საგულისხმო საკითხს ეხება, რომელთაგან უნდა დავასახელოთ ერთი საინტერესო თქმულება, „სირამქედელი“, რომელიც უკავშირდება ამირანის გაჩენის შესახებ არსებულ გადმოცემებს. ამ თქმულებაში ამირანი სირამქედელის შვილია, რომელიც ერთ მზეთუნახავს სირამქედლისგან შეეძინა. საერთოდ, რაჭის ფოლკლორში მქედელი ხშირად გვხვდება, როგორც „კეთილის“, ისე „მავენბლის“ როლში.

სამქედლო და გრდემლი დიდ პატივში არის ახლაც. „დღევმლზე“ (გრდემლი) ფეხის დადგმა, ჩამოჯდომა, ან დაფურთხება ყოვლად დაუშვებელია, „არვარგია“ (ცნება „არვარგია“ იხმარება შავიური ვაგებით, ისე როგორც მეგრული—„ვაშინერს“-ი).

ყოველ შაბათს გრდემლზე სანთელს უნთებდნენ და ევედრებოდნენ წმ. ანგელოზს. რკინის თუ სპილენძის დნობის დროს გარეშე პირს შიგნით არ შეუშვებდნენ, რადგან მათის რწმენით ზოგს „თვალი“ და ზოგსაც „ფეხი“ არ უვარგოდა. ამითაც უნდა აიხსნებოდეს წედური რკინის წარმოების პრაქტიკაში. როგორც ამოღების ისე დაწურვის სამუშაოს დამე დაწყება, როცა ყველა თავთავის სახლში მილაგდებოდა და ვისიმე შეხვედრის შიში არ იყო.

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქალი სულ არ შეიშვებოდა სამქედლოში, უწმინდურიად იტყოდნენ.

მქედელი დიდხუთშაბათს „უბარი“ ო „უნძრახი“ შედიოდა სამქედლოში დილა ადრე და სამჯერ კვერს დაჰკრავდა გრდემლზე, რათა არ გამთელებულიყო

ამიქანის ჯაჭვი, რომელიც, მათი რწმენით, ამ დღისათვის გაწყვეტაზე დგებოდა. თუ ამირანი აიშვებდა, არც ერთ მკედელს ცოცხალს არ „მოარჩენდა“. მკედელს ქრისტეც ემტერებოდა, რადგან მანვე გასქედა სამკვეალი ქრისტეს მისაკრავად. დიდ ხუთშაბათს მკედელი უბრადვე აკეთებდა პატარა „წალღუკას“. იხმარებოდა „ნათეალუბის“ ან „ხელნაკრავის“ წინააღმდეგ. დიდები გულზე იკიდებდნენ. პატარებს აკვანზე შეებამდნენ—კარგად დაგვეზრდებიანო.

ზემო რაჭა ანუ „ხიდიკარსხემოთ“-ი, როგორც მას ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ—მწირი, მთა-გორიანი და ხეობებით დასერილი ადგილია. ხშირი ნიაღვრები და „მეწყრები“ ფრიად ამცირებენ ისედაც მცირე საყანე მიწებს. ამ მიზეზით აქაური მცხოვრებნი ხშირად უმამულოდ რჩებოდნენ. ადრინდელი გლეხობის ამ უმწეო მდგომარეობას ნალვლიანად აღნიშნავს ერთი ხალხური ლექსი, რომელიც აქვე მოგვყავს.

„გამცილდა წუთისოფელი,
ცოდვით აიესო ქვეყანა;
იმერეთსა და რაჭაში
მითხარ, რით უნდა მეხარა?
„ხიდიკარსხემოთ“ მცხოვრებნი
სულ „უმამულო“ შეგვყარა.
არა გვაქვს ბარად სახნავი,

არცა სათიბი მთაშია.
ისე გაივლის ზამთარი,
ორ კაცს ვერ ნახავ სახლშია.
ზამთარ მიდიან ჩერგებსა,
გაზაფხულ ზემო ქართლშია.
რათ გინდა უმამულოსა,
ათ თუმანს აძლევ ქალშია.

მიუხედავად მიწის სივიწროისა, სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს „მიწარობა“ შეადგენდა. უფრო ბარ ადგილებში, მდინარეთა გაყოლებით—აგრეთვე მისდევდნენ მევენახეობას; მთებში—მესაქონლეობას. მეურნეობის სხვა დარგთა შორის აღსანიშნავია მეჭურჭლეობა—„მეკეცეობა“, რაც აქ უმთავრესად ქალების ხელობას წარმოადგენდა (სოფლები ნაკიეთი; სომიწო, ონკევი და სხვა). ქალებისავე ხელსაქნარში დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა შალეულობის დამზადებას. ონური შალი მთელ საქართველოში ახლაც განთქმულია.

მეურნეობის ზემოთ ჩამოთვლილ დარგთა შორის „წედური რკინის“ დამუშავებას რაჭაში დიდი მნიშვნელობა და ხვედრითი წონა ჰქონია. XIX ს. მეორე ნახევრიდან მეურნეობის ეს დარგი თანდათან ჰკარგავდა მნიშვნელობას, ვიდრე ამავე საუკუნის მიწურულში მთლიანად არ მოიხპო.

ჩანს ამ ხანებში რუსეთიდან შემოტანილ იაფ რკინას მეტოქეობას ვერ უწევს იგი და ამდენად „წედური რკინის“ დამუშავება ადგილს უთმობს ფაბრიკულ საქონელს. დიმიტრი მაისურაძის ნაამბობი ამ პროცესს უნდა ასახავდეს.

— „რუსის რკინას „ლამფარას“ ვეტყოდით. ლამფარა რალა მოვიდა. აღარ გვინდა აწი წედური რკინაო. ძალიან სარჯელი იყო იმისი დამუშავება. ერთობ გვაშაშვრალეობდა. მეტი ეფი მოტანილი რუსული რკინა იყო“.

„წედური რკინის“ დამუშავების შედარებით მაღალმა ტექნიკამ გადმონათების სახით თავი შემოინახა რაჭაში მოცემულ მკედლობაში, რომლის დეტალური შესწავლა ჩვენი მორიგი ამოცანაა.

ამრიგად ირკვევა შემდეგი:

1. ზემო-რაჭის ერთ მხარეს—ჯეჯორისა და ქვედრულას ხეობას, კიდევ უფრო აღრე მთელ ზემო-რაჭას „სარაკინეთი“ ეწოდებოდა, ხოლო იქ მცხოვრებთ—„რკინის კაცები“. 2. XIX ს. მიწურულამდე, ზემო-რაჭაში, სახელდობრ „სარაკინეთში“, არსებობდა რკინის წარმოება, რომელიც შრომის კოოპერაციულ („მოზიარეები“-ს) პრინციპზე იყო აგებული. რკინის მადანი სოფლების საერთო საკუთრებას შეადგენდა. „სარაკინეთის“ რკინის წარმოება ორ მხარეს შეიცავდა: ა) ლითონის ამოღებას, დაწურვა-დამუშავებას და ბ) ქედვას. 3. რკინიული მზადდებოდა შინამოხმარების და ბაზარზე გატანის მიზნით. ბაზარზე გატანილ ნაწარმს გადასცედიდნენ ან გააჭყიდნენ ფულად. 4. გაცვლა-გაყიდვის საქმე ორმხრივი იყო, როგორც უშუალო ისე მეშვეობითი. პირველ შემთხვევაში თავად მიჰქონდათ მეწარმეთ თავისი საქონელი გასაცვლელ-გასაყიდად; მეორე შემთხვევაში ამ საქმეს ვაჭარი ასრულებდა. 5. სავაჭრო გზები „სარაკინეთიდან“ ორი მიმართულებით გადიოდა: აღმოსავლეთით—ქართლისაკენ და სამხრეთით—იმერეთისაკენ. 6. სატრანსპორტო საშუალება უმთავრესად ცხენების ჩაღანდარი, ხოლო იშვიათად ხარმარხილი იყო. 7. რკინის უქედურად გატანა არაა დამოწმებული. 8. „წედური რკინის“ დამუშავების შედარებით მაღალმა ტექნიკამ თავი შემოინახა რაჭულ მქედლობაში. 9. რამდენადაც რკინის დამუშავება ქართველი ტომების უძველესი კულტურის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, „სარაკინეთის“ და საერთოდ რაჭის რკინის დამუშავების შესწავლას და ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას, კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრობლემა თავისი წონადობით სცილდება საქართველოს ფარგლებს და შედის კავკასიისა და წინააზიის კულტურის პრობლემების რკალში.

3. ჩიბაია

საავშირო მიცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საკითხების შესახებ მოწვეულ პლენუმზე („სხდომაზე“) მივლინების მოკლე ანბარი

პლენუმი შესდგა ლენინგრადში 1938 წ. ივნისის 7—12. მას დაესწრო 54 არაღენინგრადელი დელეგატი. პლენუმზე წარმოდგენილი იყო: ყაზახეთი—1 დელეგატი (ალმა-ატა), აზერბაიჯანი—4 დელ. (ბაქო), რუსეთი (ვორონეჟი—1 დელ., გორკი—1, კალინინი—1, ომსკი—1, მოსკოვი—16, სარატოვი—4, სმოლენსკი—1, სტალინგრადი—1, ჩელიაბინსკი 1)—27 დელ., სომხეთი—1 (ერევანი), უდმურტთა ავტ. ოლქი—1 დელ. (იევესკი), მარის ავტ. ოლქი—1 (იოშკარ-ოლა), უკრაინა—1 (კიევი—ფოლკლორისტი), უზბეკისტანი—3 (ტაშკენტი, სამარყანდი, კოკანდი), ბელორუსია—1 (მინსკი—ფოლკლორისტი), კარელია—1 (პეტროზავოდსკი), საქართველო—7 (ტფილისი—5, გორი—1, სოხუმი—1). ლენინგრადი წარმოდგენილი იყო: ეთნოგრაფიის ინსტიტუტით, ჩრდილოეთის ხალხთა ინსტიტუტით, ეთნოგრაფიის მუზეუმით, მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტით და სხვ.

პლენუმმა ჩაატარა 2 პლენარული და 14 სექციური სხდომა, რომლებზედაც მოსმენილი იყო 42 სამეცნიერო-კვლევითი და 16 საინფორმაციო მოხსენება.

სამეცნიერო-კვლევითი მოხსენებები თემატურად განეკუთვნებიან: ეთნოგენეზს—2, ზოგად ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს—5, ფოლკლორს—7, რელიგიას—6, მატერიალურ კულტურას—5, თანამედროვე ყოფას—7, ანთროპოლოგიას—1, ისტორიას—2, ხელოვნებას—5 და სხვ.

პლენუმი სამი სექციის სახით მუშაობდა: 1. ეთნოგრაფიის, 2. ფოლკლორის და 3. ისტორიულ-ეთნოგრაფიული. ვინაიდან ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლები ეთნოგრაფიულ სექციაში მუშაობდნენ—ჩვენს ანგარიშში უმთავრესად ამ სექციის მუშაობას შეეგებებით.

მას შემდეგ, რაც 1929 წელს არქეოლოგიებისა და ეთნოგრაფების ყრილობაზე ლენინგრადში მიღებული იყო დადგენილება ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინების ლიკვიდაციის შესახებ, დადგენილება, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა კავშირის მრავალ რესპუბლიკაში საბჭოთა ეთნოგრაფიას და მისი განვითარება შეაფერხა (იხ. პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციის § 5)—საჭირო იყო შვიდი წლის შემდეგ პირველად შეკრებილ ეთნოგრაფიულ პლენუმს გაემახვილებინა ყურადღება საბჭოთა ეთნოგრაფიის ამოცანებისა და აქტუალური პრობლემებისადმი. ეს ასეც მოხდა.

აკად. ვ. სტრუვეს მოხსენება „Задачи Института этнографии в связи с актуальными проблемами советской этнографии“ ამ მიზანს ისახავდა. მოხსენებლ მოხსენებასთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია (იხ. რეზოლ. § 4):

„საბჭოთა ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების საპასუხისმგებლო დ მასთანვე საპატიო მოვალეობაა ყოველმხრივ შეისწავლონ ჩვენი სამშობლოს მრავალრიცხოვანი ხალხების ეროვნული თავისებურებები, ყოფა და შემოქმედება“ და სხვა. შემდეგ კვითხულობთ (იხ. თეზისები § 7), თუ რა ევალებათ საბჭოთა ეთნოგრაფებს, სპეციალისტებს საზღვარგარეთის ეთნოგრაფიის დარგში: მათ ბოლომდე უნდა გამოამკლავნონ ბურჟუაზიული ეთნოგრაფიის ფაშისტური რასიული კონცეპციები, რომელთა მიზანია გაამართლონ კოლონიური ჩაგვრა.

ამისდა თანახმად პირველ რიგში პლენუმის მიერ აღიარებულ იქნა საჭიროდ (იხ. რეზოლ. § 10):

ა) მუშაობის გარდაქმნა იმ მიმართულებით, რომ ეთნოგრაფიული კვლევით მუშაობის თემატიკა დაუახლოვდეს სსრკ-ს ხალხთა კულტურული მშენებლობის მოთხოვნილებებს.

ბ) გეგმიანი მუშაობის გაშლა სსრკ-ს ხალხთა ეთნოგრაფიის მონოგრაფიული შესწავლის მიზნით.

გ) თემატიკაში სსრკ-ს ხალხთა კულტურის ისტორიის ერთიანობის პრობლემების შეტანა.

დ) ზომების მიღება, რათა მოგვარდეს ეთნოგრაფიის სწავლება დიდ უნივერსიტეტებსა და სოციალურ-ეკონომიურ და პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო პირველ რიგში—მოსკოვსა, ტფილისსა, ერევანსა და ტაშკენტში.

ე) ეთნოგრაფიული მასალების და სამუზეუმო ეთნოგრაფიულ კოლექციების სისტემატური და გეგმიანი შეგროვება, რაც სასწრაფოდ უნდა შესრულდეს, ვინაიდან ძველი ყოფის ეთნოგრაფიული მასალები სწრაფად ისპობა და სხვა.

პლენუმის დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს ეს დადგენილება, რამდენადაც ამით უკუგდებულება ძველი შეხედულება ეთნოგრაფიაზე და ეთნოგრაფია აღდგენილია როგორც სამეცნიერო დისციპლინა. მიუხედავად ამისა, სტრუვეს მოხსენებაში ჯერ კიდევ მრავალი საკითხი დარჩა გადაუწყვეტელი. პლენუმზე ჩვენ აღვნიშნავდით, სხვათა შორის, რომ სამუზეუმო ექსპოზიციაში ახალი ყოფის წარმოდგენა ეკონომიკის გარეშე, როგორც ამას აღვნიშნავთ აკად. ვ. სტრუვე—მიუღებელია. ხოლო მეორე მხრით ეკონომიკის წარმოდგენა ექსპოზიციაში ეთნოგრაფიულ გამოფენას საბჭოთა მშენებლობის გამოფენად აქცევს. ამ შემთხვევაში მისაღები მოდუსის გამოჩნება იოლი საქმე არ არის. ან საკითხში არ დააკმაყოფილა პლენუმი იმ ცდამ, რომელსაც ადგილი აქვს ლენინგრადის ეთნოგრაფიის მუზეუმში. იქ ახალი ყოფა სანახაობადაა გადაქცეული და სტატეკურობას არ ვასცილებია. ასევე არა დამაკმაყოფილებელია ამავე მუზეუმში ძველი ყოფის ექსპოზიცია.

სამწუხაროდ პლენუმზე საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი საკითხი მხოლოდ ერთი მოხსენებით იყო წარმოდგენილი. საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითად

აკითხთან უშუალოდ დაკავშირებული და მისგან გამომდინარე საკითხები დარჩა ჟრადლები გარეშე. მთავარ მოხსენებებში დასმულ საკითხის გაშლას სხვა ზუსტებებში ადგილი არა ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ მოხსენებები მრავლად იყო წაკითხული. ამ მხრივ პლენუმის ნაკლი იყო ის, რომ პლენუმს არ ჰქონდა წინასწარი მოფიქრებული ღერძის საკითხები, რომლებიც პლენუმის ზუსტობის მთავარი საგანი უნდა ყოფილიყო. ამიტომ საკითხები ხუთწლიან გეგმისა, სამუხეუმო ექსპოზიციისა და სხვა, სხვა დროისათვის გადაიდო.

ეთნოგრაფიულ სექციაში წაკითხულ მოხსენებებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია ის მოხსენებები, რომლებიც ეთნოგენეზის საკითხებს ეხებოდა: პროფ. პ. რ. კოფიციის „Этногенез народностей Обь-Енисейского бассейна (женцы, селькупы, иганасане)“ და სხვ., ს. ტოკარევის „Происхождение якутской народности“ და პროფ. ბახრუშინის „Хозяйство и общественный строй якутов“. პროფ. დ. ზელენინის მოხსენება „Историческая общность культуры русского и украинского народов“ მეტად აქტუალურ თემას ეხებოდა, აგრამ მის გარშემო გამართული კამათი ასცდა სწორ გეზს. მომხსენებლის მეთოჯის კრიტიკის ნაცვლად მსჯელობის საგნად ანთროპოლოგიური მონაცემის გაზოუყენებლობა გახდა, რასაც მოსკოველებისა და ლენინგრადელების გადაკარბეული რეპლიკები მოყვა (ივანოვი, ტოლსტოი და სხვები).

ცხარე კამათი გამოიწვია ნ. ნიკუშინის მოხსენებამ „Первобытные производственные объединения и их роль в социалистическом строительстве у эвенков“. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ გვაროვნულ გავრთიანებებს ხელის შემწყობი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისათვის. არსებითად ეს საკითხი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია უარყოფითად ხელმძღვანელ ორგანოების მიერ შუა-აზიის სათანადო სინამდვილის გათვალისწინებით.

მოხსენებებთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოება უნდა იქნეს აღნიშნული. რიგი მოხსენებები ეხებოდა გვაროვნულ გაღმონაშთების არსებობას კავშირის სხვადასხვა ხალხებში, მაგრამ მომხსენებლები კმაყოფილებოდნენ ზოგადი გვაროვნული ნიშნების აღნიშვნით და გვერდს უვლიდნენ მათთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

ასეთ მოხსენებების ფონზე ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ წაკითხული მოხსენებები ბევრ სხვა მოხსენებიდან შესამჩნევად გამოირჩეოდა.

პლენუმის მომწყობ კომიტეტს უცნაურად ჰქონდა განაწილებული მოხსენებები. ასე გამოდიოდა, რომ კავკასიის ეთნოგრაფიასთან დაკავშირებული ზუსტებები სხვადასხვა ქვე-სექციებში უნდა წაკითხულიყო.

ჩვენ ამის წინააღმდეგ წავედით. შეიქმნა კავკასიური სექცია, სადაც წაკითხული იყო ყველა მოხსენება კავკასიის ეთნოგრაფიის საკითხების შესახებ. ამ სექციაში დროდადრო ჩვენი წარმომადგენელი თავმჯდომარეობდა. აქ საუბრადღებო მოხსენება გააკეთა ე. სტუდენეცკაიამ „Кочевое товарищество горцев Северного Кавказа“. მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ დოგოგერლიკი აღმოკენებულია საზოგადოებრივი განვითარების ადრინდელ საფეხურზე და ხანგრძლივი ტრანსფორმაცია აქვს გავლილი. აღსანიშნავია ე. შილინგის Ингушский Тушולי. მომხსენებელი შეეცადა დაედგინა ტუშოლის ბუნება: ნაყოფი-

ერების ღვთაება (კაცის, საქონლის, მოსავლის). სუსტი მოხსენება აღმოჩნდა მინლოსისა, „Семейное право у рачишцев“. მომხსენებელი პლენუმის მოწვევით კომიტეტს საგანგებოდ მოუწვევია მოსკოვიდან მოხსენების წასაკითხავად. სექციის მიერ დაწუნებული იყო მოხსენების როგორც მიზანდასახულება, ისე ფაქტიური მასალა. ამის შესახებ ყრილობის მუშაობის დროს გამოცემულ კვლევის გაზეთშიც იყო წერილი მოთავსებული.

ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლების მიერ აქ წაკითხული მოხსენებების:

1. Одна из графем грузинского алфавита в свете древнейших верований сванов (მომხ. ვ. ბარდაველიძე).

2. О некоторых элементах женского головного убора картвельцев (მომხ. რ. ხარაძე).

3. Надземные склепы Хевсуретин (მომხ. გ. ჩიტიია).

ძირითადი დებულებები სექციის სხდომაზე გამოსულთა უმრავლესობა გაიზიარა (სტრუქვე, სტუდენეცკაია, შილინგი და სხვ). აღნიშნავდნენ, რომ ეს მოხსენებები გამოიჩინეს ეთნოგრაფიული თავისებურებების ძიებით. არასც უპირისპირად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის საკითხების გადაჭრის დროს. პროფ. ოლდერიგემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სახის მუშაობის დროს სასურველია აფრიკული, კერძოდ, ბერბერული მასალების გამოყენება, რამდენადაც, მისი აზრით, მათ შრავალი შეხვედრა აქვთ კავკასიურ-წინა-აზიური კულტურის ელემენტებთან. (N. B. ეტყობა, რომ ამ მიმართულებით ლენინგრადში მუშაობა წარმოებს. ფრანკ-კამენეცკის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ჩვენ მოვისმინეთ ლინგვისტური მოხსენება თემაზე: პარალელური ქამიტურ-სემიტურ-იაფეტურ-ბანტუს ენებში (მომხ. იუშმანოვი).

საინფორმაციო მოხსენება პლენუმზე ეთნოგრაფიის დარგში მხოლოდ საქართველოდან და სომხეთიდან გაკეთდა. პლენუმის პროგრამაში აღნიშნული კავშირის ხალხთა მუზეუმის საინფორმაციო მოხსენება მოიხსნა. მოსმენილი იყო: Этнография в Советской Армении (მომხ. სტ. ლისიციანი), Итоги изучения этнографии грузинских евреев (მომხ. ა. კრიხელი), Этнографическая работа Грузинского Краевого общества (მომხ. ს. მაკალათია) და Грузинская этнография за советский период (მომხ. გ. ჩიტიია).

ჩვენს საინფორმაციო მოხსენებასთან დაკავშირებით პლენუმის თავმჯდომარემ აკად. ვ. სტრუქვემ აღნიშნა, რომ ერთის მხრით საქართველოდან ჩამოსული ამხანაგების მხურვალე მონაწილეობა ჩვენს პლენუმში, ხოლო მეორე მხრით ის დიდი სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს ტფილისში საერთოდ და კერძოდ ეთნოგრაფიის დარგში, საქართველოში. მუშაობებს საბჭოთა კავშირის მეცნიერების მუშაკთა მოწინავე რიგებში აყენებს და მათ მუშაობას მისაბამებავალითად ხდის. ეს ასეც უნდა იყოს, სთქვა მან, რადგან იქ მოღვაწეობს პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. მარის მოწაფე. მას არ შეეძლო ეთნოგრაფიისათვის ყურადღება არ მიექცია და სათანადო დონეზე არ დაეყენებინა (იხ. 11/VI დილის სხდომის სტენოგრაფ. ანგარიში).

პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაშიც აღნიშნულია ეთნოგრაფიის განსაკუთრებული მდგომარეობა საქართველოში. სიტყვასიტყვით რეზოლუციაში ნა-

თქვამია შემდეგი: „მოხსენებები ეთნოგრაფიული მუშაობის შესახებ ადგილებზე, ისევე როგორც სამეცნიერო მოხსენებები, რომლებიც გაკეთდა სხდომაზე ცენტრალური და ადგილობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ, მოწმობენ სსრკ ზოგიერთ რესპუბლიკებსა და ოლქებში ეთნოგრაფიული მუშაობის ერთგვარ ზეალმავლობას (ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, ჩრდილოეთის ხალხთა ინსტიტუტი, სომხეთის სსრ და გაანსაკუთრებით საქართველოს სსრ და სხვა) (იხ. რეზოლ. § 8).

ამავე სხდომაზე მოწონებული იყო ჩვენი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების საწარმოო გეგმა და გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენი გამოცემები იბეჭდებოდეს პარალელურად ქართულ და რუსულ ენებზე, უკიდურეს შემთხვევაში ფართო რუსული რეზუმითი.

ზემოთქმულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ჩვენი წარმომადგენლები დაესწრნენ ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საწარმოო თათბირს 16/VI, სადაც მოხსენებით გამოვიდა აკად. ვ. სტრუვე პლენუმის შედეგების შესახებ. თათბირმა აღნიშნა, რომ ეთნოგრაფიის ინსტიტუტი პლენუმს მოუმზადებელი შეხვდა, პლენუმს არ ჰქონდა გარკვეულად დასმული ღერძის საკითხი, ინსტიტუტი არ იყო წამყვანი პლენუმის მუშაობაში, ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები არ იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას, ინსტიტუტის თანამშრომლების მოხსენებების უმრავლესობა სუსტი იყო; პლენუმის მომწყობ კომიტეტს არ უნდა გამოეშვა მინდობილი სუსტი მოხსენებით და სხვა. ჩვენმა წარმომადგენელმა თათბირზე აღნიშნა, რომ მარტოდ-მარტო უღრობით არ უნდა აიხსნას, ალბათ, პლენუმის შეხვედრა მოუმზადებლად. თუმცა ჩვენც მცირე დრო გვქონდა ტფილისში, მაგრამ წინასწარ დაეამზადეთ მოხსენებები და თეზისები. თეზისები წავიკითხეთ ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში და სათანადო ვიზის მიღების შემდეგ გამოვემზაურეთ. ასევე უნდა მოქცეულიყო ეთნოგრაფიის ინსტიტუტიც—ო. პლენუმის მომწყობ კომიტეტს თეზისები სათანადო ინსტიტუტების დასტურით უნდა მიეღო. აგრეთვე საჭირო იყო პლენუმზე დასამუშავებლად ძირითადი საკითხი წინასწარ დაგედგინათ და მის გარშემო დაგეგმვადებინათ მოხსენებები. მომავალში პლენუმზე დასამუშავებელი საკითხების შერჩევა უნდა მოხდეს კავშირის ეთნოგრაფიულ ცენტრებთან შეთანხმებით. აგრეთვე ურადლება უნდა მიექცეს, რომ ასეთ შეკრებებს ესწრებოდნენ ეთნოგრაფები კავშირის ყველა რესპუბლიკიდან. პლენუმზე არ იყვნენ ეთნოგრაფები უკრაინიდან და ბელორუსიიდან.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის გარდა ჩვენმა წარმომადგენელმა მოხსენება წაიკითხა ეთნოგრაფიის მუზეუმში თემაზე: „ეთნოგრაფიული მუშაობა საქართველოს მუზეუმებში“.

მოხსენებამ აზრთა ცხოველი გაცულა-გამოცულა გამოიწვია, რადგანაც მოხსენებაში აღძრული იყო ბევრი პრინციპული საკითხი და მათი გადაჭრის ცდა იყო მოცემული.—გამოითქვა სურვილი მოხსენების დაბეჭდვის შესახებ.

ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა იმუშავეს კავკასიის ეთნოგრაფიულ კოლექციებსა და შედარებით მასალებზე ლენინგრადში: ეთნოგრაფიის მუზეუმსა, აკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და სახელმწიფო

ერმიტაჟში; მოსკოვში: კავშირის ხალხთა მუზეუმსა და ისტორიულ მუზეუმში. გარდა ამისა ჩვენი წარმომადგენლები გაეცნენ მუზეუმებს: სარატოვში (მხარეთმცოდნეობისა და ჩერნიშევსკის მუზეუმებს), სტალინგრადში (ცარიცინის და ცეის მუზეუმი) და ორჯონიკიძეში (ინგუშთა მუზეუმი და ჩრდილოეთ-ოსეთის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი და მუზეუმი). ყველა ზემოთდასახელებულ დაწესებულებასთან დამყარდა სამეცნიერო კონტაქტი. ორჯონიკიძის მუშაკების მიერ გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოს ინიციატივით მოეწყო სპეცსის ეთნოგრაფების ყრილობა ტფილისში.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია ლენინგრადში მივლინებულ ეთნოგრაფების სახელით უღრმესი მადლობა მოვასსენოთ ენიშკი-ს დირექტორს პროფ. ს. ჯანაშვიას და ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, რომელთაც საშუალება მოგვცეს მონაწილეობა მიგველო პლენუმის მუშაობაში და ჩავეტარებინა მუშაობა კავშირის სხვადასხვა ცენტრებში საჭირო და სასარგებლო საქართველოს ეთნოგრაფიის შემდგომი ზედამავლობისა და წარმატებისათვის.

3. გოგაჯიშვილი

ანბარიში სოფ. ლეზში წარმოებულ არქეოლოგიური გათხრებისა

938 წ. ოქტომბერში მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა მიმავლინა ს. ლეზში (ონის რაიონი) არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად.

მივლინების მთავარი მიზანი იყო შეწარმოებინა ე. წ. ბრინჯაოს ბალთების ძიება, ბალთებისა, რომელთა სოფ. ლეზის ტერიტორიაზე არსებობის შესაძლებლობის შესახებ თუმცა დიდის ეჭვით, მაგრამ მაინც მიგვიითობენ ზოგიერთი ლიტერატურული წყაროები (იხ. Материалы по археологии Кавказа, Москва 1900 г. выпуск VIII, გვ. 353).

ბრინჯაოს ბალთები ქაშისა თავისი რაოდენობით საქმაოდ ცნობილი არის არქეოლოგიურ მეცნიერებაში [იხ. 1. И. И. Мешанинов— „Закавказские поясные бляхи“, Материалы по описанию племен и местностей Кавказа (ტ. 45, Махач-Кала, 1926). 2. Т. Ивановская, „Кавказские бронзовые поясные пряжки“ (Харьков, 1928 г.). 3. F. Hančar: ა) Eine Kaukasische Gürtelschnalle aus Bronze im Wiener Völkerkundemuseum (Wien 1931); ბ) Einige Gürtelschliessen aus dem Kaukasus; გ) Ross und Reiter im Urgeschichtlichen Kaukasus და სხვა და სხვ.], მაგრამ ვინაიდან აქამდე არც ერთი ბალთა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი არ ყოფილა და ყველა დღემდე ცნობილი ბრინჯაოს ბალთა (ჩვენთვის საინტერესო ფორმისა) კერძო პირთაგან შეძენილებია, ამიტომ ყოველგვარი აზრის გამოთქმა მათ შესახებ მხოლოდდამხოლოდ აპოთეზებს ემყარებოდა. მეცნიერები სხვადასხვა თვალსაზრისით სწავლობდნენ ბალთებს: ტ. ივანოვსკაიას ისინი აინტერესებენ, როგორც ნიმუში ხელოვნების განვითარებისა სხვადასხვა ეტაპზე; ი. ი. მეშჩანინოვი უდილობს ამოხსნას ბალთებზე გამოსახული ცხოველების მიხედვით ამ ბალთების შინაარსი და სხ., მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ დასახელებულმა ავტორებმა დიდი შრომები მიუძღვნეს ბალთების შესწავლის საკითხს, ეს უკანასკნელი დღემდე ბერუსით მოცული დარჩა.

მარის სახელობის ინსტიტუტი სწორედ ამ გარემოებიდან გამოდიოდა, როდესაც მან გადასწყვიტა ს. ლეზში ბრინჯაოს ბალთების მოსაპოვებლად არქეოლოგიური გათხრების დაწყება.

ზემოთ მივუთითეთ, რომ ს. ლეზში ბალთების არსებობის შესაძლებლობაზე ლაპარაკია არქეოლოგ პ. ს. უვაროვას შრომაში „МАК, VIII“, მაგრამ ეს წყარო

იმდენად პესიმიზტურად არის განწყობილი სოფ. ღების უძველეს სამარეებში ბრინჯაოს ბალთების პოვნის შესაძლებლობის მიმართ, რომ მასზე დაყრდნობით არქეოლოგიური მუშაობის დაწყება გაუმართლებელი იქნებოდა. უფრო მეტი: პ. ს. უეაროვა არამცთუ ბალთების, არამედ უძველესი სამარეების არსებობასაც კი არ ადასტურებს ს. ღების ტერიტორიაზე. მოვიტანოთ ამონაწერი: „Пряжки Тифлисского музея доставлены ему (Бобринскому, г. г.) горцем из Саэлио в Раче, мои же добыты якобы из могильников в ауле Геби в Раче. Но побывавши для проверки показаний о пряжках в Геби, я не нашел указываемых могил и сильно подозреваю, что они просто взяты на алтаре святилища во имя архангела Михаила, расположенного в пустынном месте на равнине под ледниками, в котором мы при осмотре нашли много стрел, сосудов, рогов животных и разную мелочь, приносимую в жертву высшему божеству“... (МАК, VIII, გვ. 353).

მაშ რას ეყრდნობოდა მარის სახ. ინსტიტუტი, როდესაც თავის სამუშაო გეგმაში შექმნდა არქეოლოგიური გათხრების წარმოება სოფ. ღებში?

1928 წლის გაზაფხულზე, სოფ. ღების მახლობლად, ხენის დროს გლეხებმა იპოვეს ბრინჯაოს ბალთა ქამრისა, რომელიც მაშინვე ჩვენ ჩაგვიყარდა ხელში და იმავე წელს საქართველოს მუზეუმს შეეწირეთ (ინვენტ. № 13—28). ეს ბალთა გამოაქვეყნა ს. მაკალათიამ თავის შრომაში „მთის რაქა“ (1930 წ. გვ. 7—8). იმ დროს მე ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებლის მოწაფე ვიყავი და დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია დასახელებული ფაქტისათვის. 1936 წ. მუშაობა დაიწყო საქართველოს არქეოლოგიურ ინსტიტუტში და 1928 წლის აღმოჩენის შესახებ საუბარი მქონდა ინსტიტუტის დირექტორთან პროფ. გ. ნიორაძესთან. პროფ. გ. ნიორაძემ საჭიროდ სცნო ჩემი მივლინება სოფ. ღებში იმ ადგილის არქეოლოგიური დაზვერვისათვის, სადაც 1928 წ. ბალთა იქნა აღმოჩენილი. მე იქ გავთხარე მცირე ადგილი, ვიპოვე სამი სამარე საკმაოდ მდიდარი ინვენტარითა და მათ შორის ერთი ბალთაც. ამავე დროს გლეხებში შევკრიბე ცნობები ამ ადგილისა და მასში სხვადასხვა დროს აღმოჩენილ ნივთების შესახებ. საინტერესო ცნობებთან ერთად გლეხებმა გადმომცეს იქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთიც.

აქ საჭიროდ ვთვლით მოვიტანოთ ცნობა იმის შესახებ, თუ რა პირობებში იქნა ნაპოვნი პირველი ნივთი იმავე ადგილას, სადაც 1928 წ. ბალთა აღმოჩნდა: ორმოცი თუ ორმოცდახუთი წლის წინათ გლეხებმა მიწის ხენის დროს ადგილ შოშეთში, ღების მახლობლად, იპოვეს ოქროს თასი. გახარებულმა გლეხებმა მუშაობა განაგრძეს და ცოტახნის შემდეგ სახენელმა გამოაჩინა ბრტყელი ქვა, რომლის ქვეშაც ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდა. შემთხვევის ადგილას გლეხებმა მღვდელი მოიყვანეს ჩონჩხისათვის „წესის ასაგებად“, მაგრამ მღვდელმა წესის აგებაზე უარი განაცხადა: „ეს ჩვენი (ქრისტიანი) არ არის, „კერპი“ ყოფილა“.

ნაპოვნი ოქროს თასი გლეხს ივანე ლობჯანიძეს მიჰყიდეს. მან კა, როგორც ახლა ამბობენ, ადგილი იცოდა, სადაც უნდა გაეყიდა და მასში აღებულ ნივთს სახლი დაიდგაო.

ოქროს თასის პოვნის ფაქტი ჩვენ საეცხბით უეჭველად მიგვაჩინა, რადგან ეს ცნობა ფრიალ სარწმუნო პირებისგან გვაქვს მიღებული.

ამ დღიდან, ე. ი. ოქროს თასის პოვნის დღიდან, ვიდრე 1928 წლამდე შოშეთში აღარავის არაფერი უპოვნია, მიივიწყეს თვით პირველი აღმოჩენის ამბავიც, ხოლო 1928 წლის შემდეგ თითქმის ყოველ წელს იქ პოულობდნენ სხვადასხვა ნივთებს. 1930 წელს ხელში ჩაგვვივარდა იქ ნაპოვნი ოქროს მონეტა, რომელიც ტფილისში ჩამოვიტანეთ და მხატვარს თ. აბაკელიას გადავცეთ. როგორც ვიცით, აღნიშნული მონეტა თ. აბაკელიას დღესაც ხელთა აქვს.

1934 წ. შოშეთს კიდევ იპოვეს ორი ბალთა, ოქროს ნივთები, მძივები და სხვ.

ესაა ყველა ის ცნობა, რომლებიც ადასტურებს ს. ღების ტერიტორიაზე არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო სასაფლაოს არსებობას. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ყველა ამ ფაქტის შესახებ მოგვეხსენებინა მარის სახ. ინტიტუტის არქეოლოგიური განყოფილებისათვის, რის საფუძველზე მან გადასწყვიტა 1938 წლიდან ს. ღებში დაეწყო არქეოლოგიური გათხრები.

ს. ღებში არქეოლოგიური გათხრები უნდა ჩატარებულიყო პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით და ჩვენი მონაწილეობით, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, პროფ. გ. ნიორაძის რაქაში გამგზავრება არ მოხერხდა და, მარის სახელობის ინსტიტუტის არქეოლოგიური განყოფილების წარდგენით, ინსტიტუტის დირექციამ გათხრების ხელმძღვანელობა ჩვენ დაგვავალა.


ს. ღებში გავემგზავრეთ 12 ოქტომბერს. გათხრებს ვაწარმოებდით 11 დღის განმავლობაში, დანარჩენი დრო, 7—8 დღე, შეეწირეთ დაზვერვით მუშაობას. ეს უკანასკნელი კი ფრიალ ნაყოფიერი აღმოჩნდა: მიუკვლეით არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ბევრს ახალ ადგილს, რის შესახებაც შემდეგში ვილაპარაკებთ.

ადგილს, სადაც ჩვენ არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებდით, ეწოდება შოშეთი, იგი მდებარეობს ღებიდან 1,5—2 კლმ. მანძილზე ჩრდ.-აღმოსავლეთის მიმართულებით და წარმოადგენს 25—30°-იან დაქანებულ სახნავ ფართობს. შოშეთში უხუცად მოიპოება ქვის გროვები, რომლებიც დროთა ვითარებაში ბუჩქებით შემოსილა. ქვის ასეთი გროვები პარალელურად არის განლაგებული N მიმართულებით (იხ. სურ. № 1). ჩრდილოეთით, სადაც შოშეთის სახნავი ადგილები თავდება, იწყება ხშირი ტყით დაფარული ძლიერ დაქანებული მაღალი ქედი, ხოლო სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მას რკალად ერტყმის მდინარე ჩვეშური. შოშეთის იმ ნაკვეთიდან, სადაც არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა, მდ. ჩვეშურთან აშენებულ ჰიდროელსადგურის არხის დასასრულამდე 200 მეტრია.

შოშეთის მიწის ზედაპირის საფუძვლიანი გამოკვლევა არ მოგვიხდენია, მაგრამ ზერელე დაკვირვებითაც ცხადია, რომ ის ალაგ-ალაგ წითელი თიხისაგან, ხოლო უმთავრესად შავი მიწისაგან შესდგება.

ყურადღებას იპყრობს ქვის გროვები, რომელთა შესახებაც ცოტა ზემოთ გვქონდა საუბარი: ერთი შეხედვით ეს გროვები უნდა გაჩენილიყო შოშეთის

სახნავე ადგილად გადაქცევასთან დაკავშირებით მიწის ზედაპირიდან ქვების აკრეფით და განსაზღვრულ ადგილებზე დაგროვებით, მაგრამ საკმაოა ცოტადენი დაკვირვება, რომ ეს აზრი ექვის ქვეშ იქნეს დაყენებული. ქვის ჯიში, რომლისაგანაც ეს გროვები შესდგება, არ მოიპოვება არსად ისეთ ადგილას, საიდანაც, ადამიანის ჩარევის გარეშე, შესაძლებელი იქნებოდა მისი წოშეთს გადმონაცვლება; ასეთი ჯიშის კლდე მოიპოვება შოშეთიდან 2 კლმ. დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხოლო ამ კლდიდან ბუნებრივი ძალებით შოშეთის ტერიტორიაზე ქვის გაჩენა ნაკლებად დამაჯერებელია.




სურ. 1. შოშეთის საერთო ხედი

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გროვებად ქცეული ეს ქვა წარმოადგენს რომელიღაც დროის სახლების ნანგრევებს. შესაძლებელია, რომ შემდეგში ამ ნანგრევებიდან ალაგებული ქვა გლეხებმა განსაზღვრულ ადგილას დააგროვეს; ამ აზრამდე მიგვიყვანა იმ გარემოებამ, რომ დაზვერვითი მუშაობის დროს ტყის ნაპირას ვიპოვეთ აშკარად გასარჩევი ორი ნასახლარი, ხოლო უფრო ზევით, ე. წ. კაისარეთის გორაზე—მიწაში დამარხული შენობის (ქვიტკირის) ნანგრევები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს ნანგრევები ადამიანისათვის ძნელად შესამჩნევია, რადგან იგი მიწით და უზარმაზარი მცენარეებით არის დაფარული.

ამკამად ძნელია იმის თქმა, ერთი დროის არის თუ არა შენობათა ეს ნანგრევები და შოშეთის ის სასაფლაო, რომელიც ჩვენ გავთხარეთ, მაგრამ ამ საკითხზე გადაჭრილ პასუხს მოგვცემს შოშეთის მიდამოების შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა.

შოშეთის სასაფლაოს გეგმა 1938წ. გათხრები



სურ. 2. შოშეთის სასაფლაოს გეგმა

ჩვენ დავიწყეთ დაგროვილი ქვების ქვეშ ორმოს ამოღება. ნახევარი მეტრის სიღრმეზე გამოჩნდა ნახშირი და დამწვარი ქვები; ეს ფენა ძლიერ ღრმად მიჰყვებოდა და ვინაიდან იქ მუშაობის გაგრძელება ჩვენს განკარგულებაში არსებულ თანხებს აღემატებოდა, ამიტომ ეს სამუშაო შემდეგისათვის გადავდეთ.

ახლა თვით სასაფლაოს არქეოლოგიური გათხრის შესახებ: გავთხარეთ დაახლოებით 65 კვ. მეტრ. ფართობი. ეს ფარდობი შეიცავდა 15 ხელუხლებელს და 6-მდე გაძარცულ სამარეს. სამარეები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენდა დედაქანის ორმოებს, რომლების ძირზე შემოყოლებული იყო პატარა ზომის ქვები. 1936 წლის გათხრების დროს კი ვიპოვეთ ერთი ისეთი სამარე, რომელიც „ქვა-ყუთის“ სახელით არის ცნობილი. 1938 წ. გათხრების დროს ასეთი სახის სამარე არ შეგვხვედრია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სამარეს, რომელიც გაძარცვული აღმოჩნდა.

№ 1 სამარე (იხ. სურ. 3) მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 1,5 მეტრის



სურ. 3. სამარე № 1

სიღრმეზე. სამარის ნიშნები გამოჩნდა 0,5 მეტრის სიღრმიდანვე. ნიადაგში შერეული იყო წვრილი ნახშირი. სამარეში ერთად იყო დასაფლავებული სამი მიცვალებული მოკრუნჩხული პოზით. მათი ჩონჩხები მარჯვენა გვერდზე ელაგა. ფეხები ორად ჰქონდათ მოკეცილი, ხელები მოხრილი და ნიკაპთან მიტანილი, თავის ქალის სახე აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული. სამარის ინვენტარი შეიცავდა შემდეგ ნივთებს: კისერთან გაბნეული იყო ოთხი მძივი (ერთი სარდიონის, ერთი შუშის, ერთი თიხის (?) და ერთიც (საკმაოდ დიდი) — აყიყისა (?), ოღონდ

შეუძლებელი იყო გამოცნობა, თუ რომელ მიცვალებულს ეკუთვნოდა ეს მძივები. შუაში მწოლარე ჩონჩხს წელის არეში აღმოაჩნდა ბრინჯაოს აბზინდი ქამრისა და ბრინჯაოს პატარა ოთხკუთხედი ნივთი, რომლის დანიშნულების შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა შეიძლება. მარჯვენა მხარეზე მდებარე ჩონჩხს ჰქონდა შუაში მდებარე ჩონჩხთან ანალოგიური აბზინდი რკინისა. ჩონჩხების ფეხებთან ვიპოვეთ თიხის შავი კურკლის ნატეხი.

ჩონჩხები ძლიერ დაზიანებული იყო, არცერთი მათგანის თავის ქალა მთელი არ ყოფილა.

ჩვენ არ შევეუდგებით სხვა სამარეების დაწვრილებით აღწერას, რადგან მათში მოთავსებული ჩონჩხების მდებარეობა ისეთივე იყო, როგორც № 1 სამარეში. გამონაკლისს შეადგენდა № 13 სამარე. რომელშიაც მიცვალებული ზურგზე მწოლარე და თანაც ფეხებ მოკრუნჩხული ყოფილა დამარხული (იხ. სურ. № 4). ჩონჩხს კისერთან მხოლოდ ერთი ვერცხლის ფიბულა აღმოაჩნდა.



სურ. 4. სამარე № 13

სხვა სამარეებში მიცვალებულები მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე ყოფილან დასაფლავებული.

ინვენტარის მხრივ ყველაზე უფრო მდიდარი იყო № 5 სამარე (იხ. სურ. 5). ჩონჩხი თუმც ძლიერ დაზიანებული აღმოჩნდა, მაგრამ დამარხვის პოზის გამორკვევა მაინც ძნელი არ არის. მოკრუნჩხული ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იღვა მონაცრისფერო თიხით მოგებული სამარის ძირზე, გაწვდილი მარცხენა ხელი მოკეცილ მუხლებთან ჰქონდა მიტანილი, ხოლო მარჯვენა—თავქვეშ ამოდებული.

ჩონჩხს კისერთან ოქროს ვახსნილი რგოლი (შესაძლებელია საყურე) და ცოტა ქვემოთ მძივები (8 ცალი) აღმოაჩნდა; წელთან ბრინჯაოს დიდი ოთხკუთხედი ბალთა, ბრინჯაოს ორი რგოლი, ბრინჯაოს პატარა, ცხრაკოპიანი ბალთა და ბრინჯაოს ჟანგში შენახული ღვედის პატარა ნაშთები ჰქონდა; დიდ ბალთასთან იდგა ბრინჯაოსაგან ნაკეთები ძაღლის თუ ბატკნის თავის გამოსახულება და ხარის თავის გამოსახულება ვერცხლისა. მიცვალებულს მარცხენა ხელს წამოკმული ჰქონდა ბრინჯაოს სამაჯური, რომლის თავებიც სპირალურად არის დახეული.




სურ. 5. სამარე № 5

ბალთა წარმოადგენს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ მოზრდილ (ზომა: 14,2X X 13,8 სმ) ოთკუთხედ ფირფიტას, რომლის ყოველ კუთხეზე მოცემულია კონუსისებური თითო ბურცული, ხოლო ბალთის მთელი არე უკავია „S“ სპირალისებური ორნამენტის შიგნით მოთავსებულს, ძლიერ სტილიზაციაქმნილ ცხოველთა გამოსახულებებს. ამ ცხოველთაგან შედარებით ადვილი გამოსაცნობია ორი:

1. ცხოველი, რომელიც ცენტრალურ ფიგურას ზურგზე აზის, ექვს გარეშეა, ხარია. 2. ცხოველი, რომელიც ცენტრალურ ფიგურას „უყეფს“ და ვერტიკალურად მდგომი პირში ექვმა—ძალი ან ძაღლის ჯიშის ცხოველია. ძნელი გამოსაცნობია თვით ცენტრალური ფიგურა, რომელიც ტანით ცხენს ან ირემს მოგვაგონებს, და პატარა ცხოველი, რომელიც ცენტრალური ფიგურის კიდურებთანაა მოთავსებული თითქოს მწოვარის (сочух) სახით (იხ. სურ. 6).

ბალთას მეორე მხარეს აქვს ბრინჯაოს მარყუევი და კაკევი, რომელთა მიხედვითაც არქეოლოგები ასკენიან, რომ ბალთა სწორედ ქამრისა უნდა იყოს. ეს აზრი ახლა მაინც ყოველგვარ ეჭვს გარეშე დგას, მაგრამ ამ მოსაზრებაში დაეჭვებას თავის დროზე ის იწვევდა, რომ ქამრის ლითონის ის ნაწილი, რომლითაც ბალთა ქამარს უნდა დაკავშირებოდა (ე. წ. „დედალი“ დუგმა) აქამდე ნაპოვნი არ იყო. № 5 სამარის ინვენტარი საშუალებას გვაძლევს ამ საკითხზე ჩვენი აზრი გამოვთქვათ: ბალთის მახლობლად № 5 სამარეში, როგორც ზემოთაც ვთქვით, ბრინჯაოს ორი რგოლი აღმოჩნდა, მათ შორის უფრო მოზრდილი ერთ ადგილას, ალბათ ხახუნისაგან, შედარებით დაწვრილებულია...




სურ. 6. ბალთა სტილიზებული ცხოველებით

ხომ არ არის ეს რგოლი ის „დედალი“ დუგმა, რომლითაც ბალთა დედის ქამარს უკავშირდებოდა! ვფიქრობთ, ეს აზრი უსამართლო არ უნდა იყოს.

ამავე სამარის ინვენტარის ჩამოთვლისას ბრინჯაოს ერთი ნივთი მოვიხსენიეთ, როგორც ცხრაკოპიანი პატარა ბალთა. ეს ნივთი წარმოადგენს რგოლს, რომელიც გადაკვეთილია ორი კადონით. რგოლი ერთი მხრისაკენ გრძელდება სამკუთხედის მაგვარად და ბოლოვდება კაკეით, რომელიც ფრინველის თავისა და ნისკარტის შთაბეჭდილებასა ჰქმნის. რგოლის ირგვლივ რვა კოპი არის განლაგებული, ხოლო მეცხრე ასეთი კოპი მოთავსებულია კადონების ურთიერთ გადაკვეთის წერტილში (იხ. სურ. 7).

შესაძლებელია ეს ნივთი წარმოვიდგინოთ, როგორც შხის კულტის გამომსახველი საგანი, ამასთან ერთად მას პრაქტიკული დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა; აზრს მოკლებული არ უნდა იყოს თუ ჩვენ მას განვიხილავთ როგორც ქამრის ბალთების სახესხვაობას. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ აქ აღწერილს ნივთს აქვს კაკევი, რომლითაც ის ქამრის ერთ ბოლოს დაუკავშირდებოდა, შე-

საძლოა, იმ პატარა რგოლით, რომელიც წინათაც მოვიხსენიეთ, ხოლო მეორე ბოლოთი ქამარი დაუკავშირდებოდა ამ ბალთას მასზე (ბალთაზე) მოთავსებული კოპების საშუალებით, რაც ტექნიკურად ადვილად მოსახერხებელია.



ახლახან აღწერილი ნივთის შესახებ გამორიცხული არ არის ეჭვი, რომ იგი ბალთას არ უნდა წარმოადგენდეს. მართლაც და ეს ნივთი ხომ იმავე სამარხშია ნაპოვნი, სადაც ერთი ბალთა უკვე აღმოჩნდა. შესაძლოა თუ არა ერთი მიცვალებულისათვის ორი ქამარი ჩაეტანებინათ სამარეში? ვფიქრობთ, რომ ასეთი მოვლენის შესაძლებლობა დასაშვებია არის: არქეოლოგიის ისტორიის ანალოგიური ფაქტების მითითება სხვა ადგილებშია შეუძლია.

სურ. 7. კოპებიანი ბალთა

უფრო მეტი დამაჯერებლობა ექნებოდა სხვა საბუთს მიმართულს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო

ნივთის, როგორც ბალთის უარსაყოფად: ამ ნივთის მოკაუჭებული ნაწილი იმდენად წვეტიანია, რომ მას შეეძლო ტანთსაცმელის სწრაფად დაზიანება და, თუ ის მართლაც ქამრის ბალთად იყო გამოყენებული, რატომ მას ისეთი მოხერხებული კაუჭი არა აქვს, როგორც წინათ განხილულ ოთხკუთხედ ბალთას? ასეთი შენიშვნის საწინააღმდეგოდ ჩვენ მიუუთითებთ ყობანის მოგვიანო ხანის სამარხში ნაპოვნი ძაბრისებურ ბალთაზე (MAK, VIII, ტაბ. XXV, სურ. 11), რომელსაც იეთივე წვეტიანი კაუჭი აქვს, როგორც ჩვენ მიერ აღწერილ ნივთს.

ამას გარდა, მთელი რიგი პარალელები უფლებას გვაძლევს ეს ნივთი მივიჩნიოთ ქამრის ბალთად. პ. ს. უეაროვა „Материалы по Археологии Казахстана“-ში აღწერს ყობანის მოგვიანო-დროინდელ ერთ ოვალურ ბალთა-ჩაჩოს (MAK, VIII, ტაბ. XXIII, სურ. 5) ირიბი კადონით და წვრილ-წვეტიანი კაუჭით. ამ ბალთას ათი კოპი აქვს, რომელთაგან ერთი კადონზეა მოთავსებული (MAK, VIII, გვ. 78). ამავე ტიპს მიეკუთვნება ისევ ყობანის ორი ბალთა (MAK, VIII, ტაბ. XXXVI, სურ. 11 და ტაბ. XLIV, სურ. 12), რომელიც წრისებური ფორმისა არის და სამ-სამ კოპს შეიცავს (MAK, VIII, გვ. 82, 84). სხვა მაგალითების მოტანას რომ თავი დავანებოთ, საკმაოა მიუუთითოთ დასახელებულ შრომაში გამოქვეყნებულ ოთხკუთხედი ფორმის ბალთაზე, რომელიც გადაკვეთილია ორი დიაგონალურად გადამჭრელი კადონით და ამავე დროს შეიცავს ლურსმნისათვის მაგვარ რვა კოპს, რომელთაგან ერთი მოთავსებულია კადონების გადაკვეთის წერტილში (MAK, VIII, ტაბ. LXXVII, სურ. 5; გვ. 179). ეს ბალთა ნაპოვანია კორცაში, რომლის სასაფლაოს ინვენტარიც პ. ს. უეაროვას აზრით ყობანის მოგვიანო ხანის სამარხების ინვენტარის დროისა უნდა იყოს. ამგვარად, ჩვენ მიერ მითითებული ყველა ეს ქამრის ბალთები დაახლოებით ერთსადაიმევე დროს მიეკუთვნება.

არ შეიძლება რა იგივეობის ნიშანი დავსვათ ზემოთ მითითებულ ბალთებსა და იმ ნივთს შორის, რომელიც შოშეთის № 5 სამარეში იქნა აღმოჩენილი, ამავე

ღროს მათი ერთმანეთთან მსგავსების გამო, ჩვენის აზრით, ყველა ისინი ერთ ოჯახს უნდა მიეკუთვნოთ. ასეთი დასკვნის გაკეთებისათვის პირველ რიგში უფლებას იძლევა შოშეთისა და კორცის დასახლებული ბალთების შედარება: ისინი და ყველა ზემოთ დასახლებული კოპებიანი ბალთები წარმოადგენს ამ ბალთების წარმოების განვითარებაში ერთი ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს, ხოლო ამ ჯაჭვის პირველ რგოლად უნდა მივიჩნიოთ შლიმანის მიერ ჰისარლიკში ნაპოვნი ბალთა, რომელიც ბერლინის მუზეუმში ინახება და თავისი ფორმით ნათესაურ კავშირშია ყობანისა და კორცის კოპებიან ბალთებთან (ვსარგებლობ პ. ს. უვაროვას შრომით, MAK, VIII. გ. გ.).

შოშეთის № 5 სამარეში აღმოჩენილი ბალთა, თავისი სილამაზით, განხილულ ყველა ბალთათა შორის შედევრს წარმოადგენს. ჩანს, რომ იგი დახელოვნებული ოსტატის ხელით არის შექმნილი. მაგრამ მასში, გარდა გარეგანი სილამაზისა, შეიძლება დაინახოთ შორეული დროის სარწმუნოებრივი ანარეკლიც.

ანტიკურ ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული ქალ-ღმერთის ვენერას კულტი. რომელი მწერლის აპულეის დამოწმებით, ვენერა მოგზაურობს ოქროს ეტლით, რომელიც შეუღლების წინ მას ეულკანმა დაუმზადა და რომელშიაც მტრედები არიან შემბული (იხ. აპულეი, „ამური და ფსიქეა“, თარგმ. ა. ყიფიანისა, ჟურნ. მნათობი № 7, 1938 წ. გვ. 80).

ასევე გავრცელებული იყო ანტიკურობაში იუპიტერის ეტლის გამოსახულებანი, ხომ არ არის შოშეთს ნაპოვნი კოპებიანი ბალთა ამ ეტლის სტილიზაციაქმნილი გამოსახულება მით უმეტეს, რომ მასზე გარკვევით არის წარმოდგენილი ფრინველის თავი და ნისკარტი! შეიძლება ეს აზრი ქვეშაირტებასთან ახლო იყოს, ოღონდ მისი დასაბუთება მოითხოვს ამ საკითხზე შემდგომ სერიოზულ მუშაობას. ამ აზრს, ყოველ შემთხვევაში, იმდენივე საბუთი აქვს, რამდენიც იმას, რომ აღნიშნული ბალთა წარმოადგენს მზის დისკოს გამობატულებას. მზის კულტის ანარეკლს მატერიალური წარმოების დარგში. ვფიქრობთ, რომ ხელოსანს, რომელმაც აღნიშნული ბალთა ჩამოასხა, მიზნად ჰქონდა დასახული მოცაქალმოსაველეთის მზის კულტისა და ანტიკურობაში გავრცელებული ვენერას ან იუპიტერის კულტის ერთ ნივთში შერწყმა, რაც მან წარმატებით გაადასტურა. ამ დებულებას ჩვენ შემდეგ მასალებზე ვამყარებთ: საფრანგეთში მრავლად არის ნაპოვნი ეტლის ბორბლის მაგვარი ნივთები, ასევე საკმაო რაოდენობით მოიპოება სან-ჟერმენის მუზეუმში (იხ. MAK, VIII, გვ. 69) პატარა ქანდაკებანი იუპიტერისა, რომელსაც ხელში ეტლის ბორბალი უკავია. პირველი ნივთები წარმოადგენს მნათობთა გამოსახულებას, ხოლო მეორენი—იუპიტერს თავისი ეტლის სიმბოლური ნიშნით. ადვილი შესაძლებელია რომ წარმართობის-დროინდელი საქართველოს აღმოსაველეთთან და დასაველეთთან მტკიცე კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის ნიადაგზე მოხდა მზისა და იუპიტერის კულტის განსაზღვრული დროის მონაკვეთზე შერწყმა, რამაც თავისი გამობატულება აღნიშნა მორთულობისათვის დანიშნულ ნივთების დამზადებაშიც კი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შერწყმულ კულტს ალბათ ღრმად არ გაუღდამს ფესვი მოსახლეობის ფართო მასებში, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე მსგავს გამოსახულებათა და სხვა საბუთთა იშვიათობაც ადასტურებს.

№ 5 სამარის მეორე ბალთაზე ლაპარაკს რომ მოვრჩეთ, ჩვენ მივუთითებთ კიდევ სამიოდე ანალოგიურ ნივთზე, რომელთაგან ორი ნაპოვნია (უფრო სწორად ნასყიდია) ა. ა. სპიცინის მიერ (იხ. Материалы ГАИМК-а, вып. 2-й, Древности Камы по раскопкам А. А. Спицына в 1898 г., Ленинград, 1933 год. გვ. 14, ტაბ. VI, სურ. 33 და გვ. 20, ტაბ. 11, სურ. 12) მღ. კამის დაბლობში (ზუევო და კოროსტინო), ხოლო ერთი საქართველოში, სოფ. ბორშია ნაპოვნი ვინმე მემამულე მაჭავარიანის მიერ (იხ. Материалы по Археол. России № 34. Доклады читанные на Лондонском международном съезде историков в марте 1913 г. Петроград, 1914 г. Доклад Е. М. Придыка „Новые Кавказские клады“ გვ. 106 და ტაბ. VI, სურ. 9).

ზუევოსა და კოროსტინოში ნაპოვნი ბალთები გარეგანი ფორმითა და წყობაზის სამკუთხედის მაგვარად გაგრძელებით ემსგავსება შოშეთის № 5 სამარის მეორე ბალთას.

ბორში ნაპოვნი ნივთი, დანიშნულების მხრივ, ე. მ. პრიდიკისათვის, როგორც ჩანს, გაურკვეველი დარჩენილა. აღწერას რა ბორში ნაპოვნი განძს, პრიდიკი ჩვენთვის საინტერესო ნივთის შესახებ ამბობს „Странный овальный предмет в роде петли с перекладиной по середине и на девяти коротеньких ножках“ (იხ. დასახ. შრომა, გვ. 106) ერთი შეხედვითაც კი ადვილად დარწმუნდებოდა კაცი, რომ ეს „странный овальный предмет“ სხვა არაფერია თუ არა იმ ტიპის ქაშრის ბალთა, რომელიც შოშეთის № 5 სამარეშია ნაპოვნი (მეორე ბალთა). ბორის ბალთას, განსხვავებით შოშეთის ბალთისაგან, ერთი კადონი აქვს, ხოლო კაკვი მოგვაგონებს ცხოველის თავის სტილიზაციაქმნილ გამოხატულებას.

შოშეთის № 5 სამარიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ორი ნივთი: ვერცხლის ხარისთავისა (იხ. სურ. 8) და ბატკნის თუ ძაღლის თავის გამოსახულებანი (ბრინჯაოსი).

აღსანიშნავია, რომ შოშეთის სასაფლაოს გათხრებმა საკმაო რაოდენობით მოგვცა ე. წ. „ცხოველური სტილის“ ნივთები. ეს სტილი ოდესღაც წმინდა სკვითურად ითვლებოდა, მაგრამ არაერთგზისმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და გამოკვლევებმა „ცხოველური სტილის“ უამრავი ნივთები აღმოაჩინა აღმოსავლურ, არქაულ ბერძნულ და საკუთრივ იონიის ხელოვნებაში; მიკენისა და ძველი ტროას მატერიალური კულტურის ნაშთებში. უფრო მეტიც, არ არსებობენ ხალხები, რომელთაც თავისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მეტნაკლებად უხვად არ მოეხდინათ ცხოველთა სამყაროს ასახვა რელიგიასა თუ ხელოვნებაში. ცნობილია, რომ სანამ ადამიანთა თავში ღმერთები ანთროპომორფული სახით შეიჭრებოდნენ, მანამდე ისინი ზომომორფულად იყვნენ წარმოდგენილნი. ადამიანები ზრუნავდნენ იმაზე, რომ მათი ღვთაებანი (ცხოველები) განუყრელად მათთან ახლო ყოფილიყვნენ და ამიტომ ჰქმნიდნენ მათ გამოსახულებებს, მათ ცალკეულ ორგანოთა გამოსახულებებს იმ ანგარიშით, რომ ღვთაების ცალკეულ ორგანოს ისეთივე ძალა და ძლიერება შესწევდა, როგორც მთელ ღვთაებას.

სანამ ადამიანი ჯერ კიდევ უძლური იყო გაშორებოდა ბუნების მოვლენათა მართოდენ დაშორებულს როლს, სანამ მას არ შეეძლო მოეხდინა საგანთა და მოვლენათა აბსტრაგირება, ის თავის ღვთაება—ცხოველებს ქანდაკებებისა თუ სურათების სახით გამოსახავდა ისე, როგორც ისინი ბუნებაში არსებობდნენ, ე. ი. ამ პერიოდის ადამიანი უპირველეს ყოვლისა ნატურალისტურად უყურებდა ყოველივეს. შემდეგში, როდესაც საწარმოო იარაღების ზრდისა და განვითარების საფუძველზე ადამიანის მოაზროვნე ტვინი ადვილად ახერხებს საგანთა და მოვლენათა აბსტრაქციას, ზომორთული ღვთაებანი ადამიანის წარმოდგენაში ლებულობენ არაბუნებრივ სახეს, ისინი გვევლინებიან სტილიზაციაქმნილად გრიფონების, ურჩხულების, ფრთოსან ცხოველთა და სხ. სახით. ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ განვითარების ამ საფეხურზე ცხოველთა ნატურალისტური წარმოდგენა ქრება. ერთი და მეორე ხანგრძლივად არის შემონახული კაცობრიობის ისტორიაში, რის საბუთსაც საკმაო დამაჯერებლობით იძლევა, როგორც ანტიკური ქვეყნებისა და ძველი აღმოსავლეთის ისე, კერძოდ, საქართველოს მატერიალური კულტურა.



სურ. 8. ხარის თავის ქანდაკება ვერცხლისა.

„ცხოველური სტილი“ მატერიალური კულტურის ძეგლებზე არ არის მარტო პირვანდელი რელიგიის ნაყოფი: იგი აგრეთვე ასახავს ადამიანთა საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებას და ხშირად იგი ძალისა და ძლიერების სიმბოლოდ იქცევა. მატერიალური კულტურის ასეთი ძეგლები საკმაო რაოდენობით დავიკოტოვებს ხეთებმა, ძველმა ეგვიპტელებმა, ასურელებმა და სხ. ფარაონთა და მეფეთა სასახლეების ალაყაფის კარებთან და ქალაქში შესასვლელებთან იშვიათი მოვლენა არ იყო ლომისა და ხარის ქანდაკებანი, რომლებიც მნახველთა შორის ნერგავდა სასახლისა თუ ქალაქის პატრონის სიმდიდრისა, ძალისა და ძლიერებისადმი რწმენას.

ჩვენ მივუთითებთ ერთერთ ეგვიპტურ სურათზე (იხ. Древний восток. Атлас по древней истории Египта, Передней Азии, Индии и Китая под ред. ак. В. В. Струве, გვ. 33. Ленинг. 1937), რომელშიაც წარმოდგენილია ფარაონ ამენხოტეპ III-ის მიერ საშინაო შემოსავლისა და დაპყრობილი ქვეყნებიდან შემოსული ხარკის შესახებ მოხსენების მიღების სცენა. ამ სურათზე ყურადღებას იპყრობს ლომისა და ხარის გამოსახულებანი, რომლებიც სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ხელოვანს უნდოდა შეკვეთისამებრ გადმოეცა ძლიერება და სიმდიდრე ამენხოტეპ III-სა.

ასევე უნდა იქნეს გაგებული პტახოტეპ I-ის (ძველი სამეფო—5 დინასტია) აკლდამის კედლის რელიეფის ნაწილი, სადაც ცენტრალური ადგილი ხარების გამოსახულებებს უკავიათ. ანალოგიური მაგალითების დასახელება შეიძლება თითქმის ყველა ძველი ქვეყნის სინამდვილიდან (მიკენის აკროპოლის ალაყაფის კარებთან დადგმული ლომის ქანდაკებანი და სხ.).

„ცხოველური სტილის“ საწყისები ხეთებში უნდა ვეძებოთ. ეს სტილი ქართველ ტომებში უხსოვარი დროიდან არსებულა და ხანგრძლივად ყოფილა

დამკვიდრებული. სხვა უამრავ არქეოლოგიურ აღმოჩენებთან ერთად ამ აზრს ერთხელ კიდევ ამტკიცებს შოშეთის სასაფლაოს გათხრის დროს ნაპოვნი ქამრის ბალთები სტილიზებულ ცხოველთა გამოსახულებებით, წვრილფეხა ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებანი და ხარისა და კრაისი (თუ ძალის) თავის გამოსახულებანი, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიეთ. შოშეთს აღმოჩენილი ხარის თავი განხილული უნდა იქნეს იმავე თვალსაზრისით, როგორითაც ძველი ქვეყნების მატერიალური კულტურის ნაშთებზე მოცემულ გამოსახულებებს მიუვლდეთ. ერთნაირად სწორი უნდა იყოს მისი როგორც საკულტო, ძლიერების ან მატერიალური სიმდიდრის გამომხატველ ნივთად მიჩნევა; შესაძლებელია აგრეთვე, რომ ყველა ეს მხარე გავრთიანებული იყო მასში და კლასობრივად უკვე დანაწილებულ საზოგადოებაში მისი მატარებელი სხვებისაგან გაიარეოდა სიმდიდრით (ჰყავდა ბევრი საქონელი და სხ.). ეს აზრი სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს თუ გავითვალისწინებთ, რომ შოშეთის № 5 სამარე, რომელშიაც ხარის თავი (ვერცხლის) იქნა აღმოჩენილი, სხვა სამარეებზე უფრო მდიდარი იყო.

გარეგანი სახის მიხედვით ჩვენ მიერ დასახელებული ხარისთავი ერთადერთია ყველა აქამდე აღმოჩენილთა შორის (ხარისთავის გამოსახულებანი აგრეთვე აღმოჩენილია კუნძულ მაიორკაზე და სხ.). რქების დასაწყისში მის ეტყობა წრედ შემოვლებული თითო ზოლი, რაც ალბათ ე. წ. „ნაზარდის“, იმ „ნაზარდის“ წარმოდგენას იძლევა, რომლის მიხედვითაც, ჩვეულებრივ, საქონლის წლოვანებას ანგარიშობენ. თუ აღნიშნული ზოლები ამ აზრით არის გაკეთებული, რასაკვირველია, მათ მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა ექნებოდათ, რადგან თვით რქების ზომა (სიგრძე—1,1 სანტ.) ადასტურებს, რომ ჩვენ საქმე საქმოდ მოზრდილ საქონელთან გვაქვს. გამოიკვლიე არ არის შესაძლებლობა რომ „ნაზარდი“, რომელიც ახლახან განვიხილეთ როგორც საქონლის წლოვანების აღმნიშვნელი სქემატური გამოსახულება, სრულებით სხვა მოვლენასთან არის დაკავშირებული: საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (კერძოდ ზემო რაქაში) დღემდე ფართოდ იყო გავრცელებული წესი, რომლის მიხედვითაც გაზაფხულზე, ხენის დაწყების პირველ დღეს, პირველი კვალის გავლებამდე ხარებს რქებზე ჩამოაცემდნენ სპეციალურად ამ მიზნისათვის გამომცხვარ მრგვალი ფორმის პურს. პურს ცენტრში მრგვლად ამოსჭრიდნენ ისე, რომ იგი ხარს რქაზე ჩამოცმოდა, ხოლო ამონაქერს კვალში ჩაადგებდნენ იმ რწმენით, რომ ყანა ბარაქიან მოსავალს მოიტანდა.

ადვილი საფიქრებელია, რომ შოშეთს აღმოჩენილი ვერცხლის ხარისთავის რქებზე გამოსახული „ნაზარდები“ ამ მოვლენის სქემატურ გადმოცემას ისახედეს მიზნად.

ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადი ხდება არქეოლოგიური მასალების (ყაზბეგი, რაჭა და სხ.) მიხედვით: ხარის კულტი ჩვენში საქმოდ გავრცელებული ყოფილა და ის ხალხურ ფოლკლორსაც შემოუნახავს.

ცხოველის თავის მეორე გამოსახულების (ძალი თუ ბატკანი) შესახებ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან მისი სახეობა ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ის უნდა წარმოადგენდეს ამულეტს, რა-

საც მასზე არსებული პატარა ნახვრეტი და „ენაც“ გვაფიქრებინებს. ცნობილია, რომ ცხვრის გამოსახულებებს ადამიანები ატარებდნენ, როგორც „ავი თვალის“ საწინააღმდეგო აშულეტებს.

შოშეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა აგრეთვე დიდი რაოდენობით მოგვცა ვერცხლისა და ბრინჯაოს ფიბულები, რომელიც დიდად განსხვავდება ყობანისა და საერთოდ ჩრდილო კავკასიის ფიბულათა ტიპებისაგან. შოშეთის თითოეული ფიბულა ლითონის ორი ნაქერისაგან არის გაკეთებული და ფორმით უგი შეილდს ემსგავსება. „შეილდის“ ანუ რკალის ერთ ბოლოზე 3—4 სპირალად შემოხვეული აქვს და შემდეგ შეილდის ბაწრის მსგავსად გადაღებული ბრინჯაოს ნემსი, რომლის თავიც, საჭიროების მიხედვით, ჩაიკეტება შეილდის მეორე მოკაუტებულ ბოლოში. შოშეთის ყველა ფიბულის რკალები მრგვალი ან ოთხწახნაგოვანებია. „შეილდებზე“ უმრავლეს შემთხვევაში მოცემულია წიწვოვანი ორნამენტი. ამ სახის ფიბულები ნაპოვნია დას. საქართველოში (სოფ. ბორი), ჩრდ. კავკასიაში (რუხტა) და სხ. ფიბულები შოშეთის სამარეებში მიცვალებულებს კისერთან ჰქონდათ. თითო სამარეში მხოლოდ თითო ფიბულა იყო.

ჩვენ აქ არ შეუვლდებით შოშეთის ყველა ნივთის ცალკეულ განხილვას. ეს უფრო სპეციალური გამოკვლევის საგანია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შოშეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა საკმაო რაოდენობით მოგვცა სარდიონის, შუშის, ქვისა და პასტის მძივები, კერამიკული ნაწარმი, ჩამოსაკიდებლები, ოქროს ნივთები (ერთი თელიანი ბეჭედი და ერთიც საყურე). გარდა ამისა № 12 სამარეში ნაპოვნია იმავე ფორმის (ოთხკუთხედი) ბალთა (იხ. სურ. 9), როგორც აღმოჩენილ იქნა № 5 სამარეში. № 12 სამარის ბალთა შედარებით მომცროა (სიგრძე—12,4 სანტ., სიგანე—11,3 სანტ.), ფიგურალური გამოსახულებითაც თვალსაჩინოდ განსხვავდება № 5 სამარის ბალთისაგან. ცხოველთა გამოსახულებანი მასზე რიცხვით მართალია იმდენივეა, რამდენიც წინათ განხილულ ბალთაზე იყო, მაგრამ აქ ხარის ნაცვლად წარმოდგენილია ფრანველის ან თევზის ფიგურა, ცენტრალური ფიგურა კი აღჭურვილია სამად განშტოებული ირმის მგვარი სტილიზებული რქებით. პირველსა და მეორე ბალთას შორის აგრეთვე საკმაო ზღვარის გავლება შეიძლება ორნამენტის მხრივ. № 5 სამარის ბალთის ორნამენტი წარმოადგენს „S“ სპირალს, № 12-ისა კი უმთავრესად ნაწნავისებური ორნამენტია.

როგორ უნდა იქნეს დათარიღებული შოშეთის ნივთები?

ცნობილია, რომ დღემდე ბრინჯაოს ბალთების დათარიღება ჰიპოთეზებზე იყო დამყარებული. არქეოლოგი პ. ს. უვაროვა ამ სახის ბალთებს მიაკუთვნებს ყობანის უძველესი პერიოდის ნივთებს (IX—VII საუკ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე — МАК VIII, გვ. 361—363). აი რას ამბობს იგი: „К древнейшему периоду причитаю также рог для питья и поясные пряжки, отнесенные мною к отряду случайных находок, которые по составу бронзы и оригинальности рисунка и форм не могут по моему крайнему убеждению принадлежать к более позднему времени“ (იხ. МАК, VIII, 367). უვაროვას აზრით, ბრინჯაოს

ბალთების წარმოების გავრცელება მანამდე იყო, სანამ რკინა შემოვიდოდა ხმარებაში. ეს დებულება რომ სიმართლეს მოკლებულია—ყოველგვარ ექვს გარეშეა შოშეთის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, იქ ბრინჯაოს ბალთებთან ერთად საკმაო რაოდენობით არის ნაპოვნი რკინის ნივთები (აბზინდი) და ნატეხები.



სურ. 9. ბალთა სტილიზებული ცხოველებით მე-12 სამარხიდან

უფრო მეტიც, № 7 სამარხში ნახევრად რკინის ფიბულასთან ერთად აღმოჩენილ იქნა ალექსანდრე მაკედონელის ფულის მიმბაძველობით მოჭრილი ოქროს მონეტა. რომელიც საუკეთესოდ ათარიღებს არა მარტო ბალთებს, არამედ შოშეთის მთელ სასაფლაოსაც.

შოშეთს აღმოჩენილი მონეტა ერთადერთი არ არის თავისთავად. მსგავსი მონეტები აღმოჩენილია სოფ. ბორში (იხ. E. M. Прудяк, დასახელებული შრომა, გვ. 95) და საქართველოს მთელ რიგ სხვა ადგილებში. ეს მონეტები აღწერილი აქვს ა. ნ. ზოგრაფს („Античные золотые монеты Кавказа“, Археологические работы на новостройках, ტ. II, 1935 წ.).

მკვლევართა აზრით, ასეთი მონეტები იჭრებოდა თვით საქართველოში და წარმოადგენდა ალ. მაკედონელის ფულის დამახინჯებულ მიმბაძველობას. მონეტის ავერსზე გამოხატულია ქალ-ღმერთის ათინას დამახინჯებული თავი, ხოლო რევერსზე—ასევე დამახინჯებული ქალ-ღმერთი ნიკა.

ალ. მაკედონელის ფულის მიმბაძველობით მოჭრილი მონეტები მიეკუთვნება III—I საუკუნეებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და, ექვს გარეშეა, ასევე უნდა იქნეს დათარიღებული შოშეთის სასაფლაოც, სადაც ეს მონეტა იქნა აღმოჩენილი. ყოველ შემთხვევაში ეს თარიღი ბევრით არ უნდა იქნეს გადატანილი III საუკუნის იქით ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ორიოდე სიტყვა მიცვალებულისათვის სამარხში ფულის ჩატანების შესახებ. ეს ჩვეულება უძველეს დროში ფართოდ გავრცელებული ყოფილა და გადმონაშთის სახით ზოგიერთ ხალხებში დღესაცა გვხვდება. მიცვალებულისათვის ფულის ჩატანება დაკავშირებული იყო რწმენასთან, რომ მიცვალებულის სულმა უნდა გაიაროს საიქიოს მდინარე, რომელზედაც უსასყიდლოდ არავინ გადაიყვანს. ასეთი რწმენის ანალოგიას ჩვენ ვიპოვნით აპულეის ზემოთ დასახელებულ „ამურსა და ფსიქეაში“ (მნათობი № 7, 1938 წ.).

მოკვდავ ქალზე ლამაზ ფსიქეაზე განრისხებულია ქალ-ღმერთი ვენერა და ცდილობს მის დაღუპვას. რადგან ფსიქეამ ვენერას მიერ დაგებულ ყველა მახეს თავი დააღწია, ამ უკანასკნელმა ისეთი სასჯელი მოიგონა, რომ ფსიქეას ის

უთუოდ დალუპავდა. ვენერა ავალებს ფსიქეას წაყიდეს და სულთა სამეფოდან მოუტანოს პროზერპინას სილამაზის ნაწილი. მოკვდავი ქალი კარგად გრძნობს ამ სასჯელის სიმწვავეს, მაგრამ მას დამრიგებლად გრძნეული კოშკი მოეფლინება: ის ასწავლის თუ რა გზით უნდა წაყიდეს სულთა სამეფოში, რა უნდა წაიღოს თან და როგორ უნდა დაბრუნდეს უკან. სხვათა შორის კოშკი ეუბნება ფსიქეას: „პირით სპილენძის ორი ფული წაიღე...“ (გვ. 84--85) „მალე მიცვალებულთა მდინარეს მიაღწევ, რომლის უფროსად ქარონია დაყენებული. იგი გასამრჯელოს მოითხოვს და მხოლოდ მაშინ გადაგიყვანს პატარა ნავით მეორე მხარეს. როგორც ხედავ, გარდაცვლილთა შორისაც ანგაარებაა. არც ქარონი და არც თვით დიდი ღმერთი დიტი უსასყიდლოდ არაფერს არ აკეთებენ და ღარიბმა მოკვდავმა გზისათვის ფული უნდა მოიმარაგოს...“ (გვ. 85). „გადაყენისათვის ერთ ფულს მისცემ იმ ბინძურ მოხუცს“ (იქვე). უკან დაბრუნებისას „ძუნწ მოხუცს გადმოსაყვანად შენახული სპილენძის ფული მიეცი“ (იქვე).

აპულეის რომანი სატირულია, მაგრამ იქ გამოხატულება ჰპოვა ძველი რომაელების სარწმუნეობრივმა შეხედულებებმაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ შოშეთს აღმოჩენილი მონეტაც მსგავს სარწმუნოებრივ ფაქტზე მიგვითითებს. შოშეთის არქეოლოგიური გათხრების გაგრძელება მეტ ნათელს მოჰყენს, როგორც ამას, ისე საქართველოს ისტორიის მოელ რიგ პნიშენლოვან საკითხებს.

აღ. კალანდაძე

მეოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში¹

(ოდიშის განათხარი მასალებით)

1937 წლის ნოემბერში მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის აკად. ნ. მარის ინსტიტუტის საწ. გეგმის თანახმად გაგზავნილ იქნა არქეოლოგიური ექსპედიცია ზუგდიდის რაიონში, ქვის ხანის ნივთიერი კულტურის ძეგლების გათხრების ჩასატარებლად სოფ. ოდიშის პლატოზე. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ ამიერ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ნ. ზ. კილაძე და აღ. ნ. კალანდაძე, რომელთა სპეციალობის ინტერესი ძირითადად ნივთიერი კულტურის ამ რიგის ძეგლების შესწავლის სფეროში ძვეს.

ექსპედიციის მიზანი იყო, საერთოდ, გაეგრძელებინა ა. კალანდაძის მიერ 1936 წელს დაწყებული მუშაობა ზუგდიდის რაიონში ძველი და ახალი ქვის ხანის მატერიალური კულტურის ნაშთების შესწავლის დარგში, ხოლო კონკრეტულად,—ნაჩვენები წლის განმავლობაში ჩატარებულ არქეოლოგიურ დაზვერვათა შედეგების და ახლად წარმოებული გათხრების საფუძველზე დაედარებინა ანდა უარეყო ნეოლითის დროის პირველყოფილი ადამიანის სადგომის არსებობა ამიერ რაიონის სოფ. ოდიშში.

აქ მოხსენებული პიროვნება მეცნ. აკად. ანთროპოლოგიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, აგრეთვე ნ. მარის სახ. მატერიალური კულტურის ისტორიის სახელმწიფო აკადემიის მიერ (რომლის ასპირანტადაც ის ითვლებოდა), 1936 წლის ზაფხულში მივლინებული იყო გურია-სამეგრელოში პალეოლითის დაზვერვითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე.

როგორც ჩანს, მივლინება თემატიკურად ვიწრო სპეციალური იყო; მისი მოქმედების არე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებით იყო განსაზღვრული და თავისი ძიების გზაზე ემყარებოდა აწ უკვე ფაქტად ქცეულ, ხოლო მაშინ ჯერ კიდევ საეგებისო, მოსაზრებას გურია-სამეგრელოში პალეოლოთური ნაშთების გავრცელების შესახებ. აფხაზეთში ის-ის იყო 2-3 წლის მუშაობის შედეგად დადებითად გადაწყდა პალეოლითში აფხაზეთის ტერიტორიის დასახლებულობის საკითხი². ბუნებრივია, დაისვა საკითხი ანალოგიური მუშაობის

¹ ტექნიკური მიზეზების გამო ეს ანგარიში ვერ დაიბეჭდა ენიშის „მომხმის“ II ტომის 3-ე ნაკვეთში.

² იხ. С. Н. З а м я т и н, Палеолит Абхазии, Труды Института Абхазской культуры, выпуск X. Сухуми, 1937.

В. И. Г р о м о в, Некоторые итоги полезных исследований по палеолиту СССР в 1935 г. Сов. археол. № 2, М. Л. 1936. 189—199.

ჩატარების შესახებ უფრო სამხრეთ რაიონებში. ასეთი მუშაობა, როგორც ითქვა, ჩატარდა ნაწილობრივ გურიისში, უმეტესად კი სამეგრელოში, მდ. ენგურის მარცხენა მხარეზე.

მდ. ენგურის მარცხენა ნაპირის უძველეს და იმავე დროს უმაღლეს ტერასაზე, რომელიც, გეოლოგების დასკვნით, მინდელის გამყინვარების დროს ეკუთვნის¹, სოფ. ენწერის ძველ ალუვიონურ ნარიყში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ზემოპალეოლითური ნაშთები იქნა აღმოჩენილ-შეგროვებული ადამიანთა სამუშაო იარაღების სახით.

ასეთივე შედეგები გვაქვს სოფ. ლიის, რუხის (ნიკოსია), თვით ზუგდიდის და ოდიშის (ლედგების) მაგალითზე, სადაც იმავე დროის (ზემო პალეოლითის) ნივთიერი კულტურის ნაშთები იქნა აღმოჩენილი.

გარდა ამისა ოდიშის ადგილსამყოფი (местонахождение), პალეოლითის გარდა, კარგად გამოსახული ნეოლითის ნაშთებსაც იძლევა.

ამგვარად, 1936 წელს ჩატარებული მუშაობის წყალობით მარტო ზუგდიდის რაიონში გვაქვს 5 ადგილსამყოფი პალეოლითის დროისა მდ. ენგურის სხვადასხვა დროის ტერასებზე² და ერთი მდიდარი და მრავალ-კომპლექსიანი ადგილსამყოფი ახალი ქვის ხანისა ოდიშში. აქ, აღნიშნულ წელს, პირველყოფილი ადამიანის მრავალრიცხოვანი იარაღები და საყოფაცხოვრებო ნივთები იქნა შეგროვებული³, რომელთა შორის დავასახელებ I პალეოლითიდან: ა) ტრაპეციის მაგვარ, კაეის მიკროლითური ორფერდობა ლამელების განივ კვეთილებს რეტუშირებული არაპარალელური მხარეებით, რომლებიც, უპირველია, გარკვეული სახის იარაღის (მაგ. ნამგლის და მისთანათა) ცალკეულ დეტალებს წარმოადგენს; ბ) კაეისავე ხერხებს მოგრძო ლამელების მკრელ გვერდებზე გაფორმებულს; გ) თავისებურ საჭრისებს მოგრძო ტრაპეციის მოყვანილობისა, დამახასიათებელი სასაჭრისო ნახეთქით და დამაჩლუნგებელი რეტუშით ერთ კუთხეში; დ) საჭრისებს, შუალა, ხიწვიანი და სხვადასხვა ტიპისას; ე) საფხეკებს სხვადასხვა ტიპისას; ვ) ნუკლეუსის მაგვარ მასიურ მკრელ იარაღებს; ზ) კომპრესორებს რეტუშისათვის; თ) ნუკლეუსებს; ი) უამრავ რეტუშირებულ ლამელებს და ანატეკებს და სხვ. II ნეოლითიდან: ა) გახეხილ (отшлифованные) ნაჯახებს; ბ) ხელნაჯახებს; გ) ხელჩაქჩებს; დ) სატეხებს; ე) თოხ-წერაქვის მაგვარ მიწის სამუშაო იარაღებს (мотыгообразные); ვ) დიდი ზომის მიკროლითურ იარაღებს; ზ) იარაღების სახეხ და სალეს ინსტრუმენტებს; თ) ფილაქტებს (пестики); ი) ხელწისქვილის ქვებს (жернова); კ) გრდემლებს, დამტვრეულ იარაღთა უამრავ ნაწილებს, წარმოების ნარჩენს და სხვა მრავალს⁴.

¹ Б. Ф. Мефферт, Геологические исследования в Мингрелии, Труды Гл. Геологического Разведочного Управ. ВСНХ СССР, вып. 64, М.-Лингр, 1931 г.

² ენწერის ადგილსამყოფი, როგორც ითქვა, მოთავსებულია მინდელის ტერასაზე, ლიის და ზუგდიდის—რისისაზე, ხოლო რუხი კი—ვეზურშის ტერასაზე.

³ ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას იმიტომ, რომ ყველა ეს ნივთები დედამიწის ზედაპირიდან ანაკრეფი და შეგროვილია და არა საჭირო გათხრების შედეგად მოპოვებული.

⁴ ჩამოთვლილი ნივთები ინახება МАЭ-ს (ლენინგრადშია) წინაისტორიული არქეოლოგიის განყოფილების კოლექციების სარეზერვო ფონდში 5491, 5492 და 5493 ნომრებს ქვეშ.

ცხადია, უბრალო ჩამოთვლაც კი ამ იარაღებისა გარკვევით მიგვითითებს ოდიშის ადგილსამყოფის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, მით უმეტეს ჩვენი ტერიტორიისათვის.

საქირო იყო გარკვეულიყო საკითხი, თუ რამდენ კულტურულ ფენასთან გვაქვს აქ საქმე და აღნიშნული ნაშთები როგორი მორიგეობით განლაგდება არსებული ფენებისა და მიხედვით; უფრო მოკლედ, აუცილებელი იყო ამ ადგილსამყოფის არქეოლოგიური სტრატეგრაფიის დადგენა.

ამ ამოცანის გადაჭრა თავისთავზე აიღო ჩვენი ინსტიტუტის ექსპედიციამ, რომელსაც, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, არავითარი მემკვიდრეობა ქვის ხანის კვლევა-ძიებისა ამ ტერიტორიაზე, გარდა 1936 წელს წარმოებულ დაზვერვითი სამუშაოსი, არ გააჩნდა.

ზუგდიდის არქეოლოგიური ექსპედიცია შეუდგა გათხრით სამუშაოებს ოდიშის ზეგანზე 1937 წლის 24 ნოემბერს.

სოფ. ოდიში, რომელსაც ძველად ლედგებიას ანუ დგებუაძეების სოფელს ეძახდნენ, საკმაოდ დიდი და ამდენადვე ლამაზი სოფელია. სახელწოდება ოდიში მას მიეცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ის მდებარეობს ქ. ზუგდიდიდან 6 კილომეტრის მანძილზე ჩრდ.-აღმოსავლეთით, მდ. ჯუმის მარჯვენა ნაპირის შემალგებაზე. თვით ადგილი, სადაც გათხრები იქნა წარმოებულნი, ამ სოფლის ბოლოზეა, ესაზღვრება სოფ. კორცხელს, და წარმოადგენს საესკებით თავსწორ მთაგანს თუ ზეგანს („პლატო“), რომელიც აღმოსავლეთ და სამხ.-აღმოსავლ. მხრით დიდი დაცემის კუთხით მსწრაფლ ეშვება მდ. ჯუმის დაბლობისაკენ, ჩრდილო დასავლეთი მხრიდან იკრავს ყრუ ხევს, ხოლო დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით (ზუგდიდისაკენ) თანდათანობით, დახრის უმნიშვნელო კუთხით, ეშვება და ბოლოს ერწყმის მდ. ენგურის მარცხენა ნაპირის რისის ტერასას. ზეგანის სიმაღლე შ. ზღვის დონიდან 273 მეტრს აღწევს; ჩრდილოეთის განივი $59^{\circ} 30'$ -ია, ხოლო აღმოსავლეთის სიგრძედი $42^{\circ} 30'$ ¹. ფლორა კოლხიდის ზეგნების ლანდშაფტის დამახასიათებელია და მისგან არაფრით არ განსხვავდება. თვით ადგილი ყოველმხრივ გაშლილია, ახლავს კარგი სასმელი მთის წყაროები, ნიადაგი არცთუ მწირია, ხოლო ჰავა ზღვისა და ალპიური მთების ნორმალურ რბილ შეზავებას წარმოადგენს. ყველა ეს ბუნებრივ-კლიმატური მონაცემი ადგილს ათვისებისათვის იმ თავითვე ზედმიწევნით სასარგებლოდ ხდიდა.

ზეგანის მთელი ვარგისი ფართობი დღეს ოდიშის კოლმეურნეობის ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებისთვისაა გამოყენებული. დარჩენილი იყო დაუმუშავებლად მხოლოდ პლატოს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობის გასწვრივ არსებული ვიწრო ზოლი (დაახლოებით ზომით $100,0 \times 8,0$ მეტრზე), რომელიც ღრმა მოხუცების გადმოცემით აგრეთვე იხენებოდა ამ 40—50 წლის წინათ.

¹ იხ. საქ. 5-ვერსიანი რუკა Г 6, აგრეთვე Б. Ф. Мечетер-ის დასახელებულ შრომასთან თანართული სამეგრელოს გეოლოგიური რუკა.

ექსპედიციის 15 დღის მუშაობის შედეგად აქ გათხრილ იქნა 150 კვად. მეტრამდე ფართობი; აგრეთვე ნაშთების გავრცელების საზღვრების გამოსარკვევად გათხრების მთავარი კერის ირგვლივ გათხრილ იქნა 4 შურფი, რის შედეგად აღვილი წარმოსაღვენი შეიქნა ნაშთების განლაგების ლოკალური ხასიათი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ადგილზე ტექნიკური კულტურების და ამისთვის საჭირო მიწის მძრალად მოხვნისა გამო, მთავარი კერა, სადაც, ბუნებრივია, უნდა ვიგულისხმობთ ნაპოვთა ცოტად თუ ბევრად კონცენტრირებული კომპლექსი და შეიძლება საცხოვრებელიც, უკვე განადგურებული და მეცნიერებისათვის საბოლოოდ დაკარგულია. ამიტომ ჩვენ იძულებული ვავხდით დაგვამაყოფილებულიყავით მისი (მთავარი კერის) მხოლოდ პერიფერიით, რომლისგან წარმოშობილი კულტურული ნაშთების მთავარი მანკი, საქმის ასეთი ვითარებისა გამო, მათ ცალმხრივობაში მდგომარეობს; ასე, მაგალითად, ჩვენ არა გვაქვს მონაცემები ანთროპოლოგიური, არც პალეონთოლოგიური ხასიათისა, არაფერი შემონახულა აგრეთვე ნეოლითის დროის თავისებური საცხოვრებელი კომპლექსიდან, რის გამოც ჩვენ ძალიან შებოქილი ვართ ცოტად თუ ბევრად თავისუფალ მსჯელობაში და იძულებული ვართ პირველყოფილ ოდიშელთა მატერიალური ცხოვრების განსაზღვრულ მხარეებზე მათი წარმოების იარაღთა და ზოგიერთ საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის დანაშთის მიხედვით ვიმსჯელოთ.

1937 წლის გათხრების საშუალებით მოპოვებულ მასალებს, 1936 წლის მასალებთან ერთად (ესენი მნიშვნელოვნად ავსებენ ერთიმეორეს), ჩვენ ქვის საუკუნის ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთიმეორის მომდევნო პერიოდებს ვაკუთვნებთ, რომლებიც, ტექნიკის პროგრესის თვალსაზრისით, ავტოხთონური მოსახლეობის მატერიალურ ცხოვრებაში მწარმოებელი ძალების იმანენტური განვითარების ორ სხვადასხვა სტადიას შეესაბამება. ეს პერიოდები ვახლავთ პალეოლითი (ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მისი დასასრული, ე. წ. ტარდენუაზის ეპოქა) და ნეოლითი.

უფრო სწორედ, ოდიშის საღვომის სახით, ერთი მხრით, ჩვენ საქმე გვაქვს ე. წ. მეზოლითურ (კავკასიაში პირველად აღმოჩენილ) კულტურასთან, რომელიც მოასწავებს პლეისტოცენის (ძვ. მეოთხეულის) დასასრულს და თავისი მიკროლითური ინვენტარის გაბატონებული მდგომარეობით წარმოადგენს ძველიდან ახალი ქვის ხანაში კანონზომიერ გარდამავალ საფეხურს¹; ხოლო მეორეს

¹ იხ. П. И. Ефименко, Дорожное общество, изв. ГАИМК, вып. 79, 1934 წ. М.-Лен.-град.

Г. Обермайер, Доисторический человек, т. I, СПб, 1913 წ. გვ. 242—253.

Г. и А. де Мортилье, Доисторическая жизнь, СПб, 1903 წ.

H. Breuil, Les subdivisions paleolithique supérieur et leur signification; Congr. Intern. prehist., Geneve, 1912, გვ. 165—238

R. Schmidt, Die Grundlagen für die Diluvialchronologie und paläoethnologie Westeuropas, Z. F. Ethn. 1911 წ. გვ. 945 და შემდეგი.

Déchelette, J. Manuel d'archéologie préhistorique, celtique et gallo-romaine, Archéologie préhistorique, Paris, 1925 წ.

В. А. Городцов, Археология, т. I, Каменный период, Госу. изд-ство, М.—Лягрд, 1923 წ. გვ. 303—396.

შხრით — ახალი ქვის ხანის ნაშთებთან სამუშაო იარაღთა განვითარებული ფორმებით, რომელთა ფიქსირება აგრეთვე პირველად ხდება ამიერ-კავკასიის მატერიკალური კულტურის განვითარების ისტორიაში.

მეზოლითის განეკუთვნება აქ მოპოვებული კაჟის ინვენტარის უმრავლესობა, რომელთა შორის დომინირებულ მნიშვნელობას იძენს გეომეტრიული მოხაზულობის მიკროლითური იარაღები და მათი ცალკეული ნაწილები¹.

არ შეეჩერდებით აქ წარმოდგენილ ზოგიერთ იარაღთა დახასიათებაზე; ჩამდენიმე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ მოპოვებული კომპლექსის წამყვან ფორმებზე, რომელთა შორის პირველი ადგილი ტრაპეციის მაგვარ მიკროლითებს უჭირავთ; ესენი წარმოადგენენ მიკროლითური ლამელების განივ კვეთილებს (сечения микролитических пластинок) ტრაპეციის ან ქვეტრაპეციის, იშვიათად კი სამკუთხედის ფორმისა; მათი უმეტესობა გაფორმებულია ორფერდა (двускатное) ლამელების განივ კვეთილზე; იშვიათად გვხვდება სამ, და მით უმეტეს, ოთხფერდობიანი კვეთილები ლამელებისა. ტრაპეციის არაპარალელური მხარეები (გვერდები), გამონაკლისის გარეშე, როგორც წესი, ატარებს სუფთა ბეჯით რეტუსს, რომელიც უფრო მაღალი და შეწეულია ლამელის წიბოს დასწვრივ. ამიტომ ეს არაპარალელური გვერდები იშვიათად წარმოადგენენ სწორ ხაზს — ისინი შუა ნაწილით დროდადრო შესამჩნევად არიან შეწეული ტრაპეციის შიგნით; მათ არ გააჩნიათ ამონატკეცები (вышерезины), რომ გვეპოვნა კვალი იარაღის ამ ნაწილით გამოყენებისა; დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს მხარეები საგანგებოდ არის დაჩლუნგებული; ისინი უფრო გრძელია, ვიდრე პარალელურნი; ეს უკანასკნელნი ძალიან გათხელებულნი და ამიტომ საკმაოდ მკრელნი არიან; რეტუსში მათ არა აქვთ; სამაგიეროდ მათზე შესამჩნევია ადგილ-ადგილ ამონატკეცები, რომლებიც, ყოველ ეჭვს გარეშეა. მიღებულია მათი მაგარ მასალაზე ხმარება-გამოყენების შედეგად. ასევე მზრუნველობითაა დამუშავებული სეგმენტის მაგვარი მიკროლითებიც, რომელთა რკალი დამაჩლუნგებელი რეტუსითაა დამუშავებული, ხოლო ქორდა ძალიან გათხელებულ, მკვეთავ სამუშაო პირს წარმოადგენს. ეს საგნები წარმოადგენენ არა დამოუკიდებელ იარაღებს (ამისთვის ისინი ძალიან მინიატურულნი არიან), არამედ უკანასკნელთა ცალკეულ დეტალებს, ნაწილებს, მათ აღკაზმულობას (оснащение); ასე მაგ., იმათ თავბოლოშექცევით და რეტუსირებული ნაწილების ერთიმეორეზე თანმიყოლებით ჩასდებდნენ ხოლმე ხის, ძვლის ან სხვა რაიმე მასალის საამისოდ გვერდებ ამოღარულ ჩარჩოში, გაამაგრებდნენ მასში ფისით, კუპრით. ან სხვა რომელიმე შემაკავშირებელი მასალით და ასე ამგვარად აღწევდნენ მშვილდისრის წვერის, დანის ხერხის და სხვა მსგავსი იარაღების სრული სახის მიღებას². სწორედ ამის გამო სათანადო ლიტერატურაში მათ აღსა-

¹ იხ. A. de Mortillet, Les petites silex taillés à contours géométrique, trouvés en Europe, Asie et Afrique, Revue mensuelle de L'école d'anthropologie de Paris, sixième année, XI—15/XI, 1896 წ.

² იხ. С. Н. Бибииков, Предварительный отчет о работе Крымской экспедиции 1935 г., Советская археология, № 1, изд. АН СССР, М.-Ленинград, 1936. стр. 195—212 აგრეთვე Leakey L. S. B. The Stone Age Cultures of Kenya Colony, Cambridge Univ. Press. 1931 წ. XIII.

ნიშნავად განმტკიცდა სახელწოდება: იარაღის აღსაკაზმავი სადები ანუ ჩასართი (вкладыши для оснащения орудий).

ამავე სერიას მიეკუთვნება tranchet-ის ტიპის მინიატურული ეგზემპლარები, შავი გამჭვივრვალე ობსიდიანისაგან გაკეთებულნი, რომელთაც ერთი (ზურგის) მხარე თანამიმდევრობითი მცოცავი რეტუსით (ползучая ретушь) აქვთ გაფორმებული; თეორეტულად ეს სახეებიც იარაღთა დეტალებს უნდა წარმოადგენდნენ, ხოლო თუ როგორი იყო მათი პრაქტიკული გამოყენება, ეს ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება.

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი სერია მეზოლითისათვის ფრიად დამახასიათებელი საკრისებისა, რომლებიც ფორმით იმავე, მხოლოდ მოგრძო ტრაპეციებს მოგვაგონებს; ლამელას ორივე ბოლოს, უფრო ხშირად ერთს, აქვს განივი წმინდა რეტუსი, ხოლო გვერდზე კი ჩვეულებრივი სიგრძივი სასაპრისო ნახეთქი (резцовый скол). საკრისების გაფორმების ასეთი ხერხი ყველაზე მეტად ამ პერიოდში იყო გავრცელებული.

ოდიშის მეზოლითისავე კოლექციას ეკუთვნის პატარა ზომის საგულდაგულად შესრულებული სხვადასხვა ტიპის საფხეკები, კაეისა და ობსიდიანისა. ამავე მასალის წვრილი სახვრეტები, კომპრესორები, ნუკლეუსები, როგორც პრიზმისებური, ისე კონუსისებური, უამრავი წვეტანები, ლამელები თავ-გვერდებრეტუსირებული, როგორც მიკროლითური, ისე დიდი ზომისა და მრავალი სხვა სახეები, რომელთა ადგილობრივი წარმოება არაერთად დავას არ იწვევს. ყველა ეს ერთად აღებული წარმოადგენს ერთიან, მონოლითურ კომპლექსს—შინაგანი კავშირით ურთიერთზე მკიდროდ დამოკიდებულს—სამეურნეო შეიარაღებას იმდროინდელი ადამიანისას.

ამ მხრივ ოდიშის მეზოლითური სადგომი ენათესავენა ხმელთაშუაზღვის პროვინციის¹, მცირე აზიის და აგრეთვე ყირიმის ანალოგიურ სადგომებს (შან-კობა, ფატმაკობა და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სადგომი უკანასკნელებზე გაცილებით ღარიბია (მას არ გააჩნია არაერთარი პალეო-ანთროპოლოგიური, პალეონთოლოგიური, ყოფაცხოვრების, ხელოვნების და სხვა მონაცემები), ეს ნათესაობა და კულტურის ერთიანობა მაინც საკმაოდ მტკიცე ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტორის ერთგვარობის წყალობით, როგორსაც წარმოების საშუალებათა წარმოება შეადგენს.

ოდიშის ნეოლითური მოსახლეობის იარაღებიდან დავასახელებთ: ა) ქვის ბეჯითად გახეხილ-გაპრიალებულ ნაჯახებს, როგორც მასიურნი, ოდნავ მომრგვალებული ყუით, ისე ვიწრო ყუით და ფართო, ნახევრად ოვალური ფორმის სამუშაო პირით; მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ქარბი მუქი მწვანე ფერის რიყის ქვის მასალისაგან გაკეთებულ, შუაში ყუა-გახვრეტალ კომბინირებულ იარაღებს (გვაქვს მხოლოდ ორი იარაღის თითო ფრაგმენტი), რომლებზედაც დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათ ერთ ბოლოზე ნაჯახი უნდა ყოფილიყო გამოყვანილი (ეს უდავოდ), ხოლო მეორე მხარეზე შეიძლება ჩაქუჩი

¹ ხმელთაშუაზღვის და ატლანტიკის პროვინციის გამოყოფა-დადგენის შესახებ იხ. პ. ბროლის ზემოთდასახელებული წიგნი.

ანდა წერაქვის მაგვარი პატარა იარაღი; ბ) ვიწრო ყუიან, ორ მხრივ ამობურთულ, მასიურ, კარგად გახეხილ სატეხებს; აგრეთვე პატარა ზომის, მოგრძო ტრაპეციის მაგვარ სატეხებს—მკერივი ქვიშაქვისაგან გაკეთებულებს; გ) Pic-ის ტიპის იარაღებს, რომლებიც ფორმით წერაქვს მოგვაგონებს; დ) ხელჩაქურებს (отбойники), ე) სახნისის ფორმის მიწის სამუშაო იარაღებს დამახასიათებელი ფრთებით, ტანით და გრძელი ოვალური სამუშაო პირით; ვ) ხელნაჯახებს (ручные рубила) Coup de poing-ის ტიპისა, კაფისაგან გაკეთებულს; ზ) დიდი ზომის მაკროლითურ იარაღებს; აგრეთვე ნაჯახებისა და სხვა იარაღების სამუშაო პირების ასალესად გამოყენებულ მკერივ ქვიშაქვებს (песчаники), დიორიტის გრდემლებს, ფილთაქვებს (100-მდე ეგზემპ.), ხელის წისკვილის ქვებს და მრავალ სხვას, რომლებიც ესოდენ უხვად მოიპოვება ამ სადგომზე. ამას თუ დაუმატებთ წარმოებაში გაფუჭებულს, აგრეთვე დაუშთავრებელ იარაღებს, ანატექც-ანამტერევებსა და წარმოების უამრავ ნარჩენს, ჩვენს წინ წარმოსდგება საკმაო შესაძლებლობის მქონე სახელოსნო, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასრულებდა თავის დანიშნულებას.

პირველყოფილი ოდიშის ნივთიერი კულტურის ნაშთებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველს, უდავოდ ნეოლითურ კერამიკას. მართალია, ასეთი რიგის ნაპოვნთა რიცხვი ძალიან მცირეა, და რაც არის, ისიც უკიდურეს ფრაგმენტულ მდგომარეობაშია, რის გამოც მისი რესტავრაცია თითქმის შეუძლებლად მიგვაჩნია, მაგრამ ცოტა რისიმე გავება მაინც შეიძლება; ასე, მაგ., ნაპოვნია ძირის ფრაგმენტები, რომლებიც ჭურჭლის ბრტყელ ფსკერზე მიგვიოთთებენ; თიხის ჭურჭელთა უმეტესობა, თუ მთლიანად არა, უყურო უნდა ყოფილიყო, რის მაგივრად მათ ყურის მხოლოდ ჩანასახი (ოდნავ შესამჩნევი მორჩების სახით) გააჩნიათ. ჭურჭლის ფრაგმენტებს (და, მაშასადამე, მთლიან ჭურჭელსაც) არა აქვთ გადმოკეცილი პირი (венчик) რის გამოც მათი კიდე არაფრით არ განსხვავდება გვერდის, კედლის ნაწილებისაგან. თიხა ზედმიწევნით სუსტი გამოწვის ნიშნებს ატარებს,—რაც მისი ცუდი შემონახულობის ერთ-ერთი მიზეზია; სიმაგრის გულისათვის თიხაში გარეულია რომელიღაც ბრჭყვიალა დაქუცმაცებული ნივთიერება (შეიძლება დანაყილი ობსიდიანი ან კიდევ ქარსი). ორნამენტი საკმაოდ პრიმიტიულია: ჭურჭლის კიდეზე აღმაცერად დასმული ხშირი კბილანები (зубчатый орнамент); გარეთა კედლებზე ექვატორის ზემოდან ურთიერთშორის პარალელური წყვეტილი ტეხილი ხაზები, ზოგჯერ ტალღისებური ხაზები, იშვიათად ზიგზაგი. უქვევლია, ორნამენტი დასმულია იმ წამსვე, ჭურჭლის გაფორმებისას, ვინემ თიხა გასრებოდა.

ხსენებული სამუშაო იარაღების და საყოფაცხოვრებო ნივთების დაწვრილებითი დახასიათება და მათი ფუნქციის გამორკვევა რომ განზე დავტოვოთ, მარტო მათი ჩამოთვლა არის საკმარისი დასკვნისათვის, რომ ოდიშის ნეოლითის დროის სადგომის მკვიდრთ საკმაოდ განვითარებული სამეურნეო კულტურა ჰქონიათ, რომელშიაც პირველ ადგილზე უცილობლად მიწათმოქმედება ყოფილა დაყენებული (ფილთაქვების, ხელის წისკვილის ქვების, მიწის სამუშაო

იარაღების და სხვათა პოვნის ფაქტი). გარდა ამისა კერამიკული ნაწარმის პირველი ნიშნები მეჯოგეობაზეც შეიძლება მიგვიჩვენებდეს.

ჩვენ ზევით მკაცრად გავმიჯნეთ ერთიმეორისაგან ოდიშის ერთი და იმავე სადგომის მეზოლითური და ნეოლითური კულტურები, რისთვისაც დავეყვარეთ იარაღის მორფოლოგიისა და ტიპოლოგიის თვალსაზრისზე დადგომით. დასკვნების მეტი სიმტკიცისათვის, გარდა ამ ცალმხრივი და მითმანკიერი თვალსაზრისისა, საჭირო იყო დამაჯერებელი სტრატиграფიული მომენტის მოშველება. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი აბსოლუტურად დამაჯერებელი სტრატиграფიული საბუთების უქონლობა ჩვენ რამდენიმედ გვბოჭავს ძველის შედარებითი დათარიღების საკითხში. მიუხედავად ამისა, საქმის ფაქტორი ვითარების სწორად გაშუქების მიზნით, ჩვენ ვალდებული ვართ აღვნიშნოთ შემდეგი:

თუ გათხრების კრილებს (პროფილებს) დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პირველი ფენა, კორდიანი შრე (дерновой глине) 4-5 სანტიმეტრის სიმძლავრით, კულტურულ ნაშთებს თითქმის არ შეიცავს;

მეორე ფენა—მსხვილმარცვლოვანი შავნიდაგიანი ფენა, დამუშავებული (მძრალად ხვნის შედეგად) ნაშალი მიწა 0,40-0,45 მეტრის სიმძლ., შეიცავს ნაპოვნთა უმეტესობას, როგორც მეზოლითის, ისე ნეოლითის ნაშთებისას, ერთიმეორეში არეულს, ისე რომ მათი გამყოფი, გამაცალკეებელი შრე (თუ ოდესმე ასეთი არსებობდა) არ იყო შესამჩნევი.

ამის შემდეგ, უფრო ღრმად მიდის კულტურული ნაშთებისაგან თავისუფალი, დიდი სიმძლავრის ფენა წითელი თიხისა (ლატერიტი?). ზოგიერთი ნაშთები თუ ეხება მხოლოდ ამ უკანასკნელი ფენის ზემო ნაწილს. მაშასადამე, რიგით მეორე ფენა იძლევა ძირითადად ორივე კულტურის ნაშთებს; მაგრამ მაშინ, როდესაც ნეოლითური ნაშთები ვრცელდება მის ცენტრალურ და ზემო ნაწილში, მეზოლითის მიკროლითური ინვენტარი იქერს ამ ფენის ქვედა პორიზონტს და ადვილად აღწევს ლატერიტის ზემო პორიზონტამდეც კი. მართლაც ძნელი დასაჯერებელია ტიპიური მიკროლითური იარაღებისა და შედარებით განვითარებული კერამიკული ნაწარმის თანარსებობა. ამ მოსაზრების დასარღვევად არ კმარა იმის აღნიშვნა, რომ ამ, უპიკველად სხვადასხვა დროის კულტურის ნაშთებს, არ ჰყოფს ერთიმეორისაგან ცოტად თუ ბევრად მძლავრი შრე. ეს გარემოება უწინარეს ყოვლისა მიგვიჩვენებდა იმაზე, რომ აქ პლეისტოცენის გოლოცენით შეცვლა ალბათ არ იყო დაკავშირებული ღრმა ტექტონიკურ და დენუდაციურ მოვლენებთან. ალბათ ჩვენთვის საინტერესოა სამეგრელოს გეოგრაფიულ ფაციის არ განუცდია კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისთვის ჩვეული გამყინვარების პერიოდების მძაფრი მოქმედება. მით უფრო საეჭვოა ვაქციის გამყინვარების გავლენის ვარაუდი, რომელიც თავისი სუსტი დიაპაზონით გაცილებით ჩამორჩება წინამოხვალ გამყინვარებათა პერიოდებს. ამიტომაც, რომ ხელსაყრელ გეოგრაფიულ ზონაში მოქცეულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნების მიერ განვითარებულ ამიერ-კავკასიის „წინა ისტორიულ“ მატერიალურ კულტურას, ჩრდილოეთის

ქვეყნების მატერიალური კულტურისაგან განსხვავებით, წინსვლის გაცილებით სწრაფი ნაბიჯები ახასიათებს, ანუ, სხვანაირად, ერთი და იმავე კულტურის წარმოშობა-განვითარებისათვის ამიერ-კავკასიას გაცილებით ნაკლები დრო სჭირდებოდა, ვიდრე ზემოხსენებულ ქვეყნებს. შეიძლება ამით აიხსნებოდეს საქართველოს პალეოლითის შედარებით მოკლე გზა დას. ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი რაიონების სინქრონული მოვლენების ზანგრძლივი განვითარების ფონზე. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს, რამდენადაც შეიძლება მსჯელობა ერთი სადგომის მიხედვით, სამეგრელოს ნეოლითის მაგალითზე, სადაც ჩვენ მოწმე ვართ ერთ ფენაში, ერთი მეორის გვერდით, ამ კულტურის პირვანდელი და განვითარებული ფორმებისა.

25.III.38 წ.

ტფილისი.

არმაზის არქეოლოგიური ექსპედიცია 1938 წელს

(ინფორმაციული ცნობა)

1937 წელს ჩატარებულმა გათხრებმა არმაზში ფართო საწყისი მისცა შთელი მცხეთის რაიონის—საქართველოს უძველესი კულტურული ცენტრის, მისი დედაქალაქის—არქეოლოგიურად შესწავლის მეტად საჭირო და საპატიო საქმეს. საკმარისია მოვიგონოთ ჩვენი ინსტიტუტის იმავე არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის 1938 წლის კამპანია და მცხეთა-სამთავროს სამარხების გათხრები, რომელსაც ესოდენ დიდი დიაპაზონი მიეცა მეცნიერებაში ჩვენი კულტურული წარსულის შესახებ.

არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937 წლის მოღვაწეობაზე თავის დროზე ნათქვამი იყო ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბექდვიტის ორგანოში¹; ამ ჯერად ჩვენს მიზანს შეადგენს დაინტერესებულთა ყურადღება შევაჩეროთ ხსენებული ექსპედიციის მიერ 1938 წელს ჩატარებულ მუშაობაზე.

არმაზის მიდამოებში დაწყებულ კვლევა-ძიებას, უნდა ითქვას, კარგი ბედი ერგო, რაც, სამწუხაროდ, არ სწყალობს ჩვენში არსებულ არქეოლოგიურ ობიექტებს. ხშირად გვაქვს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთდროულად ხელს ვკიდებთ რამდენიმე ობიექტის შესწავლას, რის გამოც გვიხდება ყურადღების გაფანტვა, რიცხოვრივი მაჩვენებლებისათვის გამოკიდება, მატერიალური და სულიერი ძალების დაქსაქსვა და სხვ. ამის შედეგია ის რომ დღეისთვის ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე არქეოლოგიური ობიექტის გათხრა დაწყებული, მხოლოდ არც ერთი კი დამთავრებული არ არის.

რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საქმის ასეთი დაყენება ინტერესს უკარგავს, სიახლეს და სრულყოფილობას ართმევს წიადში არსებულ და საკვლევად გამიზნულ ნივთიერ ძეგლებს, ამავე დროს ის ჩვენს მცირე ძალებს საკვლევო საგნისადმი არასერიოზულ მიდგომას, საკითხების ბოლომდე მოუფიქრებლობას და ნაადრევ დასკვნებს აჩვენებს და, მაშასადამე, საბჭოთა მეცნიერისათვის შეუფერებელ, მავნე ტრადიციას უწერავს.

უთუოდ ფრიად კარგი საქმე გააკეთა ინსტიტუტმა, როდესაც ის ასე გულმოდგინედ შეუდგა მცხეთის რაიონის ისტორიამდელი და ისტორიული წარსულის შესწავლას.

¹ იხ. აკად. ნ. მარის სახ. ენიშკის მოამბე, ტფ., 1937 წ. ტ. II, ნაკვ. 3, გვ. 365—400.

მთელი ამ მუშაობის ფონზე რელიგიურად ინაკეთება არმაზის ორი არქეოლოგიური კამპანია (1937 და 1938 წწ.) და მათი მეტად ხელშესახები შედეგები.

არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობა 1938 წელს ასეთი იყო:

1. ალ. კალანდაძე, ენიმკი-ს მეც. თანამშრ., ექსპედ. ხელმძღვანელი;

2. გ. ლომთათიძე—ამავე ინსტიტუტის ასპირანტი;

3. ირ. ქავთარაძე—ხელშეკრულებით მომუშავე არქიტექტორი;

4. ი. პახომოვი—ხელშეკრულებით მომუშავე ფოტოგრაფი, აწ უკვე ენიმკი-ს თანამშრომელი და

5. ნ. ლაშაშვიძე—ტოპოგრაფი, გარიგებით მომუშავე.

გარდა ამისა ინსტიტუტის მიერ ექსპედიციაში მოკლე ვადით მივლინებული იყო ნ. ხოშტარია.

ექსპედიცია გაემგზავრა სამუშაოთა ადგილზე 1938 წლის 15 ივლისს და დაპყო იქ იმავე წლის 21 სექტემბრამდე.

თავისი მუშაობის მიზანს ექსპედიცია შემდეგნაირად განსაზღვრავდა:

1. საბაზანო ნაგებობის გათხრების დასრულება;

2. იმ სამარხი-ქვაყუთების გათხრა, რომლებიც აბანოს გათხრების რაიონში გვხვდება და

3. სარეკონსაცირებო სამუშაოების წარმოება მცხეთა-არმაზის რაიონში ნივთიერი კულტურის ჯერ უცნობი ძეგლების რეგისტრაციისა და წინასწარი აღწერის მიზნით.

როგორც უწინ გვქონდა აღნიშნული (იხ. იგივე მოამბე, გვ. 371) 1937 წ. აღნიშნული ნაგებობის მხოლოდ ნაწილის, დაახლ. ნახევარზე ცოტა მეტის, გათხრა მოესწრო; მისი მეორე ნახევარი (აღმოსავლეთი ნაწილი)—არა ნაკლებ საინტერესო თავისი გეგმით და დანიშნულებით, წელს გაითხრა.

ვინაიდან არმაზის აბანოს შესახებ 1937 და 1938 წლ. გათხრების მიხედვით ჩვენ მიერ სპეციალური შრომა მზადდება, ამიტომ მის შესახებ აქ სიტყვას აღარ განვაერთებთ; გაკვრით აღენიშნავთ მხოლოდ შემდეგს.

წელს დაეასრულეთ:

1. იატაკქვეშა გათხრების მეორე განყოფილების სათავსოს (помещение подпольного отопления, კალორიფერის),

2. აუზიანი (საკუთრივ აბაზანიანი) სათავსოს,

3. ერთერთი დამხმარე ხასიათის სათავსოს და


4. ნაგებობის აღმოსავლეთი საზღვრითი კედლების გათხრა-გამოვლინება.

ამით დასრულდა შენობის გათხრა; მას სჭირდება მხოლოდ გადახურვა და შეძლებისდაგვარი ფრთხილი რესტავრაცია იმ დეტალებისა, რომლებიც მეტად არის დაზიანებული და რომელთა აღდგენაც არსებული კონსტრუქციის დაცვით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

აბანოს საველე არქეოლოგიური შესწავლა რომ დასრულდეს, საჭიროა წყალმომყვანი მილგაყვანილობის მიმართულების, მისი სათავისა და წყაროს ძიება და შესწავლა.

რამდენიმე სიტყვა თვით სათავსოების შესახებ.

1. დამხმარე სათავსოდან შემონახულია მხოლოდ დასავლეთი და სამხრეთი კედლები და აღმოს. კედლის ნაწილი; უკანასკნელის ნაწილი და ჩრდილო კედელი კი დანგრეულია ნაგებობის ჩრდილო აღმოს. ნაწილის ნამეტნავად დაზიანებისა გამო. შემონახული კედლების სიმაღლე გვიჩვენებს, რომ ეს ოთახი ზემო იარუსს ეკუთვნოდა და აუზიან სათავსოს ესაზღვრებოდა აღმოსავლეთიდან. მის



გათარების საერთო ხედი მაღლობიდან

სამხრეთ დასავლ. კუთხეში კედლებზე ფერადი ლესილის ცალკეული კერებია შენარჩუნებული; მისი დანიშნულების გარკვევა შედარებითი შესწავლის მეოხებით იქნება შესაძლებელი. სხვათა შორის ამ ოთახის საგულვებელი იატაკის ქვეშ SW კუთხეში აუზიდან გამომავალი წყალსაგდები მილების სათვალთვლო არის მოწყობილი; ეს გარემოებაც ამტკიცებს რომ მას ქვედა იარუსი არ ჰქონია.

2. კალორიფერის მეორე განყოფილება სწორედ ისეთივეა, როგორიც პირველი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის ძალიან დაზიანებულია; იატაკი, ცხელი პაერის სამოძრაო არხები, ჩრდილო კედლის აფსიდა და სხვა, ყველა დანგრეული იყო, არც ლესილი იყო შემონახული. მხოლოდ მრგვალი და უფრო მეტად ოთხკუთხი აგურებისაგან შემდგარი სვეტები თავიანთ ნახევარ სიმაღლით იყვნენ დაცულნი. მათი განწყობა აქაც ისეთივეა, როგორც პირველ განყოფილებაში. იატაკი აქაც მზრუნველობით დატკეპნილი კირნარევი მიწის მთლიანი

მასისაგან შესდგება. SO და NO კუთხეებში ოთახს საკვამლე სავენტილაციო თიხის მილები აქვთ დატანებული.

3. ეხლახან მოხსენებულ სათავსო აღმოსავლეთის მხრით ჩვეულებრივი გასავლით უერთდება საკმარის მოზრდილ სათავსოს, რომლის სამხრეთ ნაწილში ფერადი ჰიდრაულიკური ხსნარით შეღესილი მოზრდილი აუზია გამართული.

აუზის იატაკი, ასეთივე ჰიდრაულიკური ხსნარით მოსხმული, ოდნავ ეშვება აღმოსავლეთისკენ, სადაც NO და SO კუთხეებში წყალსაგდები თიხის მილებია ჩართული; უკანასკნელნი, გაივლიან რა 1,25 მეტრის სისქის კედელს, ჩაიღან ლარისებრი კრამიტებისაგან გამართულ არხში, რომელიც თავის მხრივ, გასდევს რა ამ სათავსოს აღმოს. კედლის ფუნდამენტს, ეშვება ფერდში. აუზს სამი მხრიდან დაჰყურებს ნიშნები: O და W მხრიდან ნახევარწრიული, ხოლო S მხრიდან სწორკუთხოვანი ფორმისა; მას შიგ ჩასავალი საფეხურებიც აქვს.

ამ სათავსოს ჩრდილო ნაწილი ღორღითა და დატეხილ-დამტკრეული ქვებით იყო ავსებული. საფიქრებელია, რომ ეს ღონისძიება მიწისქვეშა სინესტის გადასალახავად იყო მიღებული.


ამ უკანასკნელი სათავსოს აღმოჩენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი ნაგებობის დანიშნულების გარკვევის საკითხში.

უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ნაგებობის გათხრისას ვხვდებოდით თიხის სუსტად გამოშვარ გორახებს (жужелицы) და იშვიათად კერამიკული წარმოების წუნსაც; ზოგჯერ წიდაც გვხვდებოდა.

ეს გარემოება საკმარისი შეიქნა იმისათვის, რომ ეჭვი შეეტანათ ნაგებობის, როგორც აბანოს ფუნქციაში, და მიეღოთ ის როგორც, ვთქვათ, კერამიკული წარმოების სახელოსნო¹. მაგრამ შენობის საერთო გეგმარებამ, მისმა სახუროთმოძღვრო გამიზნულობამ, აგრეთვე მისი ცალკეული ნაწილების ფუნქციის სიცხადემ აშკარად და საბოლოოდ განსაზღვრა არმაზის ნაგებობის დანიშნულება და პროფილი, როგორც საბაზანე ნაგებობისა. კიდევ მეტი; ჩვენი შენობა მსგავს შენობათა იმ რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს (მოსაზრება ჯერჯერობით პრობლემატურია), რომლებიც სამკურნალო აბანოების სახელით არის ცნობილი. მართალია, ამ უკანასკნელი მოსაზრების გასამაგრებლად ჩვენ ჯერჯერობით უცილობელი, ხელშესახები საბუთი არ გვაქვს; მაგრამ სამაგიეროდ აქ არსებული მიღგაყვანილობის სისტემაში ერთი ისეთი ხასიათის ტექნიკური მონაცემი გვაქვს, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ აბანო იკვებებოდა არა მარტო უბრალო წყლით, არამედ სამკურნალო თვისებით აღტურვილი რომელიმე მინერალური

¹ თიხის ტურკულულობის წარმოებასთან დაკავშირებული ხეობსენებულ დანაშთები, მართალია, სრულებით არ რიცხავს ასეთი წარმოების არსებობას ახლომახლო მიდამოებში; საცხებით შესაძლებელია, რომ ისტორიულ ხანაში აქ, სადმე, ახლოს იყო ასეთი ხასიათის ქარხანა, მით უმეტეს, რომ ამისთვის ადგილზე მოიპოვება საჭირო მონაცემები, როგორცაა კარგი ხარისხის თიხა, ქვიშა, წყალი და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა, როგორც შენობის გათხრის დროს კულტურულ ფენებში აღმოჩენილი, ისე მთელ მიდამოში გავრცელებულ კერამიკულ ნაწარმთა წარმოება. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერ ამას არმაზის აბანოსთან არავითარი პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს. უნდა გიგულისხმოთ, რომ მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ამ მიმართულებით უშედეგოდ არ დარჩებიან.

წყლითაც; ეს საყურადღებო ტექნიკური დეტალი შემდეგში მდგომარეობს: შენობის იმ ნაწილთან, რომელიც სხვა ნაწილებთან შედარებით პირველად იღებდა წყალს, დროთა განმავლობაში დანგრევას გადაურჩა ნილგაყვანილობის ორი სხვადასხვა არტერიის, ორი სხვადასხვა ტრასის ნაშთი, რომლის მიხედვით აშ-



ძვ. სასაფლაო აბანოს გვერდით აღნოს. მხრიდან

კარად ჩანს, რომ თავის დროზე ერთ-ერთ გაყვანილობას უნდა ჰქონოდა მიმართულება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ის თითქმის პერპენდიკულარულად მიედგმის შენობის სამხრეთ კედელს), ე. ი. არმაზის წყლის ხევიდან ნაგებობის მიმართულებით. რაც შეეხება მეორე ტრასას, რომელსაც შენობასთან შერწყმის დამოუკიდებელი წერტილი აქვს და რომელიც წყალს (როგორს?) მიაწოდებდა ზემო იარუსს, მისი მიმართულება რამდენადმე სხვაგვარია, სახელდობრ სამხრეთ აღმოსავლეთიდან—ნაგებობისკენ. ამ მიმართულებას მივყავართ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამართული არმაზ-კარსნის პატარა მთაგრეხილის ჩრდილო კალთებისაკენ. მაგრამ ვერც ადგილობრივ მცხოვრებთა და ვერც თვით ექსპედიციის კვლევადიების მეოხებით, სამწუხაროდ, არმაზის მიდამოებში რაიმეგვარი თვისების მქონე მინერალური წყლის აღმოჩენა ვერ მოხერხდა. შეიძლება ეს გარემოება იმით აიხსნებოდეს რომ არც ადგილობრივი (მცხეთის) მოსახლეობა იცნობდეს ამ ადგილს ამ მხრივ და არც ექსპედიციის კვლევა-ძიება იყოს სრული, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ასეთი თვისების წყალი, უბრალოდ რომ ვთქვათ, სრულენითაც არ იყოს ამ ადგილებში.

ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ეს ორი მიღგაყვანილობა ორი სხვადასხვა თვისების თუ ხარისხის წყლისთვის იყო დანიშნული.

უშუალოდ აბანოს სამხრეთით ეკვრის ძველი სასაფლაო საკმაოდ მრავალრტ-ხოვანი სამარხებით. წელს ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა 32 სამარე—ქვაყუთი. საერთო დატულობა ქვაყუთებისა დამაკმაყოფილებელია. როგორც წესი, ისინი მოთავსებული არიან მიწაში თანამედროვე ნიადაგის ფენის ქვეშ 0,15—0,75 მეტრის სიღრმეზე. მათი აგებულება საკმაოდ მარტივია; ერთნი ოთხი მთლიანი ფლაქეებისაგან ცოტად თუ ბევრად მტკიცედ შეკრულ ოთხკუთხ ნაგებობას წარმოადგენენ, გადახურულს ასეთივე ბრტყელი, მასიფური ფილაქეებით, რიცხვით 2-დან 4-მდე; მეორეთა კედლები კი ჩვეულებრივი ნაგლეჯი ქვიშა ქვების წყობას, ყორეს წარმოადგენს; სახურავი კი პირველთა სახურავებისაგან არაფრით განსხვავდება. ზოგჯერ შერეული ტიპიც გვაქვს: სიგრძივი კედლები ამოყორილია, ხოლო განივი კი (O და W კედლები) მთლიან ფილაქვებს შედგენენ. ადვილი გასარჩევია, რომ ამოყორილი კედლების შემადგენელი ქვები თიხნარევი მიწის (ალიზა მიწის?) ხსნარით არის შეკავშირებული. გარდა ამისა ჩანს, რომ სახურავ ფილაქნებს შორის დარჩენილი გადაულახავი სივრცე-ნახარალები თავის დროზე კირით იყო ამოგოზილი; ამას სამარეში ჩაბნეული კირის ნაწილები და ნახარალებზე დარჩენილი კირის ხსნარის კვალი ამტკიცებს. არც ერთ ქვაყუთს არნახიდან ფილაქნიანი საფუძველი არ აღმოსჩენია¹; სამაგიეროდ ქვაყუთთა უმრავლესობის ფსკერი მოფენილია სუფთა, ფხვიერი თიხნარი მიწის თხელი შრით, რომელიც ჭფარავს ქვალორიანი მიწის უსწორმასწორო ზედაპირს. ეს გარემოებაც მიცვალებულზე ზრუნვის ერთ-ერთ მომენტს შეადგენს².

უმეტესობა ქვაყუთებისა ორიენტირებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (W---O); მხოლოდ იშვიათა შემთხვევები გვაქვს ხსენებული ჩვეული ორიენტაციისაგან გადახვევისა; მაგ., გვაქვს ქვაყუთები, ორიენტირებულნი ჩრდილო დასავლეთ დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთ-აღმოსავლეთისაკენ (NWW—SOO).

ძალიან ხშირად ქვაყუთების შინაგანი სივრცე წყლის მიერ გარედან შემოტანილი ფხვიერი მიწითაა მეტნაკლებად სავსე; გამოწკარისი იშვიათია.

სამარე-ქვაყუთების უმრავლესობის შინაგანი სივრცის საშუალო სიღრმე (1,75×0,80×0,85 მეტრი) თანამედროვე საშუალო სიღრმის მქონე ადამიანთათვის არის გამიზნული. არანაკლებ ხშირია ბავშვთა საფლავეები (9), რომელთა კონსტრუქცია არაფრით არ განსხვავდება ღიღებისაგან.


თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გაძარცვული ქვაყუთები; მათი რიცხვი სულ სამი-ოთხია.

¹ როგორც, მაგალითად, ზაქისისა და სამთავროს ზოგიერთ ქვაყუთებს, რომელთა შორის პირველთ თხელი ფილაქნის საფუძველი აქვთ, მეორეთ კი ბრტყელი კრამიტები ან კედლები თიხის კვადრატული ფორმის, თხელი, დაჩრდობითი და დასავლეთითი ფილაქნებით.

² ხშირად ქვაყუთების საშენებელ მასალად გამოყენებულია ქვები, რომლებიც დაგროვდა ადგილზე დროთა განმავლობაში, აბანოს დანგრევის შემდეგ. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა შენობის შედარებით დათარიღებისათვის. თუ სასაფლაოს დაფუძნება ამ ადგილზე ჩვეულთაღ. V—VI საუკუნე. მაინც ეკუთვნის, დროს ინტერვალად აბანოს გაუქმებასა და სასაფლაოს წარმოშობას შორის ორი-სამი საუკუნე მაინც უნდა მოვიღოთ, რის წყალობით ნაგებობის თარიღი იმავე წელთაღრიცხვის I, II საუკუნეებზე მოდის.

ქვაყუთები საოჯახო საფლავებს წარმოადგენს; ასე, მაგ., 32-დან 13 ქვაყუთში სამ-სამი და მეტი ჩონჩხია მოთავსებული, 12 ქვაყუთში—ორ-ორი, ხოლო 7 ქვაყუთი თითოსთვის არის განკუთვნილი.

როგორც წესი, მიცვალებულნი ორიენტირებულნი არიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ე. ი. თავით დასავლეთისაკენ არიან მიქცეულნი. მართალია,



სასაფლაო და სააბაზანო შენობის ნაწილი გათბრების შემდეგ

ასეთი ორიენტაცია წინაისტორიული დროის სამარხებშიც იცის, მაგრამ, როგორც წესი, ის ქრისტიანულ ხანაში იქცა ასეთად. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვაქვს გამონაკლისი არმაზის საფლავებში, და ისიც მაშინ, როდესაც ერთსადაიმავე ქვაყუთში შეუძლებელი იყო ოჯახის ყველა წევრისთვის დასავლეთით თავის მიქცევა; ასეთ შემთხვევაში ზოგიერთთ, აშკარაა გვიან დასაფლავებულთ, შებრუნებული ორიენტაცია აქვთ. უეჭველია, დამარხვის ასეთი წესი ქრისტიანული სარწმუნოების მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვების შედეგია ძველი საქართველოს იმ კულტურულ-ისტორიულ გარემოში, რომელსაც ქართლი შეიცავდა და რომლის მოსახლეობამ ქართლის უზენაეს ხელისუფლებასთან ერთად ყველაზე ადრე აღიარა აღნიშნული სარწმუნოება. და პოზაც—მიცვალებულთა გაკიმული მდგომარეობა, გულადმა, ზურგზე, ხელები ხშირად გულზე, მუცელზე—დღემდე შემონახული ქრისტიანული წესის მაჩვენებელია¹.

¹ მიცვალებულთა კიდურების პოზაში ერთი შტრიხი ძალიან სიმპტომატურია, ზოგიერთებს მარჯვენა ან მარცხენა ხელი, ერთადერთ შემთხვევაში კი ორივე, მენჯის არეში, თითქოს სასქესო ასოზე აქვს მოთავსებული.

მართალია, ჯერჯერობით ანთროპოლოგიური მასალა და ინდივიდთა სქესი განსაზღვრული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ წყვილჩონჩხიანი ქვაყუთები ცოლქმართა საფლავებს წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება უფრო მეტ ჩონჩხიან საფლავებს, აქ, ცოლქმრის გარდა, მათი ოჯახის წევრები იქნებიან დასაფლავებულნი. მიუხედავად იმისა, რომ ქვაყუთების უმრავლესობაში 2 და მეტი ჩონჩხია, კარგად შენახული და დაცული ხშირად ერთია, ან უკეთეს შემთხვევაში ორი.

საქმის გარემოება დაახლოებით ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პირველ ცხედარს ახალ საფლავში ჩაასვენებდნენ და მოათავსებდნენ ჩვეულებრივ თავით დასაველეთისაკენ, ზურგზე გაკიბულს, პირაღმა. იმისათვის რომ ოჯახის მეორე გარდაცვალებული წევრი დაესაფლავებინათ, საჭირო იყო ცოტად თუ ბევრად თავისუფალი ადგილი პირველი გვამის გვერდით; თუ ასეთი იყო ხომ კარგი, თუ არა და მაშინ ახალი გვამისათვის ადგილის უზრუნველსაყოფად უწინდელ დასაფლავებულს გვერდით მისწევდნენ ხოლმე, რომელიმე კედლის გასწვრივ.

ამიტომაც რომ ის ჩონჩხები, რომლებიც გვერდზე მიწეული და კედლებზე მკიდროდ მიტმასნილია, ცუდად არის შენახული: ძვლები მეტად დაზიანებულია ხანდაზმულობის გამო, ხოლო პირვანდელი პოხაც—გამოცვლილი გადაადგილების შედეგად¹. ზოგჯერ ისეთი სურათიც გვაქვს, როდესაც არათუ ქვაყუთში არსებულ ჩონჩხთა პირვანდელი განლაგება, არამედ მათი რაოდენობის გამოკვეთაც ძნელია—ძვალთა სიჭარბისა და მათი ცუდი შემონახულობის გამო; მაგ., № 11 ქვაყუთში ორ ჩონჩხს გარდა, რომლებიც კარგად განირჩეოდა, ცხრამდე დამტვრეული თავის ქალა იყო, თუმცა არც ერთს შესაბამისი ჩონჩხები უნაკლოდ არ გააჩნდა; უკანასკნელთა ცალკეული ნაწილები სამარის კუთხეებში იყო უწყესრიგოდ მიმობნეული.

ეს გარემოება იმაზე მიგვითითებს, რომ სამარხი-ქვაყუთის აშენება ოჯახის თითოეული წევრისათვის, საგრძნობი სიძვირის გამო, საქმოდ მიძიმე ყოფილა, რის გამოც ერთიდაიგივე ქვაყუთი მთელი ოჯახის წევრთა განსასვენებლად ყოფილა განკუთვნილი.

არმაზის სამარხებში ზოგიერთ ჩონჩხს ხელოვნურად უკან წაგრძელებული, დეფორმირებული თავის ქალა აქვს. ითვლებოდა რა განსაკუთრებულ წასაბამოდ, ეს ჩვეულება გვიანი საშუალო საუკუნეების ხანამდეც კი შემოინახა.

საფლავის ინვენტარი, რომელიც ახლავს მიცვალებულთ, არ განირჩევა თავისი სიმდიდრით.

მიუხედავად ამისა, მისი საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ არქეოლოგიურ ინტერესს იწვევს და ამდენად მისი გათვალისწინება მიუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ძველი საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სამარხი-ქვაყუთების ინვენტარის შესაცნობად.

პირველ ყოვლისა, ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული რომ ინვენტარი წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ სამკაულებით; არც ჭურჭლეულობა (ერთად-

¹ ეს არც თუ ძალიან გულისხმიერი დამოკიდებულება ჭირისუფლებისა თავიანთი ოჯახის გარდაცვალებული წევრების მიმართ, ალბათ, საქმავ ხანდაზმულობით აიხსნება, რომლის განმავლობაში უკანასკნელთა ხსოვნა პირველთა მახსოვრობაში შერყეული იყო.

ერთი გამონაკლისის გარდა), არც საბრძოლო თუ სამუშაო იარაღები, რა სახის მასალისაც არ უნდა იყოს ის, არმაზის ქვაყუთებმა არ იცის.

სამკაულებს შორის ძლიერ გავრცელებულ სახედ ლატენის ტიპის რამდენიმე სახეცვლილი ბრინჯაოს ზამბარაკიანი ფიბულები უნდა ჩაითვალოს; ისინი თითქმის უსახონი არიან; ზოგიერთი მათგანის რკალია (მშვილდი) მხოლოდ ბრინჯაოსი, ლერაკი კი, უკანასკნელის სიძვირის გამო, რკინის აქეთ, რის გამოც მათ ფრამენტულ მდგომარეობაში მოაღწიეს ჩვენს დრომდე. რკინასაც, როგორც მასალას დიდი წარმატება ჰქონია ასეთი ფიბულებისათვის, რომელთაგანაც მთელი ეკზემპლარები იშვიათად გადაჩენილა.

ყველაზე მრავალრიცხოვანია ქინძისთავეები, რომელნიც, უეჭველია, თავსაბურავთათვის იყენებდნენ განკუთვნილი მასალა-ბრინჯაო და რკინაა; (მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს შუბლის ოქროს ჩარჩოიანი ქინძისთავეი). ისინი წარმოადგენენ ბრინჯაოს ან რკინის ჩვეულებრივ მრგვალ ღერებს ერთ ბოლოზე წაწვეტებულს, ხოლო მეორე მხარეზე კარგად გაჩაღებული აყიყის, სელიანის, აქატის ან უფრო ხშირად, ბროწეულის ყვავილისებურად გაფორმებული მარჯნის თავეებით შემკულს. დავასახელებთ აგრეთვე ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის უსახობეჭედებს თითებისას, რკინისა და ბრინჯაოს მარტივ სამაჯურებს, სარტყლისა თუ ფეხსაცმლის პატარა ბალთებს, აბზინდებს; ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს საყურეებს და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1. ოქროს ფირფიტებისაგან ნაკეთები ბეჭედი თითისა, პატარა პალმეტებითა და განივი პარალელური ხაზებით შემკული, მინისებური მასის თვალით და 2. ქალის ქამრის ბალთისებური ოქროს სამკაული ფირფიტოვანი ოქროთი ნაკეთები, ყვავილისებურად ორნამენტებული, — ფორმით ბრტყელი და მრგვალი; შუაში აყიყის ნახევარსფერული თვალი უზის.

ძლიერ იშვიათია ძვლის სამკაულები, რომელთა შორის აღსანიშნავია რამდენიმე ქინძისთავეი და ქამრის ბალთის მაგვარი ნივთი. ასევე იშვიათია ბალცამონები — შუშის საბალზამე და სანელსაცხებლე ქურკლები.

სამაგიეროდ ექსპედიციამ უამრავი მძივები, „კაურის“ ნიქარები და საკიდარები შეაგროვა. პირველთა მასალად გამოყენებულია გიშერი, აყიყი, აქატი, ქარვა, მინა, სხვადასხვა ჯიშისა და ფერის პასტა, ძვალი და სხვა.

დაბოლოს, როგორც მეტად საყურადღებო მოვლენას, აღვნიშნავთ № 12 ქვაყუთში ფულის პოვნის ფაქტს. ფული სპილენძისა გამოდგა. წარმოადგენს არაბული ფულის უკნინეს ერთეულს, ფელსიას და ეკუთვნის ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეს¹.

ზემოთმოყვანილი ფაქტები: არმაზის სამარხების ჩონჩხთა ორიენტაციის, ქვაყუთების შენებისას დანგრეული აბანოს ქვის მასალის გამოყენების, თვით სამარხთა შენების ყოველი წესისა და საფლავის ინვენტარის, განსაკუთრებით კი ფაქტი ფულის პოვნის შესახებ, გვგონია, აღნიშნულ სამარხებს ჩვენი წელთაღრიცხვის VI—IX საუკუნეების ფარგლებით ათარიღებს.

¹ მისი განსაზღვრისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებთ საქ. მუზეუმის ნუმისმატიკური კაბინეტის თანამშრომლებს — თ. ლომოურს და დ. კაპანაძეს.

ავტ. იოსელიანი

1938 წლის საზაფხულო მივლინების შემოკლებული ანგარიში¹

1938 წ. ზაფხულს ენიშვი-ს მიერ მივლინებული ვიყავი აღბულალ-მანგლის რაიონსა და ტფილისის გარეუბნის ზოგიერთ სოფლებში.

ჩვენი მასწავლებლის აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებით გამომუშავებულ იქნა სამივლინებო გეგმა და მიზანდასახულობა, რომლის საფუძველზედაც მივლინების მთელ პერიოდში მუშაობა უნდა მეწარმოებინა.

მიზანი მივლინებისა შემოიფარგლებოდა ჩემ მიერ აღებული სადისერტაციო თემისთვის საჭირო დღესღღობით ჯერ კიდევ ხელმისაწვდომ ისტორიულ-ეკონომიური ხასიათის გადმონაშთ ფაქტიურ მასალების შეგროვებით, რადგან ჩემი სადისტერტაციო თემა არსებითად ისტორიულ-ეკონომიური ხასიათისაა, აღებული საქართველოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სოციალ-ეკონომიური ცხოვრებიდან და ემყარება ისეთს დამახასიათებელსა და ორიგინალურ ძეგლს, როგორცაა „თავგადასავალი იესე ოსეს-შვილისა“². „თავგადასავალი“ მრავალმხრივად საინტერესო ქართული კულტურის ისტორიისათვის საერთოდ, და კერძოდ კი, საქართველოს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის სოციალ-ეკონომიური ისტორიის შესასწავლად; შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ ვერაა მეცნიერულად შესწავლილი და სათანადოდ გამოყენებული ჩვენს მწერლობაში. ჩვენი დისერტაცია მიზნად ისახავს „თავგადასავლის“ ერთი წამყვანი საკითხის: „მოხელის ყოფაცხოვრება, ეკონომიკა და მეურნეობა“ (იგულისხმება—მსაჯული იესე ოსეს-შვილისა) გარკვევას. მივლინება მიზნად ისახავდა დასახელებულ თემის, წარმატებით დამუშავებისათვის, ცოცხალ მასალებით გამდიდრებას; რასაკვირველია ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ სამივლინებო პერიოდში ყურადღება არ უნდა მიგვექცია სხვაგვარ ხასიათის მასალებისათვის, რომლებიც კი რომელიმე ძაფით დაკავშირებულია იესე ოსესძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან. ჩვენ ასეც მოვიქცით. საჭირო იყო ადგილობრივ შემესწავლა „თავგადასავალში“

¹ უფრო ვრცელი ანგარიში მოხსენდა ენიშვი-ს ისტორიის განყოფილების სხდომას 1939 წ. იანვარში.

² ტექსტი „თავგადასავლისა“ პირველად ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა 1871 წ. 11—12, 1872 წ. 1, 2, 4, 10, 11, 12 ნომრებში ნაწყვეტებად, ხოლო ცალკე წიგნად 1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა. გამოცემა, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, არა კრიტიკულია.

აწერილი, იესეს მიერ შენაძენი, ადგილები: შემემოწმებინა გეოგრაფიული სახელების სისწორე, გამომერკვია საზღვრებიც კი ცალკეულ ადგილ-მამულსა, რომელიც იესე ოსესშვილს შეუსყიდნია, შემოუსაზღვრავს, ქვები ჩაუყარა და დაწერილებით აუწერია (მაგ. სოფ. ბორბალოსა და მუხათში¹), გამორკვეული ყოფილიყო იესეს სამფლობელო მიწა-წყალი ნაყოფიერება-მდებარეობის თვალსაზრისითაც, რომ ერთგვარი დახმარება გაეწია ყოველივე ამას ამ მოხელის დახასიათებელ მეურნეობისა და ეკონომიკის მთლიან სურათის წარმოდგენისათვის; მოგვეხდინა შემოწმება, შეინარჩუნა არსებობა დღემდე თუ არა ადგილობრივ, იესე ოსესშვილის მიერ შესყიდულ სოფლებში, იესეს მიერვე ნასყიდი და დასახლებული ყმების, რომელთაც იესე იხსენიებს თავის თავგადასავალში, შთამომავლობამ. ამასთან დაკავშირებით გამორკვევა იესეს პირადი საცხოვრებელი და სამფლობელო ადგილების, როგორც ქალაქ ტფილისში, ისე მის ესოდენ მრავალრიცხოვან, ტფილისის გარეშე არსებულ, ცალკეულ სოფლებში, და ასევე გამორკვევა იესეს შთამომავლობისა, რათა შესაძლებლობა გვექონდეს შთამომავლობითი შტოს დაახლოებით მაინც დადგენისა. „თავგადასავლიდან“ ვიცით, რომ იესეს მრავალი შვილი ჰყავდა (9—10), რომელთაგანაც რამდენიმე ბავშვობაში გარდაიცვალა. მაგრამ უპირაველესობა ამათგან გადარჩა, და გადარჩენილთა შორის 5 თუ 6 ვაჟი ითვლებოდა. ამიტომ ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ იესეს შთამომავლობიდან დღევანდელ საქართველოში იესეს მემკვიდრეობის გამგრძობ რომელიმე პირს მაინც არ მოეღწია. ჩვენ შევეუღებით ასეთის ძიებასაც, ტექსტის შესწავლის საფუძველზე (რადგან ტექსტის საფუძვლიანი შესწავლა გვაძლევს ერთგვარ მითითებას იმისას, თუ სად ჩაუყარა იესე ოსესშვილმა საფუძველი თავის პირადს საოჯახო და სამემკვიდრეო საცხოვრებელ რეზიდენციას).

ამ მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში გამოცეხადი აღბულაღის რაიონულ ორგანიზაციებში და გავაცანი ჩემი მიზანდასახულობა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აღმითქვეს ყოველგვარი დახმარება. მეორე დღეს დილით გავეზავრე სამშვილდეში, დავათვალიერე ციხექალაქის ნანგრევები და იმავე დღეს საღამოთი აღბულაღში დავბრუნდი. 3 აგვისტოდან ცენტრი ჩემი მუშაობისა ვადატანილ იქნა კოდასა და ბორბალოს სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში, რადგან აღნიშნულ სასოფლო საბჭოებში შემავალ სოფლების დიდი უმრავლესობა ეკუთვნოდა იესე ოსესშვილს, ამ მიდამოებში ეწეოდა იგი მეურნეობას და აქ ასახლებდა მის მიერ შესყიდულ ყმებს. დავბინავდი კოდაში, საიდანაც გავშალე მუშაობა მუხათის, მარაბდის, ღურნუკის, კუმისის და თელეთის სოფლებში, მაგრამ რაიმე ხელშესახები მასალა იესე ოსესშვილის შთამომავლობისა, თუ მას პირადი ცხოვრების შესახებ მოგონებად, ან თქმულებად ხალხში შემონარჩუნებული, ვერ ვიპოვე. სამაგიეროდ შევისწავლე აღნიშნული სოფლების ეკონომიკა დღევანდელი და ისტორიული თვალსაზრისით, რამდენადაც კი უკანასკნელი შეიძლება მოხუცთა გადმოცემით; შევიამოწმე „თავგადასავალში“

¹ იხ. თავგადასავალი იესე ოსესშვილისა, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 106—107, სადაც იესე დაწერილებით ასწერს თავის სამფლობელოს სოფ. ბორბალოსა და მუხათში.

აწერილი გეოგრაფიული სახელები და ადგილობრივ შვეიცანე „თავგადასავლის“ ტექსტში ზოგი ანგარიშგასაწვეი შესწორება. კოდადან გადაყვლი და დაებინა-დი ბორბალოში, ხოლო აქედან (ბორბალოდან) შევუდქეი მუშაობას ბორბალოს სასოფლო საბქოში შემევალ სოფლებში, როგორცაა: ლოუბანი, ვაშლოვანი, ერტისი, (ტაგნაგეთი) და თვით ბორბალო.

ჩემი ყურადღება იმ თავითვე სოფ. ბორბალომ მიიქცია, ვინაიდან სწორედ ამ სოფელში აღმოჩნდნენ ვარსიმაშვილები, ირემაშვილები და სხვა გვარები, როგორც უძველესი მკვიდრნი ამ სოფლისა; იესე ოსესშვილი თავის „თავგადასავალში“ კი წერს, რომ მან იყიდა ყმები ვარსიმაშვილები, ირემაშვილები, მურადაშვილები და დაასახლა ბორბალოში. ასევე იესე, თავის „თავგადასავლის“ დასასრულს, თუმცა გაკვრით, მაგრამ მანც გარკვევით ამბობს, რომ იგი შეუდგა ამ სოფელში თავის ოჯახის საცხოვრებელ ბინის საფუძვლის ჩაყრას¹ და სხვა. ზოგი რამ მოსაზრებანი, რომლებიც აღმიძრავდა ექვებს და მაფიქრებინებდა, რომ იესეს შთამომავლობას შეიძლება ბორბალოში შეეფარებინა დღევანდლამდე თავი, ჩემთვის (იესე როგორც საზოგადოდ), რამდენად იგი არავითარ კონკრეტულ და ფაქტიურ მასალას არ ემყარებოდა, არ იყო გარკვეული; საქმეს ისიც აძნელებდა, რომ ჩვენ არ ვიცოდით, თუ რა გვართ შეიძლებოდა წოდებულიყო იესე ოსესშვილის შთამომავლობა დღეს. ჩვენ ვიცოდით, რომ იესეს ნამდვილი გვარი მიქაძე იყო². ვიცოდით ისიც, რომ ერეკლე მეფემ თავადობა უბოძა იესეს³, მაგრამ იქ არაა აღნიშნული თუ რა გვარს აძლევს ერეკლე მე-2 იესეს. პლატონ იოსელიანი თავის ნაშრომში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“-ში ყოველგვარ წყაროზე მითითების გარეშე იესე ოსესშვილს გვარად ბართაშვილად მიიჩნევს⁴. ამავე შეხედულებას იზიარებს ს. კაკაბაძე⁵, მაგრამ დასაბუთება ამ შემთხვევაშიც ვერაა დამაჯერებელი. ცნობილია, რომ საქართველოში 1832 წელს მოწყობილი შეთქმულება გასცა იასე ფალავანდიშვილმა; არსებობს მოსაზრება, რომ გამცემი იასე ფალავანდიშვილი არის შთამომავალი იესე ოსესშვილისა. ზემოაღნიშნული გარემოებანი აძნელებდნენ საკითხს.

როცა მე შევეკითხე მოხუც კოლმეურნე ვარსიმაშვილს, თუ ვის ყმებად ითვლებოდნენ მათი წინაპრები, მან მიპასუხა: „ჩვენ ყმები ვიყავით დივინიშვილების“-ო. რამდენჯერაც კი ვკითხე, ყოველთვის „დივინიშვილზე“ ზიმიითებდა. ასეთსავე პასუხს გვაძლევდნენ ირემაშვილებიც. ჩემი ყურადღება მიიქცია სახელმა „დივინიშვილმა“. ტექსტით დასტურდება რომ იესეს „მდივანს“ ეძახდნენ. მაგ.: „რომ მეფის ბაქარის შვილი ალექსანდრე ამბობდაო, იესე მდივანი წიგნებსა მწერსო“⁶; აგრეთვე: „ვიყავ ტფილისს, ვსამართლობდი, ზოგი მდივანბეგს მეძახდა, ზოგი მსაჯულს, ზოგი მდივანს, სამსავე ვითვისებდი და განეგე-

¹ იხ. ტექსტი თავგადასავლისა, გვ. 138.

² იხ. „საისტორიო მოამბე“, წიგ. II, ს. კაკაბაძე „მასალები მსაჯულის იესე ოსესძის შესახებ“.

³ Д. П. Пурцеладзе, „Грузинские дворянские грамоты“, стр. 19.

⁴ პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ გვ. 255.

⁵ იხ. დასახელებულ მოამბეში კაკაბაძის, მითითებული სტატია და იესე ოსესშვილის თავგადასავლის წინასიტყვაობა ს. კაკაბაძისა.

⁶ იხ. იესე ოსესშვილის თავგადასავალი, გვ. 95.

ბოდა ჩემგან ყოველი სამართალი ქართლის და კახეთისა¹. როცა მე ამ მიხედვრით დაფუწყე ლაპარაკი „მდივნიშვილების“ ვინაობაზე, მაშინ ერთმა იქ დამსწრე მოხუცთაგანმა მიპასუხა: „აგერ, სოფლის თავში ცხოვრობს დივნიშვილი კოლა, წადი და ის გეტყვის, რაც გინდაო“, და მიმითითა სოფ. ბორბალოს თავში დიდ ორსართულიან ქვის სახლზე. თან გამყევა კომკავშირელი ირემაშვილი, რომელიც ბორბალოს კოლმეურნეობის მოანგარიშედ ითვლებოდა, ხოლო კოლმეურნეობის კონტორა კი მოთავსებულია სწორედ „მდივნიშვილი“ კოლას სახლში.

დავაკებულ გორაკიდან სოფ. ბორბალოს თავში (დასავლეთიდან) მთელ სოფელს გადმოჰყურებს ამ გორაკზე ამართული დიდი ორსართულიანი, ლურჯი თლილი ქვით აგებული სახლი. განიერ გრძელ აივანზე შემოგვეგება ხანში შესული, ლაზათიანი გამომეტყველების, დარბაისელი და სტუმართმოყვარე მასპინძელი, — კოლა „მდივნიშვილი“, როგორც მას ამ სოფელში ეძახიან. გამოირკვა რომ კოლა „მდივნიშვილის“ ნამდვილი გვარი ბარათაშვილია. „მდივნიშვილს“ მას ეძახიან მეტსახელად — გვარის მაგიერ. ეს მეტსახელი იმდენადაა გავრცელებული და გამყდარი ბორბალოელ კოლმეურნეების ცნობიერებაში, რომ იშვიათია იქ იმათგან გაიგონოთ მიმართვაში ან საუბარში ბარათაშვილი. ისინი ჩვეულებრივ „დივნიშვილს“ ამბობენ.

წინასწარი მოსაზრებანი და ეჭვები იესე ოსესშვილის ბორბალოში დამკვიდრებისა და მისი შთამომავლობის არსებობის შესახებ დღევანდლამდე თანდათან მტკიცდებოდა ჩემში.

კოლა ბარათაშვილთან შეხვედრამ, მასთან ორი კვირით გულდასმითმა და შემაჯერებელმა საუბარმა, მოგონებებმა, ტექსტთან დაპირისპირებასა და მიმართებაში, საბოლოოდ დაგვარწმუნა მასში, რომ კოლა („დივნიშვილი“) ბარათაშვილი არის შთამომავალი იესე ოსესშვილისა² (იესე მდივნისა). ამ მიკვლევამ (იესეს შთამომავლობის აღმოჩენამ) ჩვენ გაგვიწია დიდი დახმარება შემდგომი საკვლევო მუშაობის სწორად წარმართვაში და ფაქტიურ კონკრეტულ მასალის, ოსესშვილის სამფლობელო მიწა-წყლის, სახლ-ქარისა და სხვათა შესახებ, დაზუსტებაში.

ზეპირი ცნობების შეკრებისას, ჩვეულებრივად მე არ ვეყრდნობოდი ცალკე მთხრობელთ ჩემთვის საინტერესო საკითხის საფუძვლიანად გამოსარკვევად, არამედ თითოეულ თხრობის, მოგონების თუ გადმოცემის ჩაწერას ჩემ მიერ, წინ უძღოდა მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ხშირად 20—25 მოზუც და ახალგაზრდა ადგილობრივ კოლმეურნე გლეხებს შორის. განსაკუთრებით ეს იქმნის ბორბალოსა და ბორბალოს სასოფლო საბჭოში შემავალ (ერტისი, ლოუბანი, ვაშლოვანი) სოფლებზე. ადგილობრივი გლეხობა დიდად დაინტერესა იესე ოსესშვილის თავგადასავალის ტექსტმა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ბორბალოსა და მის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში მომიხდა დაყოვნება შედარებით ესოდენ ხანგრძლივად.

¹ იხ. იესე ოსესშვილის თავგადასავალი გვ. 121.

² კოლა (ნიკოლოზ) ბარათაშვილი იყო იესეს უკანასკნელი და ერთადერთი შთამომავალი. იგი მიმდინარე წლის მარტის 10-ს მოულოდნელად გარდაიცვალა. ჩვენ იმით ვართ მხოლოდდა კმაყოფილი, რომ ზოგი რამ მასალები ჩაეწერეთ მოზუც კოლასაგან მოგონების სახით.

უკანასკნელად ორ-ორი-სამი დღით მიხდებოდა მუშაობის წარმოება შემდეგ ადგილებში: სალორისი, წვერი (პროუტთან), ბეთანია, ასურეთი, კოეორი, შინდისი, ტაბახველა, წყნეთი, ლისი, თხინვალი, დილომი, ხოლო უფრო გულდასმითი და ხანგრძლივი მუშაობა ჩაეატარე ქალაქ თელავისა და მის რაიონში შემავალ რიგ სოფლებში¹.

საკირო იყო მუშაობის კიდევ რამდენიმე დღით გაგრძელება, რომ მივლინება მიჩნეული ყოფილიყო სრულიად დამთავრებულად². მაგრამ მოულოდნელი სახიფათო შემთხვევა, ტყიან ადგილებში ცხენით მოგზაურობის დროს, ბეთანიის მთაგორიან ადგილებში, იქცა დროებით შემაფერხებელ მიზეზად.

ჩვენმა მივლინებამ ინსტიტუტისაგან, საკირო მასალების შეგროვების თვალსაზრისით ჩემ მიერ აღებულ სადისერტაციო თემისთვის შეიძლება ითქვას რომ გაამართლა თავისი დანიშნულება და სამივლინებო პერიოდის განმავლობაში მოპოებულ იქნა ძვირფასი მასალები, რომელიც შუქს მოფენს და ნაწილობრივ მაინც შეავსებს საქ. ისტორიის XVIII საუკუნის ერთ-ერთ უძვირფასეს ძეგლს.— მსაჯულ იესე ისესვილის თავგადასავალს.

¹ თელავის საკართველოს ისტორიის XVIII საუკუნის სურათის ნათლად აღდგენისათვის დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თელავის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ფლობს ხელთნაწერების საბუთების საკმაო რაოდენობას, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა ეროვნულ II-ს ეკუთვნის. საბუთებში აღმოჩნდა იესე ოსესვილის მანუსკრიპტები (ორი საბუთი), რომელსაც თვით იესე მისგან „მოწონებულ ბეჭდით“ ამოწმებს. აღნიშნული საბუთის ბეჭდის წარწერა გვეხმარება „თავგადასავლის“ დამაზიწვებელ ტექსტის გასამართავად. თელავის რაიონში დაეყავი ორ კვირას. ამ ხნის განმავლობაში თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ს. მამულაშვილის გულთბილ შეხვედრით და ხელის შეწყობით შევსძელი თელავის მუზეუმის (რომელიც სამეფო სასახლის შენობის სამ ოთახში იმყოფებოდა) საფუძვლიანად შესწავლა. შევისწავლე ყველა ხელთნაწერი და გადმოვიწერე 15-მდე ჩემთვის საკირო ხელთნაწერი. აღვრიცხე მასალები, რომელიც უნდა გადაღებულ იქნას ფოტო სურათებით ამ უახლოეს პერიოდში (დაახლოებით 50 ობიექტამდე). აღნიშნული დრო რომლის განმავლობაშიც მე მიხდებოდა მუშაობა თელავის რაიონში, გამოვიყენე რაიონის ისტორიულად დამახასიათებელ და საინტერესო მატერიალურ კულტურის ძეგლების დასათვალისწინებლად და ჩემთვის საინტერესო თვალსაზრისით ზოგი რამ მასალების ჩასაწერად. ამ მიზნით ვიყავი გრემში, შუამთის მონასტერში, ივალთოში, ბახტრიონში, ახმეტაში, მატაანში, საბუესა და ალავერდში. დასახელებულ ადგილების ზოგად გეოგრაფიულ-გეომორფიკულ გაცნობის გარდა, ჩვენ იქ შევეკრიბეთ ზოგი რამ, ჩვენთვის საინტერესო ფოტოლოგიური და მეტროლოგიური მასალები.

² აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ მუშაობის ჩატარება ვერ მოესწრო სამივლინებოდ კათვალისწინებულ დროის განმავლობაში. (კათვალისწინებული იყო 1 თვე, საკირო შეიქნა და-ჩატებით 10 დღე).

ტექნიკური რედაქტორი შ. კუ მ ბ უ რ ი ძ ე

გადაცემულია ასაწყოებად 3.4.1939

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.7.1939

ქაღალდის ზომა 70×105 ¹/₁₆.

საავტ. საალრიცხვო ფორმა 17

მთავლიტი № 2135

ბეჭდვური ფორმა 12³/₄

შეკვეთა № 315

ტირაჟი 1000

სსრკ შეცნიერებათა აკადემიის საკართველოს ფილიალის სტამბა. ტფილისი, წერეთლის ქ. 7

იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა

1. გიორგი წერეთელი, საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით.
 2. ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, ხევისურული, I, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით.
 3. ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), ეთნოგრაფიული ნაწერები, დოც. გ. ჩიტაიას რედაქციით.
 4. „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით.
 5. პ. გუგუშვილი, მახალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1938 წ. ნაკვ. III, პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით.
 6. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით.
 7. „სვანური ხალხური პოეზია“, აკად. წვერ-კორესპ. ა. შანიძისა და პროფ. ვ. თოფურის რედაქციით.
 8. „სვანური ხალხური პროზა“, აკად. წვერ-კოსესპ. ა. შანიძისა და პროფ. ვ. თოფურის რედაქციით.
 9. ხაგლენო საბუთები, დოც. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.
-